

მნიშვნელობი

მარტინ დეკი
გიგანტის მიერ

'16



850

მნიშვნელობი

'16

საქართველოს
იღია ჭავჭავაძის
სახელობის
გლობურისა
ასოციაციის
ყოველთლიური
ორგანიზაცია

გამოდის
1980 წლიდან

თბილისი
2016

აღმანები „მფიგნარი“ მოგვითხრობს
ტიგნებსა და ტიგნის ჰემპმელებზე,
ბიგლიორთვებსა და ბიგლიორფილებზე,
ძიებებზე ტიგნის სამყაროში, სხვადასხვა
ეპენისა და მხარის მფიგნარებზე.

მთავარი რედაქტორი ნოდარ ტაბიშვილი

სარედაქციო საბჭო:
ლალი აგალიანი
რევაზ ბალახიშვილი
შოთა მოგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)
ალექსანდრე ლორია
ლალი მინაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე)
ლია ნადარემიშვილი
მიხეილ ქავთარია
ალო ღველევა
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე
იოსებ ჭუმბურიძე

მხატვარი
აზორ თოდიძა

გარეკანზე: შოთა რუსთაველის ფრესკა ჯვრის მონასტერში.

ელგუჯა ბინოიპიძე

ვეზენსტყაოსნის პერსონაჲი და მისი ემოციური სამყარო

შუასაუკუნეების ქართული კულტურა ქრისტიანული აზროვნების პროცესის კარდინალურ მიმართულებას განეკუთვნება. მასში თანმიმდევრულად ვლინდება ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის ძირითადი ეტაპი. იგი თავისი განვითარების ზენიტში – XII საუკუნის დასასრულს და XIII საუკუნის დასაწყისში – მაშინდელი მსოფლიოს ქრისტიანული აზროვნების უახლესი, ყველაზე მეტად თანამედროვე ტენდენციების გამომხატველია. შუასაუკუნეების ქართული კულტურის ზენიტი კი რუსთაველის ვეფხისტყაოსანია, რომელიც ერთი სუკეთესო ნიმუშია აღმოსავლური და დასავლური კულტურული, კერძოდ კი ლიტერატურული, ნაკადების სინთეზისა. ამასთან ერთად, მსგავსად იმდროინდელი ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრის პროცესის ტიპოლოგიური რაობისა, ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის კანონზომიერი კუთვნილებაა. თავისი ეპოქის მსოფლმხედველობით და ესთეტიკური იდეალების მხატვრული რეალიზებით ვეფხისტყაოსანი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედევრია.

ადამიანი, რომელიც რუსთველს შემოყავს თავის პოემაში, ყველა შემთხვევაში ერთი კუთხით დანახული, ერთი პრინციპით დახატული არ არის. მკვეთრად განსხვავდებიან, ერთი მხრივ, ცხოვრებისეული პერსონაჲები (ფატმანი, უსენი, ვაჭრები, ვეზირები, ზოგიერთი მეფე, მათ შორის ინდოეთისა – ფარსადანი), რომლებიც მათთან დაკავშირებული ეპიზოდებითურთ ნაწარმოების მხოლოდ ცალკეულ დეტალებს ავსებენ; და, მეორე მხრივ, იდეალური გმირები – არა ცხოვრებიდან აღებულნი, რეალურ-ემპირიულად არსებული, არამედ ამქვეყნიურის, რეალურის ბაზაზე პოეტის ფანტაზიით შექმნილნი და ამდენად იდეალურნი – იდეაში არსებულნი. ესენი



არიან: შეყვარებული წყვილები ინდოეთისა და არაპეტის ტბმცემული კარიდან: ნესტანი და ტარიელი, და მეორე მხრივ – თინათინი და ავთანდილი; ასევე – ნურადინ ფრიდონი, მულღანზარის რაინდი მეფე; ასმათი – იდეალური მსახური ქალი ინდოეთის შეყვარებული წყვილისა და შერმადინი, იდეალური ვასალი ავთანდილისა; ასევე არაპეტის მეფე როსტევანი და სარიდანი – ინდოეთის ერთი მეშვიდედის მეფე. ამგვარი იდეალური ტიპაჟი იქმნება ცხოვრების ული რეალობის საფუძველზე ავტორისეული პირობითობისა და პიპერბოლიზების პრინციპით. პირობითობაა ის, რომ პერსონაჟი პოემაში შემოყვანილია მხოლოდ იმ ნიშნით დ იმ მოტივით, რის გამოსახატავადაცაა იგი გამიზნული და მისი თავვადასავალი მკაცრადაა შეზღუდული მხოლოდ იმ ეპიზოდებით, რაც აუცილებელია ნაწარმოების სიუჟეტის პროცესისათვის. ასე მაგალითად, ასმათი ერთგული ქალის იდეალია; მისი ხასიათის თუ ემოციის არც ერთი სხვა გამოვლინება პოემაში არ ჩანს. არც ფრიდონის ცხოვრების არც ერთი ეპიზოდი არ ჩანს პოემაში, რომელიც სიუჟეტის განვითარების მკაცრად მოტივირებული ხაზიდან იქნება გადახრილი. იდეალური გმირის სახის და ქმედების პიპერბოლიზება გამიზნულია იმ იდეის ნარმოსაჩენად, რაც პოეტისეული მსოფლმხედველობის გარკვეული ასპექტია. ამიტომაა, რომ პერსონაჟის ქმედება ზოგჯერ პირობითია და პიპერბოლიზებულია იმით, რომ იგი რეალურისგან, ჩვეულებრივი, ლოგიკურად მოსალოდნელი ქმედებისაგან დაშორებულია, არაორდინალურია, მოულოდნელია. ასე იხატება ახალი სამყარო, პოეტისათვის სასურველი რეალობა, ოცნებისეული სინამდვილე, რაც თავისითავად მნერლის მსოფლმხედველობრივ ორიენტაციაზე მიანიშნებს. ასე, მაგალითად, ინდოეთის დანარჩენი ნაწილისთვის ცენტრალიზებული მონარქის სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისადმი პოეტის სიმპათიაზე მეტყველებს. პოეტის ეს იდეალი კი თავისითავად შეესაბამება XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის სტრუქტურას.

ადამიანის დანახვა მხოლოდ დადებითი კუთხით და ამ დადებითის პიპერბოლიზება მსოფლმხედველობრივი განაცხადია ტრადიციულ რეალობათა გადასაფასებლად. იდეალური ადამიანის დაყენება საკუთარო პოეტური სამყაროს ცენტრში არის გამოხატულება რუსთველის სწრაფვისა ახალი აზროვნებისაკენ, რომელიც ახალ ეპოქას მოაქვს – ემფაზა, აქცენტის გადატანა ადამიანზე, მის ადამიანურ ემოციებსა და ანალიტიკურ აზროვნებაზე. ასე იქმნება



ახალი სინამდვილე, ახალი რეალობა, პოეტისეული სამყარო. პირველი ეტი ეძებს ფარულ ნიუანსებს გმირის სულიერ სამყაროში, ხედავს პირველი მისამართის სულიერ ჭიდილს საკუთარ მესთან და ნაცვლად მოთხოვთ ამბის გარეგნული, ფაბულური მხარისა, ლიტერატურული ინტერესის გადატანას ცდილობს პერსონაჟის ფსიქიაზე.

პერსონაჟის ემოცია, ამაღლებულის ესთეტიკური განცდა არაა ნაწარმოების გმირის მახასიათებელი კომპონენტი, მხატვრული სახის სამკაული. იგი ვეფხისტყაოსნის მხატვრული სამყაროს მსოფლმხედველობითი მთლიანობის არსებითი ღერძია. მასზე ბრუნავს ის ახალი რენესანსული აზროვნება, რომელიც უკომპრომისოდ შემოაქვს პოეტს. ნესტანის ხილვით ტარიელის მყისიერი დაბნედა, ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ერთმანეთის პირველივე ხილვით დამეგობრება არაა ზღაპრული ნარატივი, ამბის უბრალო მბობა. იგი ადამიანის ფსიქიკის ნიუანსებზე აგებული ორგანული მთლიანობაა. ამაღლებულის, მშვენიერის ხილვის ჰიპერბოლიზებაა ფუნდამენტი იმ დიდი სიყვარულისა და მეგობრობის, რომელიც რუსთველს ახალ ფილოსოფიად, ახალ მსოფლმხედველობად მოაქვს. როგორც ტარიელი მოიხიბლა ნესტანის ხილვით, ასევე პირველი შეხვედრისთანავე მოეწონათ ერთმანეთი ვეფხისტყაოსნის მოყმებას. „შემომხედნა, მოვეწონეო“ (598), – ასე აღუნერს ავთანდილს ტარიელი ფრიდონთან პირველ შეხვედრას. ამ მოწონებასაც თავისი მხატვრული საფუძველი აქვს. იგი არაა მხოლოდ თვალით ხილული სილამაზის მოწონება; უნინარესად ამაღლებულის ხილვაა; ხოლო მასზე აღმოცენებული მშვენიერის ესთეტიკური განცდა გადაიზრდება იმ მეგობრობასა და სიყვარულში, რომელიც რუსთველის ახალი მსოფლმხედველობითი კრედოა.

საწუთოს სიმუხტლით სასოწარკვეთილი ტარიელი, რომელიც ადამიანებს გაურბოდა, ხოლო მისი ვინაობის შეტყობის მსურველთ სასიკვდილოდ იმეტებდა, ამაღლებულმა სანახავმა გამოაფხიზდა და ეს ამაღლებული ესთეტიკურად მშვენიერის ხილვაა: ადამიანთა სიმუხტლისგან ტარიელივით განწირული, გულად და მისანდობ მეომართა დამკარგავი და მასავით სულით დაკოდილი, გამწარებული რაინდის ქადილი ზეცას სწვდებოდა:

„ზახილი მესმა. შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა,

შემოარბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურმე წყლლული სტკიოდა:

ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლის ჩამოსდიოდა,

მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა“ (596).

ტარიელი შეაკრთო ნახულმა სურათმა, მიიზიდა „გაფიცხებულ-
მა და მწყვრალმა“ მოყმებ: „შევსთვალე: დადეგ, მიჩვენე, ლომსა-
განყენს, რომელი?“ (597).

ავთანდილის მაღალმა სამონადირეო ხელოვნებამ და რაინდულ-
მა იერმა ფრიდონის მთელი ლაშქარი მოხიბლა:

„იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს,

ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს,

ვერცა ჰკადრებდეს: „ვინ ხარო“, ვერცა რას ეუბნებოდეს“ (981).

ეს ესთეტიკური საფუძველი აქვს ავთანდილის პირველივე ხილ-
ვით ფრიდონის მოხიბვლას და მათ დამეგობრებას: „თვით უსახოდ
ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ“ (988).

მხატვრული მეტყველების ეს სტილი უკვე რენესასნსული აზ-
როვნების დონეა (ე. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფ-
ლმხედველობითი სამყარო, „ქართველოლოგი“, გვ. 570-575, თბ.,
2009).

ადამიანური ნეტარების უმაღლეს სახედ და ამდენად უმაღლე-
სი სიკეთის ეთიკურ კატეგორიად, თანახმად ქრისტიანობის მო-
რალური კონცეფციისა, რუსთველი მიიჩნევს სიყვარულს. მაგრამ
პოეტი ცდილობს ამ ეთიკური სისტემის ახლებურ გადააზრებას
და სიყვარული, რომელიც ვეფხისტყაოსნის პოეტური სამყაროს
ცენტრში დგას, ლვთაებრივი ამაღლებულობისა და შინაარსის მქო-
ნე ამქვეყნიური, ადამიანური გრძნობაა. ვეფხისტყაოსნის სიყვა-
რული, როგორც კონცეფცია, რუსთველის ეპოქის – XII საუკუნის
ქრისტიანული საკარო ლიტერატურის ჰუმანიტარულ პრინციპზეა
აღმოცენებული. პოემის შეყვარებულ წყვილთა ტიპაჟის მხატვრუ-
ლი მოდელი ეფუძნება იმდროინდელი სპარსული ეპიკის მიჯნურის
სახეს (სატრფოს ვერ მიწვდომისაგან გახელებული, ველად გაჭრი-
ლი ყმა). ამავე დროს, სიყვარულის რუსთველისეული კონცეფცია
მაღლდება სპარსული ეპიკის დუალისტურ და სუფისტურ ფილო-
სოფიაზე.

ეროვნული ცნობიერების თანახმად, ქართველი პოეტი შეყვა-
რებულ წყვილთა ურთიერთსწრაფვის იდეალს ამქვეყნიურ შეერ-
თებაში, შეუღლებაში ხედავს. ამით კი სიყვარულის საკუთარ კონ-
ცეფციის ახამებს ქრისტიანული მისტიკის უმაღლეს იდეალთან:
ქორწილი – ინდივიდუალური სულის შეუღლება ქრისტესთან –
ლვთაებრივი ჰარმონიის ზღვრული ნეტარებაა. რუსთველისეული
სიყვარულის კონცეფციის ეს ამაღლება იმაშიც გამოიხატება, რომ



იგი ასახავს, თავისი შემოქმედების საგნად აქვევს, არა თავისუთაული ვად სიყვარულს როგორც პერსონიფიცირებულ იდეას, არა კრძალული ნად სიყვარულის ობიექტს – ქალს, რამდენადაც შეყვარებულ პერსონაჟს, სუბიექტს, მის ფსიქოლოგიურ განცდებს და სულიერ თუ ინტელექტუალურ ამაღლებას.

სიყვარულის რუსთველისეული კონცეფცია სცილდება საკარო პოეზიის ნორმებსაც. ვეფხისტყაოსნის სიყვარული ადამიანის ბუნებრივი გრძნობაა და თავისუფალია ევროპული კურტუაზული სიყვარულის სავალდებულო და ნორმირებული პირობითობისგან. ვეფხისტყაოსნის შეყვარებულ წყვილთა ურთიერთობა დასაწყის ეტაპზე საკარო პოეზიის კურტუაზული სიყვარულის მსგავსია: სიყვარული დედოფალსა და სასახლის რაინდს შორის; სიყვარულის გამუღავნება ქალის მიერ; სატრფოს მიერ საგმირო დავალების მიცემა რაინდისადმი; შეყვარებული რაინდის ქმედება სახელის მოსახვეჭად. შემდგომ ეტაპზე ვეფხისტყაოსნის სიყვარული სცილდება ევროპული საკარო სიყვარულის მოდელს – სატრფოს სიყვარულთან ერთად მეგობრის სიყვარულშიც გადაიზრდება და სახელის ძიება, უკვე საკუთარი ნებით, მეგობრისადმი სამსახურშიც გამოვლინდება. უფრო მეტიც, იგი ადამიანური თანაგრძნობის ფორმით მოყვასის სიყვარულის იდეის აღსულებამდე მაღლდება. გზა სატრფოს სიყვარულიდან მეგობრის სამსახურისაკენ, და შემდეგ ადამიანის, მოყვასის თანაგრძნობისაკენ – ამაღლების გზაა. ადამიანის სრულქმნილების გზა პლატონის ფილოსოფიის მიხედვითაც ამგვარია: მშვენიერი სხეულთაგან – მშვენიერ საქმეებზე და შემდეგ – მშვენიერ იდეებზე (ნადიმი, 211c) [19, გვ. 84-85].

ვეფხისტყაოსნის სიყვარული ამქვეყნიურ-ადამიანურია, მისი სიმბოლურ-ტრანსცედენტულად გადააზრების გარეშე. უფრო მეტიც, რუსთველის კონცეფციით, ამქვეყნიური, ადამიანური სიყვარული თავისთავად უკვე ღვთაებრივი სიყვარულია. ვეფხისტყაოსნის სიყვარულს არ ზღუდავს ამქვეყნიურ-იმქვეყნიურის ზღვარი, იგი მაღლა დგას სიკვდილ-სიცოცხლის მისტერიაზე. ტარიელი მიიჩნევს, რომ ნესტანი აღარაა ცოცხალი, მაგრამ მათი სიყვარული ისევ ცოცხალია. მას თავის წარმოსახვაში იმქვეყნად მიაქვს ეს სიყვარული და სიყვარულის იმქვეყნიურ ზემში დარწმუნებულია. და რაც უფრო არსებითია, რუსთველის რწმენით, ნესტანის იმქვეყნიური ხილვა, იმქვეყნიური სიყვარული ადამიანური, ამქვეყნიური შინაარსის იქნება:

„საყვარელმან საყვარელი ვით არ ნახოს, ვით გაწიროს!

მისკე მივაღ მხიარული, მერმე იგი ჩემკე იროს,

მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს...“ (884).

ადამიანური სიყვარულის ამგვარი გადააზრების პროცესი ჩანს გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპულ ლიტერატურაშიც. დაახლოებით ამგვარადვე მაღლდება დანტე ალიგერისეული სიყვარულის კონცეფცია ტრუბადურულ სამიჯნურო ლირიკაზე. როგორც მიუთითებენ, დანტესან აშკარაა, რომ რეალური ქალის ადამიანური სიყვარული პირველი საფეხურია და, ამდენად, ნაწილია ღვთაებრივი სიყვარულისა. სიყვარულის გადააზრების ეს პროცესი რენესანსის უშუალოდ წინარე ევროპულ ლიტერატურაში გრძელდება და პეტრატკასთან უკვე ადამიანური სიყვარული მისი უშუალო არა ალეგორიული გააზრებით ღვთაებრივი სიყვარულია [ე. ხინთიბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 314-653].

რუსთველისეული სიყვარულის კონცეფცია შუასაუკუნეობრივი და რენესანსული იდეალების ჰარმონიით შენდება. ამ ჰარმონიაში რენესანსული შუასაუკუნეობრივის ბაზაზე შემოდის. უფრო მეტიც, რუსთველი აშკარად ცდილობს ადამიანური სიყვარულის თეზა ქრისტიანული რელიგიის კონცეფციაში ჩასვას. ამის საფუძველს მას აძლევს სახარებისეული დებულებები (მათე 22, 37-40; მარკ. 12, 30-31; ლუკა 10, 27): გიყვარდეს უფალი – ესაა პირველი და უდიდესი მცნება; მეორე, ამის მსგავსი მცნებაა: გიყვარდეს მოყვასი შენი; ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი. ამ თეოლოგიურ წანამძღვარს ემყარება რუსთველისეული მიჯნურობის კონცეფცია, რომელიც ვეფხისტყაოსნის პროლოგში თეორიულადაა ჩამოყალიბებული: ღვთაებრივ მცნებათა შორის სიყვარული არის პირველი და უდიდესი მცნება. მისი ერთი სახეობა მიუწვდომელ-მიუხვედრელიცაა და გამოუთქმელიც. ამიტომ ვლაპარაკობ სიყვარულის ამქვეყნიურ გამოვლინებაზე, რომელიც მისსივე მიბაძვაა, თუ იგი სიძვაში არ გადადის და ინარჩუნებს ღვთაებრივ სიწრფოებას და აღმაფრენას (20-11). ქრისტიანული რელიგიის სიყვარულის კონცეფციის ამგარ კომენტირებას ახალ აღთქმაში სხვა და არსებითი საყრდენი დებულებაც აქვს (1 იოანე, 4,8): „ღმერთი არასადა ვის უხილავს. უკუეთუ ვიყუარებოდით ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგიეს და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს“ [19].



რუსთველისეული სიყვარული ძალიან ფართო გრძნობაა, რუსთველის მელიც გარკვეული კუთხით მოიცავს საკუთრივ მიჯნურობას და მეგობრობასაც. ვეფხისტყაოსანში ჩაქსოვილია მეგობრობის ახლებური, ორიგინალური, ავტორისეული კონცეფცია, რომლის ჩამოყალიბებაში ოთხი ძირითადი ფაქტორი დომინირებს. ესენია: ხალხური ძმადნაფიცობის ტრადიციით მოხატული ქართული ეროვნული ძირები, ქრისტიანული ეთიკის ქართული ტრადიციით მოტანილი მოყვასის სიყვარულის იდეა, რუსთველის დროინდელი ფეოდალური და სამხედრო არისტოკრატიის რაინდული ეთიკა, ანტიკური ფილოსოფიიდან გვიანდელი შუასაუკუნეებისა და რენესანსის ეპოქაში ნამემკვიდრევი არისტოტელეს მოძღვრება მეგობრობაზე [ე. ხინთიბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 550-581].

ტიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველის შესახებ

შოთა რუსთველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ჩვენამდე მოღწეული წყაროები ძირითადად ორად შეიძლება დაჯგუფდეს:

1. ისტორიულ-დოკუმენტური და 2. ფოლკლორული მასალები.

რასაკვირველია, ისინი ღირებულებითა და მნიშვნელობით ერთ-მანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, ვინაიდან რამდენადაც ისტორიულ-დოკუმენტური წყაროები უმნირეს ცნობებს შეიცავს – სახელისა და ზედნოდების მოხსენიებით შემოიფარგლება, ფოლკლორული მასალა (თქმულებები, გადმოცემები, ხალხური ლექსები), საზოგადოდ, ხალხურ ფანტაზიას გადმოგვცემს, თუმცა, შესაძლოა, ისინი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ხსოვნასაც ინახავდეს; მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ამჟამად თითქმის შეუძლებელია. კვლევის საქმეს ისიც ართულებს, რომ არ მოგვეპოვება XVI საუკუნემდელი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ შემონახული მნირი ცნობები სამი რიგისაა:

1. ცნობები პოეტის ზედნოდების – რუსთველის შესახებ, რომლებიც ამოსავალია ამ პრობლემის საკვლევად, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისა და დასასრულში სნორედ რუსთველია მოხსენიებული, სახელის გარეშე;
2. ცნობები პოეტის სახელთან – შოთასთან – დაკავშირებით, რომელიც ზოგჯერ რუსთველთან ერთად მოიხსენიება, ზოგჯერ – ცალკე.
3. ცნობები შოთა რუსთველის შესახებ, რომელთაგან, უნინარეს ყოვლისა, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკის ნარჩერა იქცევს ყურადღებას. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა შოთას ფრესკულ გამოსახულებათა და ბარელიეფის ნარჩერების ცნობები: ქვაბისხევის ბაზილიკის ფრესკა, აძიკვის ბარელიეფი და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკა; აგრეთვე, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სააღაპე ნიგნის მონაცემები შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ; ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები და სიგელ-გუჯრები შოთა რუსთველის ეპოქიდან – „ქართლის ცხოვრების“ ცნობა შოთა თორელის შესახებ, ჭიათურის დაწერილის, ანუ უინვანის სიგელის ხელისმონერი შოთას ვინაობის შესახებ.

ჩემს სტატიაში განვიხილავ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მონაცემებს ტიმოთე გაბაშვილის თხზულების გათვალისწინებით:



ტაძრის კედლის ფრესკაზე გამოსახულ შოთა რუსთველის პორტრეტის ფერების, ნარჩერას და აღაპთა წიგნში მოხსენიებულ შოთა მეჭურაჭალის ლეთუხუცესის შესახებ არსებულ ცნობას. ჩემი კვლევა განსხვავებული ვერსიების დამკვიდრებამ განსაზღვრა და იგი, ძირითადად, წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა, რათა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს რეალობა და ლეგენდა. ქართველ და საზღვარგარეთის მეცნიერთა მიერ (ზ. ჭიჭინაძე, ვ. ცაფერისი, შ. ამირანაშვილი, ი. დავიდი, ე. მამისთვალიშვილი და სხვ.) გამოთქმულ შეხედულებებში შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ იერუსალიმურ წყაროთმცოდნეობით მასალათა რეალობა და მათზე დაფუძნებული ლეგენდა აღრეულია; სწორედ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებში რეალობისა და ლეგენდის გამიჯვნა მიმაჩნია საჭიროდ, რაც შეადგენს ამ სტატიის უმთავრეს მიზანს.

უნინარეს ყოვლისა მის თაობაზე, თუ რამ მოაღწია ჩვენამდე იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან შოთა რუსთველის შესახებ. ესაა ფრესკა, ნარჩერა და საალაპე წიგნის ჩანაწერი, რაც მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის აღსადგენად ცოტა არაა.

ფრესკისა და ნარჩერის შესახებ. სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე არსებულ ფრესკაზე, რომელიც ზომით პატარაა, დაახლ. 70 სმ-მდე სიმაღლისა, სიგანე 50 სმ-მდე, გამოსახულია მოხუცი ქართველი დიდებული ერისკაცი ძვირფას საერო სამოსელში, იგი მუხლმოდრეკილია ეკლესიის უდიდესი მამების – წმ. მაქსიმე აღმსარებლისა. და წმ. ოთანე დამასკელის ფრესკათა წინაშე, რომლებიც დიდი ზომისაა – 3 მეტრს აღწევს, ისინი ფეხზე მდგომები მთლიანად არიან გამოსახული კედელზე. მათ ფეხებთან ფრესკაზე გამოსახულ საერო სამოსელში ჩაცმულ ქართველ დიდებულს მხრებზე ყარყუმის ბენზისაყელოიანი მენამული ფერის მანტია აქვს მოსხმული, რომელიც ცრუ სახელობით თავისუფლად ეშვება; თავზე შავი ფერით განწყობილი თეთრი ბენზის ქართული ქუდი ახურავს; მოსასხამი მოყვითალო-მოთეთრო საყელოთია დამშვენებული, ასე-თივე ფერისაა სარჩულიც; შეინიშნება, რომ ქსოვილი ძვირფასია, მასზე მაქმანების სახით წითელი ფერის რომბებია გამოყვანილი, რომლებშიც თეთრი მარგალიტებია ჩასმული. შიდა ჩასაცმელი მომწვანო-მოლურჯო ფერისაა, შემორტყმული აქვს ტყავის ქამარი (ვირსალაძე, 1973: 67).

ფრესკაზე გამოსახული პირი მუხლმოდრეკილი და ხელებაპყრობილი (ვედრების კომპოზიცია) დგას წმ. მაქსიმე აღმსარებლი-



სა და ნმ. იოანე დამასკელის წინაშე. წარწერის აკაკი შანტიშვილი წაკითხვა ქარაგმების გახსნის შემდეგ ასეთია: „ამისა დამზადა შოთა[ს] შეუნდვნეს ღმერთმან ამინ“. სურათს ზემოთ და წარწერის ქვემოთ, ქარაგმითვე წარწერილია „რუსთველი“. არსებობს სხვაგვარი წაკითხვაც: „ამისა დამხატვასა შეუნდვნეს ღმერთმან ამინ“. წარწერის ზემოთ კითხულობენ „შოთა[ს]“, რაც არასწორია, ხოლო წარწერის ქვემოთ – „რუსთველი“. წარწერა ერთ დროს და ერთი ხელითაა შესრულებული. ჩანს, რომ იგი აღდგენილია და შეცდომებიც ამით უნდა იყოს გამოწვეული. გ. არაბულმა ქარაგმაში „შ~ს“ ივარაუდა, რომ შესაძლოა ქარაგმა სხვაგვარადაც გაიხსნას: „შეინ-ყალნეს“ (არაბული, 1992: 94-96), რაც წარწერაში კიდევ უფრო მეტი შეცდომის საფუძველს ქმნის, ამიტომ ყველაზე სწორ წაკითხვად აკაკი შანიძისეულ ვარიანტს მივიჩნევ.


წარწერა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ შოთა არის მონასტრის მომხატველი, ე. ი. მომხატვინებელი, და მისთვის ღვთისაგან შენდობის თხოვნაა ასახული. წარწერის მეორე ნაწილი მხოლოდ ერთი სიტყვისაგან შედგება: რუსთველი, რაც პორტრეტზე გამოსახული პირის ვინაობაზე მიუთითებს. წარწერის ორივე ნაწილი შეეხება სვეტზე გამოსახულ პირს და მის ღვანლს ასახავს: ეს პირი ჯვარის მონასტრის მომხატვინებელი შოთა რუსთველია; ე. ი. საეჭვო არაა, რომ ამ წარწერის „შოთა“ სწორედ შოთა რუსთველს გულისხმობს. წარწერის სიტყვა „დამხატვი“ ნიშნავს მომხატვენილებელს, რომელმაც მონასტრის ფრესკების მოხატვისათვის ხარჯი გასწია.

გადმოცემების საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ პოეტი სიცოცხლის მიმწერს იერუსალიმში გაემგზავრა, ბერად აღიკვეცა, იქვე აღესრულა და იქვეა დასაფლავებული, დოკუმენტურად ვერ მტკიცდება. ვერ ვიტყვით, თუ რამდენად შეესაბამება იგი სიმართლეს, რადგან ფრესკაზე გამოსახული ქართველი დიდებული ერისკაცის სამოსელშია გამოწყობილი. თანაც რუსთველს, როგორც ერთ-ერთ დიდ ვაზირს, მეჭურჭლეთუხუცესს, შეეძლო საქართველოდანვე წარემართა მონასტრის შეკეთება-განახლებისათვის საჭირო საქმიანობა. როგორც მეჭურჭლეთუხუცესს, მას ევალებოდა კიდეც ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, მათ შორის ჯვარის მონასტერზე, ზრუნვა. ამას სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა მონასტრისათვის განეული ღვანლიც მონმობს, მაგრამ ამისთვის მეცენატის მონასტერში ყოფნა და მის

მიერ მონახულება აუცილებელი არ იყო, რადგან მისი გაღებული ხარჯით მის ჩაუსვლელადაც სავსებით შესაძლებელი იყო ტაძრის აშენებაც და განახლებაც. იერუსალიმში შოთა რუსთველის ჩასვლა შეიძლება ვივარაუდოთ, მაგრამ საამისო დამამტკიცებელი საბუთები არ მოგვეპოვება.

ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, პირველი ცნობა ჯვარის მონასტერში შემორჩენილი შოთა რუსთველის ფრესკისა და წარწერის ინტერპრეტაციისათვის XVIII საუკუნის შუა ხანების ქართველ სასულიერო პირს, თბილელ ეპისკოპოსს ტიმოთე გაბაშვილს ეკუთვნის. მან 1757-1758 წლებში იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში, შემოიარა ქართული მონასტრები და პალესტინის ქართული ტაძრების აღნერისას ჯვარის მონასტერში არსებული ფრესკის შესახებ აღნიშნა: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცეს[ს], თითონაც შივ ხატია მოხუცებული“ (გაბაშვილი, 1956: 80). იგი შოთა რუსთველის ფრესკის ზუსტ ადგილს არ უთითებს, არც წარწერას იმოწმებს. მან სხვაგანაც აღნიშნა: „მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთუხუცესი“ (გაბაშვილი, 1956: 82). მიუხედავად იმისა, რომ ტ. გაბაშვილის ეს ცნობები ძალზე მოკლე და ძუნნია, მაინც რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს გვამცნობს:

1. შოთა რუსთველის ფრესკა მოთავსებულია ჯვარის მონასტერში;
2. ფრესკაზე გამოსახული პირი მოხუცია;
3. იგი მას მიიჩნევს მეჭურჭლეთუხუცესად; ე. ი. აიგივებს პოეტ შოთა რუსთველს და მეჭურჭლეთუხუცეს შოთას, რის საფუძველი ჯვარის მონასტრის სვინაქსრის ნიგნში არსებული აღაპია, რომელშიც მოხსენიებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესი; ეს ფაქტი კი იმასაც მოწმობს, რომ XVIII საუკუნის წლებში არსებოდდა ტრადიცია შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობის შესახებ;
4. შოთა რუსთველს ჯვარის მონასტრის მთავარი ტაძრის სვეტები განუახლებია და მოუხატვინებია, ტექსტში დამოწმებული სიტყვა „სვეტნი“ მრავლობით რიცხვშია, რაც იმას ნიშნავს, რომ გუმბათის ქვედა ოთხივე ძირითად, საყრდენ სვეტზეა საუბარი; ე. ი. ტ. გაბაშვილი შოთა რუსთველს ჯვარის მონასტრის შემკეთებელ-მომხატვინებლად (რესტავრატორად) მიიჩნევს;
5. ყველაზე მთავარი ისაა, რომ, მისი აზრით, ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთველი არის, როგორც თავად ამბობს, „ლექსთა ბოროტთა მთქმელი“ და ქრისტიანობის გამრყვნელი, რაშიც, ცხადია, „ვეფხისტყაოსანს“ და მის მცდარად,



უფრო სწორად, თავის ინტერპრეტირებულ ტექსტს გულისხმობს: „¹⁹³⁵ იგი რუსთველს სასიკეთოს არაფერს (ვგულისხმობ შოთა რუსთველს ლის მიერ ჯვარის მონასტრის ფრესკათა განახლებას) მიაწერდა, თუ საამისო უტყუარი საბუთი არ ექნებოდა; მეტიც, მან ვახტანგ მეექვსე, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემელი და კომენტატორი, უდიერად მოიხსენია, როდესაც განაცხადა: „უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“; 6. ტ. გაბაშვილის ზემოთ დამოწმებული ცნობა შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფნის, ბერად აღკვეცისა და იქ დაკრძალვის შესახებ არაფერს გვეუბნება.

დაისმის კითხვა, საიდან მოიპოვა ეს ცნობები ტ. გაბაშვილმა? განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მის მონათხრობში შოთას მეჭურჭლეულუცესობაა. რაკი ტ. გაბაშვილმა აღნიშნა, რომ შოთა რუსთველი მეჭურჭლეულუცესია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებს, უფრო ზუსტად, აღაპთა წიგნს, რომელშიც ერთ-ერთი მოსახსენებელი შოთა მეჭურჭლეულუცესის სახელზეა შეტანილი, უთუოდ გაეცნობოდა. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტ. გაბაშვილისთვის ჯვარის მონასტრის ცნობები, თვით ჯვარის მონასტერიც, მანამდე უცნობი იყო. ამას მისი ჩანაწერების სხვა ეპიზოდებიც მონმობს, რადგან იგი გაკვირვებას და აღფრთვოვანებას გამოთქვამს მონასტრის ხილვის გამო მისი აღნერა-დახასიათებისას, გაკვირვებულია შოთა რუსთველის ღვანლითაც, მისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად. ყოველივე ეს ის პოზიტიური დებულებებია, რომლებიც ნათელი ხდება ტ. გაბაშვილის შრომის გაცნობისას, მიუხედავად იმისა, რომ სხვა წყაროებით მათი გადამოწმების საშუალებას მოკლებული ვართ. ტ. გაბაშვილის ცნობათა სისწორე შემდგომი ხანის მეცნიერულმა კვლევებმა ეჭვმიუტანლად დაადასტურა.

შოთა რუსთველის ფრესკის, წარწერისა და აღაპთა წიგნში მისი მოხსენიების შესახებ ტიმოთე გაბაშვილის ცნობების შემდეგ, ვფიქრობ, რომ საკითხის უკეთ გასააზრებლად მნიშვნელოვანია თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა შოთა რუსთველის ჯვარის მონასტერთან კავშირის შესახებ. ცნობილია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი იერუსალიმში არ ყოფილა, მაგრამ მაინც მეტად ღირებულია მისი მოსაზრება, რომ შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში დაემკვიდრა, უამრავი რამ შესწირა მას, დიდი სათნოებით აღესრულა ერისკაცობაშივე და იქვე დაკრძალეს. მისი სიტყვით, შოთა რუსთ-

ველი, მეჭურჭლეთუხუცესი, – ისიც აიგივებს პოეტ რუსთველსა და მეჭურჭლეთუხუცეს შოთას, – „წარვიდა წმიდად იერუსალემად, და შევიდა მონასტერსა შინა ქართველთასა, რომელიცა აღშენებულ არს სახელსა ზედა ცხოველსმყოფელისა ჯუარისასა, და განაახ-ლა მონასტერი იგი და იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯუარისასა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცისათა და დაეფლა მუნვე ჯუარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესისასა, სა-დაცა შინაგან ეკლესისა კედელსა ზედა გამოხატულ არს სახეი მისი და ჰსჩანს ვიდრე მოდღენიდელად დღედმდე“ (ბაგრატიონი, 1960: 18). თეიმურაზ ბაგრატიონის ამ მსჯელობაში საყურადღებო რამდენიმე ფაქტია: 1. შოთა რუსთველი წავიდა იერუსალიმში და ჯვარის მონასტერში იმყოფებოდა; 2. მან განაახლა მონასტერი; 3. იგი იქ დარჩენილა აღსრულებამდე, ე.ი. შოთა რუსთველი იერუსა-ლიმში აღესრულა; 4. შოთა რუსთველი საერო პირად აღსრულებუ-ლა; 5. იგი დაკრძალულია ჯვარის მონასტერში, დიდ ეკლესიაში; ეს პირველი წერილობითი ცნობაა შოთა რუსთველის იერუსალი-მის ჯვარის მონასტერში ერისკაცად ცხოვრება-მოღვაწეობის, გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ; 6. შოთა რუსთველის ფრესკა გამოსახულია ჯვარის მონასტრის კედელზე; 7. თეიმურაზ ბაგრატიონის სიცოცხლეში ეს ფრესკა ჯერ კიდევ იხილვებოდა.

ტ. გაბაშვილისა და თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ მონოდებულ ცნობათა შორის განსხვავებაა: ტ. გაბაშვილი არაფერს ამბობს შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფინის, იქ ცხოვრება-მოღვაწე-ობისა და გარდაცვალების შესახებ, არც ჯვარის მონასტერში მისი საფლავის შესაძლო არსებობის შესახებ საუბრობს, რაზეც თეიმუ-რაზ ბაგრატიონი ამახვილებს ყურადღებას. ჩვენთვის უცნობია, თუ რას ემყარება თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა შოთა რუსთვე-ლის იერუსალიმში ცხოვრების, იქ გარდაცვალებისა და დაკრძალ-ვის შესახებ.

ტ. გაბაშვილის შემდეგ შოთა რუსთველის ფრესკა აქ XIX სა-უკუნეშიც უნახავთ, ოღონდ წარწერა შებლალული ყოფილა. 1845 წელს ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა ჯვარის მონასტერი და პალესტი-ნის სიძველეები მოინახულა, სწორედ ამ დროს მას ფანქრით გად-მოუხატავს შოთა რუსთველის გამოსახულება. ასევე, 1883 წელს რუსთველის ფრესკა უნახავს პროფ. ალ. ცაგარელს, რომელიც იერუსალიმში სამეცნიერო მიზნით იმყოფებოდა, მან პალესტინის სიძველეები აღწერა და ჯვარის მონასტერში დაცული ქართულ



ხელნაწერთა კოლექციის კატალოგი შეადგინა. ალ. ცაგარელმა თავისი დროისათვის გავრცელებულ შეხედულებათა საფუძველზე ზე განაცხადა, რომ თამარ მეფემ სალადინს, მის მიერ 1187 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ, მის მიერ დაპყრობილ ჯვარის მონასტერში 200 ათასი დინარი შესთავაზა და ყველა იმ ქართული წმინდა რელიქვიის დაბრუნება მოსთხოვა, რომლებიც მუსლიმებმა ქართველებს იერუსალიმის აღების დროს წაართვეს. ალ. ცაგარელი ფიქრობდა, რომ შოთა რუსთველმა ჯვარის მონასტერი თამარ მეფის ნება-სურვილითა და მხარდაჭერით მოხატა (ცაგარელი, 159-163). მეცნიერთა ნაწილის ვარაუდით, რომლებიც 1192 წელს იერუსალიმში ქართველი ელჩის ჩასვლის შესახებ არაბულ წყაროებში დაცულ ცნობებს იმოწმებენ, თამარმა იერუსალიმში ელჩად შოთა რუსთველი ნარგზავნა (მენთეშაშვილი, 1958: 19). ალ. ცაგარელის შემდეგ ეს მოსაზრება ს. კაკაბაძემაც გაიზიარა. თუმცა, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, არც ერთ წყაროში სახელდებით ელჩის ვინაობა დასახელებული არაა. ამიტომ ეს მხოლოდ მეცნიერთა ვარაუდად უნდა მივიჩნიოთ და არა დოკუმენტურ ცნობაზე დამყარებულ დასკვნად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის წყალობით წმ. მეფე თამარმა სალადინთან და მის შვილებთან კარგი ურთიერთობის დამყარება მოახერხა, ამიტომ მისი მეფობის პერიოდში ქართველთა მოღვაწეობა წმინდა მინაზე არც შეწყვეტილა და არც შეზღუდულა.

პლატონ იოსელიანს მიაჩნდა, რომ შოთა რუსთველი იერუსალიმში გარდაიცვალა 1215 წელს; ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, რუსთველი საქართველოდან „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის გამო განდევნეს და იგი იერუსალიმში გარდაიცვალა (ჭიჭინაძე, 1887: 34). მოვიანებით ამ საკითხთან ერთად ფრესკის შესახებაც გამოთქვა მოსაზრება (ჭიჭინაძე, 1918: 10-11). 1887 წელს შოთა რუსთველის იერუსალიმური ფრესკისადმი დამოკიდებულება ოლივერ უორდ-როპმაც გამოხატა; ცნობა შოთა რუსთველის შესახებ მოგვაწოდა ალ. ცაგარელმა (ცაგარელი, 1888: 94-95). ა. ქუთათელაძემ გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ჯვარის მონასტრის ფრესკების აღწერილობა; იგი წერდა, რომ მონაზონმა ნისიმერ მას გადასცა იერუსალიმიდან ჩამოტანილი ხელნაწერი, რომელშიც ფრესკების აღწერილობა იყო დაცული, მათ შორის იყო შოთა რუსთველის ჯვარის მონასტრისეული ფრესკა (ქუთათელაძე, 1889: 3-4). 1896 წელს მ. ჯანაშვილმა მრავალრიცხოვანი ლეგენდის საფუძველზე შოთა



რუსთველის შესახებ საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია გამოაქვეყნა (ჯანაშვილი, 1896). 1899 წელს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოუხილავს დეკანოზ პეტრე კონჭოშვილს და ფრესკაც უნახავს. თვითმხილველთა გადმოცემით, უკვე XX საუკუნის დამდეგიდან აღარც ნარჩერა ჩანდა და აღარც ფრესკა. 1902 წელს იერუსალიმში სამეცნიერო მივლინებით მყოფ ნიკო მარს ფრესკა აღარ დახვედრია, იგი ზეთის სალებავით ყოფილა დაფარული (მარი, 1903: 120). მან იპოვა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპთა ხელნაწერი ნიგნი და გამოაქვეყნა იგი. მასში მოხსენიებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესი: „ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთავსა მეჭურჭლეთუხუცესისა. ვინ შეცვალოს, შე-მცა-ცვალებელ არს სჯულისაგან ქრისტეანეთავსა“ (მარი, 1914: 78, VIII). მეცნიერთათვის მოულოდნელი იყო, რომ ნიკო მარს ამ აღაპის კომენტარი არ გაუკეთებია. კორნელი კეკელიძის აზრით, ეს სააღაპე მოსახსენებელი XIV საუკუნეზე ადრე არ უნდა ყოფილიყო შეტანილი ნიგნში (კეკელიძე, 1958: 111-114), რის შემდეგაც საკითხის ხელახლა კვლევა გახდა საჭირო.

ნმ. მღვდელმონამე გრიგოლ ფერაძე ფიქრობდა, რომ შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში ცხოვრობდა როგორც ბერი, იქ გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს.

1956 წელს ელენე მეტრეველმა გამოსცა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლანი“, რომელსაც დაურთო გამოკვლევა. მან შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპის ტიშენდორფისეულ ხელნაწერზე დაკვირვების შედეგად დაასკვნა, რომ აღაპის დათარიღება XIII საუკუნის პირველი ნახევრით შესაძლებელი ხდება მასთან ერთად მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ვინაობის დადგენით. მკვლევრის ეს მოსაზრება სარწმუნოდ მიიჩნია აღ. ბარამიძემ (ბარამიძე, 1961: 409). 1962 წელს ელენე მეტრეველმა გამოაქვეყნა ჯვარის მონასტრის აღაპები გამოკვლევითურთ, რომელშიც თავისი ადრე გამოთქმული მოსაზრება ახლად მიკვლეული დოკუმენტების საფუძველზე კიდევ უფრო მეტად გაამყარა.

1960 წლამდე პოეტის ეს უნიკალური გამოსახულება დაკარგულად ითვლებოდა, ოღონდ ჯვარის მონასტრის ბერძენ მოწესეთა შორის გავრცელებული ყოფილა ლეგენდა შოთა რუსთველის საფლავის ჯვარის მონასტერში არსებობის შესახებ. XX საუკუნის 40-იან წლებში უკრაინელ ტურისტთა ჯგუფს ცოცხალი ყვავილებით მოურთავს შოთა რუსთველის სავარაუდო საფლავის ადგილი. ამ

ჯგუფის წევრი მწერალი გრ. პლოტკინი მოგვითხრობს, რომ ჯვარის მონასტერში მოსმენილი ლეგენდის თანახმად, რუსთველს კარისკაცობა დაუტოვებია, ბერად შემდგარა, იერუსალიმში „ფეხშიშველი“ მისულა, ქართველთა ჯვარის მონასტერში დამკვიდრებულა, იქაური ბერების დახმარებით მონასტრის შიდა კედლები მოუხატავს, იქვე, იერუსალიმში გარდაცვლილა და მონასტერში, მარჯვენა სვეტის ძირას დაუსაფლავებიათ. სწორედ ამ ლეგენდის გაცოცხლება გახდა შემდეგში სამეცნიერო ექსპედიციის იერუსალიმში წასვლის საფუძველი. ექსპედიციამ აკადემიკოსების ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით მიაკვლია და ზეთის საღებავის სქელი ფენით დაფარულ კედელზე საღებავის მოცილების შემდეგ კვლავ გამოაჩინა რუსთველის ფრესკა და წარწერა. მათ აღადგინეს და საქართველოში ჩამოიტანეს ამ ფრესკის ფერადი და შავ-თეთრი ფოტოპირები. აღდგა ფრესკის წარწერაც, რომელიც მანამდე სწორად გაშიფრული არ იყო; ისიც დადგინდა, რომ ჯვარის მონასტერში მუსლიმთა მრავალგზის თავდასხმის გამო კედლის მხატვრობა რამდენჯერმე დაზიანდა, რის შემდეგაც იგი რამდენიმეჯერ ისე განუახლებიათ, რომ ძველი მოხატულობა და წარწერები შენარჩუნებულიყო. ამიტომ შოთა რუსთველის ფრესკის წარწერა (ქარაგმის გახსნით) – „ამისა დამხატვავსა შოთა[ს] შეუნდგნეს ღმერთმან ამინ“ – რეალობას უნდა ასახავდეს. პორტრეტის ზემოთ, წარწერის ბოლო სტრიქონად მიწერილია „რუსთველი“. სამეცნიერო მივლინების მონანილეთა დასკვნით, შოთა რუსთველი იყო თუ არა იერუსალიმში, ან არეს თუ არა მისი საფლავი ჯვარის მონასტერში, საბუთების უქონლობის გამო გადაჭრილად ვერ ჩაითვლება (აბაშიძე, შანიძე, წერეთელი, 1961: 80).

სამეცნიერო ექსპედიციის მონაპოვართა საქართველოში ჩამოტანის შემდეგ სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა იერუსალიმური ცნობები შოთა რუსთველის შესახებ. შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, რუსთველი დასაფლავებულია ჯვარის მონასტრის შიგნით, იმ სვეტის ძირას, რომელზედაც პორტრეტია გამოხატული. ეს შეხედულება, ჩანს, ემყარებოდა ძველთაგან მომდინარე იმ საეკლესიო ტრადიციას, რომლის მიხედვით გამოჩენილი მოღვაწის პორტრეტი მისი საფლავის ზემოთ იხატებოდა. იგივე მოსაზრება გამოოქავა შ. ამირანაშვილმა, რომელიც ფიქრობდა, რომ თამარ მეფემ იერუსალიმში სალადინის კარზე ელჩად შოთა რუსთველი წარგზავნა (ამირანაშვილი, 1961: 70), მაგრამ წყა-

როების მიხედვით ეს მოსაზრება ჯერჯერობით ვერ მტკიცდება¹. რუსთველის მიერ მონაცემებით, მოსაზრების დაუმონმებლად თამარ მეფის მიერ შოთა რუსთველის ელჩად წარგზავნისა და იქ სამონასტრო საქმეთა მის მიერ მონესრიგების, მათ შორის, ტაძრის განახლების შესახებ წარმართა მსჯელობა; იცხაკ დავიდმა ლეგენდებზე დაყრდნობით, ჯვარის მონასტრში არქეოლოგიური კვლევა დაიწყო; მისი აზრით, შოთა რუსთველის ფრესკა, სხვა ქართველ საერო და სასულიერო პირებთან ერთად, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ისინი ჯვარის მონასტრის ფრესკების მეორე ფენა უნდა იყოს, ე. ი. დამატებულია XII-XIII საუკუნეებში (დავიდი, 1976: 21, 279). ელდარ მამის-თვალიშვილმა, ასევე, ლეგენდების საფუძველზე ივარაუდა შოთა რუსთველის იერუსალიმში მოღვაწეობა, მის მიერ პალესტინისა და ეგვიპტის ქართულ მონასტერთა აღდგენა, რის გამოც არის მისი სახელი უკვდავყოფილი ჯვარის მონასტრის ფრესკით (მამისთვალიშვილი, 2002).

პავლე ინგოროვამ განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა. მისი აზრით, შოთა რუსთველის იერუსალიმს ყოფნა, იქ გარდაცვალება და დაკრძალვა არასწორია (ინგოროვა, 1958: 58, 114, 117). ივანე სურგულაძემ შოთა რუსთველის სამოსლის ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ ფრესკა უნდა შესრულებულიყო XIV საუკუნემდე, ვიდრე „ხელმწიფის კარის გარიგება“ დაინერებოდა (სურგულაძე, 1961: 3). მთავარებისკობოს პაპადოპულოსის ცნობით, ჯვარის მონასტერი აღდგინა შოთა რუსთველმა და მისი ფრესკა ამიტომაცაა გამოსახული წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. იოანე დამასკელის ფეხებთან. მისივე აზრით, ფრესკა XVII საუკუნეშია აღდგენილი (პაპადოპულოსი, 1905: 650; პაპადოპულოსის შრომა მითითებულია ნინო თომაძის სადისერტაციო ნაშრომიდან: თომაძე, 2004). ცნობები შოთა რუსთველის ჯვარის მონასტრში მოღვაწეობის, ბერად აღკვეცის, გარდაცვალებისა და იქ დაკრძალვის შესახებ არ შემონახულა, ეს მხოლოდ ლეგენდებში აისახა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ნაწილმა თქმულებებში შემონახული ლეგენდების საფუძველზე შოთა რუსთველის საფლავის არსებობა ჯვარის მონასტერში შესაძლებლად მიიჩნია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლეგენდის თანახმად, შოთა რუსთველს ჯვარის მონასტერში უნდა ემოღვაწა და იქვე უნდა გარდაცვლილიყო, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდ არის მიჩნეული. ლეგენდების შექმნის საფუძველი მონასტერში დაცულმა



მასალებმა განაპირობა. ამ ლეგენდებს საქართველოშიც იცნობ-დნენ. გადმოცემა-ლეგენდებიდან ყველაზე საეჭვო შოთა რუსთ-ველის საფლავზე მინიშნებაა, რომლის სასარგებლოდ არავითარი ხელშესახები საბუთი არ არსებობს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ შოთა რუსთველი ბერად აღკვეცილიყო, ჯვარის მონასტერში დამკვიდრებულიყო და იქვე გარდაცვლილიყო. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. გადმოცემები რუსთველის ბერად შედგომის, ჯვარის მონასტერში დამკვიდრები-სა და იქ მისი დასაფლავების შესახებ ლეგენდურია, დოკუმენტუ-რად არ დასტურდება.

არის თუ არა შოთა რუსთველის საფლავი მონასტერში, ამისთვის საჭიროა რამდენიმე პრობლემის გადაწყვეტა: 1. უნდა დადგინ-დეს, იყო თუ არა საერთოდ შოთა რუსთველი იერუსალიმში, რის შესახებაც ხელშესახები საბუთები არ გვაქვს; 2. იყო თუ არა ბე-რად აღკვეცილი; 3. ცხოვრობდა//მოღვაწეობდა თუ არა ჯვარის მონასტერში; 4. თუ ჯვარის მონასტერში იმყოფებოდა, რა სტატუ-სი ჰქონდა, რომელ წოდებას მიეკუთვნებოდა, საერო პირი იყო თუ სასულიერო, რადგან XIX-XX საუკუნეების მეცნიერები//ავტორები ხან ერთ ვერსიას უჭერენ მხარს, ხან – მეორეს; 5. თუ იგი ბერად აღკვეცილი იყო, მაშინ ფრესკაზე რატომ არის გამოსახული საერო პირის სამოსლით; 6. თუ ბერად აღკვეცილი არ იყო, შეიძლებოდა თუ არა, როგორც საერო პირს ეცხოვრა მონასტერში, იძლეოდა თუ არა მონასტრის განმაახლებელისა და მისი ერთ-ერთი მზრუნველ-მეცნიატის სტატუსი საამისო საფუძველს. თითოეული დასმული პრობლემა პასუხს მოითხოვს, მაგრამ დოკუმენტების უქონლობის გამო თითოეულ მათგანზე ჯერჯერობით საბოლოო სიტყვის თქმა შეუძლებელია.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ფრესკა ავტოპორტრეტია, რაც საეჭვო ჩანს, რადგან წარწერა მესამე პირად გულისხმობს შოთას, ხოლო თუ მეცნიატი თავისი თანდასწრებით აკეთებინებს წარწერას, მასში ეს აისახება. ფიქრობენ, რომ ფრესკა XII საუკუ-ნეში იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველის-მეჭურ-ჭლეთუხუცესის მიერ რესტავრირების ხანას განეკუთვნება, რაც სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 1643 წელს, ნიკიფორე ჩოლოպაშვილის მიერ ჩატარებული რესტავრაციისას, ტაძრის კედლებზე ის პიროვნებები გამოსახეს, რომლებიც მონასტრის ისტორიასთან იყვნენ დაკავშირებულნი და



შოთა რუსთველის ფრესკაც XVII საუკუნეში უნდა შექმნილიყო. მაგრამ ელენე მეტრეველის კვლევამ აჩვენა, რომ XVII საუკუნეში სვეტებზე გამოსახულ ფრესკათა რესტავრაცია არ მომხდარა. მისი აზრით, XIV საუკუნის დამდეგს „ფრესკებს გაუცხოველეს დაზიანებული წარწერები და ამ გაცხოველების დროს უნიგნურმა მწერლმა ბევრი რამ გააფუჭა“ (მეტრეველი, 1956: 67).

შოთა რუსთველი-მეჭურჭლეთუხუცესი. ზემოთ ვახსენე, რომ ტ. გაბაშვილი აიგივებს შოთა რუსთველს, პოეტს, და მეჭურჭლეთუხუცეს შოთას, რის საფუძველი ჯვარის მონასტრის სვინაქსრის წიგნში დაცული ცნობა უნდა გამხდარიყო, აღაპთა წიგნში მოხსენიებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სახელი: „ამ[ა]სვე ორშაბათსა. აღაპი შოთ[ა]ხა. მეჭურჭლეთ უხუცესის[ა]ვ. ვინ შეცვი[ა] ლოს, შე-მცა-ცვ[ა]ლებულ [ა]რს სჯ(უ)ლისაგ[ა]ნ ქ[რისტ]ეანეთ[ა] სა“ (მეტრეველი, 1962: 50-58; 179). როგორც ჩანს, დოკუმენტების საფუძველზე ჯვარის მონასტერში შეხედულება შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობაზე ადრევე ყოფილა დამკვიდრებული. ამ პრობლემის შესახებ ტ. გაბაშვილმა თავის ნაშრომში სპეციალურად აღნიშნა, რის გამოც უფრო დამარწმუნებელი გახდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის ვარაუდი. ზოგიერთი ავტორი ტეტული მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ჩანანერი შოთა მეჭურჭლეთუხუცესზე არ შეიძლება XIV საუკუნეზე ადრინდელი ყოფილიყო. ე. მეტრეველმა დოკუმენტურად გაარკვია, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებელი აღაპი დაწერილია არა უგვიანეს XIII საუკუნის პირველი ნახევრისა (მეტრეველი, 1962: 50-58; 179); ხსენებული საკითხის თაობაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აკავი შანიძემ (შანიძე, 1961: 94), ს. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი, 1961: 114-119), პ. ინგოროვებამ (ინგოროვა, 1963: 540). ფრესკის წარწერა გვაუწყებს, რომ შოთა რუსთველს [მეჭურჭლეთუხუცესს], XIII საუკუნის I ნახევარში შეუკეთებინებია და მოუხატვინებია ჯვარის მონასტერი. მისი ამ დიდი დამსახურების გათვალისწინებით, მოსახსენებელი მის სახელზე სააღაპე წიგნში შეუტანიათ, ხოლო ტაძარში მისი მცირე ზომის ფრესკა წარწერითურთ წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. იოანე დამასკელის ფრესკებს შორის, მათ ფეხებთან მოუთავსებიათ. ფრესკა განახლებულია XVII საუკუნეში. ფრესკის სიძველეს მონასტერშივე არსებული სააღაპე წიგნის მონაცემები მონმობს. ჯვარის მონასტერშივე დამკვიდრებული ტრადიციიდან მომდინა-



რე ტ. გაბაშვილის ვარაუდი სრული ზედმინევნილობით ჰქასტურა
დება. ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთველი და აღაპებში მოხ-
სენიებული „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ ერთი და იგივე პირია.
იდენტიფიკაციას ხელს უწყობს დროის თანხვედრა და ამასთან
ფრესკის წარწერის ცნობა, თუ რა ღვანლის გამო შეუტანიათ მისი
მოსახსენიებელი მონასტერში არსებულ სააღაპე წიგნში. ამასთა-
ნავე, როგორც ე. მეტრეველმა მიუთითა, სააღაპე წიგნში შეტანის
წესის თავისებურებით დასტურდება (მოსახსენიებელი შეტანილია
დიდ საუფლო დღესასწაულზე. მეტრეველი, 1962: 53), რომ შოთას
მოსახსენიებელი, როგორც ჩანს, მის სიცოცხლეშივე შეუტანიათ.
ამავე ხანებში არის იგი გამოხატული მონასტრის სამხრეთ-დასავ-
ლეთის სვეტზე. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შოთა რუსთველისა
და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივების ვარაუდს მყარი საფუძ-
ველი მოეძებნა.

დაისვა კითხვა, თუ რომელ საგვარეულოებს ეპყრათ მეჭურჭ-
ლეთუხუცესის თანამდებობა, რათა გარკვეულიყო შოთა რუსთვე-
ლის მეჭურჭლეთუხუცესობის პერიოდი. ყოველივე ზემოთქმულის
გათვალისწინებით, საკითხის გასარკვევად ორიენტირი შოთას მე-
ჭურჭლეთუხუცესობა გახდა და კვლევამ მეცნიერები თორელთა
საგვარეულომდე მიიყვანა (შოშიაშვილი, 1966; ცაიშვილი, 1966);
კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თამარ მეფის ეპოქაში მეჭურ-
ჭლეთუხუცესის თანამდებობა თორელებს ეჭირათ, თამარის გარ-
დაცვალების შემდეგ – თორელებსა და ჯაყელებს. საისტორიო
დოკუმენტები მიუთითებენ, რომ მესხეთის რუსთავს თორელები
ფლობდნენ, რაც იმას გვავარაუდებინებს, რომ რუსთველობა შეიძ-
ლებოდა ამ საგვარეულოს წარმომადგენელს მიეღო. იმასაც ვარა-
უდობენ, რომ სახელი „შოთა“ ამ საგვარეულოში ერთ-ერთი გავ-
რცელებული სახელი ყოფილა. თუმცა, თეიმურაზ ბაგრატიონის
ცნობაც, რომ რუსთველი თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავის
მფლობელობას უნდა ნიშნავდეს, შესაძლოა რაღაც რეალურს ასა-
ხავდეს, რადგან ფეოდალთა საგვარეულოები არა მხოლოდ თა-
ვიანთ მშობლიურ მხარეში ფლობდნენ მამულებსა და ციხე-ქალაქს,
არამედ სხვა კუთხეში მდებარე მამულებსა და ციხე-ქალაქსაც,
რომელსაც მეფე უბოძებდა მას სამფლობელოდ და საგამგებლოდ.
მაგრამ აქ სხვა საკითხი დაისმის, ვის ეკუთვნოდა XIII საუკუნის
დასაწყისში თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავი, რაზეც სამეც-
ნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ რუსთავს



თორელები არ ფლობდნენ, იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა საფურცელო
ვარეულოს სამფლობელო იყო; წყაროების მიხედვით, თამარის მეფის მიერ მობისას რუსთავის მფლობელი ზაქარია მხარგრძელი ყოფილა.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას ვაწყდებით იმის თა-
ობაზეც, თუ როდის უნდა სჭეროდა შოთას მეჭურჭლეთუხუცესის
თანამდებობა. ნაწილი ფიქრობს, რომ მას ეს სახელო თამარის მე-
ფობის პერიოდში ეჭირა, რადგან ლაშა-გიორგიმ დედის გარდაცვა-
ლების შემდეგ მისი ერთგული ვაზირები თითქმის ჩამოიცილა და
ვარაუდობენ, რომ შოთასაც ჩამოართმევდა მეჭურჭლეთუხუცე-
სობას. მეცნიერთა მეორე ნაწილი სხვა თარიღს ვარაუდობს, კერ-
ძოდ, 1189-1221 წლებს, რაც ლაშა-გიორგის მეფობის წლებსაც მო-
იცავს, თუმცა ეს სათანადოდ არგუმენტირებული არაა. ვფიქრობ,
მეორე თვალსაზრისი საყურადღებოა იმის გამო, თუ გიორგი IV-ის
პირად ცხოვრებას გავადევნებთ თვალს. მისი პირადი ცხოვრება
ტრაგიკულად ნარიმართა, მას ველისციხელი ქალი შეუყვარდა და
უფლისნული დავითიც სწორედ მისგან შეეძინა; კანონიერად არ
უქორნინია, რადგან სამეფო კარმა მეფეს მდაბიო ქალზე ქორნინე-
ბის უფლება არ მისცა, ხოლო ლაშა-გიორგიმ უსიყვარულოდ ქორ-
ნინება, რასაც მისი წინაპრები მისდევდნენ და, შეიძლება ითქვას,
უსიტყვილ აღასრულებდნენ, არ ისურვა. ლაშა-გიორგის ცხოვრე-
ბისულ ამ რთულ ეპიზოდში შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“
გავლენა შეიძლება დავინახოთ, რაც სიყვარულისათვის ბრძოლით
გამოიხატება. ამიტომ დასაშვებია, რომ შოთა რუსთველ-მეჭურჭ-
ლეთუხუცესის, როგორც პროგრესულად მოაზროვნესა და სამეფო
ოჯახის მოწყობის ახალი იდეის ავტორს, სიახლის დამამკვიდრე-
ბელს, მეფემ სახელო, თანამდებობა შეუნარჩუნა 1221 წლამდე, რა
დროიდანაც ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელი იმყოფებოდა ამ თა-
ნამდებობაზე (შესაძლოა, შოთა რუსთველ-მეჭურჭლეთუხუცესი
1221 წელს გარდაცვლილიყო და ახალი მეჭურჭლეთუხუცესიც ამი-
ტომ დაინიშნა). აქ კიდევ ერთი საკითხი იჩენს თავს, როდიდან შეიძ-
ლებოდა შოთა რუსთველს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა
მიეღო? ვარაუდობენ, რომ 1189 წლიდან ეს თანამდებობა თავისუ-
ფალია და სწორედ ამ წლიდან შეიძლებოდა მას ეს სახელო სჭერო-
და. მაგრამ აქ კიდევ ერთი პრობლემაა: თუ ჭიაბერის დაწერილზე
ხელისმომწერი შოთა ჭიაბერის ძეა და იგი შოთა რუსთველია, თუ
ის დოკუმენტის შედგენის დროს უკვე იყო მეჭურჭლეთუხუცესი,
მაშინ ამ დაწერილში მისი თანამდებობა აღნიშნული იქნებოდა, რა-



საც საბუთში ვერ ვხვდებით, ხოლო ჭიაბერის დაწერილი 1189//1190 ნლებითაა დათარიღებული. ეს ჩემი ვარაუდია და იგი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალებმა შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის რამდენიმე ძვირფასი ცნობა გამოვლინა, რამაც მნიშვნელოვან შედეგებამდე მიგვიყვანა: იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან შოთა რუსთველის შესახებ ჩვენამდე მოაღნია ქართველი მოხუცი დიდებულის ფრესკამ, რომელსაც ახლავს ნარწერა, და სააღაპე წიგნის ჩანაწერმა, რაც პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის აღსადგენად ცოტა არაა. ნარწერა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში აღნიშნულია, რომ შოთა არის მონასტრის მომხატველი, ე. ი. მომხატვინებელი, და მისთვის ღვთისაგან შენდობის თხოვნაა ასახული. ნარწერის მეორე ნაწილში მხოლოდ ერთი სიტყვაა: „რუსთველი“, რაც პორტრეტზე გამოსახული პირის ვინაობაზე მიუთითებს; საეჭვო არაა, რომ ამ ნარწერის „შოთა“ „რუსთველის“ სახელია. ნარწერის ორივე ნაწილი შეეხება სვეტზე გამოსახულ პირს და მის ღვანლს ასახავს: იგი ჯვარის მონასტრის მომხატვინებელი შოთა რუსთველია; ნარწერის სიტყვა „დამხატვი“ ნიშნავს მომხატვინებელს, რომელმაც მონასტრის ფრესკების მოხატვისათვის ხარჯი გასწია. აღაპთა წიგნში ოშაბათ დღეს განწესებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებელი, რაც იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ნინაშე მის ღვანლზე მიუთითებს. ამ საბუთების საფუძველზე ჯვარის მონასტერში ადრევე დამკვიდრდა შეხედულება შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობაზე, რაზეც XVIII ს. 50-იანი წლების თბილელმა ეპისკოპოსმა ტ. გაბაშვილმა თავის ნაშრომში სპეციალურად აღნიშნა, რის გამოც შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის ვარაუდი, რაც ფრესკის, ნარწერისა და აღაპის ურთიერთშეჯერების მიხედვით ეჭვმიუტანლად დგინდება, უფრო დამარწმუნებელი გახადა. ყოველივე ამან შოთა რუსთველი ჩვენ ნინაშე ნარმოაჩინა, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც წვლილი შეუტანია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის, ერთ-ერთი ქართული საგანმანათლებლო ცენტრის მოვლა-პატრონობაში, კონკრეტულად, მის განახლება-რესტავრირებაში. ხშირად ქართველი საერო პირები და სასულიერო მოღვაწეები საქართველოდანვე უგზავნიდნენ შენირულებას საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებს. იგივე



შეიძლება ვიფიქროთ შოთა რუსთველთან დაკავშირებით; კითხვის ნიშნები რჩება თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობებთან დაკავშირებული ბით, რადგან ისინი არც ერთ სხვა დოკუმენტში არ არის დამოწმებული. იგივე ითქმის მის შემდგომ გამოთქმულ მოსაზრებებზეც შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფნასთან დაკავშირებით, ე. ი. საამისო წყაროები არაა გამოვლენილი. ლეგენდები, რომელთა მიხედვით შოთა რუსთველმა იერუსალიმში თავადვე იმოგზაურა და მონასტრის აღსაღენი სამუშაოებიც მისივე ხელმძღვანელობით ჩატარდა, საბუთებით არაა განმტკიცებული და ლეგენდად დარჩება მანამ, სანამ არ გამოჩნდება რაიმე დამადასტურებელი საბუთი შოთა რუსთველის იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ყოფნის, იქ მოღვაწეობის, გარდაცვალებისა და მონასტერში დაკრძალვის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, შანიძე, წერეთელი, 1960 – ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში. – //“საბჭოთა ხელოვნება”, 1960. №12.

ამირანაშვილი, 1961 – შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში. – //“საბჭოთა ხელოვნება”, 1961. №4.

არაბული, 1992 – გ. არაბული. შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში. – თბ., 1992.

ბაგრატიონი, 1960 – თ. ბაგრატიონი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით. – თბ., 1960.

ტ. გაბაშვილი, მიმოსლვანი, ე. მეტრეველის გამოც., 1956.

დავიდი, 1976 – ი. დავიდი თხზულებანი, ს. – თელ-ავივი – იერუსალიმი, 1976.

ვირსალაძე, 1973 – Т. Вирсаладзе, Роспись Иерусалимского К.М. и портрет Шота Руставели. – Тб., 1973.

თომაშვილი, 2004 – ნ. თომაშვილი იერუსალიმის ჯვარის მონასტერი ისტორიოგრაფიასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004.



ინგოროვა, 1958 – პ. ინგოროვა, შოთა რუსთველი, I. ნაწილი – თბ., 1958.

ინგოროვა, 1963 – პ. ინგოროვა, თხზულებათა კრებული, I. – თბ., 1963.

კეცელიძე, 1958 – კ. კეცელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II. – თბ., 1958.

მამისთვალიშვილი, 2002 – ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი). – გორი, 2002.

მარი, 1903 – ჩ. Mapp. Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме. „Сообщение Православного Палестинского общества“, т. 14. №1. 1903.

მარი, 1914 – აღაპენი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა 6. მარმან. – ს.-პეტერბურგი, 1914.

მენთეშაშვილი, 1958 – ა. მენთეშაშვილი, საქართველოს და ეგვიპტის ისტორიული ურთიერთობიდან. – „დროშა“, 1958, №9.

მეტრეველი, 1962 – ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. – თბ., 1962.

მუსხელიშვილი, 1965 – დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – „ცისკარი“, 1965, №2.

უანენი, 1921 – რ. უანენი, ქართველები იერუსალიმში, ავტორის წინასიტყვაობით, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ. – სტამბოლი, სამბეჭდავი კათოლიკე სავანისა, 1921.

სურგულაძე, 1961 – ივ. სურგულაძე, შოთა რუსთველის პორტრეტის შესახებ. – გაზ. „თბილისი“, 1961, 20 აპრილი, № 94.

ქუთათელაძე, 1889 – ა. ქუთათელაძე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი (ჯვარის მონასტრი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე). – გაზ. „ივერია“, 1889, 1 აპრილი, № 70.

ყაუხჩიშვილი, 1961 – ს. ყაუხჩიშვილი, შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტრი. – „მნათობი“, №2, 1961.

შანიძე, აბაშიძე, ნერეთელი, 1961 – ა. შანიძე, ი. აბაშიძე, გ. ცერეთელი. Поездка в Иерусалим, к вопросу о портрете Ш. Руставели. „Вестник академии наук СССР“. – М., №8. 1961.

შოშიაშვილი, 1966 – ნ. შოშიაშვილი, თორელთა საგვარეულო სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ.: „შოთა რუსთველი“, ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოც. – თბ., 1966. v

ცაგარელი, 1888 – ა. ცაგარელი, Памятники груз. старины в Святой Земле и на Синае. //ППС. 1888. Т.4. Вып.1.

ცაიშვილი, 1966//1974 – ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი. – თბ., 1974.



ჭიჭინაძე, 1887 – ბ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე სა-
უკუნეში. – თბ., 1887.

ჭიჭინაძე, 1918 – ზ. ჭიჭინაძე, შოთა რუსთაველის სურათის ამბავი.
– ქურნ. „რუსთაველი“, №2, 1918.

ჯანაშვილი, 1896 – ჯანაშვილი, შოთა რუსთველი. – ტფ., 1896.

„ვეფხისტყაოსანი“ გამოცემები ძართვებ ავტორთა თარგმანებით

„ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს სახელმწიფო ბრივი ძლიერებისა და კულტურული აღმავლობის ლიტერატურული დაგვირგვინება, ქართული გენიის სრულყოფილი გამონათებაა სწორუპოვარი მეფე-ქალის – თამარის ეპოქაში. შემდეგდროინდელმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ძნელბედობამ ბურუსში გაჰვია და საკვლევი გახადა მისი ავტორის – XII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის უმთავრესი ბიოგრაფიული საკითხებიც კი. ასეთ ვითარებაში გასაკვირი არაა, რომ არ ვიცით სად, როდის, ვისგან ან რომელ ენაზე ითარგმნა პირველად მისი უკვდავი ქმნილება. მხოლოდ ის გვეთქმის, რომ ჩვენი ქვეყნის ერთგვარი სავიზიტო ბარათად ქცეული ლიტერატურული შედევრი, ადრეული რენესანსის უბადლო ძეგლი და ზოგადსაცაცობრიო მნიშვნელობის ქართული პოემა მალევე მოქცეული განათლებული სამყაროს ყურადღების ცენტრში. XIII საუკუნის დასაწყისშიც რომ იცნობდნენ შოთა რუსთაველის ქმნილებას საქართველოს საზღვრებს გარეთ, უტყუარად დაასაბუთა აკადემიკოსმა ელგუჯა ხინთიბიძემ თავის მონოგრაფიაში: „ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში“. მკვლევარმა ცხადი გახადა, რომ შექსპირის თანამედროვე დრამატურგების – ფრანსის ბომბონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესების („მეფე და არამეფე“ და „ფილასტერი“) სიუჟეტი „ვეფხისტყაოსანის“ გმირთა – ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობის ამბის გადამუშავებაა. მოგვიანებით, ხინთიბიძემვე „ვეფხისტყაოსანი“ ცნო შექსპირის „ციმბელინის“ ლიტერატურულ წყაროდაც. ეს იყო აღმოჩენა როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის, ისე ინგლისური სალიტერატურო კრიტიკისათვისაც.

„ვეფხისტყაოსანი“ თარგმნის პირველი ცნობილი ფაქტი მიეკუთვნება XIX საუკუნის დასაწყისს. 1802 წელს რუსულენოვანი მკითხველი გაეცნო მწერალსა და მეცნიერის – ევგენი ბოლხვიტინოვის ნიგნს: „Историческое изображение Грузии в политическом,

церковном и учебном ея состоянии". Сწორედ ამ ნაშრომში პირველი ველად, მხოლოდ ნაწყვეტების სახით გამოქვეყნდა რუსთაველის პოემის თარგმანი. შოთა რუსთაველის სახელის წარმოჩენა და „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიოსათვის გაცნობა ერის ღირსების საკითხად მიიჩნია განათლებულმა ქართველობამ. მათი მონდომებით მოხერხდა უცხოელების დაინტერესება „ვეფხისტყაოსნითა“ – ამ ეროვნული განძითა და სიბრძნის საგანძურით. ამ მხრივ, გასახსენებელია თუნდაც თეიმურაზ ბატონიშვილის ურთიერთობა ფრანგ აღმოსავლეთმცოდნესთან, მარი ბროსესთან, რომელმაც პირველად გააცნო ფრანგულენოვან საზოგადოებას პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული რუსთაველის პოემა. თეიმურაზ ბატონიშვილის მეშვეობით შეიცნო ბროსემ „ვეფხისტყაოსნის“ ჭეშმარიტი არსი. იგი გახდა რუსთაველის პოემის მკვლევარი და გამომცემელი და მუდამ დიდად აფასებდა ღრმადგანსწავლული ქართველი ბატონიშვილის საგულისხმო შენიშვნებსა და რჩევებს, მადლიერებით ილებდა მის განუხრელ თანადგომას. „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში გამორჩეულია ილია ჭავჭავაძის დამსახურებაც. მისით შეიმეცნეს და შეიყვარეს რუსთაველის პოემა და საქართველო მარჯორი უორდროპმა და არტურ ლაისტმა. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში ორ უმნიშვნელოვანეს ევროპულ ენაზე, წარმმართველი იყო ჭავჭავაძის როლი. მასთან დამეგობრებულმა და მისით შთაგონებულმა უცხოელებმა დიდი პასუხისმგებლობით თარგმნეს ქართული პოემა. მარჯორი უორდროპისეული თარგმანი, რომელიც მისმა ძმამ, ოლივერმა გამოაქვეყნა ლონდონში 1912 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა იყო ინგლისურ ენაზე. ასევე პირველი გერმანული გამოცემა იყო „ვეფხისტყაოსნისა“ არტურ ლაისტისეული თარგმანი, დაბეჭდილი დრეზდენში [1890] წელს. „ვეფხისტყაოსნით“ ახალი ეპოქის პოეტთა დაინტერესების ტალღა მოჰყვა რუსი სიმბოლისტის, კონსტანტინე ბალმონტის რუსული თარგმანის გამოცემას მოსკოვში 1917 წელს. და მაინც, „ვეფხისტყაოსანმა“ გარესამყაროს არსებითი ყურადღება მიიქცია მხოლოდ 1937 წლიდან, როცა საფანადოდ აღინიშნა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთვის, როცა სასიკეთოდ გაერთიანდა სამშობლოსა თუ უცხოეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული ენერგია. ამ



დროიდან ინტენსიურად დაიწყო პოემის თარგმნა და გაფრცვულება. ამჟამად „ვეფხისტყაოსანი“ 50-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. ამ ნაშრომთა უმეტესობა არის სრული პოეტური ნაწარმოები, ზოგი კი წარმოადგენს ბნებარედს, გაურითმავ სტროფებსა თუ პროზაულ ტექსტს, არასრულს, შემოკლებულს, ადაპტირებულს.

ნებისმიერი ერის კულტურულ ცხოვრებაში ფასეული ფაქტია „ვეფხისტყაოსანის“ დონის მხატვრული ნაწარმოების ყოველი ახალი გამოცემა, ნათარგმნი იქნება ის თუ ორიგინალი. როგორც წესი, მათი სრული აღრიცხვა და შესწავლა პასუხს სცემს ლიტერატურის ისტორიისათვის ბევრ საინტერესო საკითხს. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი წიგნი გამოაქვეყნა „სეზანმა“ 2016 წელს შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ესაა „ვეფხისტყაოსანის“ გამოცემათა ილუსტრირებული ბიბლიოგრაფია (1712–2015 წწ.) მეორე, შევსებული და შესწორებული გამოცემა. მისმა შემდგენლებმა, მამუკა ჩხეიძემ და ლევან თაქთაქიშვილმა, ბიბლიოგრაფიაში შეიტანეს მსოფლიოს მასშტაბით ამა წლის 1 იანვრამდე აღნუსხული „ვეფხისტყაოსანის“ 503 გამოცემა. მათი უმეტესობა თარგმანია, ქართული – მხოლოდ 150-ია. რუსთაველის პოემის არაერთი საინტერესო, მაგრამ ძირითადი რეპრინტული გამოცემა განხორციელდა მიმდინარე წელსაც. განსაკუთრებით სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო პირველი გამოცემების გამოჩენა კორეულ და ბერძნულ ენებზე.

დასახელებულმა ბიბლიოგრაფიამ ცხადად წარმოაჩინა, რომ არაერთ ქართველ მოღვაწეს უტვირთავს „ვეფხისტყაოსანის“ სხვათა ენებზე თარგმნის სირთულე. გამოვლინდა ისიც, რომ პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, უმეტესობას თარგმნა უფრო ხელენიფერდა რუსულ ენაზე:

ჯერ კიდევ 1888 წელს თბილისში გამოქვეყნდა იონა მეუნარგიას მიერ რუსულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანის“ მოკლე, პროზაული შინაარსი. თარგმანმა მონონება დაიმსახურა. მოთხოვნის შესაბამისად გამოცემა მაღლევე გაიმეორეს. გადმოცემის მიხედვით, მეუნარგიას „ვეფხისტყაოსანი“ უთარგმნია ფრანგულ და გერმანულ ენებზეც. მისი თარგმანებით გაცნობია ამ ქართულ პოემას უნგრელი მხატვარი, რუსთაველის თხზულების პირველი დამსუ-



რათებელი, მიხაი ზიჩი. მისი მშვენიერი ნამუშევრები, რომლებიც 1888 წელს დაბეჭდილ ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანში“, დღემდე საუკეთესოში პოემის ქართულ გამოცემათა შორის. მეუნარგიასეული ფრანგული და გერმანული თარგმანები კი არ ჩანს ამ ენებზე არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა შორის.

1937 წელს, რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსკოვში დიდი ტირაჟით დაიბეჭდა ქართველთა მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ორი რუსული თარგმანი: გიორგი წერეთლის ნაშრომი 30 000 ცალი და გიორგი ცაგარელისა – 50 000. ცაგარელისეული ტექსტი ნარმოადგენს ორიგინალთან მიახლოვებულ სრულ თარგმანს, შესრულებულს უშუალოდ დედნიდან, სოლომონ იორდანიშვილისეული ბწვარედის დახმარებით. ცაგარელის ლექსიკური მარაგი შესაბამისად ვერ გასწვდენია ორიგინალის მდიდარ და მრავალფეროვან სამყაროს, თუმცა გამორჩეული ნარმატებით უთარგმნია აფორიზმები. ამიტომ ისიც მოხვედრილა საქართველოს მიერ სიგელებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვებულ მთარგმნელთა სიაში;

სოლომონ იორდანიშვილმა 1933 წელს შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული რუსული ბწვარედი, პოემის სრული, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. ეს ნაშრომი გადამუშავებული სახით დაიბეჭდა თბილისში 1966 წელს და ძალზე მინიშვნელოვანი გამოცემა გახდა რუსულის მცოდნე უცხოელი მთარგმნელებისთვის. ლათინური ტრანსკრიპცია, რომელიც ახლდა პოემის ყოველი სტროფის, ყოველი წინადადების რუსულ თარგმანს, ძალზე უიოლებდა მთარგმნელებს ბწვარედით სარგებლობას. ამიტომ გამოცემა საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის“ არაერთ ენაზე განხორციელებულ თარგმანს, მათ შორის ინგლისურს, იაპონურსა და მონღოლურსაც კი. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოიცემა დაიბეჭდა 1 500 ცალად, მათგან 25-ს ჰქონდა გრიფი: „ხელნაწერის უფლებით“.

1938 წელს თბილისში რუსულ ენაზე 20100 ეგზებპლარად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნი“ მოზარდებისათვის. ეს იყო გ. იოსელიანის მიერ პოემის პროზად გადაკეთებული ქართული ტექსტის გ. არჯევანიძისეული თარგმანი.

გამორჩეული მოვლენა გახდა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანთა შორის შალვა ნუცუბიძისეული ნამოღვანარის გამოჩენა. მას საკუთარი ნებით დაუწყია ამ მშვენიერი, სრული პოეტური თარგმა-



ნის განხორციელება, მაგრამ უმეტესი ნაწილი პატიმრობაში მყოფს შეუქმნი სტალინის დავალებით. თარგმანის მაღალმხატვრულმა დონემ დააკმაყოფილა ბელადი, საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანი, რომელსაც სურდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესაფერისი თარგმანის მეშვეობით მსოფლიოს ნინაშე ნარმდგარიყო, როგორც უდიდესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის შვილი. სტალინი იყო აღნიშნული თარგმანის არაოფიციალური რედაქტორი. მან თავისი ხელით ჩაასწორა სასიგნალო ეგზემპლარი, თავისივე თარგმანით ჩაანაცვლა ერთ-ერთი სტროფი და შეარჩია ილუსტრაციებიც. იმ ავბედით უამს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნამ იხსნა შალვა ნუცუბიძე ფიზიკური განადგურებისაგან, 1940 წელს დაბეჭდილი პოემის სხვა ეგზემპლარები კი განადგურებას დაექვემდებარა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ცალი (ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ერთი უიშვიათესი ეგზემპლარი, გამორჩეული იშვიათობის სხვა კრიტიკობითაც).

ნუცუბიძისეული თარგმანი სტალინის ჩასწორებების გათვალისწინებით დიდი რაოდენობით გამოიცა მოსკოვში 1941 წელს, ორ ვარიანტად – 10 000-იანი და 90 000-იანი ტირაჟით. ნიგნები გაიყიდა მალე, მაგრამ მთარგმნელს არ მიუღია დაანესებული დიდი ჰონორარი. სხვებისთვისაც სამაგალითოდ, მას დაანერინეს, რომ ფული მთლიანად შეჰქონდა თავდაცვის ფონდში. თარგმანი გამოცემულია მრავალჯერ.

XXI საუკუნეშიც შექმნეს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი ქართველებმა: 2004 წელს თბილისში 500 ეგზემპლარად დაიბეჭდა გ. დევდარიანის თარგმანი. თბილისშივე 2011 წელს რუსულ ენაზეც გამოიცა „არაჩვეულებრივი მოგზაურობა რუსთველის ეპოქაში“, რამაზ ჭილაიას იდეით შექმნილი ადაპტირებული, შემეცნებით-საინფორმაციო ტექსტი, უხვი ილუსტრაციებითა და სხვადასხვა ჩანართ-დანართებით; 2014 წელს გამოიცა გიორგი ქ-ბურიას ნაშრომი; 2015 წელს კი არჩილ ხალვაშისეული კრიტიკული ტექსტი ხელნაწერებში დაცული პოემის ვრცელი რედაქციისა გამოქვეყნდა მისივე რუსული თარგმანის თანხლებით. ეს „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციის პირველი ასახვაც იყო რუსულ ენაზე და რუსული თარგმანის პირველი აუდირებაც რუსთაველის სალექ-სო საზომთან, 16-მარცვლოვან შაირთან თანხვედრაში.

რუსულის შემდეგ, ქართველ მოღვანეთა მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ სხვაზე მეტი აღმოჩნდა ფრანგულ ენაზე. მათ



ჭორის, პირველია ემიგრანტი გიორგი გვაზავას მიერ შესრულებული პოემის სრული თარგმანი, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა 1938 წელს. [1964] წელს პარიზში განსაკუთრებულ ლიტერატურულ მოვლენად იქცა სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის სერგო წულაძის ფრანგული თარგმანის გამოქვეყნება. წულაძე, ფაქტობრივად პოემის მე-5 ფრანგულენვანი გამოცემის ავტორი იყო, მაგრამ აღიარეს პირველ მთარგმნელად, რომელმაც ფრანგულენვან მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი თარგმანი მიაწოდა ამ ენაზე. საფრანგეთის აკადემიამ, აღნიშნული ნაშრომის გამო, ავტორს მიანიჭა ლანგლიას (Charles-Victor Langlois) უალრესად პრესტიული პრემია. როგორც ფრანგმა მწერალმა და კრიტიკოსმა რენე ლაკოტიმ აღნიშნა, ეროვნებით ქართველმა მთარგმნელმა და ჩინებულმა ფრანგმა მწერალმა, შესანიშნავად შეუხამადედნის რიტმი ფრანგულ რიტმს. მან საუცხოოდ გადმოსცა ორიგინალის ჟღერადობა და რითმათა შეხამება.

ემიგრანტი ქართველის, სერგო წულაძის ეს მთარგმნელობითი წარმატება განაპირობა ბავშვობიდანვე საფრანგეთში ცხოვრებამ, ფრანგულის მეორე მშობლიურ ენად ქცევამ და სორბონის უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა გათავისებამ და შუასაუკუნეების ფრანგული მწერლობის კარგმა ცოდნამ მას შეაძლებინა ქართული რენესანსის ისეთი ძეგლის წვდომა, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“. 4-5 წლიან თავდაუზოგავ მთარგმნელობით შრომაში წულაძეს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია თავისმა ფრანგმა მეუღლემ. ასევე მეგობარმა, თავადაც აღიარებულმა, გაანთულმა მთარგმნელმა და საუკეთესო მრჩეველმა – შალვა წუცუბიძემ.

წულაძისეული თარგმანი დააფასეს სამშობლოშიც. 2 წელიწადში წიგნი 10 000 ტირაჟით გამოიცა თბილისში. წულაძისეული თარგმანის აღიარება კიდევ ერთხელ დადასტურდა 2013 წელს: „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური გამოცემის 300 წლის-თავთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და ბაქურ სულაკაურის გამომცემლობამ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა მხოლოდ სასაჩუქრო 500 ეგზემპლარი. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე წულაძის მიერ „UNESCO“-ს დაკვეთით განხორციელებული თარგმანი 2013 წელსაც „UNESCO“-მ დაფინანსა.



„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ გამოცემებს 1977 წელს შეემატა რუსთაველის ეპოქისა და პოემის კარგი მცოდნეების, ულისაზე ღრბელიანისა და სოლომონ იორდანიშვილის, თარგმანი შესრულებული პოემის სახით, დაბეჭდილი თბილისში.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ფრანგული თარგმანი განახორციელა მეცნიერმა და მნერალმა გასტონ ბუაჩიძემაც. ნაშრომი გამოიცა მოსკოვში 1989 წელს. რუსთველური მსოფლმხედველობის გათავისება და „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიის ცხოვრებისეული მნიშვნელობის ღრმა რწმენა ესაფუძვლა გასტონ ბუაჩიძის მთარგმნელობით წარმატებას. ლექსად თარგმნის სირთულეები გასტონ ბუაჩიძემ გადალახა თრივე ენის კარგი ფლობით და ქართულ-ფრანგული ლექსთნიუობის გარკვეული სიახლოვის გამოყენებით. მან შეძლო ჰარმონიულად ეზიარებინა ფრანგულენოვანი მკითხველი რუსთაველური მდიდარი რითმებისა და თექვსმეტმარცვლოვანი საზომის უღერადობასთან. ახალ თარგმანს ფრანგ კრიტიკოსთა აღიარება მოჰყვა.

ქართველ მოღვაწეთა თარგმანებით განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემები იტალიურ ენაზე. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, იტალიაში, კერძოდ რომში, დაიბეჭდა 1941 წლით დათარიღებული გამოცემა, პოემის მოკლე პროზაული და რამდენიმე სტროფის პოეტური თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის“ ამ პირველი იტალიური გამოცემის ავტორი იყო რაფიელ ივანიცკი-ინგილო. „ვეფხისტყაოსანი“ მან თარგმნა იტალიის მეფის, ვიქტორ ემანუელ მესამის სამეფო კარის შეკვეთით. რაფიელს ცდა არ დაუკლია და ნაშრომის შესაქმნელად უხელმძღვანელებია ქართული საისტორიო მნერლობით, რუსთველოლოგიური გამოკვლევებით და პოემის თარგმანებით.

წიგნი მიეკდვნა საქართველოს მეფეთა შთამომავლის, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის სიძედ შესვლას გრაფი პასკუინების ოჯახში. ალბათ ამიტომაც, ტექსტს წამძღვანებული აქვს ქართველ მეფეთა გენეალოგია, ხოლო წიგნის გარეკანი შესრულებულია ქართული დროშის ფერებში: შინდისფერი, თეთრი და შავი ზოლებით. გამოცემა გააფორმა რომის საოპერო თეატრის მოღვაწემ, ქართველმა მხატვარმა გიორგი აფხაზმა. იგი უხვადა დასურათებული ქართველ მეფეთა და კათოლიკოსთა პორტრეტებით, საქართველოს ეკლესია-მონასტრების ხედებით, ერთვის რუსთაველის პორტრეტი. აღნიშნული თარგმანის შესულებამდე, 1937 წელს, რაფიელ

ივანიცკი-ინგილოს იტალიაში წაუკითხავს ლექციების ციკლი „საქართველო და მისი მეოსანი რუსთაველი“.

რაფიელის პაპა, შამილისაგან გამოქცეული ახალგაზრდა ინგილო თბილისში უშვილებია და მოუნათლავს ვორონცოვის ამაღლის წევრს, პოლკოვნიკ ივანიცკის. მისი ვაჟი – მთარგმნელის მამა, ალექსანდრე, სიონში უკურთხებიათ მღვდლად და საინგილოში გაუმწესებიათ. 1886 წელს იქ, სოფელ კახში, დაბადებულა რაფიელი. მას ჰყოლია 2 ძმა და 1 და – სონია, მსახიობ გურამ სალარაძის ბებია. მათ ოჯახს მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია საინგილოში ქრისტიანობის აღდგენა-განმტკიცებაში.

თელავის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ, რაფიელს უმაღლესი იურიდიული განათლება მიუღია პეტერბურგის უნივერსიტეტში. დაბრუნებულა სამშობლოში, გამხდარა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და გაზეთ „საქართველოს“ ფაქტობრივი რედაქტორი. მას, როგორც საკათალიკოსო საბჭოს წევრსა და მდივანს, მონაწილეობა მიუღია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენა-გამოცხადებაში. რაფიელი ყოფილა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი – არჩეული დეპუტატი საინგილოდან. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში მყოფი საკათალიკოსო საბჭოს გაუწვევია გერმანიიდან და იტალიაში, რომის პაპის კარზე მიუვლენია. მას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა „რუსიკუმის“ მონასტრისათვის გადაუცია იტალიიდან ესპანეთში გადასვლის წინ. მადრიდში მღვდლად ნაკურთხები რაფიელი წმინდა ანდრია მოციქულის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი გამხდარა. თითქმის 20 წლის მანძილზე წირავდა ბერძნულ და რუსულ ენებზეც. თავისი მშვენიერი ქადაგებითა და გალობით მართლმადიდებლური ეკლესიის მრვალრიცხოვანი მრევლის სიყვარული დაიმსახურა. გარდაიცვალა 80 წლის ასაკში. მანამდე, 1966 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი იტალიური თარგმანის ავტორმა, რაფიელ ივანიცკი-ინგილომ, იტალიის გაზეთში „პოპოლო“ (აპრ., № 17, გვ. 4.) ვრცელი საქებელი წერილი გამოაქვეყნა მეორე ქართველი ემიგრანტის, პროფესორ შალვა ბერიძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის თაობაზე.

ახალგაზრდა ისტორიკოსი და ენათმეცნიერი შალვა ბერიძეც, საქართველოს გასაბჭოებს შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. მისი თაოსნობით დაარსდა პარიზში ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული ორგანიზაცია „მომავალი“, მალევე „თეთრი გიორგის“



სახელით მომქმედი, საქართველოს სახელმწიფო ბრიობის აღდგენისა და კულტურული აღმავლობის მოსწრაფე. საფრანგეთშოთ მართვის სორბონის უნივერსიტეტიც დაამთავრა. აქვეყნებდა ნაშრომებს ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე, მოხსენებით გამოდიოდა კონფერენციებზე, მონანილეობდა ქართული ემიგრაციის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. 1936 წელს ნე-აპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, პროფესორმა ბერნარდო ბარბი-ელინიმ შალვა ბერიძეს დაავალა ახლად დაარსებული ქართველო-ლოგის კათედრის მუშაობის ნარმართვა. ბარბიელინიმ, რომელიც ნლობით ცხოვრობდა კავკასიაში, სხვადასხვაენოვანი უხვი მასა-ლებით ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული რუკებითა და სურათე-ბით კავკასიის შესახებ ინსტიტუტში შეიქმნა „კავკასიის კაბინეტი“. მანვე, კარგად იცნობდა რა ქართველი ხალხის ენას, კულტურასა და ისტორიას, დაარსა ქართველოლოგის კათედრა და შემოიღო ქართული ენის სავალდებულო ორნლიანი კურსი ახლო აღმოსავ-ლეთის შემსწავლელი სტუდენტებისათვის. ინსტიტუტში შალვა ბერიძე კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურა-ში, ჰყავდა მსმენელთა ფართო აუდიტორია, რომელიც ინტერესით ეცნობოდა კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებს. შალვა ბერი-ძემ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა და გამოსცა კაპუცი-ნების ორდენის ბერის – ბერნარდო დი ნაპოლის ორი ჩანაწერი, 1670-1680 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ. კავკა-სიოლოგთა ნაყოფიერი საქმიანობა ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდ-ნეობის ინსტიტუტში დიდხანს არ გაგრძელებულა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 1940 წლის მიწურულს ბარბიელინი ბრძოლის ველ-ზე დაიღუპა საბერძნეთში. ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელი აკა-დემიკოსი გვიდი კი არაბისტი გახლდათ, არ იყო დაინტერესებული კავკასიით. ომის გამოც ინსტიტუტში თანდათან მცირდებოდა კა-თედრების რაოდენობა. 1943 წლიდან გაუქმდა ქართულის კათედ-რაც. ნეაპოლის დაბომბვის შედეგად თითქმის მთლიანად განად-გურდა „კავკასიის კაბინეტის“ ძვირფასი მასალები.

იტალიაში პროფესორი ბერიძე ენეოდა აქტიურ სამეცნიერო მუ-შაობას და განუხრელად ემსახურებოდა საქართველოს: იკვლევდა ქართულ-აღმოსავლურ და ქართულ-ბასკურ ურთიერთობებს, იტა-ლიურად თარგმნიდა ქართულ ნაწარმოებებს, თანამშრომლობდა

ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან („ბედი ქართლმა“ „კართლის“ „ივერია“, „ქართლოსი“ და სხვა). იყო ათამდე წიგნისა და რამდენიმე ათეული ნაშრომის ავტორი. გამორჩეულია მისი, როგორც რუსთა-ველოლოგის, ღვაწლი. კითხულობდა მოხსენებებს და აქვეყნებდა პროშურებს რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ, სადაც წარმოაჩინდა რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობას. ბერიძემ იტალიურ ენაზე რომში გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები და ანდაზები, ასევე ნარკვევი – „რუსთაველი და მედიცინა“. ამ სფეროში მისი მოღვაწეობის დაგვირგვინება იყო „ვეფხისტყაოსნის“ სრული პროზაული თარგმანის შექმნა იტალიურ ენაზე. ეს ნაშრომი: „La Pelle di Leopardo di Sciotha Rusthaveli“ 1945 წლის ივლისში გამოქვეყნდა მილაში. წიგნი ბაზარზე გამოვიდა 1947 თუ 1948 წელს.

შალვა ბერიძემ თარგმანი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ დავით კარაჭავილისეული 1903 წლის გამოცემის მიხედვით. მთარგმნელი წერდა, რომ ვერ შეძლო თბილისის უნივერსიტეტის 1937 წლის გამოცემით სარგებლობა. გამოცემის წინასიტყვაობაში მთარგმნელი ხაზგასმით აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის ორიგინალურობას და მასში ასახული ამბების სიახლოვეს ქართულ სინამდვილესთან. – გამოცემას ამჟობს 20 რუსული დასურათება საზღვარგარეთ, რომელიც ძველებურ მხატვრულ სტილში განახორციელა იტალიელმა მხატვარმა ფულვიო ბიანოკნმა. პოემის შესატყვისი ილუსტრაციების შექმნის მიზნით, მხატვარმა შეისწავლა იტალიის არქივებში დაცული ძველი აღმოსავლური მხატვრული ნიმუშები და მინიატურები. შალვა ბერიძის თარგმანი დაიბეჭდა მცირე ტირაჟით, 499 ცალად.

ამ იშვიათი გამოცემის ერთი ეგზემპლარი იტალიელ პროფესორ ლეონე პაჩინის გამოუგზავნია გივი გაჩერჩილაძისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისა და ცნობილი მთარგმნელისათვის. ამ გამოცემის ერთი უიშვიათესი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. წიგნი თვით შალვა ბერიძისეული ცალია, მისივე რედაქტირებითა და საყურადღებო ჩანართებით, საიდანაც ჩანს, რომ პროფესორი შალვა ბერიძე იტალიელთათვის კარლო ბერიძეა. ამ სახელითაა წარმოდგენილი ის გურამ შარაძის ნაშრომში. გამოქვეყნებულ სავიზიტო ბარათზეც აღსანიშნავია ისიც, რომ მისმა მეუღლემ იტალიელმა ლირიკოსმა, კატერინა რუბერტომ შალვას ხსოვნას ლექსი მიუძღვნა აკროს-

ტიხით: „კარლო“. მკვლევარმა დალი ინწკირველმა კრიტიკულად მიმოიხილა ბერიძისეული თარგმანი. მისი დასკვნების მიხედვით: პროლოგთან შედარებით, უკეთესადაა თარგმნილი პოემის ეპიკური ნაწილი; ნმინდა პოეტური პასაუები აღბეჭდილია ემოციური სილრმით და უკეთესად იკითხება ვიდრე რთული, ფილოსოფიური აზრის შემცველი სტროფები; მხატვრულობითა და სიზუსტით ბერიძისეული პროზაული თარგმანი ჩამორჩება უორდროპისეულ ინგლისურ ასევე პროზაულ თარგმანს; არცთუ უსაფუძვლო ისტორიული ანალოგიები კომენტარებში ნარმოდგენილია მტკიცებულებით ფორმით და არა ვარაუდების სახით; მიუხედავად ამისა, შალვა ბერიძისეული ნაშრომი დიდი ლიტერატურული შენაძენია და უსათუოდ გასათვალისწინებელი სახელმძღვანელო იტალიურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ სხვა მთარგმნელებისათვის.

შალვა ბერიძეს დაუბეჭდავი დარჩენია იტალიურ ენაზე შექმნილი ნაშრომები: „აზია“, „კავკასია“, „საქართველო“, ასევე ხელნაწერის სახით დარჩენია „ვეფხისტყაოსნის“ სრული ფრანგული თარგმანიც, რომელიც არ გამოქვეყნებულა. იტალიაში, შალვა ბერაძის პირად არქივშია საქებარი მისი ბედი, თუ ის ნეაპოლის დაბომბვაშ არ შეიჩირა.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველ ემიგრანტთა თარგმანებიდან აღსანიშნავია აგრეთვე პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთელის გერმანულ ენაზე შექმნილი ნაშრომი, გამოცემული პარიზში 1975 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ. მიხაკო წერეთელიც საქართველოს გასაბჭოების გამო გახდა იძულებული, დაეტოვებინა სამშობლო და ეცხოვრა უცხოეთში. მრავალი წლის მანძილზე ის იყო ერთ-ერთი ძირითადი ლიდერი შალვა ბერიძის ინიციატივით დაარსებული ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციისა „თეთრი გიორგი“. მისი უშუალო მონანილებით დაარსდა პარიზში სამეცნიერო უურნალი „ბედი ქართლისა“ და აქტიურად თანამშრომლობდა სხვა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან.

სხვადასხვა დროს მიხაკო წერეთელი იყო ჯერ ბრიუსელის, შემდეგ კი ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი. განუხრელად იკვლევდა საქართველოს ისტორიას, ქართული ენის და ქართველთა ნარმოშობის საკითხებს. ქმნიდა მნიშვნელოვან გამოკვლევებს. თავის წერილებსა და ნაშრომებს ის აქვეყნებდა როგორც გერმანულ, ისე ფრანგულ, ინგლისურ და

იტალიურ ენებზე. წერეთელი აქტიურად მოღვაწეობდა რუსშემაცნებული ლოლოგის დარგშიც. მიხეილ წერეთლისეული გერმანული პროზა-ული თარგმანის გარდა „ვეფხისტყაოსანი“ რამდენჯერმე გამოიცა პარიზში ორიგინალის ენაზე მის მიერ აღდგენილი და დადგენილი ტექსტით. მიხეილ წერეთლამდე „ვეფხისტყაოსანის თარგმნა გერმანულ ენაზე უცდია ვინმე გიორგი ფრონელს. მისი ნაშრომი პატარა წიგნაკად დაიბეჭდა მიუნხენში 1935 წელს.

ქართველისაგან „ვეფხისტყაოსანის“ ევროპულ ენაზე თარგმნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია მეცნიერის, ლიტერატურათ-მცოდნის, მთარგმნელისა და პედაგოგის ვენერა ურუშაძისეული პოემის პირველი ინგლისური პოეტური თარგმანი. ავტორს სურდა, რომ ინგლისელ მკითხველს წარმოდგენა შექმნოდა ორიგინალის მშვენიერებაზე ისე, რომ გაეგონა კიდეც დიადი პოემის სულისა და მელოდიის ექი, საამისოდ ქართველმა მთარგმნელმა აირჩია თეთრი ლექსის ჰეგზამეტრი. ვენერა ურუშაძემდე კარგახანს ვერავინ შეპბედა „ვეფხისტყაოსანის“ ინგლისურ ენაზე თარგმნა, რადგან არსებობდა პოემის პირველი პროზაული და შთამბეჭდავი თარგმანი, დედნის მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით შესრულებული, „ვეფხისტყაოსანსა“ და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ინგლისელის ქალის, მარჯორი უორდლროპის მიერ. დის ხსოვნის პატივსაცემად, ნაშრომი 1912 წელს გამოსცა ლონდონში ოლივერ უორდლოპმა. ურუშაძისეულმა პოეტურმა თარგმანმაც, რომელსაც მთარგმნელის მოთხოვნით, ორი რედაქტორი ჰყავდა, მონონება და აღიარება პპოვა ინგლისურნოვან მკითხველში როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. ნაშრომი დაიბეჭდა ბევრჯერ, მისი პირველი, 1968 წლის, გამოცემა იშვიათობად იქცა, რადგან ძირითადად სასაჩუქრო ცალებად იყენებდნენ უცხოელებისათვის.

„ვეფხისტყაოსანი“ საერთაშორისო ენაზეც, ესპერანტოზეც, ითარგმნა და ეს თარგმანი ქართველმა, ზურაბ მაყაშვილმა შექმნა. თავდაპირველად, [1983 წელს], თბილისში დაიბეჭდა მხოლოდ აფორიზმების მისეული თარგმანი პარალელური ტექსტით, ხოლო 1989 წელს თბილისშივე მაყაშვილისეული თარგმანით სრული პოემაც გამოიცა 5 000 ცალად.

ამგვარად ნარმოჩნდა ქართველ მოღვაწეთა როლი სამშობლოს უპირველესი პოეტისა და მისი უკვდავი პოემის პოპულარიზაციი-აში. ქართველები არ დასჯერდნენ „ვეფხისტყაოსანით“ მხოლოდ უცხოელთა დამაინტერესებლისა და მის თარგმნაში თანამდგომ-

თანაშემწის როლს. თვითონაც თარგმნეს ამ მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურულ ძეგლი როგორც პოეტური, ისე პროზაული სახით. შექმნეს ნაშრომები მეტნილად რუსულ, ასევე ევროპის ყველა ძირითად ენაზე. მნიშვნელოვნად აქტიურობდნენ ქართველი ემიგრანტი ევროპაში. ითარგმნა და გამოიცა პოემის აფორიზმებიც, ნაწყვეტებიც და სრული პოეტური თუ პროზაული ტექსტებიც. ქართველებისაგან შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი თარგმანი აღიარებულია საყოველთაოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2015/მამუკა ჩხეიძე, ლევან თაქთაქიშვილი. – თბ., 2016.

ქართული ლიტერატურის თარგმანები ევროპულ ენებზე ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში/ელგუჯა ხინთიბიძის რედ. – თბ., 2003.

„ვეფხისტყაოსნის“ უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე/საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. – თბ., 1980.

თურნავა სერგო. საზღვარგარეთული ქართველოლოგია. – თბ., 1978.

ქართული ემგრაცია ევროპაში (1921-1953) /გ. ბეჭიტაშვილი. – თბ., 2012.

„ვეფხისტყაოსნის“ იტალიური გამოცემები/ვასილ ჩაჩანიძე. – საბჭოთა ხელოვნება. 1965. N11, გვ. 26-31.

ქართული ენის ისტორია, პროფესორ ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის. – ქუთაისი, 2006.

დავით წონაოლაშვილი

სიკათითა და გზიური ნათელით სავსე საბავშვო პოეზია

ქართული მწერლობის სახელმოვანი ისტორიას მრავალი ნიჭიერი და ამაგდარი შემოქმედის სახე ამშვენებს. ერთ-ერთი ასეთთაგანი გახლდათ წმინდაზნეობითა და მაღალი პოეტური განცდებით მადლმოფენილი საბავშვო პოეტი შიო მღვიმელი. მისი დაბადებიდან უკვე 150 წელი შესრულდა. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში და, ბუნებრივია, შემდეგაც შიო მღვიმელის სახელს ყველა ასაკის წიგნიერი ქართველი დიდი პატივისცემით და სიყვარულით ახსენებდა.

შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) 1866 წელს დაიბადა ქართლში, სოფელ ბრეთში. იგი მრავალშვილიანი ოჯახის უმცროსი, მეათე შვილი იყო. 1887 წელს დაამთავრა გორის სამოქალაქო სასწავლებელი და იმავე წელს თბილისში გადავიდა და მუშაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

შიო მღვიმელი ამ საზოგადოებაში სრული ოცდაორი წელი მსახურობდა და დიდი მოქალაქეობრივი სინმინდით ემსახურებოდა ქართულ კულტურას. დაარსებიდან მოყოლებული საბავშვო უურნალებში – „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ უხვად ბეჭდავდა ლექსებს. მისი საბავშვო ლექსები პირველად „ჯეჯილში“ 1887 წელს დაიბეჭდი





და, ხოლო 1891 წელს პატარ-პატარა საბავშვო ნიგნებათაც დაის-ტამბა. მწერალი მთელი სიცოცხლის მანძილზე აქტიურად თანამ-შრომლობდა ყველა ახლად დაარსებულ საბავშვო უურნალსა თუ კრებულებში. მის ლექსებს ყველა რედაქტორი სიამოვნებით აქვეყ-ნებდა.

1909 წლიდან დაწყებული, შიო მღვიმელი, როგორც ხელმოკ-ლედ მცხოვრები პოეტი, მრავალ მაშინდელ უურნალსა და გაზეთში ლიტერატურული მუშავის მძიმე, მაგრამ საპატიო საქმიანობასაც ეწეოდა.

1923 წელს შიო მღვიმელს საქართველოს დამსახურებული მწერლის წოდებაც მიანიჭეს.

ნიჭიერი საბავშვო მწერალი 1933 წლის 12 დეკემბერს გარდაიც-ვალა. ქართველმა ხალხმა იგი დიდი პატივით მიაბარა მიწას ქარ-თველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. შიო მღვიმელმა საბავშვო პოეტის დიდი სახელი ქართული ლი-ტერატურის აღმავლობის მეტად მნიშვნელოვან ხანაში, კერძოდ, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში მოიპოვა. ეს იყო დრო ქართვე-ლი ერის ცხოვრების მრავალი მიმართულებით ამოქმედებისა და საერთო საქვეყნო გამოფხიზლებისა. მართალია, ქართულ მწერ-ლობას სახელი არასოდეს აკლდა, თუმცა XIX საუკუნის მეორე ნა-ხევარში დიდმა სამოციანელებმა ეს სახელი განსაკუთრებულ სი-მაღლეზე აზიდეს. ახალი ქართული ლიტერატურა უანრობრივად, იდეურ-თემატურად და მხატვრული სტილის მრავალფეროვნებით შეუდარებელად გაამდიდრეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, იაკობ გოგებაშვილ-მა, ვაჟა-ფშაველამ, ეგნატე ნინოშვილმა, დავით კლდიაშვილმა და სხვებმა. ამ დროის სამწერლო მოღვაწეობა აქტიურად იყო წარ-მართული ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დიდი მიზნისაკენ. მხატვრული ლიტერატურის, უდიდესი ეროვნული პო-ტენციალის განვითარების საქმეს დასახელებული მწერლები ედგ-ნენ სათავეში ილიას მეთაურობით. ისინი არა მარტო მხატვრულ შედევრებს ქმნიდნენ, არამედ ძალიან მნიშვნელოვან თეორიულ-ფილოლოგიურ და კულტურულ-სამეცნიერო კვლევა-ძიებასაც ეწეოდნენ. იმ დროის ინტელექტუალური გარჯა ცხადყოფდა, რომ მათთვის ევროპულ-რუსული მეცნიერული ნააზრევი უცნობი აღარ იყო. ასე რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ქართული საბავშვო მწერლობის სრულქმნას. ამ საქმეს სა-

თავეში ედგა იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ყოველნაირად მხარს უმაგრებდნენ ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შიო ლიმანი და სხვა მოღვაწენი.

საზოგადოდაც, მთელი ქართული მხატვრული ლიტერატურა და ფოლკლორი მდიდარი იყო ბავშვთა სულის ამამალლებელი დიდაქტიკური შინაარსის თხზულებებით. თუმცა ისიც ჩანდა, რომ საბავშვო თხზულებათა სრულყოფილად შევჯასებისათვის საჭირო მნიშვნელობრივი თეორიული შეხედულებების სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო. ამ საქმეს მხოლოდ XIX საუკუნის 80-იან წლებში იაკობ გოგებაშვილმა დაუმკვიდრა ნამდვილი მეცნიერული შინაარსი და მიმართულება.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივმა ყოფამ მოითხოვა ღრმა და მრავალმხრივი დაფიქრება მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების პრობლემებზე. ცხოვრების რეალურმა მოთხოვნებმა სათანადო ნაყოფიერი ნიადაგიც მოამზადეს იმისათვის, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა თემატურად და უანრობრივად განვითარებულიყო და აღმავლობის გზაზე დამდგარიყო. ქართველმა სამოციანელებმა ლიტერატურას და მეცნიერებას ღრმა ეროვნული პრობლემების გადაჭრა დაავალეს. ერთი მთავარი მოვალეობა ის იყო, რომ თავისი სუფლებადაკარგული საქართველოს მოვალი თაობები განსაკუთრებული მამულიშვილური სულისკვეთებით აღეზარდა. ყოველმხრივ სრულქმნილი ცხოვრების ნამდვილი პატრონი – ახალგაზრდობა კი სწორი მეცნიერული განათლებისა და ლიტერატურის მკვიდრი საფუძვლით უნდა ჩამოყალიბებულიყო. საერთოდაც, ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა აღზრდაზე, მათს სულიერ-ინტელექტუალურ განვითარებაზე ისტორიულადაც და XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც აქტიურად იღვნოდნენ. დიდი ყურადღება ეთმობოდა დ. გურამიშვილის დიდაქტიკურ პოეზიას, სულხან-საბას უბადლო ეთიკური შინაარსის იგავ-არაკებს, ასევე სხვა მნიშვნელოვანი და ორიგინალური საბავშვო ნაწარმოებების პოპულარიზაციას. წესად იქცა ცალკე ქრესტომათიებად თუ ყრმათა საკითხავ წიგნებად საბავშვო თხზულებების გამოცემა. მაგრამ საბავშვო ლიტერატურის სწორი შეხედულებების შემუშავებას მაინც ბევრი დრო სჭირდებოდა. განათლების საქმის სრულქმნისათვის ილიას თაოსნობით დაირაზმა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელი განწავლული საზოგადოება. განსაკუთრებული იყო იაკობ გოგებაშვილის როლი, რადგან იგი ზედმინევნით იცნობდა



ევროპულ-რუსულ პედაგოგიკურ ნააზრებს და ორმა განათლების ბაზაზე თვითონაც ბევრს ამატებდა ამ მეცნიერებას. მაგრამ, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ყოფილიყო ქართული რეალობისათვის მსოფლიო მწერლობისა და პედაგოგიკური აზროვნების მიღწევები, აյ წამყვანი მაინც ეროვნული აზრი, ლვანლი და გარჯა იყო. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საქართველოს ცხოვრება, მისი კოლონიალური მდგომარეობა დიდად განასხვავებდა მას რუსეთისა და ევროპისაგან.

ჩვენი 60-იანელები ლრმად სწვდებოდნენ საკუთარი ეროვნული პრობლემების თავისებურებებსაც და მათი სირთულეების დაძლევის გზებსაც ხედავდნენ. მათი სურვილი იყო, ყველა უცხოური ნაკლული თუ წარმატებული შეხედულება ჯერ ეროვნული ლირებულების საზომით შეეფასებინათ. ამის გამო ერთომეორის მეგობარი მწერლები ხშირად კამათობდნენ ჭეშმარიტების დასადგენად. ამ დროის მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა მეტად თავისებურ ერთსულოვნებას ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი ედგნენ. ქართული საბავშვო ლიტერატურის ავსა და კარგს ამ თაობის მწერლები სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვების ამოცანებს უკავშირებდნენ. მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგი სამშობლოს სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

მოგვიანო ხანაში, ანუ იმავე საუკუნის 80-იან წლებში, სარბიელზე გამოსული ახალგაზრდა საბავშვო მწერლები ერთგულად მიჰყვებოდნენ წინამორბედთა ნააზრებს. ეს კეთილისმყოფელი გავლენა კარგად ემჩნევა იმ საბავშვო მწერლების შემოქმედებას, როგორებიც იყვნენ პარმენ ცახელი, შიო მღვიმელი, თედო რაზი-კაშვილი, აგრეთვე თვით ვაჟა-ფშაველაც და სხვები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი, სოციალურ-კულტურული და ლიტერატურული აზროვნება ერთიანად გაჯერებული იყო ეროვნული თავისუფლებისადმი ერთგულების რწმენით. ამიტომ ახალგაზრდა თაობის სწორი აღზრდისა და განათლების მიზნები 60-იანელებმა თავიანთი ქვეყნის სასურველი სამომავლო ცხოვრების საძირკვლად დასახეს. მათ მიიჩნიეს, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურაც რეალიზმის პრინციპებს უნდა დამყარებოდა. ი. გოგებაშვილის აზრით: „უკეთესი ლონისძება აღზრდისათვის ჭეშმარიტებაა, სინამდვილეა“ (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. II, 1954. – გვ. 20). ამის გამო უნიჭიერესი პედაგოგი და საბავშვო მწერალი გასაოცარი ენერგიით ეძებდა საკუთარ



ქვეყანაშიც და უცხოეთშიც ჭეშმარიტ რეალისტურ საბავშვო ლექტურული სებსა და მოთხოვნებს, რათა ისინი სახელმძღვანელოებსა და კრმა-თათვის გამიზნულ კრებულებში შეეტანა. იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებით ენერგიას აათმაგებდა ის, რომ ლრმად სწვდებოდა ახალგაზრდობის სწორი აღზრდის პრინციპებს. დიდი პედაგოგი, მეცნიერი და საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი არა მარტო თანამებრძოლ შემოქმედთ, არამედ მთელს ერს ჩააგონებდა თაობების გონივრული, მეცნიერული და მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის საერთო საქვეყნო საქმის განუზომელ მნიშვნელობას. იგი აცხადებდა: „საყმანვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა, მთელი მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყმო წარმოებებით, საყმანვილო ლიტერატურით; იგი მაგრა ადგამს წაბიჯს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მოზარდობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისნი ყრმანი გარემოცული არიან მრავალი ნიჭიერი წარმოებითა“ (გაზ. „დროება“, 1884, № 7).

იაკობ გოგებაშვილი¹ მაღალმეცნიერულ დონეზე აფასებდა არა მარტო ორიგინალურ ქართული საბავშვო წარმოებების ღირსება-წაკლოვანებებს, არამედ ძალიან თამამად განსჯიდა უცხოური ლიტერატურიდან თარგმნილსა და გადმოკეთებულ საბავშვო ქმნილებების დადებითსა თუ უარყოფითს ღირებულებებსაც. იგი სრული რწმენით ეთანხმებოდა ილია ჭავჭავაძეს იმის შესახებ, რომ ყოველივე უცხოური ეროვნული პრობლემების გათვალისწინებით უნდა განხილულიყო და ასეთი სახით დაეკავშირებინათ საკუთარი ქვეყნის ინტერესებთან. ი. გოგებაშვილი თანმიმდევრულად ითვისებდა, ავითარებდა და იყენებდა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგის ისეთი თვალსაჩინო მკვლევრების წააზრევს, როგორებიც იყვნენ ი. კომენსკი, უ. რუსო, კ. უშინსკი, ი. პესტალოცი, ნ. პიროვნევი, ბ. ბელინსკი, ნ. დობროლუბოვი და სხვანი. მას შესწევდა უნარი თავის თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის წარმომადგენლებისათვის სწავლა-აღზრდისა და საბავშვო თხზულებათა ღირსებებზე არა მარტო თეორიული სახის განმარტებები მიენოდებინა, არამედ ამ ნიადაგზე აღმოცენებული საკუთარი საბავშვო მხატვრული ქმნი-



ლებების ნიმუშებიც წარედგინა. მის საბავშვო თხზულებებში ხშირად მხატვრული სახეების ძალით იკვეთებოდა თეორიული სიპრესის მადლიც.

იმ ეპოქის ქართველი მწერლების თვალსაზრისით, ახალგაზრდობა უნდა იზრდებოდეს მამულის დიდი სიყვარულით, მრავალმხრივი მეცნიერული ცოდნით, მაღალი ზნეობითა და მტკიცე პიროვნული ხასიათით. ამიტომაც ილია ბრძანებდა, რომ ახალგაზრდობის აღზრდა „ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია“ (ი. ჭავჭავაძე. პედაგოგიური თხზულებანი. – 1936 წ., გვ. 451). აღზრდის ეს მძიმე ვალი, იმ ეპოქის საბავშვო მწერლების მრნამსით, უსათუოდ აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთ წრფელ სიყვარულზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

ქართველი რეალისტი მწერლების აზრით, საბავშვო ლიტერატურას, ყოველ საბავშვო ნაწარმოებს მაღალი მისია ეკისრებოდა. აღნიშნული თავისთავად გულისხმობდა იმასაც, რომ საბავშვო მწერალი, როგორც პიროვნება, მეტად რთული ბუნების ობიექტთან იყო დაკავშირებული. ბავშვის ასაკობრივი ხასიათის მრავალფეროვნებასა და ცვალებად გრძნობათა სირთულეს კარგად ხედავდა შიო მღვიმელი და მათი ჩანვდომის, გაგებისა თუ გამოხატვის საფუძვლად თვითონ ბავშვების უსაზღვრო სიყვარულს მიიჩნევდა. ასახვის ობიექტის სირთულის გამო ბევრ „დიდების მწერალს“ საერთოდ საბავშვო ნაწარმოების დაწერა არც შეეძლო.

საბავშვო მწერლობის სირთულებზე მიუთითებდა ვაჟა-ფშაველა მაშინ, როცა თავისი მეგობრის, შიო მღვიმელის პოეტურ შემოქმედებას ახასიათებდა. ვაჟა სინაზულით წერდა: „არ გამოჩნდა არავინ მამაკაცთაგანი, აღენიშნა შიოს მოღვაწეობა, მისი ღვანლი სამწერლო ასპარეზზე, ღირსულად დაეფასებინა იგი, ჰქონოდა იმდენი გაბედულება, რომ ეთქვა, შიო ნიჭიერი მწერალიაო. შიოს ყველანი პატარა კაცად სთვლიან – ჩვენი შიო, ჩვენი შიოო და არავინ ჰუიქრობს იმას, რომ ეს პატარა კაცი, იმავე დროს ძალიან დიდი კაცია, მისი ღვანლი დიდმნიშვნელოვანია. ვინც ბალდებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში გამოიღებს ნაყოფს. ამიტომ აძლევს ჭეშმარიტი პედაგოგიკა უდიდეს მნიშვნელობას დაწყებით სწავლას, სიყრმის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს. ამ შთაბეჭდილებათა ანკარა წყარო კი



ეს „ჩვენი შიო“ გახლავს... ნუვის პგონია, ადვილი იყოს საბავშვო რეალი დღესის ან მოთხოვის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაჭრებოდა თუ არა ღვთიური ნიჭით მიროცხებულს და სულით მდიდარს... არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი“ (ვაჟა-ფშაველა. თხზულება-თა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX. – 1964, გვ. 377).

ვაჟამ დიდი მადლიერება გამოხატა მწერალ ეკატერინე გაბაშვილის მიმართ, რომელმაც მამაკაცებზე ადრე დაინახა შიო მღვიმელის პოეტური ნიჭი და მისთვის ოცდაათწლიანი ღვანლის აღნიშვნა საზოგადოებისაგან მოითხოვა.

გულისხმიერი მწერალი ქალის პრესაში გამოსვლის გამო ამოძრავდა მთელი საზოგადოება. ყველა ითხოვდა, რომ პოეტის დასაფასებლად ყველაფერი ღირსეულად გაკეთებულიყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა პონდა ამ მოვლენისადმი გაზეთის ფურცლებიდან ვაჟა-ფშაველას გამოხმაურებას.

საიუბილეო ღონისძიება 1915 წლის 27 ან 29 მარტს უნდა გამართულიყო. თუმცა შემდეგ იგი რატომღაც ერთი წლით გადაიდო.

ეკატერინე გაბაშვილის წერილისადმი მხარდაჭერით ვაჟამ, მრავალი მნიშვნელოვანი აზრის გამოთქმის გარდა, ისიც ნათელყო, რომ მას გულში ჰქონდა სურვილი შიო მღვიმელის პიროვნულ და პოეტურ ღირსებებზე კეთილი სიტყვა ეთქვა, მაგრამ თავს იკავებდა. თავშეკავების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ პოეტების საქვეყნოდ ცნობილ მეგობრობას უნდღლიეთ ჩრდილი არსაიდან მისდგომოდა. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას რწმენით, შიო მღვიმელის ნიჭის შესახებ პირველი სიტყვა მეგობრებს კი არა, არამედ სხვა მოაზროვნებს ხალხის სახელით საჯაროდ უნდა ეთქვათ. ეს ასეც მოხდა.

შიო მღვიმელი ყველას მადლობას სწირავდა ყურადღებისათვის. მახლობლებს კი ალალი გულით სთხოვდა, მოხმარებოდნენ შეხვედრის მოწყობაში. შიომ თავის საიმედო მეგობარს, ვაჟა-ფშაველას, 1915 წლის 15 მარტს, საგანგებო წერილი გაუგზავნა ფშავში, სოფელ ჩარგალში, სადაც სწერდა: „ძმაო ვაჟა!

მეგობრულ სალამს მოგიძლვნ
ბარიდან მაღლა მთაშია,
ახლა მჭირია მე, ვეფხვო,
შენი მოდგომა მხარშია.
ჩამოდი, წამომაშველე
მძლავრი მარჯვენა მკაშია,
რომ ალარ დარჩეს ძმობილი
ზამთრისთვის ისევ მკაშია.



ვაჟავ, წაიკითხავდი, რომ ძმა-ბიჭები აპირებენ ჩემთვის საბაზე-
ვო დილის გამართვას, დილა გაიმართება ან 27 ან 29 მარტს. შენი
მონანილეობის მიღება, ხომ იცი, დიდ რამეს ნიშნავს და იმედია,
არ დამზარდები. ჩემი სიკეთე შენს სიკეთეზეა დამოკიდებული და
ახლა შენ იცი და შენმა ღმერთმა“ (ს. ყუბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველა.
– 1937, გვ. 926).

ვაჟა-ფშაველა, საერთოდ, მეგობრობისათვის თავდადებული
ადამიანი იყო. გაისარვა შიო მღვიმელის სალიტერატურო დილის-
თვისაც, მაგრამ საიუბილეო თარიღი ერთი წლით გადაიტანეს.
ვაჟა ავადმყოფობდა, მისი სიცოცხლის დღეები, თურმე, დათვლი-
ლი იყო. იგი სამ თვეში გარდაიცვალა. შიოსადმი მიძღვნილი ლექსი
საიუბილეო დილაზე გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ წარუდგინა
საზოგადოებას:

„ბავშვთ გულის მესაიდუმლევ,
ჰპრომობ მღვიმეში ჩუმადა,
ბავშვების ჭირი და ლხენა
გულს მიგარნია წყლულადა.
... მე როდ მომენონება
სიტყვა, ნათქვამი უმადა,
ამიტომ გკოცნი პირშია,
გადმოგეხვევი ძმურადა!“

რედაქციის ცნობით, ლექსს თან ახლდა ვაჟას მიერ შიოსადმი
ნაჩუქარი კალამიც.

შიო მღვიმელის მხატვრული გატაცების საგანი საბავშვო
პოეზია იყო, თუმცა იგი ზოგჯერ დიდებისათვისაც წერდა. პო-
ეტი ბავშვთა თვითცნობიერების ამაღლებას, მათი ეთიკურ-ეს-
თეტიკური და მხატვრული ხედვის გაფართოებას მწერლის
წმიდათანმიდა ვალად თვლიდა. მისი რწმენით, ბუნება და
ცხოვრება, ბავშვთა სამყარო სავსე იყო უდიდესი სულიერი ფასე-
ულობებით. ეს ფასეულობები საბავშვო პოეტისაგან ითხოვდა დიდ
დაკვირვებას, უშუალო გრძნობების მოხდენილად გამოხატვას.
შიო მღვიმელი ყველგან დაეძებდა სიკეთის გრძნობის აღმძვრელ და
სასიხარულო განწყობილებების დამამკვიდრებელ და, რაც მთავა-
რია, ბავშვთა ფანტაზიისათვის სასურველ მასალას. ასეთი მასალა
აურაცხელია ბუნებასა თუ ცხოვრებაში, მაგრამ მის გადაქცევას
სიბრძნის გამომთქმელ ფასეულობებად უძლიერესი მხატვრული
აზროვნება სჭირდება. ძლიერი ფანტაზიით, კეთილი, ბავშვურად



წრფელი გულით გარდასახავდა შიო მღვიმელი ბუნების ქმნილებებს მხატვრულ ღირებულებებად. პიროვნული პოეტური ნიჭი ჰქონილი უსაზღვრო უშუალობა ბადებდა მასში დიდ პოეტს. შიო მღვიმელის მხატვრული ფანტაზია სწვდებოდა ყველაფერს, რაც ბუნებიდან და საზოგადოებიდან თვალს იტაცებდა. მისი რწმენით, ბუნებისა და ადამიანების ერთიანობა იყო სიბრძნის, სიკეთისა და პოეზიის საფუძველთასაფუძველი. შიო მღვიმელი საბავშვო პოეზიის საძირკვლად ბუნების ნიაღში და ადამიანთა გარემოში ნაპოვნი ნაირგვარი ღირებულებების სიმრავლეს მიიჩნევს. პოეტი მოზარდებს თავისი ლექსებით, უწინარეს ყოვლისა, სიკეთეს, პატიოსნებას, სიყვარულს, გონიერებასა და იმედის ძალას ჩააგონებდა; ამასთანავე, ბუნებაზე დამყარებული საბავშვო პოეზია მათ გზას უხსნის მშობლიური გარემოს და მთელი ფლორისა და ფაუნის დაფასებისაკენ. შიო მღვიმელი ბედნიერად გრძნობს თავს, როცა იმყოფება ბავშვების მიერ გამოხატული სიყვარულისა და სიხარულის გარემოში. ამ ბედნიერებას აორმაგებს ბავშვების ბუნების ქმნილებებთან კეთილი თანამოქმედება. საერთოდაც, მწერლის აზრით, ბავშვი, ვინც უნდა იყოს ეროვნებით თუ წოდებრივად, ერთნაირად საყვარელი და დასაფასებელია:

„მაშინა ვარ ბედნიერი,
მხოლოდ მაშინ ტკბება გული,
როცა მესმის ნორჩი ყრმების
სიცელქე და ურიამული.
... ვისიც უნდა იყოს ბალლი,
ჩემთვის განურჩეველია,
ვიცი, მისი ნორჩი გული
სიყვარულის მფრქვეველია!“
(„მაშინა ვარ ბედნიერი“).

პოეტურ ფანტაზიას ბავშვის მრავალი თვისება მთელი უშუალობითა და მრავალფეროვნებით ბუნების ნიაღში გადააქვს, ხოლო ბუნების ნიაღში ნაპოვნი, გაადამიანურებული ღირებულებები კი სოციალურ გარემოში შემოაქვს. ასეთი მხატვრულად გარდასახული უთვალავი საგან-მოვლენები განუზომელი მასშტაბით უცვლიან სახეს სინამდვილეს. ბუნების ქმნილებათა პოეტური გარდასახვით ხშირად სრულიდ ახალი სახე ეძლევა კონკრეტულ მოვლენებს. ბუნებრივ საგანთა მხატვრული განახლება თავისებური საწინდარია მომხმარებლის გრძნობად-ინტელექტუალური შესაძლებლობების



განვითარებისა. საკმარისისა, ამ თვალსაზრისით შევაფასოთ შინო მღვიმელის თუნდაც ის საბავშვო ლექსები, რომელიც წლების დროთა უთვალავ თავისებურებას პოეტურად განასახიერებენ. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ჯერ ერთიმეორისაგან არიან განსხვავებულნი, ხოლო შემდეგ ცალკეული მათგანი თავის შინაგან წყობაში ნარმოაჩენს მრავალ სხვაობას.

მწერალს ათეულობით აქვს დაწერილი წლის დროთა შესახებ საბავშვო ლექსები, რადგან ერთი ლექსი ვერანაირად ვერ დაიტევდა მათს მრავალფეროვნებას. პოეტი დიდი მხატვრული ოსტატობით გამოკვეთდა წლის დროთა ურთიერთისაგან განსხვავებას და ამით ბუნების მთელი სიდიადის თანაზიარად აქცევდა თაობებს. იგი ბუნების სიკეთის, სიბრძნისა და მშვენიერების მადლს უხვად სთავაზობდა ყმანვილებს: „მარტი გავიდა, გათბა დღე, / დარები დგება მზიანი, / მინა გაფუვდა, ბუჩქებში / ამოჩენილანიანი. / მოფრინდა გვრიტი, შოშია, / ოფოფი სავარცხლიანი; / მწვანედ ბიბინებს მინდორი, / ოლე და ველი ცვრიანი“. („გაზაფხული“); ზაფხულს თავისი ელფერი და შინაარსიახლავს: „აერა, დადგა ზაფხულიც, / გადაოქროვდნენ ველები; / შემოსულ ქერს და ბალახსა / მოუღერიათყველები. / სათიბში ალმასებივით დასრიალებენ ცელები, / გადაქვთ გვერდზე ბალახი, / ზვინებად დასადგმელები. („ზაფხული“); შემოდგომა ყვითლად უცვლის ფერს გარემოს, აღარჩანან მერცხლები, არც ყვავილები, მხოლოდ ხილისა და ყურძნის კრეფაა გაჩაღებული: „ტყეს გადაეკრა სიყვითლე, / ფერი შეუკრთა ჭალებსა, / მინდვრები გადაიგოხნენ, / საძილედ ხუჭვენ თვალებსა. / ველარსად ვხედავთ მერცხლებსა, / ფრთაცქვიტებს, მეტად მალებსა... / ათასგვარ მრავალ ყვავილებს, / ფერით მუქსა და მკრთალებსა“. („შემოდგომა“); ზამთარი თოვლ-ყინულის მჭმუნვარე და სევდიანი ბატონია. ყინვამ გლეხის შრომა შეაჩერა და სოფელიც უჩვეულოდ დადუმდა: „ყინვამ აჯობა სითბოსა, / ძალით ნაართვა ბუდეო, / მდინარესა და წყაროსა / მოავლო თოვლის ზღუდეო. / მინყნარ-მიჩუმდა სოფელი, / გლეხის მარჯვენა ძლიერი; / ფიქრებს მიეცა მთა-ველი, / როგორც მოხუცი ხნიერი“. („ზამთარი“).

შიო მღვიმელი დიდი მონდომებით ირჯებოდა იმისათვის, რომ სამყარო-ბუნება და სხვადასხვა ასაკის ბავშვების ცხოვრება სიკეთისა და მშვენიერების ერთობად წარმოედგინა. ამგვარი ყოვლისმომცველი ბუნებისეული და წმინდა ადამიანური ღირებულების განვითარებისა. საკმარისისა, ამ თვალსაზრისით შევაფასოთ შინო მღვიმელის თუნდაც ის საბავშვო ლექსები, რომელიც წლების დროთა ურთიერთისაგან განასახიერებენ. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ჯერ ერთიმეორისაგან არიან განსხვავებულნი, ხოლო შემდეგ ცალკეული მათგანი თავის შინაგან წყობაში ნარმოაჩენს მრავალ სხვაობას.

զեծուս մեսագրողով ցանսակոյերեծոտ პուրագո մոմազալո տառձեզթեց յուրաց և ստեղքոյց ուր օդեալցքն սրյալպոտքա. տառտառ մերա լուց մթոճելո կը ցնուս ծյունեծուս նուալութա ծյունեծուսաց տառալցեծոտ ովքիրեծութա յաբու ցեղարեծամո գուցե ծյունեծուսա դա ծավալցեծուս եսու աւեծուս նաօրցարոնծուս շըսացնոնաց. ամուս ցամուց մուս մլզոմելուս շըմոյմելցեծամո շեցագ իծագեծութա սածացալցու լոյցէսեծուս, პուրեծուսա դա ზլաթրեծուս ցավալասատցուս մուսանոն նոմշյեծու. ցուս ար աեսոցս մուս լոյցէսեծու: „գուլա“, „ուա“, „ուա դա միջ“, „ուուս նամթոնծու“, „պայս-իու“, „վարժու“, „չեցուլու“, „նացեծու“, „ցածացթշնու“, „პուրցելո ցա- թացթշնու“, „ზացթշնու“, „շըմուցցոմա“, „ზամտարու“, „մերցեալո դա ծավալցու“, „մերցելուս սոմլցերու“, „ծյուլծյուլո“, „գուրուլու“, „ցուցացու“, „ցուցացու“, „ուրցու“, „մասու“, „ցուսարգույլա“... պուրեծու: „ծելցուրա հիւգուս ամծացու“, „վանու“, „մերցեալու“, „մլզուս սոյցալցու“; ցագմո- կցեցեծյուլո դա որոցնալցուրո ზլաթրեծու: „հիւգու դա մելու“, „րնցո- լու դա ժուանչուցու“, „ոյշրու տացտացու“, „մյոննու“, „նագւրու“ դա սեցա. մուս մլզոմելուս ոնցիրեցուս մոմարտուլո ոյս ոյնուցու, րոմ ծյուն- եծուս յմնուլցեծատա տցուտպոցգունա, մատու մրացալցունյցուրո մոծ- րաոնա-ցավալցեծագունա մարալու պուրցուրո ուսգագունուտ ցոյցուլուց ու ցավաշուրեծյուլո ծավալցտա սոյլուցու սամպարու օգումալցեծետան. մերա լու ցամոյութմելու ալլունու ասելուցեծդա ծավալցեծուս եսուսատ ծյունեծուս նաօր-նաօր յմնուլցեծետան, րուտաց ցանսացուրեծյուլո ծա- լուտ ալամանցեծդա ծյունեծերոցուսա դա նմոնճա ադամունուրուս ուրտուր- տմոմարտուցեծուս նոնարս. այս րոմ, ցավալա գրումո ծյունեծա դա ադամունցեծու ցանունցուցու ացեսեծդնեն յրտմանցուտ սոյցետու, սոծ- րենուտ դա մլզունուրեծուս ենուցուս նցուրցուլուտ. ծավալցտա սաունցեծու ցարցումունու իծագեծա յուտցալացու սուսելու. ցուս մուս ցոյլուսեմունքն սոմ ծյունեծա դա ցեղարեծա մլզոմուցու սամորցույլուս պուրցուրո ցրենուց- եծուս, ցանուցեծուս դա մեսացուրուլո ածրուցնեծուս. ցայս-ցիմաց ծյունեծուս դա ադամունուս ծրենուլո ցավալուրուս յրտ-յրտու յուծագլու շըմցասեցելու, սամպար-ծյունեծա չեր ծոլոմուց մլզունուն սոծր- ենուս նոցն սունուցեծդա. ցայս- մրնամեսուտ, ադամուն ծյունեծամ արա մարգու սացուրետարու տացու յոնճա ցանսացնուս, արամեց մաս տացուսու սոյ- լուցու մոխան-լուրեծյուլցեծուս նարմոհենաց յոնճա մոստեօցուն. ծյունեծուս մլզունուրեծուս պուրցուրո ցանսակոյերեծու, մուս լորմա դա մրացալմերոցու ցուլուսուրու նաչրեցու կը տուլուսմպոցուլո ան- րացու յմինեցա մուս մլզոմելուս շըմոյմելցեծա. նուս մլզոմելուս



გარდა, ბუნების მხატვრული განცდის თვალსაზრისით კულტურული ველას მხატვრულ-ფილოსოფიური ნააზრევი იმ დროის სხვა პოეტ-საც არ ტოვებდა გულგრილად. ვაუ „ბავშვთ გულის მესაიდუმლეს“ უწოდებდა შიოს, ხოლო თვითონ შიო კი ფშაური კილოკავით მას „ძმობილობით“ მიმართავდა. ასეთი გულითადობა ცხადყოფდა, რომ მეგობარი პოეტების შეხედულებები ერთიმეორეს არასოდეს დაუპირისპირდებოდა. შიო მღვიმელის საბავშვო პოეზიის თავისებურებები კი მრავალი ასპექტით ენათესავებოდა ვაუს პოეტურ ნააზრევს.



ნიგი და შეოვება

ხათუნა მემანიშვილი

აკაკი წერეთლის მხატვრული განსახიერების ერთი თავისებურება

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, სხვა მრავალ ასპექტთან ერთად, გამოიჩინა ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი მკვეთრად გამოხატული ინტერესით. ამ ინტერესმა ჯერ კიდევ ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში იჩინა თავი. მართალია, სხვადასხვა დოზით და გამიზნულობით, მაგრამ იგი პრაქტიკულად ყოველი მათგანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში აისახა. -

თუმცა საქართველოს ისტორიის გაცოცხლება და აქტუალიზაცია მაინც 60-იანების სახელთანაა დაკავშირებული. ამ პერიოდის მოღვაწეებმა საწანადოდ დააფასეს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, მისი როლი ანტყოსა და მომავლის საშენებლად და, რაც განსაკუთრებით დიდ მიღწევას წარმოადგენს, თანამედროვე ქართველ საზოგადოებას მთელი სიმძაფრით გაუსიგრძეგანეს ისტორიული წარსულის ღრმად შესწავლის, მასთან მუდმივად კავშირში ყოფნის გადამწყვეტი მნიშვნელობა. „ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა თავიანთ ერთ უდიდეს ამოცანად აქციეს ქართველი ხალხის ლამის განყვეტილი კავშირის აღდგენა წარსულთან, ისტორიასთან, წარსულის თანამედროვეობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად ქცევა, ერის სამსახურში მისი ჩაყენება, და ამოცანის გადაჭრას სხვადასხვა გზითა და საშუალებით მოუქანცავად ახორციელებდნენ კიდეც“ (ლადო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1995, გვ. 157).

აკაკი წერეთელმა საქართველოს ისტორიას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღგილი თავის მხატვრულ შემოქმედებაში დაუმო. მისმა შექმნილმა ისტორიულმა ნაწარმოებებმა პრაქტიკულად შველა ჟანრი მოიცვა – პოეზია, პროზა, დრამა.

ცნობილია ილია ჭავჭავაძის სახელმძღვანელო მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ წარმოებს შეიძლება ეწოდოს ისტორიული

– მან თვალწინ უნდა გაგვიტაროს „...ან ისტორიული კაცი ვიზიმე თავის ავკარგიანობითა, ან თვითონ ცხოვრება, კერძო თუ საზოგადოებური, რომელისამე ნარსულის დროსი და ეპოქისა; გვაჩვენოს, რა აზრი, რა გულისტყვივილი, რა სწრაფვა სულისა, რა გონებაგახსნილობა, რა ზნე-ჩვეულება ხელთ ჰქონია მაშინდელობას კერძო ცხოვრებისა თუ საზოგადოებურის ასე თუ ისე ნარსამართავად“. გვაჩვენოს, „იმ დროს რა შესძლებია, რა კაცები შეუქმნია, რა ავკარგიანობა, მეტნაკლებობა ჰქონია; აი, მაშინდელი კაცი, რა აზრით, რა ფიქრით, რა გრძნობით, რა ძლიერებით თუ უძლურებით შეპტმია თავის საკუთარს თუ საქვეყნო საქმეს და რა ზნე-ჩვეულებას უტარებია დროთა ვითარების გზაზე“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი მე-5, თბილისი, 1999, გვ. 497-498).

უნდა დავასკვნათ, რომ ნაწარმოების ისტორიულობის პირობას, უპირველეს ყოვლისა, ეპოქის გაცოცხლება, მისი სულიკვეთების გამოხატვა ნარმოადგენს. მაშასადამე, 60-იან წლებამდე, მიუხედავად ისტორიისადმი აშკარად გამოვლენილი ინტერესისა, ჭეშმარიტი ისტორიული ნაწარმოები არ შექმნილა. ისტორიულს ვერც გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ დავარქემევთ და ვერც გრიგოლ რჩეულიშვილის რომელიმე თხზულებას, რადგან ერთ შემთხვევაში ავტორის ამოცანას ისტორიული ნარსულის გაცოცხლება კი არა, გმირ ნინაპართა ღვანილის აღნუსხვა, თავმოყრა და მხატვრული სისტემატიზაცია ნარმოადგენს, მეორე შემთხვევაში კი – სიყვარულის გრძნობის, მისი სხვადასხვაგვარი გამოვლინების დახასიათება.

სრულიად სხვაგვარი ვითარებაა აკაკი წერეთლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ისტორიული ნარსულის ამსახველ მის თხზულებებში ფაქიზი ნიუანსების დონეზე განსახიერებული ეპოქა, მისი თავისებურებები და ისტორიული პერსონაჟების ღრმა და საინტერესო პორტრეტებია მოცემული. ასე აღნევს პოეტი თავის უმთავრეს მიზანს, რაც მკითხველის სულსა და ცნობიერებაში პატრიოტული გრძნობის გაღვივება-დამკვიდრებას, მამულიშვილობის აღზრდას, საზოგადოებისათვის მომავლის იდეალების დასახვას ნარმოადგენს. როგორც მითითებულია, „ისტორიას აკაკი თანამედროვეობის ინტერესებით მიუდგა საზოგადოებაზე გამომაფხლებელი ზემოქმედების მიზნით. ისტორიულმა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მაგალითის, ნიმუშის ძალა შეიძინა“ (ლადო მინაშ-



ვილი, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1995, გვ. 158). სწორედ ამის გამო აკაკი ინტერესდება არა ნებისმიერი ისტორიული ფაქტით, არამედ ირჩევს საქართველოს ისტორიის იმ ეპიზოდებს, რომელთაც შეუძლიათ ღრმა კვალი გაავლონ მყითხველი საზოგადოების ცნობიერებაში და ქვეყნის სამსახურისთვის მათი მზაობა განაპირობონ. „მწერლის ინტერესი განსაკუთრებით მაინც წარსულის ისეთ მოვლენებზე შეჩერდა, რომლებსაც პირდაპირ ანალოგის მნიშვნელობა ენიჭებოდათ დღევანდელობისათვის, ერთი სიტყვით, ჩვენი ისტორიისათვის სპეციფიკურს ხაზავდნენ ამა თუ იმ ნიშნით“ (ლადო მიაშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1995, გვ. 158).

თუმცა აკაკი წერეთლის ისტორიული თხზულებების განხილვისას ზოგ კრიტიკოსს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ეს ნაწარმოებები წარსულის იდეალიზაციას წარმოადგენს. „მისი ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატი“, დრამა „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“, მისი „ბაში-აჩუკი“, ერთი და იმავე აზრით აღსავსენი, სულ სამშობლო ისტორიის იდეალიზაციაა და ამ მხრით იგინი ნამდვილი რომანტიკული წარმოების არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულების გამომსახველი. ეს პოემები და დრამები გვარნენებენ, რომ ძველ საქართველოს მზეზედ არც ერთი შავი ლაქა არ ყოფილა, ყველანი მხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველი სიკეთითა და მშვენებით აღსავსენი“, – წერს კიტა აპაშიძე თავის „ეტიუდებში“ (კიტა აპაშიძე, ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, 1970, გვ. 315). გერონტი ქიქოძესაც მიაჩნია, რომ აკაკის „პატრიოტულ ლირიკას და პოემებს ახასიათებს გადასვლა... თანამედროვე ქართველების გმობიდან წინაპრების იდეალიზაციისკენ“ (აკაკი წერეთელი, რჩეული წარმოები, თბილისი, 1940, შესავალი წერილი, გვ. XII).

დიდი მკვლევრების მიერ გამოთქმული ეს მოსაზრებები საყურადღებოა, რადგან აშკარად მიგვანიშნებს აკაკის ისტორიულ თხზულებებში ისეთი თავისებურებების არსებობაზე, რომელთა საფუძველზე მკითხველს შესაძლებელია შთაბეჭდილება შეექმნას, რომ აკაკი წერეთლის მიერ ასახული ისტორიული წარსული რომანტიკულად იდეალიზებულია. ჩვენი ამოცანაა, გამოვიკვლიოთ და განვმარტოთ ამგვარი შთაბეჭდილების წარმოქმნის საფუძველი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამოციანებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამსახურება სწორედ ლიტერატურის საშუალებით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესე-

ბაში, მკითხველის ცნობიერების აღზრდაში მდგომარეობს. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ისტორიული წარსულის ასახვა მისე გაიდუ-
ალების მიზნით სათანადო სამსახურს ვერ გაუწევდა პოტტი-ჟენტ
არ იყოს, რომელიმე ეპოქის ან, ზოგადად, წარსულის გაიდეალება
მის ყოველ გამოვლინებაში უპირობოდ მხოლოდ დადებითის და-
ნახვას გულისხმობს. აკაკი წერეთლის შემოქმედების ანალიზი კი
სრულიად აცლის საფუძველს ამგვარ შეხედულებას. დიდი პოეტი
სინამდვილეს ასახავს და ამიტომ მისი ყურადღება გამახვილებუ-
ლია საქართველოს ისტორიული წარსულის როგორც პოზიტიურ,
ისე წევატიურ მხარეებზე. მის თხზულებებში არაიშვიათად ვხე-
დავთ მოღალატებებს, სამშობლოს მტრებს, ანგარებიან, სულმოკლე
ან უბასუხისმგებლო ადამიანებს; ნაჩვენებია მორალურ-ზნეობ-
რივი დაცემისა და გადაგვარების, შინაური მტრობა-აშლილობის,
ეროვნულის დავინუყების მძიმე სურათები. ამგვარ გამოვლინებებს
ვხვდებით აკაკის არაერთ ისტორიულ თხზულებაში. ასეთები არიან
„ბაში-აჩუკში“ დახატული მოღალატე თავადები, რომლებსაც ანგა-
რება ამოძრავებთ, სამშობლოს ივინუყებენ და შაპის მიმზრობით პი-
რად კეთილდღეობას იწყობენ; მაგალითად, მაყაშვილი, რომელმაც
ბაში-აჩუკის ხელით ჰპოვა სიკვდილი, მედროვე ჯანდიერი; ასეთია
თიმსალ-მაკო, რომელმაც ადამიანური ღირსება ათას ოქროზე
გაცვალა; ასეთია თამარ დედოფალი დრამაში „თამარ ცბიერი“,
ულამაზესი, მაგრამ ამპარტვავანი, ეგოისტი, სასტიკი, თავისუფა-
ლი ყოფაქცევის ქალი, რომელიც საკუთარი უინის დასაკმაყოფი-
ლებლად უკან არაფერზე იხევს; ასეთია რევაზ ბებურიშვილი დრა-
მაში „პატარა კახი“ – ორპირი, შურისმაძიებელი. იგი მაშინაც კი
ვერ ივინუყებს თავის პირად ინტერესს, როდესაც სამშობლო დიდი
განსაცდელის წინაშე დგას და სხვ. ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკის
არც ის პერსონაჟები გამოჰყავს იდეალურ ადამიანებად, რომელთა
ხასიათსა და ქცევაში დადებითი თვისებები სჭარბობს. ამის წათე-
ლი დასტურია „ბაში-აჩუკის“ მელანო, „თამარ ცბიერის“ გმირები,
რომლებიც, მართალია, ქვეყნის გადასარჩნად, მაგრამ მზად არიან,
ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფონ და ა.შ.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სინამდვილეს არ შე-
ესაბამება მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს აკაკი ისწრაფვის,
ჩვენი ქვეყნის წარსული იდეალიზირებულად გამოსახოს. აშკარაა,
რომ იგი საქართველოს ისტორიაში ღირსეულის გვერდით უღირს-
საც ხედავს, გმირობასთან ერთად ღალატისა და სულმოკლეობის

მაგალითებსაც ამჩნევს და ყველაფერი ეს ასახვას პოულობს მესა
შემოქმედებაში. ასეთ ვითარებაში ზემოხსენებული შთაბეჭდილებული
ბის ასახსნელად ისტორიული სინამდვილის განსახიერების აკაკი-
სეული მეოთხის ანალიზს უნდა მივმართოთ.

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა სიუჟეტი, რომელსაც აკა-
კი იყენებს ისტორიული თხზულების შესაქმნელად. გადაჭარბებუ-
ლი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ აკაკი წერეთელს განსაკუთრებუ-
ლი მოთხოვნილება აქვს, მომხიბვლელი და შთამბეჭდავი სიუჟეტი
შეარჩიოს თავისი ნაწარმოებისათვის. ეს მისი პოეტური ბუნების
კიდევ ერთი გამოვლენაა. ისტორიული წყაროს არსებობის შემთ-
ხვევაში აკაკის არ სჩვევია ამ წყაროდან გადახვევა. სხვა დროს კი
მისთვის სირთულეს არ ნარმოადგენს, თავად შექმნას მოხდენილი
სიუჟეტი. „ბაში-აჩუკის“, „ნათელას“, „თორნიკე ერისთავის“, „ბა-
ტარა კახის“ და სხვ. სიუჟეტები რომანტიკული სულისკვეთებით
არის აღძეჭდილი და ამდენად უკვე წარმტაცი და პოეტურია. მათ
განუმეორებელ ხიბლსა და სილამაზეს მათი აგების თავისებურე-
ბაც განაპირობებს – აკაკი წერეთლის სიუჟეტების განვითარების
საფუძველი ხშირ შემთხვევაში ხდება ისეთი თვისებების გამოვლე-
ნა, როგორიცაა საგმირო საქმეების ჩადენის სურვილი, უმანკო და
გულწრფელი სიყვარულის ნიჭი, რაინდული თავგანწირვა და ა.შ.
ასეთია გლახა ბაქრაძის კახეთში გამგზავრების ამბავი, აბდუშაპი-
ლის ქართველობისაკენ შემოძრუნება, ნათელას და ცოტნეს შეხ-
ვედრა, ნათელას და ნოინის ეპიზოდი და სხვ. ეს საოცნებო თვი-
სებები, რომლებიც აკაკის სიუჟეტების საყრდენს წარმოადგენს,
კიდევ უფრო წარმტაცის ხდის მათ და მეტად ახვევს რომანტიკუ-
ლობის საბურველში. იქვე, გვერდით, აკაკი შემაძრნუნებელ ამბებ-
საც გვიამბობს, მაგრამ ეს ამბებიც კი, საერთო სიუჟეტურ ქარგაში
მოქცეული, მიზიდველი და მომხიბლავია მკითხველისათვის. ამ
განწყობას მოულოდნელობის ეფექტიც ამძაფრებს, რასაც აკაკი
მისთვის ჩვეული ჰიპერბოლიზაციის მოშველიებით აღნევს. ასე-
თია, მაგალითად, ჰირიმთვარისას სიკვდილი „ბაში-აჩუკში“, ახალ-
გაზრდა ქალისათვის სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენე-
ლი ძლვენი „ნათელაში“ – მონლოლთა მოკვეთილი თავები და სხვ.
როგორც მიუთითებენ, „შეიძლება სწორედ იმიტომაც წარმტაცია
ზოგიერთი ამბავი, რომ შემაძრნუნებელია“ (გრიგოლ კიქნაძე, ლი-
ტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1978,
გვ. 279). როგორც ვხედავთ, აკაკის შემთხვევაში ექსპრესიულია,



უპირველეს ყოვლისა, თვით სიუჟეტი. დიდი პოეტის თხზულებუბ-ში ისტორიული რეალობაა ასახული, ოღონდ მასში სხვა ფორმით და „თავისი ბურადაა გადმოცემული ის, რასაც ჩვენ სინამდვილეში ვხვდებით“ (გრიგოლ კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 279). ასეთ ვითარებაში სავსებით შესაძლებელია გაჩნდეს შთაბეჭდილება, რომ ავტორი მიისწოდა თხზულებაში ასახული ეპოქის გაიდეალებისაკენ.

იმისათვის, რომ თხზულებამ ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს მკითხველს და ამით ზემოქმედება მოახდინოს მასზე, დიდი დამარცხუნებელი ძალა უნდა ჰქონდეს. ამდენად, მხატვრული ქმნილების შეფასებისას ნაწარმოების ღირსების, მაღალმხატვრულობის ერთ უმნიშვნელოვანეს საზომად მხატვრული დამაჯერებლობა გვევლინება. ასასახავი ობიექტი, იქნება ეს ადამიანი თუ რაიმე მოვლენა, არ უნდა დაშორდეს თავის ჭეშმარიტ ბუნებას, თავის არსს არ უნდა უდალატოს, რეალურ ობიექტსა და მის მხატვრულ განსახიერებას შორის არ უნდა იყოს თვისობრივი სხვაობა. სწორედ ასე გამოსახვის წყალობით ახერხებს მწერალი თუ პოეტი, ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი თუ პერსონაჟები სქემატურობისაგან გაათავისუფლოს, სინამდვილეს დაუახლოვოს და მკითხველისთვის შთამბეჭდავი, დამაჯერებელი გახადოს. თუმცა აკაკი წერეთლის შემოქმედებასთან შეხებისას ეს სტერეოტიპი ირღვევა. დიდი პოეტი თავის თხზულებებში ხშირად ამბობს უარს მხატვრული დამაჯერებლობის დაცვაზე. როდესაც მისი ნაწარმოების გმირები პრინციპული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებას იღებენ ან საბედისწერო, სასიცოცხლო ნაბიჯის გადადგმას აპირებენ, აკაკი ყოველთვის არ გვიჩვენებს იმ დიდ შინაგან ჭიდილს, დრამას, რაც, ჩვეულებრივ, ამგვარ ცხოვრებისეულ მომენტებს უძღვის ხოლმენინ და რისი ასახვაც ერთი შეხედვით აუცილებლად გვეჩვენება: კახეთის გმირები, შალვა, ელიზბარი და ბიძინა გადაწყვეტენ, ნებით ეახლონ შაჳს და ამით ხელახალი დარბევისაგან იხსნან სამშობლო. მათ კარგად იციან, რომ უეჭველი სიკვდილის შესახვედრად მიემგზავრებიან, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ეტყობა სინანული ყველაფერ იმის გამო, რაც მათ უყვართ და რასაც სამუდამოდ სტოვებენ. პირიქით, მათი საქციელი, სიტყვები გამგზავრების წინ საზიმო და ამაღლევებელია. სპარსეთში აღზრდილი აბდუშაპილი უყოყმანოდ სტოვებს ყველაფერს, რაც ადრე თავისად მიაჩნდა, სრულიად დაუძაბავად შემობრუნდება ქართველობისაკენ და მაშინვე, დაუფიქ-

რებლად, სიხარულით ახლადმოვლენილი სამშობლოს სამსახურში დგება. იმერეთის დედოფალი თამარი, როდესაც გაიაზრებს თავისტანისათვის, საკუთარი ხელით ისწრაფებს სიცოცხლეს. აკაკი არც ამ შემთხვევაში თვლის საჭიროდ იმ მძიმე სულიერი ბრძოლის ასახვას, რომელიც უეჭველად დაეუფლებოდა ადამიანს ასეთ ვითარებაში. თამარ დედოფლის სიკვდილიც, კახეთის გმირების უკანასკნელი საუბრის ეპიზოდის მსგავსად, სიღიადითა და ზეიმურობითაა აღნებეჭდილი. არავითარი ყოყმანი, არავითარი ეჭვი არ შეინიშნება ცოტნე დადიანის ან ნათელას საქციელში მონღოლთა ნოინთან გამგზავრების წინ და ა.შ. ამგვარი მაგალითების გვერდით აკაკი წერეთლის თხზულებებში შინაგანი ჭიდილის, ადამიანის გულში მიმდინარე ორთაბრძოლის ეპიზოდებიც მრავლადაა ასახული. ისინი არაერთგზის გვხვდება „პატარა კახშიც“, „თორნიკე ერისთავშიც“, „ნათელაშიც“ და სხვა ნანარმოებებშიც. დაკვირვების საფუძველზე აშკარა ხდება, რომ დიდი პოეტი ადამიანის სულში არსებულ დრამას, შინაგან სიმძიმეს, ტკივილს არ აჩვენებს იქ, სადაც სამშობლოსათვის მსხვერპლის გაღების ეპიზოდს გვიხატავს. პირიქით, ეს - ეპიზოდები დიადი და საზეიმო განწყობითაა ნარმოდგენილი. სრულიად ნათელი ხდება, რომ ამ შემთხვევაში აკაკი მიისწრაფვის ხაზი გაუსვას და ცხადყოს მამულის სამსახურში დგომის, მისთვის თავ-განწირვის კეთილშობილება, ამაღლებულობა და სილამაზე. რაც უფრო ლამაზია, რაც უფრო კეთილშობილური, სულგრძელობით აღნებეჭდილი და ამაღლელებელია ამბავი, მით უფრო სასურველი, დასამახსოვრებელი და სანატრელია მკითხველისათვის. ამრიგად, საკუთარი თავის ქვეყნისადმი მსხვერპლად მიტანის ეს ეპიზოდები მკითხველის ცნობიერებაში იქრება არა როგორც მძიმე გადაწყვეტილების შედეგი, არამედ, როგორც საოცნებო, სასურველი, სანატრელი რამ, საითკენაც ისწრაფვის კაცის გული. ე.ი. მხატვრულ დამაჯერებლობას აკაკი ადამიანის შინაგან სამყაროში არსებული დრამის ჩვენებით კი არ აღწევს, მამულიშვილობის სილამაზესა და კეთილშობილებას უცნობიერებს მკითხველს. სწორედ ეს არის დიდი ზემოქმედების ძალის მქონე აკაკისეული ხერხი. ამით ახდენს შთაბეჭდილებას და მკითხველის ცნობიერებიდან მოუცილებელს ხდის ამ პერსონაჟებსაც და მათ საქციელსაც. ეს დარწმუნების სრულიად უჩვეულო, მხოლოდ აკაკისთვის დამახასიათებელი საშუალებაა. სავსებით აშკარაა, რომ ეს არის არა გაიდეალებისაკენ

სწრაფვა, არამედ მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისამსგანკეთ დიდ პოეტს მრავლად მოეპოვება.

ასეთია, შთაბეჭდილების გაზრდის მიზნით, ერთი მხრივ, მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება და, მეორე მხრივ, პოეტური სილამაზითა და სითბოთი აღბეჭდილი ეპიზოდების ჩართვა ნაწარმოებში, კონტრასტული ამბებისა თუ მხატვრული სახეების მონაცვლეობა, ჰიპერბოლიზაცია, რომელიც აკაკის ნაამბობს ზღაპრულ ელფერს ანიჭებს და ამით ჩვეულებრივ, პროზაულ ამბავს პოეტური სიმსუბუქით ნარმოგვიდგენს და ა.შ.

სიმსუბუქისა და ამაღლებულობის განცდა, რომელიც აკაკი წერეთლის ისტორიული თხზულებების წაკითხვისას გვეუფლება, ამ ნაწარმოებების დასასრულითაც არის განპირობებული. საზოგადოდ ცნობილია, რომ „აკაკის პოეტური ნიჭისათვის ტრაგიკული არ ნარმოადგენს საყრდენს“ (ლადო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1995, გვ. 160). საქართველოს ისტორიული წარსულის ურთულესი და საბედისწერო ეპიზოდებიც კი აკაკისთან იმგვარადა გადმოცემული, რომ შეანელოს მათი სიმძიმე, არ დათურგუნოს მკითხველი, პირიქით, სიცოცხლისა და სიკეთის რწმენა განუმტკიცოს, მხნეობა შემატოს და მიწიდან მაღლა აზიდოს. აკაკის არ სჩვევია თავისი მკითხველის უსამართლობის, გაუტანლობის, საშინელების წრეში მოქცევა. „თორნიკე ერისთავის“, „ნათელას“, „ბაგრატ დიდის“, „ბაში-აჩუკის“ და სხვა თხზულებათა დასასრული ბედნიერების რწმენას უმტკიცებს მკითხველს და იმედს უღვივებს გულში, რომ სიკეთე გაიმარჯვებს, რომ ადამიანის მცდელობა ადრე თუ გვიან უეჭველად გამოიღებს კეთილ ნაყოფს, რომ ადამიანებს ძალუბთ უკეთესი მომავლის შექმნა. ამგვარი იმედიანი დასასრული მკითხველს ცხოვრების ხალის მატებს და აქტივობისათვის განაწყობს.

მხატვრული გამოსახვის აკაკისეული მეთოდების გაანალიზების საფუძველზე „სრულიად უეჭველია მწერლის პოეტური მიდრეკილება – ამაღლდეს უხეშ სინამდვილეზე, ჩვენც გაგვიტაცოს და აგვაგზნოს ისე, როგორც ეს პოეზიას ევალება და შეუძლია“ (გრიგოლ კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი,..., გვ. 281). ეს არის აკაკი წერეთლის უმთავრესი ამოცანის გადაჭრის მხატვრული გზა, რომელიც დაქვემდებარებულია ერთ მიზანს – არა წარსულში ჩარჩენას, მის იდეალიზირებას, არამედ უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად ერისათვის მაგალითების დასახვას.



მაია მიძაპერიძე

პლატონ იოსელიანი – აირველი ქართული პეტლური კალენდრის გამომცემელი

პლატონ იოსელიანი (1809-1875 წ.წ.) ქართულ სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. იგი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საყოველთაო უიმედობისა და ნიპილიზმის პერიოდში ჯიუტად იკვლევდნენ ქართული ისტორიისა და კულტურის საკითხებს და თავიანთი აქტიურობით საფუძველს უქმნიდნენ თერგდალეულების მისწრაფებებს ქვეყნის ეროვნული და კულტურული აღორძინებაში.

პლატონ იოსელიანი იყო ისტორიკოსი, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი და გამომცემელი, აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებს ქართულ და რუსულ პრესაში. იმოგზაურა და აღწერა საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები. ეწეოდა უურნალისტურ საქმიანობას. რამდენიმე წლის განმავლობაში რედაქტორობდა თბილისში გამომავალ რუსულ გაზეთს „Закавказский Вестник“ („კავკასიის მხარეთა უწყებანი“). ამავე დროს, პლატონ იოსელიანი მუშაობდა ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე. მისი ავტორობით რამდენჯერმე გამოიცა ქართული ანბანის სახელმძღვანელოები და ენათმეცნიერული ნაშრომი „პირუელ-დანცებითნი კანონი ქართულის ღრამმატიკის“.

პლატონ იოსელიანის მრავალმხრივი მოღვაწეობის კიდევ ერთი მიმართულებაა კალენდრების გამოცემა.

საინტერესოა ის გზა, რითაც კალენდრების ბეჭდვისა და გამოყენების კულტურამ მოაღწია საქართველომდე. როგორც ცნობილია, პირველი სტამბური შრიიფტით დაბეჭდილი კალენდარი გამოსცა იოპან გუტენბერგმა ბიბლიის დაბეჭდვიდან 8 წლის შემდეგ,



1448 წელს. ეს იყო 67x72 ზომის ფურცელზე მოთავსებული კედლის კალენდარი. ზოგადად, კალენდრები სხვადასხვაგვარია ფორმისა და შინაარსის მიხედვით. კედლის კალენდრის პარალელურად იყენებდნენ კედლის მოსახვე კალენდარს, მაგიდის კალენდარს, ჯიბის კალენდარს და ა. შ. ყველაზე საინტერესო ინფორმაციული ტევადობისა და მნიშვნელობის მხრივ აღმოჩნდა ნიგნის ფორმით დაბეჭდილი კალენდრები, რომლებიც ძირითად ინფორმაციასთან ერთად, რაც გულისხმობს წლის თვეებისა და დღეების ჩამონათვალს, შეიცავდნენ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ, რელიგიურ, ისტორიულ, კულტურულ და სხვა სახის მონაცემებს.

ევროპაში დამკვიდრებული კალენდრის გამოცემის ტრადიცია თანდათან გავრცელდა რუსეთშიც, სადაც პეტრე პირველის ბრძანებით 1709 წელს პირველად გამოიცა ნიგნადი კალენდარი, ე.ნ. „ბრიუსის კალენდარი“ („Брюсов календарь“). მეფისავე ბრძანებით იმ დროიდან რუსეთში ყველანაირი კალენდრის დაბეჭდვის უფლება მხოლოდ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას მიენიჭა, რომელიც ამ უფლებით სარგებლობდა მე-19 საუკუნის ბოლომდე.

როგორც ცნობილია, ევროპული კულტურის ბევრი ელემენტი რუსეთის გზით შემოვიდა საქართველოში და თანდათან მოიკიდა ფეხი. გაჩნდა მრავალი სიახლე, რომლებსაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბითაც პირველობის პრეტენზია ჰქონდა. მაგალითად, ასეთი იყო კავკასიაში პირველი პერიოდული გამოცემა, ქართულენოვანი გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ (1819 წ.), პირველი ქართული უურნალი „სალიტერატურნი ნაწილი „ტფილისის უწყებათანი“ (1832 წ.). სწორედ ამავე პერიოდს განეკუთვნება პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული პირველი ქართული ბეჭდური კალენდარი – „კალენდარი ანუ თთუტთა-რიცხუაობა 1840 წლისა შეწყობილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისა მიერ. აღბეჭდილი ქ. ტფილისს, ნიგნთ-საბეჭდავსა ი. და დ. არზა-ნოვთასა. 1840“ [1].

მომდევნო წელს პლატონ იოსელიანმა გამოსცა მეორე კალენდარიც – „კალენდარი ანუ თთუტთა-რიცხუანობა 1841 წლისა, შეწყობილი პლატონ ეგნატისა-ძის იოსელიანისა მიერ. აღბეჭდილი ქ. ტფილისს ნიგნთ-საბეჭდავსა ი. და დ. არზანოვთასა. 1841“ [2].


კალენდრის გამოცემის აუცილებლობას პ. იოსელიანი ხსნიდა იმით, რომ ადამიანებს საეკლესიო და სხვა საჭირო ცნობების მოსაძიებლად ქართულ ენაზე არ ჰქონდათ კალენდარი. მას სასარგებ-

ლოდ ჩაუთვლია, რომ თანამე-
გამულებისათვის შეედგინა
მცირე კალენდარი, რომელ-
შიც შევიდოდა ინფორმაცია
როგორც საეკლესიო დღესას-
ნაულების, ისე სამოქალაქო
და სამეცნიერო საკითხების
შესახებ. 1840 წლის კალენდ-
რის დასაწყისში მოთავსებულ
ნინასიტყვაობაში იგი წერს:
„უნციან ყოველთა, რომელ
ქართულსა ენასა ზედა, ვიდრე
აქამომდე არა ჰქონიესთ ქარ-
თულთა კალენდარი. ამისა
მიზეზისათვის მოსაძიებლად
რაოდენთამე და რომელთამე
სახმართა მათთვს ცნობართა
იქონიებდენ მარადის უამნ-
სა ეკლესიურსა და ამასაცა
ვიეთნიმე; ხოლო რადგანაც
თვით წიგნიცა ესე არა ყოველ-
თავე აჩუენებს ცნობათა ცუალებათა გამო თვით დღესასწაულთა-
სა, ამის-თვის შევრაცხე სასარგებლოდ, რათა მემამულეთათვის
ჩემთა შემედგინა მცირე ესე კალენდარი მაჩუენებელი ცნობათა
ყოველთათვის საჭიროთა ვითარცა ეკლესიურთა დღეთასა, ეგ-
რეთცა სამოქალაქოთა და სამეცნიეროთა უნციანი.

ტფილისის სემინარიასა შინა ფილოსოფიისა და ფიზიკისა მას-
ნავლებელი, ღუთის-მეტყუელებისა კანდიდატი პლატონ იოსელი-
ანი.

1839 წელსა სექემბრის 29 დღესა“.

პ. იოსელიანს განათლება სანქტ-პეტერბურგში ჰქონდა მიღე-
ბული. სავარაუდოდ, რუსეთის დედაქალაქში ყოფნის პერიოდში
მას მიეცა საშუალება კარგად გასცნობდა არა მარტო რუსულ,
არამედ ევროპის ქვეყნებში დაბეჭდილ კალენდრებსაც. ქართული
კალენდრების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემდგენელი
ითვალისწინებს და იცავს ასეთი ტიპის გამოცემისთვის დამახასი-
ათებელ ზოგად სტრუქტურას. ასევე დაცულია სასულიერო, საერო




და სამეცნიერო ცნობების ლაკონური გადმოცემის სტილი. გარდა ამისა, კალენდრების სხვადასხვა მონაკვეთში შესული ცნობების ერთი ნაწილი აღებულია რუსული (რუსეთის სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის 1840 წლის კალენდარი), ფრანგული (კონრად მალტ-ბრუნის „გეოგრაფია“) და გრძმანული (ბრიუკენ-რის „გეოგრაფია“) წიგნებიდან. ამასთანავე, შემდგენელი ყოველ ჯერზე ზუსტად უთითებს გამოყენებული წყაროების ტომის ნომრებსა და გვერდებს.

ორივე კალენდრის პირველი ნაწილები სტრუქტურულად ერთგვაროვანია და შედგება შემდეგი მონაკვეთებისაგან:

- **„დაწყება კალენდარისა“** – პირველ მონაკვეთში ახსნილია კალენდრის, როგორც წელთაღრიცხვის სისტემის არსი, მოცემულია ასტრონომიული ხასიათის ცნობები, განმარტებულია სხვადასხვა წელთაღრიცხვის წარმოშობის მიზეზები. 1841 წლის კალენდრის შესაბამის მონაკვეთს დამატებული აქვს ტექსტი სათაურით „ლექსისათვის: კალენდარი“, რომელშიც მოცემულია ამ ტერმინის ეტიმოლოგიური ახსნა, კალენდრების პრაქტიკული დანიშნულება, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყანაში მათი გამოყენების ტრადიცია.
- **„განწილება წელიწადისა“** – შეიცავს წელიწადის შემადგენელი ნაწილების განმარტებას და სხვა სახის ასტრონომიული შინაარსის ცნობებს;
- **„სახელი წმიდათა და ეკკლესიურნი დღესასწაულნი“** – წლის კალენდარული რიგით ჩამოთვლილია თვეებისა და დღეების მიხედვით წმინდანთა ხსენებანი, ანუ დღესასწაულები;
- **„დღესასწაულობისა დღენი ქართულთა ეკკლესიისა წმინდათა“** – ცალკე გამოყოფილია ქართული ეკლესიის წმინდანთა ხსენებანი, ანუ დღესასწაულები;
- **„საუფლონი და სამოქალაქონი დღესასწაულთა დღენი“** – დღესასწაულთა აღნიშვნის პარალელურად მითითებულია საიმპერატორო ოჯახის იმ წევრთა სახელები, რომელთა დაბადების ან სახელწოდების დღეც არის.
- **„დიდი რუსეთის იმპერატორის კარი“** – ჩამოთვლილია რუსეთის საიმპერატორის ოჯახის წევრთა სახელები მათი დაბადების თარიღის მითითებით.
- **„პასხალია ეკკლესიისა“** – 1840 წელს მარხვისა და ხსნილი დღეების ჩამონათვალი;

- „დაბადება და მოკლება მთოვარ“ – მთვარის სისავსისა და სიმოწილის დღეთა ჩამონათვალი;
 - „მზისა და მთოვარის დაბნელების უამი“ – მზისა და მთვარის დაბნელების დღეები და საათები 1840 წლისათვის. ამ მონაკვეთებს 1841 წლის კალენდარში დაემატა ახალი ნაწილები:
 - „აღმოსულა და შთასულა მზისა თფილისა შინა“ – ყოველი თვის ყოველ 10 დღეში თბილისში მზის ამოსვლა და ჩასვლა საათებისა და წუთების აღნიშვნით;
 - „საქართულო-იმერეთისა და კასპიის გუბერნიათა და სხუათა კავკასიის აქეთ მდებარეთა ქალაქთა და ადგილთა სიშორე თფილისითგან“ – მანძილის აღსანიშნად გამოყენებულია სიგრძის ერთეული ვერსტი;
 - „რიცხვი მცხოვრებთა“ – მოცემულია დედამიწის ხუთივე კონტინენტის მაცხოვრებელთა რაოდენობა მილიონებში და ენების რაოდენობა;
 - „სიმაღლე სხუათა და სხუათა მთათა ქუეყანასა ზედა“ – სხვადასხვა ქვეყანაში მთების სიმაღლე;
 - „რიცხვი მცხოვრებთა კავკასიის მთათა და კავკასიის აქეთა მხარეთა შინა“ – კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ჩამონათვალი (1834 წლის მონაცემები);
 - „რიცხვი მოსწავლეთა და მასწავლებელთა კავკასიის აქეთა სასწავლებელთა შინა“ – მოცემულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა:
1. თბილისის სემინარიასა და, აგრეთვე, გორში, თელავში, ქუთაისში, რაჭასა და სამეგრელოში მოქმედ სამაზრო სასწავლებლებში;
 2. თბილისის გიმნაზიისა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქის გიმნაზიებში;
 3. კავკასიაში მოქმედი სხვადასხვა სარწმუნოებისა და ერის სასწავლებლებში.
- „სახმარნი ცნობანი“ – მსოფლიოს კულტურული და ეკონომიკური განვითარების აღმნიშვნელი ფაქტების ჩამონათვალი თარიღების მითითებით.

1840 წლის კალენდრის ბოლო ფურცელზე მოცემულია ი. და დ. არზანოვების სტამბაში დაბეჭდილი გასაყიდი წიგნების სია შესაბამისი ფასებით.



ეს სია, ერთი მხრივ, სამართლებულის
ტერიტორია ნიგნმცოდნეობის
თვალსაზრისით, რადგან მო-
ცემულია კონკრეტული ინ-
ფორმაცია მე-19 საუკუნის
40-იან წლებში საქართველო-
ში დაბეჭდილი ნიგნების შე-
სახებ როგორც ქართულ, ისე
სომხურ და თათრულ ენებზე.
მეორე მხრივ კი, ვგებულობთ,
რომ პლატონ იოსელიანის
მიერ შედგენილ კალენდართან
ერთად გამოსულა სომხური კა-
ლენდარიც (შამხაროვის შედ-
გენილი). დღეისათვის ცნობი-
ლი არაა ჩვენში სხვა ამ დროის
ბეჭდური კალენდრები, რაც
საშუალებას გვაძლევს დავასკ-
ვნათ, რომ სწორედ 1840 წლის
ქართული და სომხური კალენ-
დრებია პირველი ბეჭდური

კალენდრები ამიერკავკასიაში, რომლებიც ხუთი წლით უსწრებენ
კავკასიაში პირველ რუსულ კალენდარს – „Кавказский календарь“
(„კავკასიის კალენდარი“).

როგორც ცნობილია, პ. იოსელიანი ანტონ I კათოლიკოსის ლი-
ტერატურული სკოლის და მისი საგრამატიკო შეხედულებების ერ-
თგული მიმდევარი იყო. მისი სამეცნიერო ნაშრომები თუ პრესაში
გამოქვეყნებული სტატიებიც დაწერილია ანტონ კათოლიკოსის
სალიტერატურო ენის სპეციფიკის მიხედვით. ასევეა ამ შემთხ-
ვევაშიც, პ. იოსელიანის მიერ გამოცემულ კალენდრებში მასალა
მოწოდებულია ძველი ქართული ენის სტილისტური და ლექსიკური
მიბაძვით.

კალენდრები, ზოგადად, მიეკუთვნება პერიოდულ გამოცემათა
კატეგორიას. ამ თვალსაზრისით, პ. იოსელიანის კალენდრები არის
რიგით მეოთხე ქართული პერიოდული გამოცემა ორი გაზეთისა და
ერთი უურნალის შემდეგ:

1) „საქართველოს გაზეთი“(1819-1821);



- 2) „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832);
3) „სალიტერატურო ნანილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832);
4) „კალენდარი ანუ თთუმთა-რიცხვაობა 1840 ნლისა შენ-
ყობილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისა მიერ“ (1840-1841).
აღსანიშნავია, რომ ამ კალენდრების ტირაჟის ნანილი (101
ეგზ.) პ. იოსელიანმა უსასყიდლოდ გადასცა თბილისის სასული-
ერო სემინარიის გამგეობას სწავლაში ნარმატებულ მოსწავლეთა
დასაჯილდოებლად.

1840 და 1841 წლების კალენდრები მცირე მოცულობის ნიგნა-
კებია, თოთვეული ზომით 14×7 სმ; გვერდების რაოდენობაა 71 და
96 გვერდი. შესაბამისად, ინფორმაციული მრავალფეროვნებისა და
ტევადობის მხრივ ისინი ჩამორჩებიან შემდეგდორინდელ ცნობილ
კალენდრებს. კალენდრები არც მაღალი პოლიგრაფიული დონით
გამოირჩევიან. მიუხედავად ამისა, ეს გამოცემები მაინც ღირებუ-
ლია ქართული კულტურისათვის თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის
ამ ტიპის ლიტერატურის შექმნის პირველი ცდა ჩვენს ქვეყანაში.
კალენდრით, რომ ეს თემა მოითხოვს შემდგომ განვირცობასა და
მეცნიერული კვლევა-ძიების ახალ ეტაპზე გადასცლას.

გამოყენებული ლიტერატურა

ალენდარი ანუ თთუმთა-რიცხვაობა 1840 წლისა შენყობილი პლა-
ტონ ეგნატის ძის იოსელიანისა მიერ. ალბეჭდილი ქ. ტფილის ნიგნთ-
საბეჭდავსა ი. და დ. არზანოვთასა. 1840. – 71გვ.

კალენდარი ანუ თთუმთა-რიცხვაობა 1841 წლისა, შენყობილი
პლატონ ეგნატისა-ძის იოსელიანისა მიერ. ალბეჭდილი ქ. ტფილის
ნიგნთ-საბეჭდავსა ი. და დ. არზანოვთასა. 1841. 96გვ.

А.А. Барамидзе, Д.Л. Ватейшвили, П.И. Иоселиани: Очерк жизни и
научно-общественной деятельности. – Тб., Мецниереба, 1978. 197 с.

История календаря // <http://www.vizitkaservice.ru/calenh/-calenh.php>.

რაციელ ერისთავი საუკუნეთა გადასახედიდან

დრო გულგრილია საეროვნო პიროვნებათა პედისადმი, გარკვეულწილად, მათი ნაღვანისადმი, რომელიც, ჩვეულებრივ, მისი თანადროული ეპოქის კუთვნილებად რჩება. ეს ისეთი სიდიდისა და სიდიადის მოღვაწეებზედაც ითქმის, რომელთაც გაურღვევიათ დროის საზღვრები და სხვა ეპოქებისათვის მიუწვდენიათ ხმა. არც ამ რანგის მოღვაწეთა პიროვნულობისა და ნაღვანის შეფასება დარჩენილა შეუცვლელად, დროს მათთვისაც დაუჩინევია კვალი.

რაფ. ერისთავი დიდი ქართველი ბრძანდებოდა და თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო. მის ნილადაც მოდის ამ ეპოქის სულის გამოკვეთა, რადგან არც ერთ მეტნაკლებად საეროვნო საქმეს, ნამოწყებას არ ჩაუვლია უმისოდ, მეტიც, ძალიან ბევრი საეროვნო პროექტის ნამომწყები სწორედ იგი იყო. ამიტომაც ხმიანობდა მისი სახელი განსაკუთრებით მძლავრად XIX საუკუნეში და ამიტომაც დაუკავშირდა მის სახელს ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში თანამედროვე ცივილიზაციის ერთი საინტერესო კონცეპტის – მოღვაწეობით გამორჩეულ ადამიანთა ღვანლის საჯაროდ (სახალხოდ) დაფასების ტრადიციის – იუბილეს ჩატარების – დამკვიდრება.

იუბილების ისტორია საქართველოში რაფიელ ერისთავის იუბილეთი იწყება იუბილეს ცნებაც მაშინ გაიცნობიერა ქართველმა საზოგადოებამ. აი, როგორ მოხდა ეს: 1895 წლის მაისში გაზეთ „კვალში“ (№22) დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა ქართველ საზოგადოებას ასე მიმართა:

„ყოველ ქეყანაში, ყოველ ხალხისაგან, გარდა ველურისა, მიღებულია, რომ თავიანთი გამოჩენილი შვილების 25 წლის მოღვაწეობა იდლესასწაულონ ხოლმე. ამ დღესასწაულს ეძახიან „იუბილეის“. ჩვენ, ქართველები, არ მივდევთ ამ ჩვეულებას, ალბათ იმიტომ, რომ ოცდახუთი წელინადი არ მიგვაჩინა საკმარისად და მეტსა ვთხოულობთ. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ დღეს გამოდის, რომ ორმოცდაათიც თურმე არა კმარა... სწორედ ორმოც-და-

ათი წელიწადია, რაც გამოსულია სალიტერატურო ასპარეზზე ჩელებული ნი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფიელ ერისთავი და დიდი უმაღურობა იქნება ჩვენგან მის მიმართ გულმავინყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა“.

ქართველმა საზოგადოებამ დიდი გულითადობა და ხელგაშლილობა გამოიჩინა – 1895 წლის 22 ოქტომბერს ჭეშმარიტ სახალხო ზეიმად აქცია რაფიელ ერისთავის დაბადების 70 და სამნერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იუბილედან ოთხი წლის შემდეგ, 1899 წელს, ცალკე წიგნად გამოიცა საიუბილეო მასალები სათაურით „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“ (ექთ. ხელაძის სტამბაში). ეს ფაქტი კი იმასაც ცხადყოფს, რომ ქართველმა საზოგადოებამ ერისათვის უაღრესად რთულ ეპოქაში, მისი პიროვნება და ნაღვაწი თავისი სასიცოცხლო ინტერესების გამოხატულებად აღიქვა და ეროვნული იდეალების დიდ მეტაფორად აქცია.

დრომ მიანავლა XIX საუკუნის ვნებათა ღელვანი, პატრიოტულ აღტკინებათა რომანტიზმი... ჯერ გააფერმერთალა რაფ. ერისთავის პიროვნება და მისი ინტელექტუალური სამყარო, მერმე კი დავინწყების ფარდაც ააფარა. ერთხანს (XX საუკუნის 70-იანი წლების გასულამდე) სასკოლო განათლების სივრცეს შერჩა უკვდავი ლექსებით „სამშობლო ხევსურისა“ და „მიპატიუება სასწავლებელში“ (რუსულიდან გადმოკეთებული), შემდეგ კი იქაც მიივინწყეს, ცხადია, არა იმიტომ, რომ ყავლი გაუვიდა თუნდაც „სამშობლო ხევსურისაში“ შთაბეჭდილ იდეალებს...

ახლა უამიდანუამ ე. წ. „მრგვალ თარიღებთან“ კავშირში თუ გაიხსენებენ მის სახელს ან რაიმე კონკრეტულ სფეროში განეული ღვანლით თუ შეაფასებენ ისტორიულობის ასპექტში... არადა რაფ. ერისთავის პიროვნებაც და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა თუ პრაქტიკული მოღვაწეობა მის თანადროულ ეპოქასთან უნისონსა და მთლიანურობაშია შესაფასებელი, რადგან მისი დიდი შინაარსი ამგვარ განუყოფლობაში იკითხება. სხვათა შორის, რაფიელ ერისთავის ღვანლის შინაარსი სწორედ ასე, რაფიელ ერისთავის მიერ გაკეთებულ ათას წვრილმან საქმეთა შეთანხმებასა და მთლიანობაში დაინახა აკაკი წერეთელმა და „წვრილმან საქმეთა კეთების აუცილებლობა საზოგადო მოღვაწეთა სიმცირით ახსნა (როდესაც ერთ კაცს უხდება ყველაფრის კეთება). აკაკიმ ეს აზრი საჯაროდაც გამოთქვა („კვალი“, 1895, №22).



რაფიელ ერისთავმა ყმაწვილკაცობის ასაკიდანვე აულტრალიტურული თავის ეპოქას, ერის ვინაობისა და ღირსების აღიარების პოლიტიკას კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიულობის საფუძველზე. ამის გამო, სახელმწიფო სამსახურში შესვლისა და რუსი ჩინოვნიკის მუნდირის ჩატმის მიუხედავად, იმთავითვე ჩადგა ეროვნული კულტურის სამსახურში. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო მისმა დაახლოებამ ცნობილ ფრანგ აღმოსავლეთმცოდნესთან და უდიდეს ქართველობითან მარი ბროსესთან, რომელმაც XIX საუკუნეში ევროპას ხელახლა აღმოუჩინა ქართული კულტურა და ქართული ცივილიზაცია.

1847 წელს საქართველოში პირველად ჩამოვიდა მარი ბროსე ჩვენი კულტურის შესწავლის მიზნით. რაფ. ერისთავმა გაიცნო იგი, გაიცნობიერა მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა და გვერდიდან არ მოშორებია, თან ახლდა და მეგზურობას უწევდა ყველგან, განსაკუთრებით უმეგზურა ბოჭორმაში. არც ამის შემდეგ შეუწყვეტია მასთან ურთიერთობა, მისი კორესპოდენტობა იდო თავს და ქართული ეთნოკულტურის მასალებს უგზავნიდა ევროპული მუზეუმებისათვის.

მარი ბროსესთან ჭაბუკი რაფიელ ერისთავის შეხვედრამ და შემდეგ ურთიერთობამ დიდი გავლენა იქონია მის მოქალაქეობრივ-სა და კულტურულ ცნობიერებაზე. რაფ. ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზამ ცხადყო, რომ რაფიელ ერისთავი ევროპული ტიპის მოღვაწე შეიქმნა, ის ევროპული თვალთახედვით შეუდგა ქართული ცივილიზაციის კვლევას და მსახურებას:

სრულიად ახალგაზრდა, თბილისის გიმნაზიის დასრულებისთანავე, შევიდა სახელმწიფო სამსახურში და პარალელურად გაშალა ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობა. და, რაც მთავარია, ძალიან მოკლე დროში მიიქცია საყოველთაო ყურადღება როგორც უნიჭიერესმა პუბლიცისტმა, მეცნიერ-მკვლევარმა (ფოლკლორისტმა, ეთნოგრაფმა), პოეტმა, დრამატურგმა და ა. შ. ანგარიშგასანევია ის გარემოებაც, რომ რაფ. ერისთავი ერთნაირი ნარმატებით წერდა ქართულადაც და რუსულადაც. ამის გამო, ვიდრე ქართული უურნალ-გაზეთები გამოჩნდებოდა, იგი თბილისის რუსულენოვან პერიოდიკაში თანამშრომლობდა და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა. მისმა პუბლიცისტურმა ნაწერებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. მათი თემატიკა-პრობლემატიკა ქართული ცივილიზაციის, ეთნოკულტურის ფაქტების აღწერა-დახასიათე-

გებს ემყარება და იმ დროის აღიარებული მეთოდოლოგიით – უშუალო და კვირვების მეთოდით მოძიებულ ფაქტობრივ მასალებს მოიცავს. ამგვარი პუბლიცისტური ნაწერები – ნერილები და სტატიები – უმეტეს შემთხვევაში მისი მეცნიერული ნარკვევებისა და გამოკვლევების საფუძველი ხდებოდა: მაგალითად, კონკრეტული პრობლემატიკის სერიალებად გაზიერებში (უმეტესად „კავკაზში“) გამოქვეყნებულ ნაწერებს რაფიელ ერისთავი გადაამუშავებდა ხოლმე, ქმნიდა ნარკვევებს და ამგვარად გამთლიანებულს რუსულ სამეცნიერო საზოგადოებათა პერიოდულ კრებულებში აქვეყნებდა. ამ ასპარეზზედაც გაითქვა მან სახელი. ასე, მაგალითად, 1846 წლიდან რაფ. ერისთავი ინტენსიურად აქვეყნებდა „ნერილებს თიანეთიდან“ გაზიერ „კავკაზში“, შემდეგ ამ ნერილების საფუძველზე შექმნა გამოკვლევა „თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ“ და გამოაქვეყნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდულ სამეცნიერო კრებულში „ზაპისკი კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშეჩისტვა“ („ზეკოირგო“, 1855, წიგნი III). ეს ნაშრომი გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ოქროს მედლით შეაფასა, მის ავტორს მედალთან ერთად 1855 წელს ფულადი ჯილდოც მიაგო და თავის წევრადაც აირჩია.

ანალოგიურად გამოაქვეყნა რაფიელ ერისთავმა ეთნოლოგიური, სტატიისტიკური, გეოგრაფიული, ეკონომიკური... პრობლემატიკის შემცველი ნარკვევები და გამოკვლევები იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთის შესახებ. რუსული მეცნიერების ყურადღება მიიქცია ასევე მისმა ნაშრომებმა „ლვინის მოყვანისა და გასაღების მდგომარეობა ჩვენში“, „ნარკვევი იმერეთზე სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით“.

ჩვენი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობითაც იყო განპირობებული რუსულ სამეცნიერო საზოგადოებებთან თანამშრომლობის მიზანშენონილობა, მით უფრო, რომ ამ საზოგადოებებისათვის სამეცნიეროს სტატუსი უფრო ფორმალური საფარი იყო და შორს გამიზნული იდეოლოგიური ამოცანები ამოძრავებდა. რაფიელ ერისთავი კარგად ხედავდა ამას და ამიტომაც აქტიურად თანამშრომლობდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან“, „რუსეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საზოგადოებასთან“, „რუსეთის სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოების მეაბრეშუმეობის კომიტეტთან“ და სხვ.



ალარას ვამბობთ რაფ. ერისთავის ფხიზელ ინტერესზე ქართული და ენის მიმართ და მისი სტატუსის დაცვის პრობლემებზე გამოქვეყნდა ნებულ პუბლიცისტურ ნაწერებზე. ამ მხრივ, მაგალითად გამოდგება თუნდაც მისი სტატია „რამდენად მართალია რომ ქართულ ენას სიღარიბე დასწამეს“ („დროება“, 1880, N212). არა ერთი ნერილი გამოაქვეყნა ქართული ენის სკოლებში სწავლების, ახლადშემოერთებულ აჭარაში ქართულ ენაზე სწავლების პრობლემებზე და სხვა.

პუბლიცისტიკისა და მეცნიერებისადმი ძალუმი ინტერესი რაფ. ერისთავს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყავა და ერის მსახურების ფორმებად ჰქონდა გაცნობიერებული. მეცნიერებისა და პუბლიცისტიკის სარბიელები მისთვის ის აუცილებელი სფეროები იყო, რომელთაც უნდა წარმოეჩინათ ქართული ცივილიზაციის შინაარსი, ქართული ეთნოკულტურის რაობა, ქართველი ერის ეთნიკური, ფსიქიკური, ზნეობრივ-ეთიკური ბუნება, მისი მენტალური სამყარო.

რაფიელ ერისთავი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და ეს უპირველესად მის საზოგადოებრივ, მოქალაქეობრივ ცნობიერებასა და პოზიციაში გაცხადდა. XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში არც ერთი საზოგადოებრივი წამოწება, საქმე, სფერო არ დარჩენილა რაფ. ერისთავის მონანილების გარეშე. მეტიც, ძალიან ბევრი საეროვნო საქმის ინიციატორი და წინამძღვრლი სწორედ იგი ბრძანდებოდა.

რაფიელ ერისთავმა იმთავითვე უჩუმარი მოღვაწეობის ფორმა აირჩია – ნაკლებს ლაპარაკობდა, ბევრს აკეთებდა, ლიდერობას არ იჩემდებდა, თუმცა საამისო საფუძველი ბევრ შემთხვევაში უთუოდ ჰქონდა. ალბათ ამიტომაც დარჩა თავისი ეპოქის თავმდაბალ და ჩუმ მემატიანედ, და მაინც მინავლებულ ცეცხლში მოკიაფე ნაკვერჩხლებად იმზირება მისი გასაოცრად მრავალმხრივი ნაღვანი ეპოქათა და საუკუნეთა გადასახედიდან. მხოლოდ რამდენიმე მიმართულება და რამდენიმე მაგალითი:

რაფიელ ერისთავი და ქართული მუზეუმი

რაფიელ ერისთავმა 1848 წლის აპრილში თავი დანება თიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში თარჯიმნის თანამდებობაზე სამსახურს, თბილისში დაბრუნდა. ამ დროს ფართოდ იყო გაშლილი მოძრაობა ქართული მუზეუმის დაარსებისათვის. რაფ. ერისთავი იმთავითვე აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში.

ქართული მუზეუმის დაარსების მნიშვნელობაზე რამდენიმე წე-
რილი გამოაქვეყნა პრესაში. ამას გარდა, საჯახახო საგანძუროდან
არაერთი ნივთი შესწირა მუზეუმს. ცნობილმა მოღვაწემ ვლადიმერ
სოლოგუბმა, რომელიც 1852 წელს მუზეუმის პირველ დირექტო-
რად დაინიშნა, რაფიელ ერისთავი სამუშაოდ მიიწვია და დაგროვი-
ლი ნივთების, მასალის ევროპული მუზეუმის მცოდნეობის პრინცი-
პებით სამუზეუმო ექსპონატებად დამუშავება დაავალა.

რაფიელ ერისთავმა წარმოუდგენელი ენერგია შეალია მუზეუმს
– დაადგინა შენირული ნივთების სახელწოდებები, შეადგინა აღწე-
რილობები, კატალოგი და უკვე 1855 წლისათვის მუზეუმის ექსპო-
ნატები საგამოფენოდ მოამზადა. 1855 წლის აპრილიდან აგვისტომ-
დე რაფ. ერისთავი მუზეუმის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა.

ვლ. სოლოგუბი ქართული მუზეუმის დირექტორის თანამდე-
ბობაზე მცირე ხანს იმყოფებოდა. იგი რუსეთში დაპრუნდა. დღის
წესრიგში დადგა დირექტორის არჩევის საკითხი. ორი კანდიდა-
ტი შეირჩა – რაფიელ ერისთავი და გერმანული წარმომავლობის
რუსი ჩინოვნიკი გუსტავ რადე. არჩევნებში ორივემ ხმათა თანაბა-
რი რაოდენობა დააგროვა. დირექტორად მაინც უცხოელი დაამტ-
კიცეს. რაფიელ ერისთავს უარი იმ მოტივით უთხრეს, რომ 1855
წლის ივლისში უკვე ქუთაისში იყო გადაყვანილი გუბერნატორის
აპარატში. გ. რადე კი ავანტიურისტი აღმოჩნდა. მან, ერთი მხრივ,
პუბლიცისტიკისა და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავ-
კასიის განყოფილების ეგიდით გაშლილ ეთნოგრაფიულ კვლევებში
პლაგიატის ფაქტებით გაითქვა სახელი, მეორე მხრივ; ქართული
მუზეუმისათვის შენირული ნივთების ქურდობითა და ევროპაში
ფარულად გატანა-გაყიდვით, რის გამოც სამუდამოდ დავკარგეთ
არაერთი ლირებული ექსპონატი. ასე, მაგალითად, გ. რადემ ისარ-
გებლა რაფ. ერისთავის ნაშრომით „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის
შესახებ“ – ჯერ საჯარო ლექციებში გამოიყენა, შემდეგ გამოკვ-
ლევაში „ხევსურეთი და ხევსურები“ და არსად არ მიუთითა წყა-
როს ავტორი, ამასთან შეგნებულად გააყალბა მასალები. ამის გამო
რაფ. ერისთავმა მკაცრად გააკრიტიკა გ. რადე (იხ. გეოგრაფიული
საზოგადოების სამეცნიერო კრებული „ზკოირგო“, 1881, წიგნი II,
განყოფილება II). თუმცა გ. რადე გააკრიტიკა აგრეთვე იმდროის
ცნობილმა სტატისტიკოსმა ნ. კ. ზეიდლიცმა. მან პლაგიატობის
ბრალდებით პოლემიკა გ. რადეს გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე
გაუმართა („კავკაზი“, 1889, N35, 38, 40, 43, 56, 57).



დოკუმენტურად არის დასაბუთებული, რომ გ. რადე კავკასიის
მუზეუმისათვის განკუთვნილ ექსპონატებს ევროპის მუზეუმებს შორის
უგზავნიდა და „ბევრი უნიკალური ექსპონატი დაიკარგა“ (დაწვრი-
ლებით ეს საკითხები გაშუქებულია გ. უორდანიას ნაშრომში „კავკ-
კასიური მუზეუმის დაარსება“, თბილისი, 1956 წელი). საინტერე-
სო მასალებს შეიცავს ასევე ე. არჯევანიძის ნაშრომი „ქართული
ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხი რევოლუციამდელი
საქართველოს რუსულ პერიოდიკაში, თბილისი, 1978, გვ. 51, 140,
141).

რაფიელ ერისთავი და სამეგრელო

რაფიელ ერისთავის სახელმწიფო ბრივი სამსახურის მნიშვნე-
ლოვანი პერიოდი სამეგრელოსთან არის დაკავშირებული. სამეგ-
რელოში რაფ. ერისთავი უტუ მიქავას აჯანყებასთან დაკავშრებით
მოხვდა. იგი ქუთაისის გუბერნატორმა აჯანყების მიზეზების გამო-
საძიებლად და დასაწყნარებლად გააგზავნა და საგანგებო რწმუნე-
ბანი მიანიჭა.

ეკატერინე ჭავჭავაძის პეტერბურგში განვევის შემდეგ, 1857
წლის 14 სექტემბრიდან, მთელი ათი წლის განმავლობაში, რაფ.
ერისთავი ახლად დაარსებული ზუგდიდის მაზრის უფროსის მო-
ვალეობას ასრულებდა. ზუგდიდში იმ დროს ბევრი რამ იყო და-
ზიანებული და იავარქმნილი. მან განაახლა დადიანების სასახლე,
ქალაქის წყალმომაგარება, გააშენა ჭადრების ხეივანი, მოაწესრიგა
დადიანების ბიბლიოთეკა. 1861 წლიდან რაფიელ ერისთავი ასრუ-
ლებდა სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველის მოვა-
ლეობას; იყო სამეგრელოს ყმა-გლეხთა ყოფის გაუმჯობესებული
კომისიის წევრი; სამეგრელოს, სამურზაყანოსა და სვანეთის მაღა-
ლი წოდების პირთა უფლებების განმსაზღვრელი კომისიის წევრი;
როგორც ქუთაისის საკრებულოს წევრი, განაგებდა სამეგრელოს
საქმეებს. რაფ. ერისთავის ნარმატებული კარიერა 1857 წლის უტუ
მიქავასა და მართალი თოდუას ხელმძღვანელობით ნამოწყებული
აჯანყებისადმი სიმპატიამ შეიწირა: გაირკვა, რომ სწორედ რაფიელ
ერისთავმა დაუწერა აჯანყებულებს ის საპროტესტო ნოტა, რი-
თაც მათ რუსეთის იმპერატორს მიმართეს. სიფრთხილემ რაფიელ
ერისთავს ვერ უშველა...

სამეგრელოში რაფ. ერისთავმა შექმნა თავისი ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი გამოკვლევები „ბატონიუმობა სამეგრელოში“ (1866),



„სამეგრელოს ჩანაწერები“ (1872), „სამეგრელოს გლეხური ფენის შესახებ“, „სამეგრელოს პრივილეგირებული ფენის შესახებ“, ზაურობა სამეგრელოში“ (ეს ნაშრომები ოდნავ გვიან – 1873 წელს გამოქვეყნდა „კავკაზისკაია სტარინაში“); უდიდესი მუშაობა ჩაატარა მეგრულ-სვანური შედარებითი ლექსიკონის შესადგენად, თავი მოუყარა საკმაოდ საინტერესო ლექსიკას. მის არქივში აღნიშნული თვალსაზრისით რაოდენობრივადაც უაღრესად მნიშვნელოვანი მასალაა თავმოყრილი.

ზუგდიდში რაფ. ერისთავმა ნაყოფიერი სამწერლობო მუშაობა გამალა – ლირიკის გარდა კალამი სცადა პროზასა და დრამატურგიაში. გამოქვეყნდა მისი მოთხოვნები „ნინო“ და „ლიტერატურული საღამო“. თავად ლირიკის სფეროში გამოიკვეთა სოციალური თემატიკა და ეროვნულ ყოფასთან დაახლოების ტენდენცია.

რაფიელ ერისთავი და ქართული თეატრი

რაფიელ ერისთავი 1855 წლიდან დასავლეთ საქართველოში მსახურობდა – უმთავრესად ქუთაისსა და ზუგდიდში. სიშორის მიუხედავად, აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, იბჭ-დებოდა ივანე კერესელიძის „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, აგრძელებდა თანამშრომლობას რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან, თბილისის რუსულენოვან პრესასთან. ამ ფონზედაც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რაფ. ერისთავის დაახლოება ქართულ თეატრთან. ქართული თეატრის მთავარი პრობლემა იმ დროისათვის ეროვნული დრამატურგის სიმწირე და, აქედან გამომდინარე, თეატრალური რეპერტუარის დეფიციტი იყო. რაფ. ერისთავმა თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩათვალა თეატრისათვის მხარში ამოდგომა და 70-იან წლებში ზედიზედ შექმნა პიესები, რომელთაგან არაერთმა ბრნყინვალედ გაუძლო დროს და ქართულ სცენას XX საუკუნეშიც გაუწია ლირსეული სამსახური. ასეთი აღმოჩნდა, მაგალითად, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორნინეს“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“. რაფიელ ერისთავის პიესები იმჟამად ქართული თეატრისათვის პირდაპირ ხსნა იყო.

ქართული თეატრის მოამაგეობა ამით არ ამოწურულა. რაფ. ერისთავმა 1857 წელს ქუთაისში სცენისმოყვარეთა წრე ჩამოაყალიბა, დასი შექმნა და, ამდენად, სათავე დაუდო ამ ქალაქის დიდ თეატრალურ ტრადიციებს. 1867 წლის 12 დეკემბერს რაფიელ

ერისთავის თეატრალურმა დასმა ქუთაისში წარმოდგენა-გამორჩევა – ბარბარე ჯორჯაძის (პოეტის დის) პიესა „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ დადგა. აյ რაფ. ერისთავმა სამსახიობო ასპარეზზედაც მოსინჯა დაღები – სირაჯ ავეტიკას როლი შეასრულა და მაყურებლის დიდი მონონება დაიმსახურა.

ქუთაისში სცენისმოყვარეთა დასის ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ამ ქალაქისათვის არ ჰქონია. ამ დასმა, ფაქტობრივ, ერთხანს ქართული თეატრის მთელი სიმძიმე იტვირთა. ქართული პროფესიული თეატრი იმ დროისათვის დაშლილი იყო და ამდენად, ქართველი საზოგადოების ინტერესს სწორედ რაფიელ ერისთავის მიერ შედგენილი სცენისმოყვარეთა წრე განასახიერებდა. ქუთაისში სცენისმოყვარეთა წრის აქტიური წევრი იყო აკაკი წერეთელი. მან 1912 წელს ასე გაიხსენა ამ წრის ამბები: „რუსეთიდან რომ დავბრუნდი, იმ დროს ქუთაისში მომრიგებელ მოსამათლედ იყო პოეტი რაფიელ ერისთავი და მისი მეცადინეობით შედგა სცენისმოყვარეთა წრე. მუდმივი მოთამაშები ქალთაგან იყვნენ: ქ-ნ ეფროსინე კლდიაშვილისა, ყიფიანის ქალი, კაცებიდან მე, თქვენი უმორჩილესი მონა და ჭეიშვილი... რეპეტიციები ხან რაფიელის სახლში იყო ხოლმე, ხან ეფროსინე კლდიაშვილისას. თვითონ რაფიელი სუფლიორობდა, სწერდა სათამაშო პიესებს და ორ-სამჯერ კიდეც ითამაშა“.

რაფიელ ერისთავმა დიდი ენერგია შეალია ქართული პროფესიული თეატრის აღდგენას, ხოლო როდესაც ეს საეროვნო საქმე 1879 წელს დაგვირგვინდა, იგი ჯერ თეატრალური საზოგადოების აქტიური წევრი გახდა, ხოლო 1884-1886 წლებში ამ საზოგადოების თავმჯდომარედ იყო არჩეული. ამასთან რაფიელ ერისთავი თავის დროზე საკმაოდ ავტორიტეტული თეატრალური კრიტიკოსიც ბრძანდებოდა. ასე, მაგალითად, მან დაწერა რეცენზიები აკაკი წერეთლის პიესაზე „კინტო“, ავესენტი ცაგარელის პიესაზე „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, გამოაქვეყნა 1887 წლის ქართული თეატრალური სეზონის მიმოხილვა-შეფასება, წუხილი გამოთქვა ქართული თეატრის ფინანსურ მდგომარეობაზე იმ დროს, როდესაც „ზოგი ვაჟბატონი... საფასურს არ დაზოგავს შესწიროს ან „პიკნიკს“, ან მეზურნეს, ან ბანქოს“.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც საგრძნობი გახდა, პერიფერიებში სამსახურში გასვლის გამო (თავად ილია ჭავჭავაძის დუშეთში ყოფნა), თერგდალეულთა ხმიანობის მინავლება,

ეროვნული ცნობიერების გასაღვიძებლად ბრძოლის გაგრძელების მიზანით აუცილებლობა, როდესაც იმდროინდები ახალგაზრდობის ინიციატივით დიდი ილია დუშეთიდან დაბრუნდა თბილისში, რაფ. ერის-თავმაც თავი მიანება ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლეობას, ისიც თბილისში დაბრუნდა და უყოფმანოდ დადგა გაზეთ „დროებისა“ და უურნალ „კრებულის“ ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდა მოლვანეთა გვერდში. იყო რაღაც სიმბოლური მეტროპოლისაკენ ამ მიქცევაში, საზოგადოებრივი აზრისა და კულტურული მაჯის-ცემის ისტორიული ვექტორი პერიფერიიდან მთავარი ქალაქისაკენ მიემართებოდა და ამგვარ პარადიგმატულობაშიც ჩანდა ახალი ეპოქის დადგომა. ერთგვარი სიმბოლურობაც იმზირება საქართველოს მთავარი ქალაქისაკენ ქართველ მოლვანეთა მიქცევაში: მომრიგებელი მოსამართლე ილია ჭავჭავაძისა დუშეთიდან და მომრიგებელი მოსამართლე რაფიელ ერისთავისა ქუთაისიდან. ამ სიმბოლურობის დემონსტრირება უნდა დავინახოთ დიდი ილიასა და რაფიელ ერისთავის მიერ ერთობლივად 1873 წელს ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი ადრეული კრებულის „გლეხური სიმღერებისა და ანდაზების“ გამოცემის ფაქტშიც. რაფიელ ერისთავმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფოლკლორის გამოვლენასა და პოპულარიზებაშიც – უურნალ „კრებულშიც“ გამოაქვეყნა 1852 წელს შეკრებილი ფოლკლორული ტექსტები (1873, №7, 10), ცალკე კრებულად გამოსცა „ქართული გამოცანები“ (1879) და ა. შ.

რაფიელ ერისთავი და ქართული საჯარო ბიბლიოთეკა

საზოგადოების დიდმა ნაწილმა, შესაძლოა, არც კი იცოდეს, რომ ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების იდეა რაფ. ერისთავს ეკუთვნის. მან 1885 წელს პრესის მეშვეობით მიმართა ქართველ საზოგადოებას, სპეციალური ტექსტიც შექმნა, შეადგინა ქართველი ნარჩინებული საგვარეულოების ნუსხა, რომელთა ოჯახებშიც სავარაუდოდ შემონახული უნდა ყოფილიყო ძველი ხელნაწერები, წერილობითი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებების ტექსტები. რაფიელ ერისთავს განსაკუთრებით ის გარემოება აფიქრებდა, რომ დიდგვაროვანთა ოჯახებში არსებული წიგნებიდან თუ გადარჩებოდა რაიმე, „ისინი სამუდამოდ არ დაიკარგებოდნენ იმ დაუდევრობით, რომლის მაგალითს გვიჩვენებს ხოლმე მეხილის და მეთევზის დუქნები, სადაც მოსამსახურეები ხშირად გაჰყიდიან ხოლმე ძველს ქართულ წიგნებს და ვაჭრებიც ამ ძველი წიგნების



დარღვეულს ფურცლებში ახვევენ მოთალს, დოშს და ამგვარებს“¹ 1986 (თ. ჯაგოდნიშვილი, რაფიელ ერისთავი, გამომც. „ნაკადული“ 1986, გვ.67). აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავმა თავად მისცა ქართველ საზოგადოებას უპირველესი მაგალითი – საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებამდე საკუთარი მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკის ბევრი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი იმუამად ყველაზე ავტორიტეტულ ეროვნულ დანესებულებას – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთა ფონდს გადასცა.

რაფიელ ერისთავი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი გამგეობის წევრი ბრძანდებოდა და ერთხანს მის საფინანსო საქმეებსაც განაგებდა.

აქვე უსათუოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელ ერისთავმა აქტიური მონანილეობა მიიღო 1881 წლის თებერვალს დაარსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. 1881 წლის 6 თებერვალს ამ კომისიის პირველი სხდომა შედგა. კომისიის 22 წევრს „ვეფხისტყაოსნის“ 22 მოძიებული ხელნაწერი დაურიგდა. პოემის ტექსტის კრიტიკული წაკითხვა განხილვა-ანალიზისათვის რაფიელ ერისთავს მიენდო. კომისიის მეორე სხდომას უკვე რაფიელ ერისთავმა უხელმძღვანელა. მან გასაოცრად ბევრი გააკეთა კომისიის მიერ დადგენილი ტექსტის გამოსაცემადაც, იგი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის ორგანიზატორი. ინტერესმოკლებული არ იქნება, ალბათ, იმის გახსენებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისას ცნობილმა მხატვარმა მიხაი ზიჩმა ულამაზეს ქართველ ქალებს შორის რაფიელ ერისთავის მეუღლე ფეოდოსია ერისთავიც ამოარჩა წესტან-დარეჯანისა და მ. ლერმონტოვის „დემონის“ თამარის სახეხატების შესაქმნელად.

რაფიელ ერისთავი და ქართული ლექსიკოლოგია

70-იანი წლებიდან რაფ. ერისთავმა აქტიური და ნაყოფიერი ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული მუშაობა გაშალა. მეცნიერული კვლევების უმთავრესი მიზანი ეროვნული დარგობრივი ტერმინოლოგიის შექმნა იყო. იგი, ცხადია, უცხოურ გამოცდილებას ეყრდნობოდა, მაგრამ იმ გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ საქართველოს ევროპული ცივილიზაციის სრულფასოვანი ქვეყნის სტატუსის დასამკვიდრებლად ახალ, ევროპულ ყაიდაზე „გამართული“ მეცნიერება, ეროვნული კულტურული ლირებულებითი

სისტემის შექმნა სჭირდებოდა. ამგვარი ზეამოცანის რეალიზების სათვის კი, ერთი მხრივ, ევროპულ ცივილიზაციასთან დაახლოებით ენა იყო აუცილებელი, მეორე მხრივ, ამ ცივილიზაციის კუტიული კონცეპტების გაცნობიერება-გათავისება. ეს წარმოუდგენლად ძნელი და რთული ამოცანა იყო და აშკარად აღმატებოდა ერთი ადამიანის თუნდაც ფანატიკურ ძალის ხმევას, მაგრამ რაფილ ერისთავი დაურიდებლად შეება ევროპულ მეცნიერულ სამყაროსთან საურთიერთო ენისა და ენობრივი სისტემის შექმნის სირთულეს. ეს იყო ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა, თანაც არა საერთო და ორენოვანი ლექსიკონებისა, არამედ დარგობრივი სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა. რაფილ ერისთავმა ამ ასპარეზზედაც შეძლო თავისი სიტყვის თქმა. სწორედ მან შექმნა პირველი დარგობრივი ტექნოლოგიური ლექსიკონი და 1873 წელს გამოსცა კიდეც 1000-ზე მეტი ლექსიკური ერთეულის შემცველი, თანაც სამეცნოვანი „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“. ამით სათავე დაედო ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ ძიებებს და რაფილ ერისთავი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამფუძნებლის სათავის დამდების პატივს უთუოდ იმსახურებს (სამწუხარო კი ის არის, რომ მავანი ამას „ივინყებენ“).

აღნიშნული ტერმინოლოგიური ლექსიკონი არ იყო რაფ. ერისთავის მომენტური ლექსიკოლოგიური ინტერესების გამოხატულება. როგორც ჩანს, ეს იყო ღრმად გაცნობიერებული მეცნიერული კვლევების გამოვლენა, რაც რაფილ ერისთავის ახალგაზრდობის ჩანაფიქრის რეალიზება იყო და რაც სათავეს მარი ბროსესთან მისი ურთიერთობიდან იღებდა უთუოდ. ამას, სხვათა შორის, მისი არქივი ცხადყოფს უტყუარად. ამ არქივში გასაოცრად მრავალგვარი ხელნაწერი ინახება. ლექსიკოლოგიურ მასალას იგი ახალგაზრდობიდან აგროვებდა და სახელმწიფო სამსახურში გადატვირთულობის მიუხედავად არ შეუწყვეტია ეს საქმე. ირკვევა, რომ ქუთაისა და ზუგდიდში სახელმწიფო სამსახურში ყოფნის წლებში რაფილ ერისთავი კრებდა მასალას დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის, განზრახული ჰქონდა ისეთი სფეროების ტერმონოლოგიის დამუშავება, როგორიცაა: გეოგრაფია, მეტროლოგია, მეტალურგია (მჭედლობა), ხის დამუშავება, სამხედრო საქმე, ზღვაოსნობა, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, მეტეოროლოგია.



ამას გარდა, მის არქივს შემოუნახავს ორმა, სისტემური მუშადი რიცხვის ფაქტები ქართულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონზე, ქართულ ლი დიალექტების შედარებით ლექსიკონებზე, მაგალითად, სისტემაში მოყვანილია მასალები ქართულ-იმერული დიალექტების შედარებითი ლექსიკონის, მეგრულ-სვანური, იმერულ-ქართლურ-რუსული ლექსიკონებისათვის, საკუთარ სახელთა განმარტებითი ლექსიკონისათვის, თვეთა და ზოდიაქოთა სახელების სიტყვარები-სათვის.

ირკვევა ერთი მეტად საინტერესო ფაქტიც: რაფიელ ერისთავს შეუდგენია ტაბულა სიტყვა „ჯოჯონხეთისათვის“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით. თანამედროვე ტერმინოლოგიით ესაა ქართული მენტალობის კვლევის ადრეული ცდა სიტყვაში (სალექსიკონო ერთეულში) შთაპეჭდილი მენტალობითი (მენტალობის) კონცეპტის (შინა) არსის გაცნობიერების მიზნით.

ეს ფაქტი, ცხადია, იმასაც გვიჩვენებს, რომ რაფიელ ერისთავ-
მა თავისი ლექსიკოლოგიური ინტერესებითა და გარკვეულწილად,
ძიებებითაც აშკარად გაუსწრო დროს და ხმა ჩვენს ეპოქასაც
მოაწვდინა, რადგან ქართული მენტალობის ლექსიკონი ჯერაც არ
შექმნილა და მასზე მუშაობის ერთი ცდა ამჟამად საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კვლევების სას-
ნავლო-სამეცნიერო ცენტრში მიმდინარეობს.

რაფიელ ერისთავის კვლევების სისტემურობას და კონცეპტუალიზმს ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ მან 1884 წელს პირველმა გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ და ამით ხელმისაწვდომი გახდა ქართული ლექსიკოლოგიის სასაფუძვლო ნიგნი.

1884 წელს რაფიელ ერისთავმა გამოსცა „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეცნიერო ბითგან“.

რაფ. ერისთავის ლექსიკონებს საზოგადოება შესაფერისი ინტერესითა და გულისხმიერებით ხვდებოდა. თუმცა ერთი ფაქტი ამ ინტერესისა: „ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონის“ გამოსვლას ასეთი რეცენზიით გამოეხმაურა გაზეთი „გუთნის დედა“: „ასეთი დიდი შრომის გაწევა ყველას არ შეეძლო. ყველა როდი კიდებს ხელს ასეთ საძნელო, მაგრამ საშუალო საქმეს. ასეთ შრომას ერთდებიან ე. ნ. ცრულიტერატორები... მადლობა ღმერთს, რომ თითო-ოროლა კაცი კიდევ მოიპოვება, რომელიც ადგანან უანგარო სა-

სარგებლო შრომას და უყვირლათ, უქაქანოთ აკეთებენ საქვეყნო საქმეს“ („გუთნის დედა“, 1873, №17).

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის რაფიელ ერისთავმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი წამოიწყო, ეს იყო დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა. მან „ივერიაში“ (1880, №144) ამ ლექსიკონის სტრუქტურა და შედგენის პრინციპები გააცნო საზოგადოებას, თუმცა პროექტის რეალიზება ვერ მოასწრო. მიუხედავად ამისა, თავად წამოწყების ფაქტი ცხადყოფს რაფიელ ერისთავის ლექსიკოლოგიური ცნობიერების გასაოცარ რეზონანსულობას დროის სულისკვეთებასთან.

ზოგადად ასე მოჩანს საუკუნეთა გადასახედიდან რაფიელ ერისთავის პიროვნება და ნაღვანი, დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული მეცხრამეტე საუკუნის შინაარსის გამოკვეთას.



ერო და აღაშვილები

ზორა ცხადარა

რთული ფსიქოლოგიური პორტრეტები

მწერალმა და კრიტიკოსმა სერგი ჭილაძიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლიტერატურათმცოდნეობითი საქმიანობა მაღლევე დაიწყო. კითხულობდა ლექციებს იქვე, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ნლების განმავლობაში იყო ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი 1951-1973 წ.წ. გამოცემული აქვს წიგნები „ეგნატე ნინოშვილის გურია“ (1934 წ.); „ვახტანგ ორბელიანი“ (1941 წ.); „XX საუკუნის ქართული მწერლობა“ (სამტომეული); „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“, „ნლები და პროცესები“, „ქართული ლიტერატურის ოცნლეული“ (ეს წიგნი, შეიძლება ითქვას, არის საუკეთესო მასალების, ფაქტების, ეპოქის კონკრეტული და მეტად საინტერესო მონაკვეთის ქრონიკები, რომელიც უთუოდნაადგება XX საუკუნის ქართული ლიტერატურის საბჭოთა პერიოდის ნებისმიერი დროის მკვლევარს) და სხვ. მისი ბიოგრაფიული ცნობარის მოკლე ჩამონათვალის დასასრულს აღნიშნულია: „იღვწოდა მხატვრული პროზის სფეროშიაც: რომანი-ქრონიკები: „ეკატერინე ჭავჭავაძე“ (1968), „შვილები“ (1973), „მე და ჩემი პროფესორი“ (1975) და სხვ. ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ „იღვწოდა მხატვრულ პროზაშიც“ კი არა, სწორედ მხატვრულ პროზაში გამოვლინდა ყველაზე უკეთ მისი შემოქმედებითი პოტენციალი, დამოკიდებულება თავისი ქვეყნის ნარსულისადმი, სიყვარული და ერთგულება მშობლიური ენისა და სიტყვიერი ხელოვნებისადმი. ის, რაც ეპოქისეული რეცეფციების სახით, ნებსით თუ უნებლიერ, ხელს უშლიდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნის უნარ-შესაძლებლობებს, ზოგადად, მწერლობაში, მხატვრულ სიტყვაში გამოჩნდა უსინჯოდ, დიდი სიყვარულით და მონდომებით, მთელი ძალისხმევით... სერგი ჭილაძას, როგორც მწერალს, „ეკატერინე ჭავჭავაძე“

ძე“, „შვილები“ (სხვებიც რომ არა) დაუტოვებდა ღირსეულ სახელს მნერლისას, რომელსაც მისხალ-მისხალ, არქივებიდან არქივებში ხელნაწერთა საცავებში, XIX საუკუნის საქართველოში მოღვაწე რუს ჩინოვნიკთა მემუარებში, დადიანების საგვარეულო თუ სხვა ისტორიულ წყაროებში უძებნია ძვირფასი მასალები და ასე შეუქმნია ექვსასგვერდიანი ქრონიკა-რომანი. სწორედ რომანი-ქრონიკა შეეფერება ამ წიგნის ნარატივს. მას უდავოდ გააჩნია მხატვრული ღირებულება, რომანის უანრისთვის აუცილებელ სახეთა, ხასიათების მრავალფეროვნება, მოულოდნელი წიაღსვლები და ეფექტები მოქმედებათა მსვლელობის პროცესში, ვრცელი, განსხვავებული სივრცეები, ქალაქები და მხარეები... ზოგადად – გამთლიანებული ერთი კონკრეტული სახელის, ერთი კონკრეტული პრობლემის გარშემო, რომლისთვისაც „ეკატერინე ჭავჭავაძე“ დაურქმევია... დაურქმევია და ამით მთავარი ხიბლი გამოუკვეთია მცითხველის ინტერესისთვის – ჭავჭავაძეთა გვარის მშვენიერი წარმომადგენლის და სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის სახელი. რომანის გაცნობა კი გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს XIX საუკუნის 40-80-იანი წლების საქართველოს, განსაკუთრებით კი – სამეგრელოს რეგიონის, სადადიანოს ღრმად გააზრებულ ისტორიასთან: დაწყებული ეკატერინე ჭავჭავაძის მამულ-დედულით, კეთილმოსაგონარი თუ ტრაგიკული ფაქტებით; თბილისი – ჭავჭავაძეთა ოჯახური ტრადიციები, სტუმარ-მასპინძლები... ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზიის ბედისწერა, რომლის განსაზღვრაში, გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის სამეგრელოს დედოფალს.

რომანში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ მნერალი არსებითად ისტორიულ წყაროებს ეფუძნება, მაგრამ იშვიათად მიგვანიშნებს მათზე, მხატვრული თხრობის პრინციპს და სტილს უფრთხილდება. მხოლოდ ეკატერინეს დღიურების ჩართვისას უბოდიშებს მკითხველს: ესა და ეს მონაკვეთი ჩემი წარმოსახვაა და მომიტევოს ქალბატონის სულმაო... რომანს დართული აქვს მცირეოდენი ცნობარი – „ქრონიკის ისტორიული პიროვნებანი“. ესენი არიან რომანში მოქმედი და წასენები პერსონები: ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილები, დადიანები, გრიგოლ, ვახტანგ და ზაქარია ორბელიანები, გიორგი ერისთავი, იონა ხელაშვილი, პლატონ იოსელიანი, მაიკო და მანანა ორბელიანები, ლევან მელიქიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დავით ჩუბინაშვილი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, თეიმურაზ



ბატონიშვილი, მარი ბროსე, იონა მეურანგია და სხვ.; შამილი (შეიცვალა მიერ ჭავჭავაძის ოჯახს თავსდატეხილი ტრაგედია)... რუსი მოხელეები: პასკევიჩი, გოლოვინი, კოლუბიაკინი, ვორონცოვი, მურავიოვი, ბარიატინსკი, გაგარინი... სერგი ჭილაძის გამოყენებული აქვს მათი მემუარები, მოგონებები, წერილები. სასამართლოს არქივების მასალები (გაგარინის მკვლელობასთან დაკავშირებით); ამაში განსაკუთრებით დაგვარინმუნა 2014 წელს გამოცემულმა მწერალ თემურ ამყოლიძის რომანმა „დადეშქელიანების ამბავი“, რომელშიც წარმოსახულია XIX საუკუნის სვანეთის (ზოგადად, დასავლეთ საქართველოს) ისტორია. კონკრეტულად – ამ საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით – გაგარინის მკვლელობა, ეკატერინე ჭავჭავაძის პეტერბურგში „გასახლება“ და სხვ... ამ წიგნში უხვადაა გამოყენებული ყველა ჩვენ მიერ ჩამოთვლილი პირის მემუარული თუ სხვა სახის ისტორიული წყაროები. მწერალი, პროფესიით – ისტორიკოსი, გვარჩმუნებს ფაქტების აუთენტურობაში და ამით დამაჯერებლობას და ინტერესს სძენს თავის სათქმელს. მე, როგორც მკითხველმა, ახლა, სწორედ ამ რომანის წაკითხვის შემდეგ დავინახე რეალურად, რამდენი გულისხმიერება გამოუჩენია, რამდენი შრომა გაუწევია ბ-ნ სერგი ჭილაძის თავისი რომანის შექმნისას. მისი, როგორც ავტორის, ჩანაფიქრი რეალიზებულია საინტერესოდ, სრულყოფილად, ისტორიის მნიშვნელოვანი დეტალებით, ცნობილი და უცნობი ფაქტებით. წიგნისთვის საჭირო ისტორიის ღრმა და გააზრებული ცოდნა, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მასალისადმი, პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე – ესაა ის, რასაც რომანი გვამცნობს, რაც ნდობით განგვაწყობს მწერლისადმი.

მარტვილის დიდებული ტაძრის მდუმარე სავანეში, ეკატერინე-სა და მისი შვილების საფლავებთან გასჩენია, ჯერ კიდევ ყმანვილს, ინტერესი დადიანების ისტორიისადმი, ბატონი სერგი ხომ იმ კუთხის შვილი იყო. თანაგრძნობა და გულისტკივილი ჩანს ეკატერინე ჭავჭავაძის პირადული ტრაგედიებისადმი, რომლებიც უშუალო კავშირში იყო იმპერიის ვერაგულ ზრახვებთან, ისტორიულ კოლიზიებთან. ერთი ასეთი ტრაგიკული ფაქტი იყო, შვიდი წლის გოგონა რომ გარდაეცვალა პეტერბურგში „გასახლებულ“ და „მზრუნველობით“ გარემოცულ „მთავრინას“. ბავშვმა კლიმატს ვერ გაუძლო. იმასდა მიაღწიეს, რომ დედის გარეშე წამოასვენეს და მარტვილში დაკრძალეს, მამის გვერდით. ეკატერინეს ცხოვრების არც ერთ ნათელ თუ მძიმე ჭრილს არ ტოვებს სერგი ჭილაძის მწერლური გუ-

ლისყურის გარეშე. იკვეთება სინამდვილესთან ძალზე ახლო ფიციული ქოლოგიური სიტუაციები... რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართალი მწერლისთვის, — ეკატერინე ჭავჭავაძე წარმოსახულია ისე, როგორც ისტორია, წყაროები, გადმოცემები კარნახობენ... გავიხსენოთ მოკლედ: ერთი მხრივ, სამთავროს ინტერესების და პირადი ღირსების დამცველი, თურქების წინააღმდეგ აბჯარასხმული, ცხენოსან ქალთა ჯგუფის წინამდლოლი ამ ბრძოლაში, რუსის ციხესთან (1855.25.X), ომარ ფაშასთან ენგურის სანაპიროზე მტრის პირისპირ მდგომი... სამთავროს ინტერესების უკანასკნელი დამცველი, ქალური მშვენიერებით სხივმოსილი... მეორე მხრივ: მკაცრი და შეუვალი დედოფალი, მემკვიდრეობით მიღებული ამბიცია, გოროზი, ამაყი ქალი, „ურჩი და უტიფარი ყმების“ დასჯას რომ არ ერიდება (რომანში ჩართულია სამეგრელოს გლეხთა ცნობილი აჯანყება უტუ მიქავას თაოსნობით)... ყოველივე ეს ვრცლადაა გადმოცემული. მკვეთრად, დამაჯერებლად და საინტერესოდ, უშუალო კონტექსტებითაა წარმოსახული დედოფლის საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური პორტრეტი, ადამიანური სისუსტეები და ღირსებები...

ვრცელი და ისტორიული ფაქტებითაა გაჯერებული რუსების მხრიდან დედოფლის დაყოლიება პეტერბურგს გამგზავრებაზე, რაც, ფაქტობრივად, სამეგრელოს სამთავროს გაუქმებას ნიშნავდა... როგორ არწმუნებდნენ გაჯიუტებულ ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომ უტუ მიქავას ჯართან პირისპირ დარჩენას წასვლა გერჩიოსო. მწერლის სიტყვით და ისტორიული წყაროებითაც ეს იყო კოლუბიაკინის, გაგარინის და მეფისნაცვალ ბარიატინსკის ერთობლივი გადაწყვეტილება. ასე ცდილობდნენ ისინი სამთავროთა მოშლას (განსაკუთრებით, სამეგრელო უშლიდათ ხელს) და საბოლოოდ დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. შემაძრწუნებელია ეკატერინეს ნერილი დიმიტრი ყიფიანისადმი:

„...ნუხელ თქვენი წიგნი, ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო, მამივიდა, ჩემო დიმიტრი ივანიჩ! გთხოვთ, როდესაც წახოთ თავადი გიორგი ერისთავი, ჩემ მაგივრათ ურიცხვი მადლობა შესწიროთ მონაწილეობისათვის: ლმერთი დაუმადლებს ობლების უსამართლობისგან დაფარვით. მე აქ მიანხეს ვითომც გორდს უფალი ბარაზდინი თავის ცოლ-შვილით იდგეს ჩვენს სასახლეში, აგრეთვე ვიღაც ანგლიის კონსული. გთხოვთ, ჩემო ბატონო, მამწეროთ თქვენის ნებით არიან ისინი ჩემს სასახლეში, თუ თავის თავად; მე

სწორეთ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის ეს ძალიან საწყენი არის, ამისთვის, რომ მე ისევ მანდ ვიყავ, რომ უფალმა ბარაზდინმა დაიწყება, რაც რომ ჩვენს საკუთრათ გვეკუთვნის; ასე რომ ოჯალეშები მარნის გატეხით გამოატანინა და ისე ითვრებოდა. მაგათა ჯავრი ამამაყრევინე და ჩემს სასახლეში ნურსად ნებას ნუ მისცემ ცხოვრებისას და ყველა, რაც პატარა სახლები არის, რომ გაიყიდოს, უმჯობესი არის, – ცარიელს ეკლესიასაო ეშმაკები და-ეპატრონებიან...

მადლობის გამოთქმის სიტყვა და გამოთქმა ვერ შევძელ... ღმერთმა დაგიმადლოს ჩემის მოსვენებისათვის. ჭეშმარიტათ, რაც თქვენ მოკიდეთ ხელი ჩვენს საქმეებს, ღამით მოსვენებით მძინავს.

შენი ერთგული
მთავრინა ეკატერინა.

რომანში საუბარია იმ მარადიულ „ქართლის ჭირზე“, ორად გა-ყოფილ ელიტაზე: „სამეგრელოს სამთავროს გაუქმება დიპლომა-ტიურ სამოსელში იყო გახვეული... რუსთის ერთგულ მოხელეებს კარგად ესმოდათ, რომ მეფის წინააღმდეგ ქართველი თავადაზ-ნაურების აღშოთება არ იყო სახეირო. პირიქით, ერთადერთ და-საყრდენ ძალას მეფის მოხელენი ქართველ თავადაზნაურობაში ხედავდნენ და კიდევაც განიზრახეს, ისინი მოხერხებულად გამო-ეყენებინათ საქართველოს საბოლოოდ დასაპყრობად. ამ მიზნით, თანამდებობის პირთა შორის დიდგვაროვანთა წარმომადგენლებს ანინაურებდნენ. სამთავროები კი ხელს უშლიდნენ მეფის მოხე-ლეებს“... – ეს იყო აბსოლუტური სიმართლე. იმავეს აკეთებდნენ ეს რუსი ჩინოვნიკები სვანეთში, დადეშქელიანთა სამთავროს მო-საშლელად. ამას შეენირა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგა-რინი, რომელიც სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა, კონსტანტინე დადეშქელიანმა, მოკლა. ამ ფაქტსაც ისტორიული მასალის დაც-ვით, სიზუსტით აღნერს სერგი ჭილაია. ვფიქრობთ, მართებულია მისი დასკვნა იმის შესახებ, რომ დადეშქელიანი შეურაცხყოფამ დაძაბა საბოლოოდ: ეკლესიაში ლოცვა შეაწყვეტინეს. დაიბარეს გაგარინთან, რომელმაც რიხით წაუკითხა ბარიატინსკის მონერი-ლობა იმის თაობაზე, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს ერე-ვანს და იქიდან, ერთი თვის თავზე – პეტერბურგს. როგორც სერგი ჭილაია წერს: „კონსტანტინე დადეშქელიანი, ეს ღაულაუ სვანი, მი-უკარებელი თეთნულდის შვილი, ამ აგვისტოს დილას, თეთნულდის

წევრზე შერჩენილ თოვლივით გათეთრდა, ფერი ეცვალა, მაგრამ იყენდა თავი შეიკავა, ცოლ-შეილის ნახვის უფლება ითხოვდა... უფულობა მოიმიზება... პირველზე უარი უთხრეს... ფულს კი იქვე უჯრიდან იღებდა და უნდა მიეცა გაგარინს, სწორედ მაშინ ჩასცა მახვილი კონსტანტინე დადეშექელიანმა. „სირცხვილის ლაქა ჩამორეცხა ქართველებს დადეშექელიანმა“, – წერს ამ შემთხვევაზე თემურ ამ-ყოლიძე „დადეშექელიანების ამბავში“, ეროვნული ლირსების დამცველ გმირადაც გვევლინება, მაგრამ, რეალურად, მასაც ისეთივე აზრი აქვს, როგორიც სერგი ჭილაიას: რომ აქ გადამწყვეტი იყო ლირსების შელახვა...

დადეშექელიანისადმი უღრმესი თანაგრძნობა და გულისტყვივილი ჩანს წიგნში დამოწმებულ წერილში, რომლის ავტორია გრიგოლ ორბელიანი. უფლებაშეკვეცილმა ეკატერინემ თურმე გრიგოლს მიაწვდინა ხმა დალესტანში, სთხოვა დახმარება. მანაც გულთან მიიტანა ეკატერინეს განწირულობა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თავისი სევდა და მწუხარება კი თბილისში მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში გამოხატა:

„დღეს მომივიდა დიახ უსიამოვნო ამბავი თბილისიდამ: გაგრინს თურმე ჰსდომებია დადეშექელიანისა – ელადეტელის – გაგზავნა რუსეთში, როგორც ეკატერინა დადიანისა. ეს რომ შეუტყვია დადეშექელიანსა, ამოუძვრია ხანჯალი და შეუცია ფერდში გაგარინისათვის, მოუკლამს პერეოჩიკი, ჩინოვნიკი ილინი, გარეთ რომ გამოვარდნილა, იქ დახვედრია მზარეული, და ესეც დაუჭრია; მერე შევარდნილა ერთს ვილაცის სახლში და იქიდამ დაუწყია თოფის სროლა, ვიდრე არ მოსულან სალდათები: მაშინ ხმლით გამოვარდნილა, გაქცევა ჰსდომებია, მაგრამ ტყვიით დაჭრილი დაცემულა და დაუჭრიათ – გაგარინისას ინერებიან, რომ არ მორჩებათ და იგანეც, მანანას შვილი, მაშინვე წასულა ქუთაისს, სადაც მომხდარა ეს ამბავი.

აი, ჩემო დემეტრე, სულ ამას ვამბობდი და ვამბობ, რომ ეგრე ერთპაშად, სხარტულად ახალი რჯულის შეტანა და ძველისა დარღვევა, აი რას მოასწავებს! იმდენი დღეგრძელობა მე მქონდეს, რამდენი ამ გვარი საქმე მოხდეს მენგრელიაშიცა!

აბა, ერთი ვჰსთეუათ, დადეშექელიანის ოჯახის ამოფხვრა რას საარგებლობას მისცემს ჩვენ მმართველობასა და ანუ, ვინ უნდა გაგზავნო, ჩინოვნიკთაგანი სვანეთის მოსავლელად?“

ახ, და კიდევ ახ!“



ზღვა მასალა – ალაგ-ალაგ ზომიერი სენტიმენტებით და დახურული კადემიზმით, ვფიქრობთ, ყოველთვის დაიპყრობს დამტკიცების მკითხველის გულს, რომლისთვისაც ძვირფასია წარსული – თავისი ავ-კარგით... ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახის ისტორია გრძელდება სერგი ჭილაიას რომანში „შვილები“, რომელშიც ნაჩვენებია 1900-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სულისკვეთება, რაშიც მნერალს ეხმარება ეკატერინე ჭავჭავაძის შვილების ამბავი. აქაც ისტორიული ფაქტები და მასალებია თხრობის საფუძველი. ძირითადად, დადიანების ცნობილ ბიბლიოთეკაში (არქივში დაცული), რომელიც ეკატერინეს შვილებმა მთლიანად გადასცეს ქ.შ.ნ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

„ამ წიგნით დავასრულე ეკატერინე ჭავჭავაძის პოეტურ სახელს ამოფარებული XIX საუკუნის ქრონიკები, – წერს სერგი ჭილაია „ეკატერინე ჭავჭავაძის“ ბოლო სიტყვაში. – მე, ამ წიგნის ავტორს, პროფესიით ლიტერატორ-კრიტიკოსს – ბელეტრისტის კალამი იმან ამაღებინა, რომ მნამდა და მჯეროდა: მასალას თუ იცნობ, წიგნში მოქმედ ისტორიულ პიროვნებათა სამოქმედო არეში თუ გიცხოვრია, თუ კრიტიკოსობა შენი ჭეშმარიტი პროფესიაა, მაშინ უთუოდ მნერალიცა ხარ და ბელეტრისტის სამყარო შენთვის უცხო არ უნდა იყოს...“

სამშობლოსა და გულის კარნახით ვწერდი ამ წიგნებს. ძველ მატეანეთა დარად მეც ერთი საოხვარი მაქვს – რაც რამე შეგცოდე, შემინდე, ჩემო ბევრის მომთმენო მეითხველო. ამას კი თამამად ვიტყვი, რომ ჩენი საერთო საფიცრის – საქართველოს უანგარო სიყვარულმა დამანერინა ეს წიგნები“.

„მხატვრული ნაწარმოები მაშინ გამოიყურება კარგად, როდე-საც ჩარჩოშია ჩასმული, ხოლო ნებისმიერი ნაწარმოების ჩარჩო მისი ეპოქაა“ (რენანი)... შესანიშნავად მოარგო სერგი ჭილაიამ „ეპოქის ჩარჩო“ თავის ამ რომანებს. მისი მხატვრული შემოქმედება ღირსეული საპირნონეა იმისა, რაც, როგორც უკვე ვთქვით, შედარებით დაჩირდილა „ხანმა უნდობარმა“...



შეუცვლელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელმძღვანელოს მნიშვნობართა ასოციაცია.

ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ადგილი ნოდარ ტაბიძისათვის.

არაერთხელ მინახავს აქ – ხან შეხ-
ვედრისა თუ დისკუსიის ინიციატორი
და წარმართველი, ხანაც საღამოს
რიგითი მონაწილე და, რაც მთავარია,
ამავე ასოციაციის აღმანახის მთავარი
რედაქტორი;

რა უნდა ერქვას აქაურ ალმანახს,
თუ არა, „მწიგნობარი?“

ყველაზე მეტად ვის დაპშვენდებოდა
მისი რედაქტორობა, თუ არა მას – თანა-
მედროვე ქართული უურნალისტიკისმ-
ცოდნეობის პატრიარქს, იღლა ჭავჭავა-
ძის პუბლიცისტური და რედაქტორული
მოღვაწეობის სწორულოვარ მკლევარს?...



Carl E. Eng

三

გალავტიონის ძმისნული; ტიციან ტაბიძის ასევე სისხლი სისხლთაგანი; კორნელი კეკელიძის დის შვილიშვილი; კალისტრატე ცირცაძის ძმის შვილიშვილი; მიხეილ ზანდუკელის უახლოესი ნათესავი; ჩემს ოჯახს ხუთი მფარველი ანგელოზი ჰყავს, – ხშირად იტყოდა.



ამ ოჯახში არაერთ რელიკვიას ნახავდით – გალაკტიონებისაზე გისეულ პორტრეტს, მიხეილ მრევლიშვილის „დაბალ ღობეს“; თუ ვორონცოვის ნაქონ ავეჯს, მაგრამ მთავარი სიმდიდრე მაინც ბიბლიოთეკა იყო – წიგნებით გამოძებელი მისი სამუშაო კაბინეტი.

ბოლო ნლებში აქ, ამ წიგნებთან ეძინა კიდეც...

ამის მიუხედავად, მაინც ძალიან ხშირად ნახავდით საჯარო ბიბლიოთეკაში.

აქ ძველ ფოლიანტებში ეძებდა საინტერესო მასალებს პუბლიცისტიკის თეორიისა თუ ქართული უურნალისტიკის ისტორიის გასამდიდრებლად.

ნოდარ ტაბიძე მწიგნობარი იყო ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

მას მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი კლასიკური განათლება, რომლის მუდმივი სრულყოფისათვის ერთ საკმაოდ უცნაურ „ხერხს“ იყენებდა. ერთხელ ეს საიდუმლო ასე გაგვიმხილა: ყველაფრის წაკითხვა შეუძლებელია. მთავარია, კარგად გავეცნოთ მნერლის ორ-სამ ნაწარმოებს (პროზაიკოსებს გულისხმობდა), შევიგრძნოთ მისი სტილი და ინდივიდუალურობა...

ამ „ხერხის“ გონივრულობა განსაკუთრებით მაშინ ვინამე, როცა გამოჩენილმა რეჟისორმა, ალიარებულმა ინტელექტუალმა თემურ ჩხეიძემ მითხრა: „ერთხანს მიზნად დავისახე, წამეკითხა ყველაფერი, რაც ტოლსტოის ხელიდან გამოსულა. დავიწყე და მივხვდი, რომ ეს განუხორციელებელი სურვილი იყო. მაშინ სხვა ყველაფერი გვერდზე უნდა გადამედო“.

ნოდარ ტაბიძეს უყვარდა მწიგნობართა ასოციაციაში სიარული.

მინახავს, რა სიყვარულითა და მონიშებით ხვდებოდნენ აქ ქალბატონი ლია ნადარეიშვილი, ბატონი შოთა კობიაშვილი, რა თქმა უნდა, სხვა თანამშრომლებიც...

– რომ შემოვიდოდა, თითქოს ამინდი იცვლებოდაო, – მეტყვის ბატონი შოთა, როცა ნოდარ ტაბიძის გარდაცვალებას ერთმანეთს მივუსამძიმრებთ.



ნოდარ ტაბიძის გარდაცვალება მართლაც აუნაზღაურებული
დანაკლისია მთელი ქართული საზოგადოებისთვის, ეროვნული გა-
ნათლებისთვის, უურნალისტიკისთვის, უურნალისტიკისმცოდნე-
ობისთვის...

დიდი დანაკლისია საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციისთვის.

მისი სახელი და გვარი მართლაც განსაკუთრებით უხდებოდა ილიას სახელთან ასოცირებულ ასოციაციაციასა და მის აღმანას „მწიგნობარს“...

შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ?!

არსებობენ.

ნოდარ ტაბიძე შეუცვლელია...

CPN 03295 5/2020

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასო-
ციაცია, აღმანას „მწიგნობრის“ სარედაქტო საბჭო ღრმა მწუხა-
რებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერისა და პუბლიცისტის,
ქართული ჟურნალისტების მცოდნეობის პატრიარქის, აღმანას
„მწიგნობრის“ მთავარი რედაქტორის, პროფესორ ნოდარ ტაბი-
ძის გარდაცვალების გამო.

მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური ქართული მინა თქვენთვის,
ბატონო ნოდარ.



საგილიოთებელ საქართველო

გურამ თაყნიაშვილი

ივანე ჯავახიშვილი – მეცნიერული გიგანტობრაფის ფუძემდებელი საქართველოში

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ბიბლიოგრაფიის როლისა და დანიშნულების შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერდა ჭაბუკობის დროიდან, როდესაც მან პირველი ნაბიჯები გადადგა მეცნიერულ მუშაობაში. თავის პირველ ნაშრომებში „ანდრია მოციქული და წმინდა ნინო საქართველოში“, „ბალავარის სიბრძნე“, უფრო მოგვიანებით „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“, „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“, ახალგაზრდა მეცნიერი მიუთითებდა არა მარტო მეცნიერის, მკვლევრის, როგორც პირვენების ადამიანურ ღირსებებსა და თვისებებზე, არა მედ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში აუცილებელი დეტალებისა და წინაპირობების გააზრებაზე, რაც საწინდარი იყო ნამდვილი კვლევა-ძებისათვის.

1904-1906 წ.წ. ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავდა საქართველოს შესახებ სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს და ურთავდა ანოტაციებს. ასეთი შინაარსის მიმოხილვებს ავტორი აქვეყნებდა უურნაღლში „Византийский временник“.

XIX საუკუნის მინურულს პეტერბურგის უნივერსიტეტში ნაკითხული ლექციებისა და სტუდენტებთან სწავლა-აღზრდის პროცესში ი. ჯავახიშვილი ჯეროვან ადგილს უთმობდა ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდასა და მკვლევრისათვის აუცილებელი ნიშან-თვისებების ფორმირების საკითხებს. სწორედ ასეთი ცოცხალი ურთიერთობის ატმოსფეროში ჩამოაყალიბა დიდმა მეცნიერმა მეცნიერული კვლევის საკუთარი კრედო, პრინციპები და ამოცანები. მისი აზრით, საქართველოს წარსულის ცოდნა მისაბაძად კი არ



არის საჭირო, არამედ ჩვენთვის შესასწავლად და გასათვალისწილად ნებლად, თვითცნობიერებისა და ეროვნული შეგნების ასამაღლებრივი ლად. ი. ჯავახიშვილმა თავისი კვლევითი მუშაობის საწყის ეტაპზევე გამოხატა და ჩამოაყალიბა ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები მეცნიერულ მუშაობაში.

ახალგაზრდა მეცნიერი იმთავითვე იზიარებდა ი. ჭავჭავაძის აზრს იმის შესახებ, რომ „ისტორიამ უნდა შეასრულოს ერის ნვრთნის ფუნქცია“. ი. ჯავახიშვილი, როგორც მკვლევარი და პირუთვნელი მაძიებელი, პიროვნულად აღვსილი იყო მუსურვალე მამულიშვილური და ჭეშმარიტი პატრიოტის სულისკვეთებით. 1907 წელს ი. ჯავახიშვილის თაოსნობით პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. წრის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადება. წრის ნევრები იყვნენ შემდგომში გამოჩნილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, მ. თუმანიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ჩიტაია, ა. ლორთქიფანიძე, შ. დადიანი, ვ. ბუაჩიძე, გ. ჭუბაძრია და სხვები. სამეცნიერო წრეში პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა ქართულ ენაზე. პეტერბურგის სკოლიდან ივანე ჯავახიშვილმა შეითვისა რაციონალური იდეები, ღრმა აკადემიზმი და მეცნიერული კრიტიკის აღღო.

სამეცნიერო მუშაობისათვის ი. ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა პირველწაროების ყოველმხრივი შესწავლა, ავტორების აზრის წარმოჩენა, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება, დაბოლოს, შესწავლილი პირველწაროებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება; პირველწაროების დამონმება მიღებული წესებით და გარკვეული ადგილების ციტირება ყოველგვარი წესების დაცვითა და მიერძოების გარეშე. ი. ჯავახიშვილის აზრით, ახალგაზრდა მეცნიერისათვის პირველ რიგში აუცილებელია საკვლევი საკითხის ირგვლივ უკვე არსებული გამოქვეყნებული მასალების გაცნობა, გამოვლენა, შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სამეცნიერო ნაშრომის შედგენა. ბიბლიოგრაფიული მუშაობა, პირველწაროების გამოვლენა, მათი კრიტიკული ანალიზი მიაჩნდა ი. ჯავახიშვილს მეცნიერულ მუშაობაში წარმატების საწინდრად. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ერთ-ერთ ამოცანად სწორედ ბიბლიოგრაფიული მუშაობა დასახა მისმა ხელმძღვანელმა. სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარე იყო ა. შანიძე, სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი – ი. ჯავახიშვილი. ორივე მეცნიერს კარგად




ჰქონდა გათვითცნობიერებული ბიბლიოგრაფიული მუშაობის
მინიჭნელობა ნამდვილი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში წარმატება
მატებისათვის.

წრის ხელმძღვანელთა ხელმოწერით 1913 წელს გაზეთ „სახალ-
ხო ფურცელში“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც ავტორები მიმართა-
ვენ საქართველოს წიგნის გამოქცემლობებსა და უურნალ-გაზეთე-
ბის რედაქციებს, ყოველწლიურად გამოექვეყნებინათ თავიანთი
პუბლიკაციების შინაარსი და ამით ხელი შეეწყოთ მეცნიერული
მუშაობის წარმატებისათვის. მიმართვაში მეცნიერები წერენ იმის
შესახებ, რომ ჩვენი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ ვისარგებ-
ლებთ იმით, რაც გაკეთებულია წინათ და წინანდელი შეცდომები
მომავალში თავიდან ავიცილოთ. ვისაც სურს თავისი წვლილი შე-
იტანოს საქვეყნო საქმეში, არ უნდა იქნეს გარიყული და განმარტო-
ებული. ჩვენს ცხოვრებას ცვლილებები ნაკლებად ეტყობა, – წერენ
მეცნიერები, – არ ვიცით, რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობებს
არ ეცოდინებათ, რას ვაკეთებთ ჩვენ; თუ რომელიმე შრომა არ ემ-
ყარება წინანდელ გამოცდილებას, იგი არ იქნება სრულყოფილი
და წარმატებული. უნდა ვიცოდეთ ყველა ის, რაც დაწერილია და
გაკეთებულია; ამისათვის საჭიროა ბიბლიოგრაფია, რაც შეიძლე-
ბა სრული და უნაკლო. აქვე ავტორები წერენ იმის შესახებ, რომ
პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრე უკვე
შეუდგა ერებულის გამოცემას. საბიბლიოთეურ ნაწილში თავმოყ-
რილი იქნება ყველა მასალა, რომლებიც გაბნეულია ყველა ქარ-
თულ დროებით გამოცემებში 1852 წლიდან 1910 წლამდე. გამოვ-
ლენილი და აღწერილი მასალა არ არის ჯერჯერობით დაწყობილი
და რაც წიგნი დაიბეჭდება, ყველა იქნება ცნობილი.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის აუცილებლობა გამოწვეულია
ბევრი გარემოებით. აღნიშნულ წრეში ავტორები წერენ იმის შე-
სახებ, რომ შეიძლება ფოლკლორული მასალა ან ლექსი, ერთხელ
იქნეს გამოქვეყნებული, მაგრამ ხელმეორედ გამოაქვეყნონ იგივე
მასალა, ვინაიდან არ გვაქვს ცნობები, თუ სად, და როდის, ვის მიერ
იქნა იგი გამოქვეყნებული. ასეთი ნაკლის შევსება მიაჩინათ სტუ-
დენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის ერთ-ერთ ნაწილად. ასეთი
მუშაობის შედეგად ქართველ მკითხველს, მწერალს და საზოგადო
მოღვაწეს ბევრად გაუადვილებს სამოქმედო მოღვაწეობას, გააღ-
რმავებს მის აზროვნებას და გააფართოვებს მისი მხედველობის
სფეროს. მივმართავთ ყველა ორგანოებსა და გამომცემლობებს,

შეადგინონ თავიანთი გამოცემების
სარჩევი და შემდეგ ყოველწლიურად
გამოსცენ ასეთი სარჩევი; რაც შეეხე-
ბა ქართულ წიგნებს, ავტორთა აზ-
რით, მათი ბიბლიოგრაფიის შედგენა
სხვაგვარად უნდა მოეწყოს. აქამდე
ქართულ წიგნებს, პეტერბურგის წიგნ-
საცავში უფრო ადვილად იძოვიდით,
ვიდრე თბილისში ან ქუთაისში. ასეთი
არანორმალური მიდგომა ახლავე უნდა
ავიცილოთ თავიდან. ამისათვის ეროვ-
ნულ მუზეუმს თბილისში და ქუთაისში
სამ-სამი ცალი დაუთმონ. ასეთი მიდგო-
მით წიგნებს ერთად მოვუყრით თავს და
ადვილი იქნება ბიბლიოგრაფიის შედგე-
ნაც. ასეთია ჩვენი თხოვნა, – წერე მი-
მართვის ავტორები, – და იმედია, მხარს
დაგვიჭრებ; ამით ჩვენს მეცნიერებსა
და მწერლებს, ქართული მწიგნობრო-
ბის საქმეს დიდ სამსახურს გაუწევენ. როგორც ალვნიშნეთ, ა. შა-
ნიძისა და ი. ჯავახიშვილის ხელმოწერით ეს მიმართვა ერთგვარი
მოწოდება-მანიფესტი და საპროგრამო წერილი იყო ბიბლიოგრაფი-
ული მუშაობის ჩამოყალიბებისათვის საქართველოში.

1915 წელს თბილისში გამოიცა პეტერბურგის უნივერსისტეტის
ქართველ სტუდენტთა მიერ შედგენილი „ერებული“. მის წინასიტყ-
ვაობაში ი. ჯავახიშვილი წერდა: „წრის უმთავრესი მიზანია ახალ-
გაზრდები, მომავალი მეცნიერ-მკვლევარები მიეჩვიონ საქართვე-
ლოს წარსულსა და ანტყოს მეცნიერულ შესწავლას, და ისეთი საქმე
აკეთონ, რომელიც სასარგებლო იქნება ქართველი საზოგადოები-
სათვის“. წრის ხელმძღვანელი უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა
სრული ბიბლიოგრაფიის შედგენას საქართველოსა და ქართველე-
ბის შესახებ გამოქვეყნებული მასალებისა. ასეთ ბიბლიოგრაფიაში
უნდა აღნუსხულიყო ყველა ცნობა, ნაშრომი, სტატია და სხვა სახის
პუბლიკაციები საქართველოში და უცხოეთში გამოქვეყნებული.
განსაკუთრებით საჭირო იყო ქართულ უურნალ-გაზეთებში გაბ-
ნეული მრავალი საყურადღებო მასალების აღწერა და თავმოყრა,
სისტემატიზებული ნუსხის შედგენა, რომ ქართველ, თანამედროვე



ქართული ბიბლიოგრაფია. –
ს. პ. 1916 წ.



მკვლევარს მუშაობა გაადვილებოდა და ხელმეორედ არ მოხდომდა იმის გაკეთება, რაც უკვე გაკეთებული იყო. ამგვარი სტუდენტული წერდა მეცნიერი, – ბიბლიოგრაფიის უქონლობის გამო ჩვენში არა ერთსა და ორს მკვლევარს დაჰმართვია.

ცნობილია, რომ თვითონ ი. ჯავახიშვილმა, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1897 წელს შეადგინა გაზეთ „ივერიაში“ 1886–1896 წ.წ. მასალების აღნერილობათა ნუსხა. ეს ნაწილი ქართული უურნალ-გაზეთების მასალების აღნერილობისა შემდეგში შევიდა პეტერბურგში გამოცემულ „ქართულ ბიბლიოგრაფიაში“. სრული ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის საჭირო იყო მრავალი მონაცილის ერთობლივი მუშაობა. წრის წევრები შეუდგნენ ქართული უურნალ-გაზეთების მასალების ანალიტიკურ აღნერილობას. მუშაობა დაიწყო 1908 წელს და დასრულდა 1913 წელს. წრის წევრებმა აღნუსხეს ყველა მასალა, გამოკვლევები, ფოლკლორული ჩანაწერები, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, მეთაური წერილები, კორესპონდენციები, რომლებიც XIX საუკუნის ქართულ გამოცემებში იყო გამოქვეყნებული. აღნუსხული მასალები დაიყო და გარკვეული წესით განლაგდა „ქართულ ბიბლიოგრაფიაში“, რომელიც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1916 წელს.

ბიბლიოგრაფიის შესავალში ი. ყიფშიძე წერდა წიგნის სტრუქტურისა და დანიშნულების შესახებ. აღნერილი სტატიები და სხვა სახის პუბლიკაციები დაჯგუფებულია 9 განყოფილებაში. თითოეულ განყოფილებაში ჩანაწერი წარმოდგენილია ძირითადი ელემენტებით: ავტორი, სათაური, გამოქვეყნების წყარო, წელი და ნომერი. ზოგ შემთხვევაში გახსნილია ფსევდონიმები და სათაურები. ქრონოლოგიური ჩარჩო ბიბლიოგრაფიისა განისაზღვრა პირველი ქართული გაზეთებისა და უურნალების გამოცემებიდან – 1852 წლიდან, ვიდრე 1910 წლამდე. მასალების დაყოფა ცხრა განყოფილებაში აადვილებდა საჭირო სტატიების მიგნებას. ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია ეთნოგრაფიის განყოფილება, ხალხური სიტყვიერების, საქართველოს ისტორია და ძველი ქართული მწერლობა. ბიბლიოგრაფიაში გახსნილი იყო შინაარსი ისეთი ქართული პერიოდული გამოცემებისა, როგორებიცაა: „დროება“, „ივერია“, „ნაკადული“, „მნათობი“, „ჯეჯილი“, „განათლება“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „აკაკის კრებული“ და სხვ. განყოფილების შიგნით აღნერილი მასალა წარმოდგენილია ანბანურ რიგზე, აღნერილობის მარჯვნივ, არშიაზე მიწერილი აქვს ჩანაწერის რიგითი ნომერი; სულ 160-გვერდიან ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია 2462 ჩანაწერი.

ბიბლიოგრაფიაში პირველად აღინუსხა ი. ჭავჭავაძის, ა. წერებულიშვილის, გაუა-ფშაველას, ი. ჯავახიშვილის, მ. თამარაშვილის, მ. ჯანაშვილის, რ. ერისთავის, დ. ყიფანის, ნ. მარის, თ. ჟორდანიას, თ. სახოვას, ალ. ხახანაშვილის, გ. წერეთლის და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ავტორობით გამოქვეყნებული სტატიები და სხვა სახის პუბლიკაციები. ბიბლიოგრაფიას დაერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებლები, იმ უურნალ-გაზეთების შემოკლებული სახელწოდებები, რომლებიც აღინერა ანალიტიკური წესით. სულ „ქართულ ბიბლიოგრაფიაში“ აღწერილია 50-მდე სახელწოდების ქართული პერიოდული და გრძელდებადი გამოცემები.

ბიბლიოგრაფიულ ნაშრომი ნამდვილად შედეგია წრის წევრთა მონდომებული და გამიზნული საქმიანობისა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ მათი ხელმძღვანელის მითითებითა და კონსულტაციით. თვითონ ი. ჯავახიშვილი ყოველთვის ცდილობდა ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევრებს ემუშავათ ისეთი პრობლებისა და თემის შესახებ, რომლებიც ახლოს იყო მათს შეხედულებებთან, არჩეულ კვლევა-ძიების თემატიკასთან. ამასთან მეცნიერი ურჩევდა ახალგაზრდებს, ემუშავათ ვიწრო, კონკრეტულ თემატიკაზე, საკითხებზე. ი. ჯავახიშვილის აზრით, ამ გზით უფრო ადვილად მიეჩვეოდნენ ისინი სამეცნიერო მუშაობის „ფაქტისა და მკაცრ მეთოდებს“. ასეთი მიდგომითა და პრინციპებით გამოირჩევა ზემოხსენებული „კრებული“ ი. ჯავახიშვილის რედაქციით.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ბიბლიოგრაფიის უქონლობა მეტად მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყო თვითონ ი. ჯავახიშვილის მრავალნლიან მოღვაწეობაში. ამიტომ იგი ადრევე შეუდგა ამ საკითხის მეტ-ნაკლებად დამუშავებას თვითონ და ამ საქმეში აქტიურად ჩააბა წრის წევრებიც. ყველა თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში ი. ჯავახიშვილი არ ღალატობდა კვლევის მეთოდს, პირველწყაროთა გამოვლენისა და კეთილსინდისიერად დამუშავების საკითხებს. იკვლევდა რა ქართული სამართლის ისტორიას, ი. ჯავახიშვილი გულისტყივილით აღნიშნავდა იმის შესახებ, რომ ქართული საისტორიო ძეგლებისა და საბუთების ოდნავ მაინც მეცნიერულ გამოცემათა უქონლობა, მრავალრიცხოვანი ხელნაწერების აუწერლობა უძნელებდა კვლევა-ძიებას.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის ავტორობით გამოქვეყნებულ მიმართვაში 1913 წელს,

სადაც ისინი ფაქტიურად განსაზღვრავდნენ ბიბლიოგრაფიულ მუშაობის მეთოდებს, პრინციპებს, ეროვნული ბიბლიოგრაფიული შედგენის საკითხს. მათ მიერ წამოყენებული იდეა, რომ ყველა ქართულ გამოცემების და უურნალ-გაზეთების რედაქციებს სამ-სამი ცალი, როგორც სავალდებულო წესი, გადაევზავნათ თბილისისა და ქუთაისის ცენტრალური მუზეუმებისათვის. ეს, რა თქმა უნდა, იმ დროისათვის განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ქართული უურნალი დროდადრო აქვეყნებდა წინა წლების პუბლიკაციების სარჩევებს, საძიებლებს, რაც გარკვეულნილად პირველადი ბიბლიოგრაფიის როლს ასრულებდა.

ი. ჯავახიშვილის შეხედულებები ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოების აუცილებლობის შესახებ წარმოადგენს საქართველოში ბიბლიოგრაფიული მუშაობის საფუძველს, მეცნიერული მიდგომის პრინციპს. ა. შანიძისა და ი. ჯავახიშვილის მოსაზრებები ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ დიდწილად აღსრულდა ქართული ბიბლიოგრაფიის დარგში გამოცემული ფუნდამენტალური ნაშრომების სახით. ქართული წიგნის, ქართული უურნალებისა და კრებულების, ქართული გაზეთების ბიბლიოგრაფიული აღწერილობების ტომეულები ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ მეცნიერ-მკვლევრებს; დღევანდელი გადასახედიდან ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით დიდი სწავლულისა და მეცნიერის მიერ საუკუნის წინანდელი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების სისწორესა და აუცილებლობაში, რამაც იმთავიდანვე მეცნიერულ წიადაგზე დააყენა ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

გაზ. „სახალხო ფურცელი“. – 1913. №802.

კრებული / ი. ჯავახიშვილის რედაქციით. – თბ., 1915. 202 გვ.

ქართული ბიბლიოგრაფია. – ს-პბ., 1916. 160 გვ.

მ. დუბბაძე. ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება. – თბ., 1984. 90 გვ.

ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. 2. ნაკვ. 2. – თბ., 1929. 584 გვ.

ივანე ჯავახიშვილი: ბიობიბლიოგრაფია. – თბ., 1976. 142 გვ.

ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვანლი ივანე ჯავახიშვილისა. – თბ., 1984. 612 გვ.

სოციალურ-კულტურული ვითარება საქართველოში ეროვნული გიგანტოთების ჩამოყალიბების საწყის ეტაპი

საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნე თავისი განვითარების ეტაპებით განსაკუთრებულად გამორჩეულ ხანას წარმოადგენს. საუკუნის დასაწყისში ქვეყანამ მთლიანად დაკარგა დამოუკიდებლობა და რუსეთის შემადგენელ ნაწილად იქცა. განსაცდელის წინაშე დადგა მთელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციები; იმპერიულმა ბატონობამ, ველიკორუსულმა პოლიტიკამ მძიმე პირობები შეუქმნა ეროვნულ ყოფიერებას. ქართველი ხალხის წინაშე დღის წესრიგში დადგა თვითმყოფადი კულტურის არა მარტო გადარჩენის, არამედ განვითარების საკითხი. ამ შემთხვევაში უმძიმესი როლის შესრულება დაეკისრა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა წიგნიერი გარემოს განვითარებას, რაც თავისთავად წიშნავდა როგორც წიგნის ბეჭდვის, ისე მისი გავრცელებისა და დაცვის საქმის მოწესრიგებას.

ამ თვალსაზრისით, საქართველო უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ფეოდალური ხანის დასასრულს ძირდესვიანად შეირყა ის ფუნდამენტი, რომელზედაც ქართული კულტურა იდგა.

ქართული წიგნის დაცვისა და გავრცელების საქმე საგრძნობლად ჩამორჩა მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკას, რაც აიძულებდა ეროვნულ ინტელექტუალურ ძალებს, გამოეჩინათ ძალისხმევა ამ მოჯადობული რეალის გასარღვევად.

ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საბიბლიოთეკო მოძრაობის განვითარებასა და გაჯანსაღებას. ამ თვალსაზრისითაც, შეიძლება ითქვას, სახარბიელო არა იყო რა. მართალია, წიგნს, კითხვას, წიგნსაცავებს თავისებური მნიშვნელობა ენიჭებოდა, მუდამ შეიმჩნეოდა ზრუნვა მათ მიმართ, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივ ტრადიციაზე იყო აგებული, რაც მის დაუყოვნებლივ ტრანსფორმაციას მოითხოვდა. ამას გრძნობდა ქართველი ინტელიგენცია, განსაკუთრებით საგან-



მანათლებლო და საეკლესიო მოღვაწენი, განათლებულ დიდგვაროვანთა ოჯახები, მაგრამ შესაფერისი პირობები არ არსებობდა, რომელიც ნინ გადგმულიყო ნაბიჯები.

იმ პერიოდში – მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის, მართალია, არსებობდა ერთგვარი წინაპირობები საქმის განვითარებისათვის, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, რომ რაიმე სიახლის გზით წასულიყო ქვეყანა. ეს განსაკუთრებით შეეხება საბიბლიოთეურ საქმეს – წიგნის დაცვასა და საზოგადოებაში მის გავრცელებას, თანამედროვე-თათვის შესაფერისი განვითარების შექმნას.

იმ დროს საქართველოში წიგნსაცავები ძირითადად საეკლესიო-სამონასტრო არეალში იყრიდა თავს. ეს იყო უძველესი კულტურის კერები, რომლებიც მოცემულ მომენტში ვერ შეესაბამებოდნენ თანამედროვე მოთხოვნილებებს და ზედმინევნით ვიწრო მომსახურების საუწყებო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. ამასთან, იმათ წაკლებად ჰქონდათ შეხება საერო საზოგადოებასთან, ხოლო ბოლო წლებში განვითარებულმა მძიმე მოვლენებმა – შემოსევებმა და დარბევებმა საგრძნობლად დააზარალა ისინი: ამ მხრივ შედარებით უფრო შესაფერის მოღვაწეობას საოჯახო ბიბლიოთეკები ახორციელებდნენ, როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ, თუმც არც მათ დაპკლებია მტრის მსახვრალი ხელი. მე-18 საუკუნის ბოლოსთვის მეფის კარისა და მთავართა ბიბლიოთეკებაც განიცადეს ხელყოფა.

რუსეთთან საქართველოს მიერთების შემდეგ მეფის წიგნსაცავი დაიშალა, საეკლესიო-სამონასტრო საქმიანობის რღვევამ, ბევრი სასულიერო დაწესებულების სულაც გაუქმდა, 1811 წელს ცარიზმის მიერ საქართველოს ეკლესის დამოუკიდებლობის დაკარგვამ, მისი ქონების დატაცებამ სავსებით გამოაცალა საფუძველი ქართული წიგნისა და მისი დაცვის საქმის განვითარებას. ამ მიმართულებით მოღვაწეობა ფაქტობრივად კერძო ინიციატივის ამარად დარჩა. წიგნით რაიმეგვარი ორგანიზებული მომსახურება რეფორმამდელ საქართველოში თითქმის აღარ არსებობდა მთელი 3-4 ათეული წლის განმავლობაში. რაც იყო, იმდენად ლოკალური გახლდათ, რომ ის რაიმე არსებით როლს ვერ თამაშობდა საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში, როგორც, მაგალითად, სასწავლებლებთან არსებული წიგნადი ფონდების თავმოყრა.

პირველი სახელმწიფო ორკლასიანი სასწავლებელი რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში 1802 წელს გახნა. იქვე ჩამოაყა-

ლიბეს ბიბლიოთეკაც, რომლითაც ყველას შეეძლო ესარგებლა, მაგრამ, როგორც ჩანს, თვით მოსწავლეებისათვისაც კი იყო გამოუყენებელი. სწავლა რუსულად მიმდინარეობდა, მოსწავლეთა რაოდენობა სწრაფად მცირდებოდა, დაბოლოს, საერთოდ არავინ დარჩა და სკოლამ შეწყვიტა არსებობა. ხელისუფლებამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და შეეცადა, გაეძლიერებინა საქართველოზე საგანმანათლებლო ზეგავლენის საქმე. 1804 წელს კვლავ აღსდგა ეს ე. წ. „კეთილშობილთა სასწავლებელი“ თავისი ბიბლიოთეკით. შემდეგში ის გიმნაზიად გადაკეთდა, სადაც სწავლება ასევე რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

1817 წელს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია – კიდევ ერთი სასწავლებელი ქართველი ჭაბუკების გასარუსებლად. იქაც დაარსდა ერთი პატარა ბიბლიოთეკა ლოკალური დანიშნულების ფონდით, რომელიც უმნიშვნელო როლს თამაშობდა მკითხველთა წიგნით უზრუნველყოფისათვის.

სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ჩამოყალიბება ყოველთვის იყო დაკავშირებული თვით სასწავლებელთა გახსნასთან. ამის გარეშე სკოლა ვერ იარსებებდა, ამგვარი ბიბლიოთეკები არსებობდა აგრეთვე პენსიონებში, რომლებიც 1803 წლიდან პერიოდულად იხსნებოდა ხოლმე.

1830 წელს თბილისში გაიხსნა ქალთა სასწავლებელი თავისი ბიბლიოთეკით, ეს სასწავლებელი 10 წლის შემდეგ გადაკეთდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად, რომელსაც, საქვთვია, რაიმე არსებითი როლი ეთამაშა არათუ საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში, არამედ იმაშიც კი, რისთვისაც ის უმთავრესად იყო მოწოდებული – ქალთა შორის ევროპული კულტურის დანერგვაში.


1830-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიაში აშკარად შეინიშნება გაუბედავი ნაბიჯები საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესებებისათვის. ცნობილია, რომ 1830 წელს თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების თავმჯდომარემ ნ. მორდვინოვმა, იმდროისათვის შედარებით პროგრესულმა ადამიანმა, შინაგან სქემეთა სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი პროვინციებში საჯარო ბიბლიოთეკების გახსნის შესახებ. ის ასაბუთებდა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა ხელს უწყობს მხარის ეკონომიკურ განვითარებას. იმავე წლის 5 ივლისს გამოიცა ცირკულარი, რომლითაც გუბერნატორებს ევალებოდათ საგუბერნიო ქალაქებში საჯარო ბიბლიოთეკების გახსნა.

რუსეთის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სახელმწიფო ამ გადაწყვეტილებამ კარგა ხანს ვერ ჰპოვა რეალიზება მთელს იმპერიაში, საქართველოს ჩათვლით, თუმცა მას მაინც ჰქონდა ერთგვარი პროგრესული მნიშვნელობა, რამდენადაც შესაბამის სიტუაციაში უკვე შეიძლებოდა ბრძოლა საგუბერნიო ქალაქებში, მათ შორის, თბილისშიც, 16 წლის შემდეგ მაინც გახსნილიყო საჯარო ბიბლიოთეკები. სწორედ 1830-იანი წლებიდან შედარებით გააქტიურდა საგანმანათლებლო საქმე საქართველოში. 1830 წელს არსდება სამაზრო სკოლები (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ქუთაისი), სხვადასხვა წლებში იხსნება საერო სკოლები; 1950 წელს თბილისში გაიხსნა მეორე გიმნაზია, გაიხსნა გიმნაზია ქუთაისშიც, თითოეულ მათგანში ბიბლიოთეკები მოქმედებდნენ.

ჯერ კიდევ 1820-იანი წლებიდან საქართველოში სხვადასხვა დროს დაარსდა რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი და სამრევლო სკოლა, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის სამხედრო სასწავლებელი, რომლებსაც შესაფერისი ბიბლიოთეკები ჰქონდათ.

ამგვარი ბიბლიოთეკები ოფიციალურად მოვალენი იყვნენ ყველა მსურველს მომსახურებოდნენ, მაგრამ არსებული ფონდი, მომსახურების დონე და ხარისხი ფართო მკითხველი საზოგადოების მოზიდვის საშუალებას არ იძლეოდა. უმთავრეს მიზეზად ფონდების შეუსაბამობა შეიძლება ჩაითვალოს: წიგნების უმრავლესობა რუსულ ენაზე იყო გამოცემული, რაც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, მით უმეტეს, ფართო საზოგადოებისათვის, ჯერ კიდევ უცხო იყო. მხედველობაში ისიცა მისალები, რომ იმ პერიოდში წიგნები ქართულად თითქმის არ იძეჭდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურის მცირე რაოდენობას, ქართულ გაზეთს და რამდენიმე საუნიკო-საწესდებო გამოცემას, რომლებიც, საეჭვოა, ამგვარ ბიბლიოთეკებში მოხვედრილიყო.

საქართველოში ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის შექმნამდე მათ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ საზოგადოების, განსაკუთრებით მომავალი თაობის, საბიბლიოთეკო საქმით დაინტერესებისათვის. თავის მხრივ, მცირეოდენ როლს მაინც ასრულებდნენ პატარ-პატარა ბიბლიოთეკები, რომლებიც სხვადასხვა დროს აქაიქ წარმოიქმნებოდნენ ხოლმე, როგორც უფრო სახალხო მნიშვნელობის ობიექტები; სწორედ ისინი წარმოადგენდნენ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ერთგვარ წინამორბედებს.


ერთ-ერთი პირველთაგანი იყო 1803 წელს მუსინ-პუშკინის მიერ დაარსებული სახალხო ბიბლიოთეკა. ეს პირვენება რუსეთის უმაღლესი ლესი მთავრობის განკარგულებით ჩამოვიდა საქართველოში ანტალის მანის აღმოჩენასთან დაკავშირებით. მან თბილისში, თავის ბინაზე თავი მოუყარა ტექნიკურ ბიბლიოთეკას, რომელიც შრომით პროცესებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს ბიბლიოთეკა სწრაფად გაფართოვდა და მასში სხვადასხვა ხასიათის გამოცემებიც ჩაერთო; თუმცა იგი ყოველთვის რჩებოდა ვიწრო პროფილის დანესებულებად. როგორც ჩანს, წარმადგენდა რაღაც შუალედურს პირად საჯარო ბიბლიოთეკასა და სახალხო ბიბლიოთეკას შორის; იგი განკუთვნილი იყო ყველა მსურველისათვის და, ამდენად, ფუნქციონალურად თავის როლს მაინც ასრულებდა, მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ ის ვერ იქნებოდა სახალხო ბიბლიოთეკა იმგვარი გაგებით, როგორიც შემდგომში დამკვიდრდა სისტემაში. უცნობია მისი მუშაობის მეთოდები, საქმიანობა, მეითხველთა შემადგენლობა, დღის რეჟიმი და სხვა ტექნიკური ხასიათის პროცესები.

შედარებით უფრო ნაცნობია ფრანგი უან პოლის სასატუმროსთან(ტრაქტირთან) არსებული კლუბი, ანუ კაზინო, და მასთან გახსნილი ბიბლიოთეკა, რომელიც სახალხო ბიბლიოთეკის სტატუსით მოქმედებდა. კაზინო ძირითადად სხვა მიზნებს ისახავდა: აგრეთვე ცდილობდა ქართველი წარჩინებული ოჯახის ქალების მიზიდვას და მათს დაახლოებას ევროპულ ცივილიზაციისთან. ცხადია, ეს ერთგვარ ფარულ დივერსიულ ამოცანას ემსახურებოდა. კარგად იყო ცნობილი, რომ ქართული ოჯახის ტრადიციებს, მაშასადამე, ქართულ თვითმყოფადობას, წარჩინებული ქალები ინახავდნენ და მათი შერყევა ამ ტრადიციების მოშლას მოემსახურებოდა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ პარალელურად აქ სხვა ფარული მიზნებიც იჩენდა თავს, რაც დეკაბრისტთა საქმიანობის გამოძახილი უნდა ყოფილიყო. ალბათ ამით აიხსნება მაღალ სამსედრო ჩინოსანთა და პროგრესულად მოაზროვნე ჩინოვნიკების ინტერესი ამ დაწესებულებისადმი. სხვათა შორის, ამ კლუბით უსარგებლიათ ცნობილ ესპანელ რევოლუციონერ ხუან ვან-გალენსა და დიდ რუს მნერალსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრ გრიბოედოვს.

აქ არსებულ ბიბლიოთეკას საკმაოდ მდიდარი უცხოური ლიტერატურა ჰქონია, ძირითადად, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ინერდნენ ფრანგულ და გერმანულ გაზეთებსაც.



მართალია, იქ საინტერესო კულტურული სანახაობები და მიმართ თებოდა, მაგრამ მაინც დიდად ვერაფრით უწყობდა ხელს საბიძლიოთეკო საქმის განვითარებას. ის, ფაქტობრივად, სამკითხველო კაბინეტს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ბიბლიოთეკას ელასიკური გაგებით. არავითარი ეროვნული მუხტი მას არ გააჩნდა, რის გამოც არ შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში იმ დროის კვალობაზე თანამედროვე სახის ნამდვილ ბიბლიოთეკად შეიძლება მივიჩნიოთ ეკ. კოტოვას კერძო ბიბლიოთეკა. იგი იყო „კეთილშობილთა სასწავლებლის“ მაშინდელი ბიბლიოთეკის გამგის მეუღლე და, მოსალოდნელია, კარგად სცოდნოდა საბიბლიოთეკო საქმიანობის ტექნოლოგია; ამაზე მეტყველებს მისი ბიბლიოთეკის მონაცემები. როგორც ირკვევა, იგი მიზნად ისახავდა, ხელი შეეწყო თბილისში მოღვაწე სამოქალაქო და სამხედრო ჩინოვნიკების, აგრეთვე ინტელიგენციის წარმომადგენლებისათვის, ჩართულიყვნენ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში.

ბიბლიოთეკას ჰქონდა წესდება, რომელშიც გათვალისწინებული იყო ყველა წვრილმანი, დამუშავებული იყო „საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი“, მკითხველებს გასაცნობად და გამოსაყენებლად ეძლეოდათ წიგნური კატალოგი, რომელიც დროებითი სარგებლობისათვის შეეძლოთ შინ წაელოთ; ფასი, რომლითაც შეიძლებოდა ამ ბიბლიოთეკით სარგებლობა, არ იყო მაღალი. ბიბლიოთეკა ემსახურებოდა მკითხველს განურჩევლად მათი ცერზისა და საკმაოდ დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. სავარაუდოა, რომ მკითხველთა რაოდენობა მრავალრიცხვოვანი ვერ იქნებოდა, რასაც ფონდების შემადგენლობა განაპირობებდა. ქართული წიგნები საერთოდ არ ჰქონდათ. იგი უქმე დღეებში არ მუშაობდა, ხოლო გარკვეულ დღეებში შედარებით ადრე (საღამოს 19.00 საათზე) იყეტებოდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებისათვის მას კარგი მაორგანიზებელი მაგალითი უნდა ჰქონოდა და წიგნზე მოთხოვნილების წარმოშობას უწყობდა ხელს. სამწუხაროდ, მას დიდხანს არ უარსებია. ჩვენთვის ცნობილი გარკვეული მიზეზით, რაც ამ ქალბატონის პირად ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, 1831 წელს დახურულა.

საქართველოში, სასწავლებლებისა და ხსენებული საჯარო (კერძო) ბიბლიოთეკების გარდა, ფუნქციონირებდა რამდენიმე საუწყებო ბიბლიოთეკაც თავიანთი ვინრო ამოცანებით, აგრეთვე

სათავადაზნაურო საკრებულოს სამყითხველო კაბინეტი, რომელიც მკითხველებს ძირითადად პერიოდიკით ემსახურებოდა ასაკითი 1888-1890 წლებში.

1830 – 40-იან წლებში საქართველოში, ცხადია, ძირითადად თბილისში, უკვე ბიბლიოთეკების დაარსებისა და გამოყენების სასარგებლო გამოცდილება არსებობდა. ნათლად ჩანს, რომ ქართველი ინტელიგენცია იმ დროს უკვე იცნობს საბიბლიოთეკო საქმიანობას და მიისწრაფის მისკენ, თუმცა მისი მოქმედება ჯერ ვერ არის საკმაოდ მკვეთრად გამოხატული, ენერგიული და მიზანსწრაფული, როგორც ეს შემდეგში – 80-90-იან წლებში იყო. მაგრამ მის წინა ეტაპმა მაინც დადგებითი როლი ითამაშა, საერთოდ, წიგნიერების გავრცელებასა და განვითარებაში. სწორედ ამას მოჰყვა წიგნის მაღაზიების მომრავლება, მართალია, ჯერ მოკრძალებული, მაგრამ შემდეგში უფრო ფართო მასშტაბებით. ცნობილია, რომ 1848 წელს გაიხსნა პელტიეს წიგნის მაღაზია და საკითხავი კაბინეტი, რომლის საქმიანობა ძალიან ახლოს იყო ბიბლიოთეკის ფუნქციებთან; 60-იან წლებში თბილისში წიგნის 3 მაღაზია-სამკითხველო მოქმედებდა. საერთოდ, უნინ წიგნები, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სავაჭროებში იყიდებოდა სხვა საქონელთან ერთად.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო შემდგომში სახალხო ბიბლიოთეკებზე მოთხოვნილების თანდათანობით გაძლიერებას. ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია 1850 წელს ენფიანჯიანცის სახალხო ჟერძო ბიბლიოთეკა, რომელმაც 1864 წლამდე იარსება.

თუ შევაფასებთ საქართველოში საბიბლიოორეკო საქმის განვითარების ეტაპებს, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ცალკეული ნარმატებული ცდებისა, პირველი ეტაპი (30-იანი წლები) ძალიან მნირი საქმიანობით ხასიათდება, მაგრამ ის შემდგომი ეტაპის ნინაპირობებს ქმნის, რაც 40-იანი წლებიდან იწყება და საგლეხო რეფორმამდე გრძელდება, როდესაც რუსეთის იმპერიაში განმტკიცებას იწყებს კაპიტალისტური ურთიერთობანი.

საქართველოში ეროვნული საჯარო ბიბლიოგების დაარსების წინაპირობის შესახებ უნდა ითქვას, რომ აქ მთლად ცარიელი ადგილი სულაც არ იყო. საუბარი არ არის მხოლოდ იმ ენერგიაზე, რომელიც ქართველ ხალხს ჰქონდა მემკვიდრეობისა და დიდი კულტურის გამოისობით, რაც წარსულის ინერციად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენ ვეხებით იმ პრაქტიკას, რომელიც მკვიდრდებოდა საბიბლიოთეუკო საქმეში მისა განვითარების გზაზე. პასურობა, რომელიც ამ მიმართულებით ახასიათებდა ქართველ საზოგადოებას, გამოწ

ვეული იყო იმ ეროვნულ-პოლიტიკური ვითარებით, რომელშიც
იმყოფებოდა ხალხი – გაუგონარი ზენოლა ეროვნულ მუხტიშვილის
ლიტიკური და ეკონომიკური შევიწროება, ამით გამოვიდებული ჩადასტუ
ყებები, რეპრესიები, განათლების დონის დაქვეითება, ომები, სო-
ციალური ჩაგვრა, ეპიდემიები თუ ბუნების სტიქიური მოვლენები,
რელიგიური შეუთავსებლობა და სხვა მრავალი რამ.

ასეთ ვითარებაში უცხო ძალა ცდილობდა მორგებოდა ქართულ
ნიადაგს და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა იგი. მართალია,
ზოგიერთი სასარგებლო რამ შეიძლება ჰქონებოდა მას, მაგრამ
მნიშვნელოვანი ბევრი არაფერი, იგი ბევრს ვერაფერს მატებდა
ეროვნულ ფასეულობებს, რადგან არ ეყრდნობოდა ადგილობრივ ნი-
ადაგს და ამიტომ არ წარმოადგენდა ხალხისათვის მიმზიდველსა და
საყურადღებოს. ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხის მონინავე ნა-
ნილი არ ჰქარგავდა ეროვნული პროგრესის იმედს. როგორც ხალხის
ყოფილან ჩანს, ის ილტვოდა ყოველივე ეროვნულისადმი, და ეს წიგ-
ნიერებასა და საბიბლიოოთეკო საქმეშიც ჰპოვებდა გამოხატულებას.

ამის ნათელი გამოვლენა იყო 1842 წელს „ტფილისის კერძო ბიბ-
ლიოთეკის“ დაარსება. ეს იყო ქართველი ინტელიგენციის ერთი ნა-
ნილის გადაწყვეტილება, რასაც რამდენიმე არაქართველმა პირმაც
გაუწია თანადგომა და ჩანაფიქრი პრაქტიკულად განახორციელა.
მათ მთავარმართებელ ე. გოლოვინს დიმიტრი ყიფიანის ხელით
თხოვნა და წესდება მიართვეს ხელმოსაწერად და ნებართვის მი-
ღებისთანავე დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ საქმეს. ბიბლიოთეკის
დაარსების საქმის წამომწყები და თავისმომბეჭდი დიმიტრი ყი-
ფიანი ამ მოვლენამდე ორი წლით ადრე ფიქრობდა ბიბლიოთეკის
დაარსებას, მაგრამ, როგორც ჩანს, თანამოაზრეთა ძიებაში მას
კარგა დიდი დრო დასჭირდა. ბიბლიოთეკა მის ბინაში ნაქირავებ
ფართზე განთავსდა, „წიგნის მნედაც“ (ბიბლიოთეკრად) იგი აირ-
ჩიეს და ხელფასიც დაუნიშნეს. საამხანაგო ბიბლიოთეკის ბეჯი-
თად დამუშავებული წესდება მისი საქმიანობის ყველა წვრილმანს
ითვალისწინებდა.

წევრების რაოდენობა წლის განმავლობაში 30 კაცით იყო გან-
საზღვრული, მაგრამ იყო გარკვეული გადახრებიც. ეს არ წიშნავ-
და, რომ ვინმეს აკრძალული ჰქონდა ბიბლიოთეკით სარგებლო-
ბა. უპრალოდ, გარეშე წევრები ხელშეკრულებით განსხვავებული
ფასებით იყვნენ განსაზღვრულნი. წესდებაში ზუსტად იყო ჩამო-
ყალიბებული წიგნით სარგებლობის ვადები (სხვადასხვა დანიშნუ-



ლების წიგნების მიხედვით), ფონდით სარგებლობის პრიორიტეტი ჰქონდათ იმათ, ვისი სახსრებითაც ისინი იყო შეძენილი; წიგნის დაკარგვისათვის შემოღებული იყო სხვადასხვა სასჯელი, მათი დაგვიანებისათვის დაწესებული იყო ჯარიმები. ბიბლიოთეკა თუ გაუქმდებოდა, წესდებით გათვალისწინებული იყო სათანადო პირობები.

ბიბლიოთეკას სამი ხელმძღვანელი ჰყავდა – დიმიტრი ყიფიანი, ზაქარია ფალავანდიშვილი და კიდევ ერთი პირი, რომელიც დოკუმენტურად არ არის დადგენილი. კატალოგებისა და წიგნბრუნვის რეგისტრაციის არსებობა მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად მაღალი შრომის კულტურა ჰქონდა ამ ბიბლიოთეკას. მისი დამფუძნებელი პირების დასახელება ნათლად გვიჩვენებს, როგორი მაღალი ინტელექტუალური საზოგადოება იყო მის ირგვლივ შემოკრებილი: დ. არზანოვი, ნ. ბარათაშვილი, ნ. ბეზაკი, კ. დადიანი, ე. ერისთავი, ს. ვასილკოვსკი, მ. ზნარკო-იავორსკი, მ. თუმანიშვილი, თ. კოციბუ, ლ. მელიქიშვილი, ა. ონიკაშვილი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ივ. ორბელიანი, კ. ორლოვსკი, ზ. ფალავანდიშვილი, დ. ყიფიანი, დ. ჭავჭავაძე, დ. ჯორჯაძე; შემდეგში მათ შეემატენენ ს. აბესალომოვი, ვ. ბელიაევი, გ. ერისთავგვი, კ. ზახი, ივ. მუხრან-ბატონი, ა. ნეიტბარტი, ი. ნაზოროვი, ა. ჭავჭავაძე; იყვნენ სხვა მსურველებიც.

მათ შორს გამიზნული ამოცანები ჰქონდათ. მათი შენიდული სურვილი იყო ბიბლიოთეკის საფუძველზე შექმნილიყო თბილისის ინტელიგენციის თავშეყრის ადგილი, ერთგვარი კლუბი, რომელსაც ექნებოდა თავისი პერიოდული ორგანო, შეაგროვებდა ქართულ ხელნაწერებს, იზრუნებდა მათ გამოცემაზე, მთარგმნელობითი საქმის ორგანიზაციაზე და ა. შ.; იგი უნდა გამხდარიყო ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, თუმცა არსებული რეჟიმის პირობებში ამის აფიშირებას ოფიციალურად ვერ მოახდენდა.

ბიბლიოთეკის გახსნის იდეისთვის ხორციელება საქმაოდ ძნელი იყო. ამას სათანადო გამოცდილება და ცოდნა ესაჭიროებოდა, რაც იმდროინდელ საქართველოში არავის არ გააჩნდა. ამდენად, უაღრესად დროული და სასარგებლო იყო 1842 წლის სექტემბერში რუსეთიდან ზაქარია ფალავანდიშვილის დაბრუნება. პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული, ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა შეუდგა აქტიურ პრაქტიკულ მოღვანეობას ბიბლიოთეკის ასამოქმედებლად. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ის იყო მისი ერთ-ერ-



თი წამყვანი ხელმძღვანელი. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა გაუ-
მომცემლებთან, მეცნიერებთან, წიგნის სავაჭროებთან როგორც
ჩვენში, ისე იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში, განსაკუთრებით
მოსკოვსა და პეტროგრადში; ახლო კავშირი ჰქონდა მარი ბროსე-
თან, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ბიბლიოთეკა თავისი
შენირულობებით. მათვის არაერთ მოღვაწეს გაუწევია სათანადო
დახმარება.

მიუხედავად იმისა, რომ მის საქმიანობას მრავალი ნაკლი გააჩნ-
და, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ იყო პირველი ქართული სუ-
ლისკვეთების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების
ნიმუში, რომელმაც მაგალითი მისცა ქართველ საზოგადოებას
წიგნიერების კულტურის განვითარებისათვის ზრუნვის გასააქტი-
ურებლად. ამავე დროს ის იქცა ბიბლიოთეკის ორგანიზებულად
აგებისა და მართვის ნიმუშად. რაც მთავარია, მან გააღვიძა მოწი-
ნავე ინტელიგენციის ინტერესი ამ საქმისადმი. ის იყო წინამორბე-
დი საქართველოში პირველი ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკისა,
რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ამ იდეის წარმოშობასა, განვი-
თარებასა და ხორციელებაში.

იმდენად ახლობელი იყო ამ და მომავალი საჯარო ბიბლიოთეკის
იდეური ურთიერთობა, რომ მას შემდეგ ფონდების შეერთებაც კი
დაერთო ზედ; საზოგადოების თვალში ეს ორი სხვადასხვა ბიბლი-
ოთეკა ერთიანადაც კი იქნა წარმოდგენილი. სინამდვილეში კი ეს
ასე არ იყო. სამწუხაროდ, მეცნიერულ გამოკვლევებშიც კი გამო-
უნა ამ მცდარმა შეხედულებამ.

ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად „ტფილისის კერძო ბიბლიოთე-
კის“ ყოველმხრივი ცდისა, საბოლოოდ ის მაინც ვერ იქცა ქარ-
თული წიგნიერების განვითარების შეუვალ ცენტრად. მომხმა-
რებელთა წრე აქაც ძალიან ვიწრო იყო, ესენი იყვნენ ძირითადად
დიდგვაროვანთა წარმომადგენლები. ფართო საზოგადოება არ
იცნობდა მას და ხალხის მოთხოვნილებებსაც ბოლომდე ვერ პასუ-
ხობდა. წიგნადი ფონდი თითქმის მთლიანად უცხოენოვანი იყო –
რუსული, ფრანგული, გერმანული; ბიბლიოთეკით სარგებლობა მა-
შინდელი კურსის მიხედვით ძალიან ძვირი იყო და, რაც მთავარია,
იმდროინდელ საქართველოში საზოგადოებრივი წიგნთსარგებლო-
ბის მოთხოვნილება ჯერ კიდევ დაბალი იყო. ამიტომ ამ დაწესებუ-
ლებამ დიდხანს ვერ იარსება. ფაქტობრივად 1845 წელს შეწყვიტა
მოქმედება, რაც მისი ტექნიკური და მეთოდური საქმის ორგანიზა-



ტორის – ზაქარია ფალავანდიშვილის ნაადრევმა გარდაცვალება-
მაც განაპირობა. სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, ცენტრული
დ. ყიფიანმა შეძლო გაეგრძელებინა საბიბლიოთეკო საქმიანობა
და 1848 წელს, მისივე თხოვნით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი
ახალდაარსებულმა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკამ“ შეიძინა.
ამგვარად დასრულდა კერძო ბიბლიოთეკის ხანმოკლე არსებობა,
თუმცა მან წარმოუდგენლად დიდი როლი ითამაშა საქართველოში
საბიბლიოთეკო საქმიანობის გაძლიერებაში.

ამგვარი იყო ის მოვლენები და წინაპირობა, რომელიც არსებობ-
და საქართველოში ეროვნული მნიშვნელობის პირველი საჯარო
ბიბლიოთეკის დაარსების დროს. მას საკმაოდ დიდი დრო და ენერ-
გია დასჭირდა, ვიდრე ამ მოვალეობითა და სტატუსით მოევლინე-
ბოდა ქვეყანას და ეროვნული საბიბლიოთეკო დარგის განვითარე-
ბის წინამძღოლი გახდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

ი. ბალახაშვილი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველო-
ში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. დოკუმენტური ნარკვევი. – თბ., 1940.

მ. ბერძენიშვილი. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის. //
ბიბლიოგრაფიის მოამბე. – 1941, №2-3. გვ. 157-168.

ი. გოგლიძე. წიგნის პირველი მაღაზიები და ბიბლიოთეკები ტფილისში
1840-80-იან წლებში // საქართველოს ბიბლიოთეკა. №4, 2006. გვ. 9-11.

ნანა გურგენიძე. ფრაგმენტები საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის
ისტორიიდან. // საქართველოს ბიბლიოთეკა. №3, 2007. გვ. 9-15.

ა. ლორია, ნ. გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში: (1921
წლამდე). – თბ., 1974.

ა. ლორია, ნ. მელქაძე. შენიშვნები შენიშვნებზე. // საქართველოს ბიბ-
ლიოთეკა. „საქართველო“, №1, 2003. გვ. 53-57.

ნ. მელქაძე, ა. ლორია. ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მატიანე:
(1846 – 1868). // საქართველოს ბიბლიოთეკა. – № 3, 2002. გვ. 41-46.

გ. ჩხაიძე, ნ. მელქაძე. კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბ-
ლიოთეკა. // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საიუბილეო მოამბე:
44; 1852-2002; 150. – თბ., 2002.

თ. ჯოლოგუა. „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“: (მასალები XIX ს. ქარ-
თული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). – თბ., 1997.

ტრ. ხუნდაძე. ცარიზმის პოლიტიკისათვის ბიბლიოთეკების მიმართ. //
ბიბლიოგრაფიის მოამბე – 1948, № 4-5. გვ. 266-282.

В. Узнадзе. История Тифлисской публичной библиотеки : (1846-1917).
– Тб., 1957.



ნორაზი ბართაია

ჩართული ფარმოშობის სპარსულებოვანი არეალი

როდესაც ვეხებით თემას – ქართული ნარმოშობის სპარსულებოვანი პოეტები, აუცილებელია ნარმოვაჩინით შემდეგი:

1. როდის და როგორ გაჩნდა ტერმინი სპარსულებოვანი.
2. როდის და როგორ გახდნენ ქართველი პოეტები სპარსულებოვანები.
3. როგორია ქართული ნარმოშობის პოეტთა როლი სპარსული ლიტერატურის ისტორიაში.

სპარსული ლიტერატურის ისტორია სამ ნაწილად იყოფა: ძველი (ძვ. წ. VI-IV ს. ს.), საშუალო (III-VII ს. ს.) და ახალი (X-დან დღემდე).

რა თქმა უნდა, ყოველი პერიოდი იყოფა ეტაპებად.

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი სათავეს იღებს XII საუკუნიდან, რომელიც ნარსულში განხორციელდა ორჯერ – XII და XVI-XVIII საუკუნეებში.

XII საუკუნეში ეს მოხდა შირვანის გზით და იგი უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს. შირვანი ამ დროს სპარსული ლიტერატურული ცხოვრების ცენტრს ნარმოადგენდა.

შირვანის გზით კი იმიტომ მოხდა სპარსული ლიტერატურის შემოსვლა ქართულში, რომ შირვანის სამეფო კარი როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად და, ამავე დროს, ნათესაურად, დაკავშირებული იყო ქართულ სამეფო კართან.

ცნობილია, თუ რა შემწყნარებლობას იჩენდა ქრისტიანი მეფე დავითი მუსლიმთა მიმართ. არაპი ისტორიკოსების ცნობებით მუსლიმები თბილისში უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე სხვა მუსლიმურ ქალაქებში.

დავით მეფის ასეთმა შემწყნარებლულმა დამოკიდებულებამ გესალიმთა მიმართ, შექმნა შესაფერისი გარემო კულტურულ-რელიგიური ტერატურული ურთიერთობებისთვის ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის, რაც ნათლად გამოიხატა ქართველთა მიერ დიდი სპარსული ღიტერატურისადმი დამოკიდებულებაში.

XI საუკუნიდან, არაბთა ხალიფატის დასუსტებასთან ერთად, ისტორიის არენაზე გამოდიან თურქები.

ირანის დაპყრობის მერე თურქებმა განიზრახეს თურქული ენით ჩანაცვლებინათ სპარსული, მაგრამ სპარსულ ენაზე აწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების თურქულ ენაზე გადაყვანა მძიმე პროცესი აღმოჩნდა და ასე დარჩა სპარსული თავის ფუნქციებში.

თურქები არ შემოფარგლულან მხოლოდ ირანის დაპყრობით, არამედ ისინი დღითი დღე აფრთოებდნენ თავიანთ იმპერიას, რა-საც თან მოჰყვებოდა სპარსული ენისთვის ასპარეზის გაფართოება.

ასე გახდა სპარსული ენა თურქ-სელჯუკთა იმპერიის ოფიციალური და ელიტარული ენა. ამიერიდან სპარსულ ენაზე თხზავდნენ თავიანთ მხატვრულ ქმნილებებს არა მარტო ეთნიკურად სპარსელები, არამედ იმპერიაში შემავალი მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხები.

სწორედ აქედან გაჩნდა ტერმინი სპარსულენოვანი პოეტი.

ტერმინი სპარსი სინონიმი გახდა კულტურის.

ასევე შეინარჩუნა სპარსულმა ენამ დომინანტი ენის როლი მონღოლთა და თემურელთა ბატონობის ხანაშიც.

სეფიანების დროს კი, რამდენადაც სეფიანებმა აღადგინეს ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, რომელიც არაბობის მერე ცხრა საუკუნე დაკარგული ჰქონდა ირანს, სპარსული ენა მოექცა ირანის სახელმწიფოს ფარგლებში, თუმცა იგი, ინერციით, მაინც ინარჩუნებდა თავის ბრწყინვალებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ჩვენ არ ვიცით იყვნენ თუ არა XII საუკუნეშივე სპარსულენოვანი ქართული წარმოშობის პოეტები. ერთი რამ კი ვიცით, რომ არის გარკვეული რაოდენობა პოეტებისა, რომელთაც ნისბა (წარმომავლობა) თაფლისი (თბილისელი იყო). სხვა ცნობები მათ შესახებ არ მოგვეპოვება, თბილისელი კი არ ნიშნავს მაინც და მაინც ქართველს. თბილისი მაშინ ეთნიკურად მრავალფეროვანი ქალაქი იყო, რომელთა შორის იყვნენ როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატები, ისე მეცნიერები, რომლებიც წერდნენ მახლობელ აღმოსავლეთ-



ში მაშინ გაბატონებულ არაბულ და სპარსულ ენებზე. პოეტებიდან ესენი არიან: ყაზი თაფლისი, ქამალ თაფლისი, ლატიფ თაბატლისი, ბადრ თაფლისი, საიფ თაფლისი, ჰობეიშ თაფლისი.

განსხვავებით XII საუკუნისგან, სხვა ვითარებაა XVI-XVIII და XIX საუკუნეებში. აქ უკვე დაბეჯითებით შეიძლება საუბარი სპარსულენოვან პოეტთა ქართულ წარმომავლობაზე.

ვიდრე მათ შევეხებოდეთ, წარმოვაჩინოთ ის სურათი, რამაც წარმოშვა აღნიშნულ საუკუნეებში სპარსულენოვანი ქართველი პოეტები.

როგორც აღვნიშნეთ, არაბობის მერე, VII-დან XVI საუკუნემდე, ირანს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნანილობრივ მის ტერიტორიაზე X საუკუნეში ეროვნული დინასტიის – სამანიდებრს არსებობას, არ გააჩნდა სახელმწიფო ობრიობა. მთელი ცხრა საუკუნის მანძილზე ირანი არაბთა, თურქთა, მონღოლთა, დაბოლოს, თემურელთა პოლიტიკურ უღელქვეშ იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ირანელები ცდილობდნენ რდინდელი დიდების – სახელმწიფო რიობის დაბრუნებას, რომელიც მხოლოდ სეფიანი შაჰების წყალობით შეძლეს.

სეფიანთა ხანას (1502-1736) ორ პერიოდად ჰყოფენ. პირველი პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს მისი დაარსებიდან 1589 წლამდე, ხელისუფლების სათავეში შაჰ-აბას პირველის მოსვლამდე და მეორე პერიოდი – 1636 წლამდე, ბოლო სეფიან შაჰამდე.

ყიზილბაში, ამირების გაუთავებელმა ურთიერთ შულლმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ცალკეული ფეოდალური სამთავროები და ტომები, ქვეყნის მთლიანობის იდეას სერიოზული საფრთხე შეუქმნა, ამიტომ შაჰ-აბას პირველმა განსხვავებული სტრატეგიული კურსი აიღო, მან თავის საიმედო ძალად არა ყიზილბაში ამირები, არამედ კავკასიური, განსაკუთრებით ქართული ელემენტი აირჩია, რომელსაც ირანში შაჰის გარდა სხვა დასაყრდენი არ ეყოლებოდა, რასაც მოჰყვა ქართულ-ირანული ურთიერთობების მრავალმხრივი გაფართოება.

მართლაც, ირან-საქართველოს ორიათასხუთასწლიან ურთიერთობათა ისტორიას არ ახსოვს ისეთი ახლო კავშირები ერთმანეთთან, როგორც ეს იყო სეფიანების დროს, განსაკუთრებით, შაჰ-აბას პირველის გამეფების შემდეგ, როცა ირანში სამხედრო-პოლიტიკურ არენაზე ამინდს ჰქმნიდნენ ქართველები, ხოლო ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე – ირანელები.

სპარსელებს დიდი კულტურა აქვთ სპარსული ლიტერატურის
ისტორიათა (თეზქერთა) შედგენისა. ერთ-ერთი ასეთია სეფაბანის მიერთა
თა ხანის მოღვაწის ნასრაბადისა, თეზქერე, სადაც შეტანილია
ქართული წარმომავლობის სპარსულენოვანი პოეტები თავიანთი
შემოქმედებითი ნიმუშებით, ესენი არიან: სორუშ გორჯი, ზეინალ
ბეგი, ბეჭად ბეგი, ფაზლ ალი ბეგი, იამინი გორჯი, ვალი გორჯი,
ნეჟად გორჯი, ქაიხოსრო გორჯესთნი, შირ მარდან ბეგი, ალიხან
ბეგი, ალურლუ ბეგი, ბაქრათ ბეგი, სიაუშ-ბეგ გორჯი, ბაზმი ქუზი,
ქოუქაბი გორჯი, ამირ-ხან ქოუქაბი გორჯი....

სეფიანთა შემდგომი ხანის პოეტები არიან: მაქნუნ გორჯი, ხოს-
რო გორჯი, ქამი გორჯესთანი, როხსარ გორჯესთანი, იუსეფ გორ-
ჯი, ახთარ გორჯი, ნეშატი გორჯი, თალებ გორჯი, მირზა აბდულა
გორჯი (ეშთეჭა)...

ჩვენ, როცა გვინდა ხაზი გავუსვათ ამ დროის ქართულ-სპარ-
სულ ლიტერატურულ ურთიერთობებსა და სპარსული პოეზიის
სიმშვენიერეს, მოვიხმობთ ხოლმე თეიმურაზ პირველის ერთ პო-
ეტურ ტაეპს: „სპარსთა ენისა სიტყბომან მასურვა მუსიკობანი“,
ხოლო თითქოს უყურადღებოდ გვრჩება მისი გაგრძელება: „მძიმეა
ენა ქართველთა, ვერ ძალმიც მისებრ თხრობანი“, რომელიც ნათ-
ლად ავლენს პოეტის შინაგან სამყაროს. ამ სიტყვების მთქმელი იმ-
დენად არის აღზრდილი სპარსულ ენასა და ლიტერატურაზე, რომ
მისთვის უფრო ახლოა სპარსული ენა და პოეტური სამყარო, ვიდ-
რე ქართული. „ვერ ძალმიც მისებრ თხრობანიო“ – ამბობს პოეტი,
თითქოს, თვითონ ქართველი არ იყოს.

ასეთ ვითარებაში არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გამაპმადიანე-
ბული ქართველები წერდნენ სპარსულად. გასაკვირი არის ის, რომ,
ამ დროს, განსხვავებით მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ხალხე-
ბისგან, არ გადავედით სპარსულ ენაზე.

სპარსული ლიტერატურის დიდი ირანელი მკვლევარი ზაბიჰ
ოლა საფა თავის სპარსული ლიტერატურის მრავალტომეულის
ერთ-ერთ ტომში, როცა ეხება სეფიანთა ხანის მწერლობას, ცალკე
გამოჰყოფს ამ პერიოდის ინდური და თურქული წარმომავლობის
სპარსულენოვან პოეტებს, ხოლო, სრულიად გაუგებარი მიზეზით,
ამ კუთხით არ გამოჰყოფს ქართული წარმომავლობის სპარსულე-
ნოვან მხატვრული სიტყვის ოსტატებს. გამოდის, რომ ისინი მისთ-
ვის გაიგივებულნი არიან ეთნიკურად ირანელ პოეტებთან.

ირანში მოღვაწე ქართული წარმოშობის პოეტების შესახებ ქართულად არსებობს მაგალი თოდუას ვრცელი ნაშრომი.

ფერეიდნელი ქართველი, ისტორიკოსი საიდ მულიანი, თავის ნიგნში „ქართველთა როლი ირანის ისტორიასა და კულტურაში“, ცალკე თავს უთმობს ქართული წარმოშობის სპარსულენოვან პოეტებს. ასევე შეინიშნება ამ თემით სხვა ირანელ ავტორთა დაინტერესებაც.

იმდენად დიდია ქართველთა როლი ირანის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, რომელ სფეროსაც არ უნდა შეეხებოდეს, რომ იგი მკვლევართათვის ამოუწურავი თემაა.

საუკუნეთა განმავლობაში დიდი იყო სპარსული ლიტერატურის, ზოგადად სპარსული კულტურის, გავლენა ქართულზე, რაც ქართველ ირანისტთა უშრეტი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ასევე სათანადოდ თუ არა, ირანელთა მხრივ, მინიშნებული მაინც უნდა იყოს იმ წვლილის შესახებ, რაც ქართული წარმოშობის სპარსულენოვან მხატვრული სიტყვის ოსტატებს მიუძღვით სპარსული ლიტერატურის განვითარებაში.

მოგონებები

ამ მოგონებათა ავტორი არის დედაჩემის დედა ივლიტა (იტა) ასათიანი-ნაკაშიძისა. ჩანაწერები, გამიზნული ახლობელთა ნისტოის, დაინტერა მისი შვილების თხოვნით. თხრობა სპონტანურია, არ არის დაცული ქრონოლოგია, სტილიც მეტნილად გაუმართავია. მოგონებათა ფრავმენტებს არ აქვს თარიღი. მხოლოდ ერთგან არის ზუსტი მითითება: 1952 წლის 1 იანვარი. მოგონებებს ნერს ხანდაზმული ქალბატონი, რომელსაც ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უფროსი თაობის ახლობლების და მეგობრების, ამავე დროს ქართველი კლასიკოსების (აკაკი, რაფიელ ერისთავი, ვიორგი ნერეთელი, ანასტასია თუმანიშვილი-ნერეთელი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო არაგვისპირელი, შიო მღვიმელი, გრიგოლ ნერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა) ცხოვრების ეპიზოდები, მათი ცხოვრებისეული ნვრილმანების გათვალისწინება, მათი ოჯახური გარემო, ყოველდღიური ყოფა...

ეს მასალა გადმოცემულია შეულამაზებლად, მაგრამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

ივლიტა ნაკაშიძე სოციალურად უაღრესად აქტიური, საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწე, მუდამ ჰედაგოგიურ თუ უურნალისტურ საქმიანობაში ჩაბმული ცნობილი პიროვნების, ერმილე ნაკაშიძის მეუღლე, იყო ხუთი შვილის დედა. ის საინტერესოდ გადმოგვცემს თავისი ყრმობისა და ახალგაზრდობის ამბებსაც.

ივლიტა ფარსადანის ასული ასათიანი-ნაკაშიძე (1869 – 1954) დაიბადა ლეჩხუმში, სოფელ დერჩში, გარდაიცვალა თბილისში, აქვეა დაკრძალული. ივლიტას დედა, ანა ნერეთელი იყო გრიგოლ ნერეთლის მამის – ფილიმონის და. ჩვენს ოჯახში ინახება ფილიმონ ნერეთლის ნერილი, რომელსაც ის სხერს თავის დისწულს, ივლიტა ასათიანს: „იტა, მოუარე თავისს თავს. არა სულმა არ მოგვადროს ცუდი სიტყვა. ვიცი, რომ შენ ახალგაზრდა ქალი ხარ და ვგონებ, ცოტა ლამაზი.“

ივლიტა ასათიანმა ოქროს მედალზე დამთავრა ქუთაისის ნმინდა ნინოს სასწავლებელი. 1887 წელს მუმაობდა მასწავლებლად ქ. ხონის საოსტატო სემინარიაში. 1895 წელს ასწავლიდა რუსულ ენას ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში. 1905 წლიდან მოღვანეობდა თბილისში. მუშაობდა „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ რედაქციებში. მას დიდი ღვანელი მიუძღვის სკოლა „განათლების“ დაარსებაში, სადაც



მუშაობდა მასნავლებლად 1920 წლამდე. ივლიტა ნაკაშიძე წერდით საჭ-
მანვილო მოთხრობებს, თარგმნიდა რუსულიდან, თავის მეუღლებსთან
ერთად საკუთარი სახსრებით ქმარებოდა სკოლებსა და საზოგადოებ-
რივ ორგანიზაციებს.

ერმილე კაციას ძე ნაკაშიძე (1859 – 1937) დაიბადა ქალაქ ოზურ-
გეთში, გარდაიცვალა ქალაქ თბილისში, აქვეა დაკრძალული.

სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში თავის მამიდაშვილ-
თან, ექვთიმე თაყაიძეგილთან ერთად. 1883 წელს დამთავრა გიმნაზია
და გაემგზავრა პოლონეთში სასწავლებლად. დაასრულა სწავლა ქ.
ნოვოალექსანდრის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში.
1886 წლიდან მოღვაწეობდა სამშობლოში. გურიაში, სოფელ მაკვანეთ-
ში დაარსა სკოლა. დიდი მუშაობა გასწია ოზურგეთის სასოფლო-სა-
მეურნეო სკოლის შესაქმნელად.

1887 – 1902 წ.წ. იყო ნინამდლვრიანთკარის სასოფლო – სამეურნეო
სასწავლებლის მმართველი. 1892 – 1896 წ.წ. მუშაობდა ე. წ. „ფილოქ-
სერის კომიტეტში. მის სახელთან არის დაკავშირებული გურია-სამეგ-
რელოსა და აფხაზეთში ჩაის და თამბაქოს კულტურის გავრცელება.

ერმილეს და ივლიტას ჰყავდათ ხუთი შვილი: რუსა – ქიმიკოსი
(ალექსანდრე ჯანელიძის მეუღლე), თინა – ბიბლიოგრაფი, ლილი –
ფსიქიატრი (გიგლა ყუბანებშვილის მეუღლე), ლუბა – აგრონომი და
ლეო – ინჟინერი, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს.

სალომე ყუბანებშვილი

მე დავასრულე კურსი 1886 წელს. პირველობა მხვდა კიდევ
კურსის დამთავრებისას. მაშინ შემოიღეს მედლებით დასაჩუქრება
ღირსეული მონაფეების. წარმოიდგინეთ ჩემი დედ-მამის სიხარუ-
ლი, როცა მათმა ქალმა პირველმა მიიღო ოქროს მედალი ქართველ
ქალებში. ასეთი წარჩინებით დამთავრდა ჩემი ბავშვობა.

1887 წლიდან იწყება უკვე ჩემი მოღვაწეობა მასწავლებლობის
ასპარეზზე, ჩემი ბედნიერი ყრმობა.

სანამ გადავიდოდე ჩემ პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, მინდა 2-3
ეპიზოდი ჩემი ბავშვობიდან გავუზიარო ჩემს შვილებს.

წმ. ნინოს დღესასწაულია. ჩვენი სასწავლებლის დიდი დღე. დი-
ლიდგან დიდი მზადებაა. არქიელი სწირავს. ჩვენ სადღესასწაულოთ
მორთულები. მნირველია უფ. გაბრიელი. მე ეკლესის მსახური ვარ
– ყურს ვუგდებს სისუფთავეს, სანთლებს ვანთებ, ყულაბით ჩამო-
ვივლი მლოცველებს, ვაგროვებ შენირულობას. მლოცველები ამ
დროს მრავალია, ძლიერს იტევს ტაძარი.



ჩვენ სტუმრად წაგვიყვანეს დიდ მთავართან. მას მოვენილი ადიუტანტისთვის ხუმრობით უთქვამს: **Вы кошка, а эта куряшка** — **Мышь.**

ეს მე ვიყავი. გამიყვანა ოფიცერმა წრეში, მე თამამი ვიყავი, გავიქეცი, აბა ვინ დამენევოდა ადვილათ. დიდხანს ვირბინეთ მე და ჩემმა კატამ. ბოლოს მტაცა ხელი, ამიყვანა, მიმიყვანა დიდ მთავართან და უთხრა: **Вот, Ваше Высочество, Ваша мышка.**

მთავარმა ხელი გადამისვა თავზე და მითხრა: **Хорошая мышка.** ეს არ დამავიწყდება, ხუმრობა ხომ არ იყო მისი მოფერება.

დამთავრდა ჩემი ბავშვობა, დაიწყო ყრმობა. ამ წელს მამა გარდაიცვალა (ფარსადან ასათიანი) ჯერ ჯანსაღი, სულ 65 წლის. დავრჩით დედას (ანა წერეთელი) 5 ქალი: ლუბა, იტა, ბაბი, კატო, ელენე. მე ვარ ახალი გიმნაზიის კურსდამთავრებული. ჩემი უფროსი და, ლუბა დარჩა დედასთან. დაანება თავი თფილისს, მასნავლებლობას. ახლა ოჯახს შველა სჭირდება. მე 17 წლის ვარ, დამნიშნეს ხონში მასნავლებლათ. სკოლა იყო კერძო პირის ი. ს. შარაშიძის. კარგი კაცი იყო ძალიან.

დედაჩემის ძმა, ფილიმონ წერეთელი (გრიგოლ წერეთლის მამა) მეტად ზრუნავდა ჩემზე. მწერდა: „იტა, მოუარე თავისს თავს. არასულმა არ მოგვადროს ცუდი სიტყვა, ვიცი, რომ შენ ახალგაზრდა ქალი ხარ და ვგონებ, ცოტა ლამაზი“.

ხონში ამ დროს იყო საოსტატო სემინარია. მასნავლებლები კარგები, ნამდვილი ჰედაგოგები იყვნენ. ყველაზე უფრო მათში მაგონ-დება დირექტორი სტრელეცკი და მასნავლებლები: უთურგაული, არისტო ქუთათელაძე, ჰეტროვი. დიდი ამაგი დადვეს ჩემს მასნავლებლობაში, გამოცდილებაში ამათ. 3 წელი დავყავი ხონში. ამ დროის განმავლობაში ვასნავლიდი ქართულ ენას საშა წულუკიძეს.

შემდეგ ჩემი და გათხოვდა ფრანგზე, დიდ მეცნიერ აგრონომზე ემილ ჟანზე, რომელიც მან გაიცნო თფილისში. მე დავანებე თავი სკოლას და წავედი დედასთან სოფელში. იქ ჩემს პატარა დებს ვამზადებდი სკოლისთვის.

1895 წელს გადავდივარ ქუთაისში, საეპარქიო სასნავლებელში. აქ დავრჩიო როი წელი, გავეცანი მ. ცხაკაიას, პ. გელეიშვილს, ს. ჯიბლაძეს, რ. კალაძეს. შემდეგ გავთხოვდი თავად ერმილე ნაკაშიძეზე და გადავედი თფილისში.



გავხდი წევრი სარევიზო კომისიის: „ახალი მკითხველის ტექნიკური დაქციისა. ორი წლის შემდეგ ჩემს მეუღლეს ნიშნავენ ოზურგეთში ჩაის და თამბაქოს პლანტაციის გამგეთ. ახლა იქ მივდივარ, მიმყავს ორი შვილი. აქაც არა ვარ მარტო დედა, ვაარსებ ოზურგეთის პროგიმნაზიას, სოფელ ზვანში – საღამო კურსებს.“

გადის დრო, დაიწყო რევოლუციური მოძრაობა და მოედო ცეცხლი გურიას. გადავბარგდით სოფელში, თავი შევაფარეთ ოზურგეთიდან მოშორებით ნათესავის, ილია ნაკაშიძის ოჯახს. იწვის გურია, თარეშობენ კრილოვის ჯარისკაცები.

1908 წელს გადავბარგდით თფილისში და იქ ვიწყებ მუშაობას მასწავლებლათ. ვმუშაობ „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ რედაქციებში. „ჯეჯილის“ რედაქციაში ვუახლოვდები გიორგი წერეთლის ოჯახს. მის მეუღლეს, უურნალის რედაქტორს, ანასტასიას, ვშველი რედაქციაში. აქ ვეცნობი და ვუმეგობრდები მწერლებს: აკაკის, ვაჟას, იროდიონ ევდოშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, შიო მღვიმელს, შიო არაგვისპირელს. მათ მოაქვთ ჩემთან თავისი ახალი ნაწერები და ერთად ვკითხულობთ.

ტკბილათ მაგონდება რაფიელ ერისთავთან დამეგობრება. ვცხოვრობთ სოლოლაკში. ქუჩის მეორე მხარეზე – რაფიელი. მისი ქალიშვილი ჩემი ამხანაგი იყო ქუთაისის პანსიონიდან. დავმეგობრდით მე და მოხუცებული პოეტი. ხშირად მოდიოდა ჩვენთან. მაშინ ტელეფონი არ იყო ოჯახებში. რაფიელმა ბავშური ტელეფონი გააკეთა ჩვენ შორის სპიჩების კოლოფებით. ხშირად ვესაუბრებოდით ერთი-მეორეს. ერთხელ მესმის: ხვალ უსათუოდ სადილათ მოდით ჩემთან. ისე მოხდა, რომ ვერ წავედით. ძალიან ნაწყენმა რაფიელმა საყვედური მითხვა. მეორე დღეს მესმის ჩვენ ტელეფონში: „იტა ხართ?“ „დიახ, ბატონი რაფიელ!“ „დაიწერეთ ეს ჩემი სიტყვები. ეს არის ჩემი გედის სიმღერა. ხომ იცით, გედი სიკვდილის წინ მღერის“. მე მეწყინა, „რას ბრძანებთ, არ გამაგონოთ მეორეთ მაგისთანა რამე“. „აბა, დაწერე: გუშინ გთხოვთ, არ მობრძანდით, დღეს მაინც გვახარეთ, თქვენი ქმარი წაიძღოლეთ, ლოდინი გვაკმარეთ“. ეს იყო 1899 წელს. ვეწვიეთ მოხუცს, დიდი ნასიამოვნები დავბრუნდით. იმ ზაფხულში ერთად ვიქირავეთ აგარაკი სურამში. ძალიან უყვარდა ჩემი გაკეთებული სადილები.

1952 წლის 1 იანვარი. დღეს ახალი წელიწადია. ავდექი ადრე. ვი-
 თომ მეკვლე ვარ. შემოვიარე ბინა, გავაღვიძე ყველა. სუსტად ვარ,
 მაგრამ გულს არ ვიტეს. გაის, თუ ცოცხალი ვიქენი, ხომ ვეღარ შე-
 ვიძლებ ვერაფერს და მინდა გავაგრძელო ჩემი მოგონებები, დავი-
 ბედო დღეს. მანუხებენ, დაწერე რამეო. ერმილეს მერე არაფერი
 დამიწერია, მას არ ეამოს. 1910 წელს დავიწყე მუშაობა თფილისში.
 ვარ გამგე „სკოლა-განათლების“. აქ უახლოვდები კეკე მესხს, ანას-
 ტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, იროდონ ევდოშვილს, რომლის
 შვილები ჩემთან სწავლობენ.

ამ სკოლის ბატონ-პატრონი იყო უპირველესათ ტასო. მან შექ-
 მნა მთელი საზოგადოება. აქ ბევრი ნამუშევარი მაქვს. გარდა
 მასწავლებლობისა, ჩაბმული ვიყავი საზოგადოებრივ მუშაობაში.
 ვაწყობდი სკოლის სასარგებლოთ „ისტორიულ საღამოებს“. ამ სა-
 ღამოებში დიდ მონაწილეობას იღებდნენ მხატვარი იაკობ ნიკოლა-
 ძე და მისი ცოლი, ჩვენი მასწავლებელი, სალომე სულხანიშვილის
 ქალი. შეუსრულდა „ჯეჯილს“ ორი წლის არსებობა. ჩვენ გაუმარ-
 თეთ იუბილე ქართულ თეატრში. ჩემმა მონაფეხებმა დადგეს პატა-
 რა პიესა „მდგმური“. მახსოვს, კაცის როლის ამსრულებელი ვერ
 ვიშოვეთ ბავშვებს შორის. ბოლოს მოვძებნე ნიკო გვარაძე. მას არ
 დასჭირვებია როლის სწავლა, ისე კარგათ უკარნახებდა ბუტყიდან
 სოსო გრიშაშვილი. შემდეგ პიესისა დავდგით ცოცხალი სურათი,
 სადაც იყვნენ ბავშვები, ჩემი, ვახტანგ ლამბაშიძის და კიტა აბაში-
 ძის. დამდგმელები იყვნენ იაკობ ნიკოლაძე და მოსე თოიძე. ძალიან
 ლამაზი სურათები იყო.

აკაკის იუბილეიზე (1908) მივიღეთ ჩვენ მონაწილეობა. მივართ-
 ვით ადრესი სკოლისაგან მე და ა. ფავლიაშვილის ქალმა. შიო მლვი-
 მელის იუბილე თითქმის სკოლას ერგო. ჩემი მონაფეხები სცენაზე
 მდეროდენ, ლექსებს ამბობდენ.

ასე ვმუშაობდი ამ სკოლაში. მე ჩემი პატარა ჯამაგირით. ერმი-
 ლე მიგზავნიდა სურსათს სოფლიდან, ფულს ცოტას, რადგან მეტად
 დიდ მეურნეობას მიყო ხელი და იქ ანდომებდა თავის ჯამაგირს. არ
 დაუფასდა არაფერი საწყალ კაცს. ჯერ თათრებმა გაანადგურეს
 დიდებული ოჯახი, შემდეგ მენშევიკებმა, მერმე სულ მივატოვეთ
 გურია ბოლშევიკების შემოსევით.



ახალ წელს „ჯეჯილის“ რედაქცია მართავდა შეხვედრას. იქ მწერლები და ახლო ნაცნობები ვიყრიდით თავს. მასს სოვეს გეორგიელი წერტლის ოხუნჯობა, მეტად ტლანქი ოხუნჯობა და მასხარაობა იცოდა. ისეთ რამეს იტყოდა, რომ ჩვენ ახალგაზრდები ვწითლდებოდით, ვიმალებოდით. ეკატერინე გაბაშვილი იტყოდა, „გიორგი, გეყოფა, ვერ ხედავ ამ იმერელ გოგონას როგორ გაუწითლდა ლო-ყებიო“, მიუთითებდა ჩემზე.

გიორგი წერტლი ავათ არის. ექიმებს იმედი დაკარგული აქვთ. მე სულ ხშირათ ანასტასიასთან ვარ. უზივართ ახლოს გიორგის, ის თავისებურათ ოხუნჯობას. შემოდის კეკე მესხი. გადმოგვხედა გიორგიმ, გაიცინა და თქვა: „ამ ქალს გვერდით ნუ უდგხართ, ყვა-ვებივით ხართ მაგასთანაო“. „შე კაცო“, კეკემ უთხრა, „ოცი წლით უფროსი ვართ იტაზე და კიდევ კარგები ვართო, ტყულა ნუ დაგვ-ცინიო“. ეს იყო საღამოს. დილას ადრე შემოირბინა ეკატერინე გა-ბაშვილმა ჩემთან, „ნამოდი ჩქარა, გიორგი მომკვდარაო“. გავეშუ-რეთ. სავსე დაგვხვდა სახლი მესამე დასელებით. დასტრიალებდნენ შვილები, ნამეტურ ელიკო, კოცნიდა, ეალერსებოდა. გამახსენდა გიორგის ნათქვამი, სადილათ ვართ მაგათთან, შემოდის შვილი მისი კაკი. გიორგი მეუბნება: „იტა, იცი, ამ ბიჭში ვართ მე და ნიკო ნიკოლაძე (ნიკო ნიკოლაძე იყო გიორგი წერტლის პირველი ცო-ლის ძმა), ძალიან ნიჭიერია, დიდი მომავალი ელის“. ასრულდა კი? სანახევროთ.

„განათლების სკოლაში დავყავი თითქმის ათი წელი. ბევრი ნაშ-რომი მაქვს აქ. კიდეც გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს სკოლა გადა-კეთდა სამასწავლებლო სემინარიდა. სათავეში მოქცა ა. ფალავა. შემოვიდა ამ მყუდრო სკოლაში ინტრიგები. მე იძულებული ვიყავი დამენებებია თავი. გადავედი ყოფილ წმ. ნინოს სასწავლებელში, რომელსაც შეუერთდა ქართული ქალების გიმნაზია. აქ მე ძალიან კარგათ ვგრძნობ თავს. ჩემი გოგოებიც ჩემთან არიან. ყველასგან დიდი პატივცემული ვარ – ყველა მე მეკითხება რაიმე რთულ სა-კითხებზე. დირექტორი ა. წერტლი მე მეკითხება, თუ რომელ მასწავლებელს რა საგანი მივანდოთ. მეც ძალიან მსიამოვნებს ასეთი მოქცევა და რაც შეიძლება ზედმეტს ვმუშაობ. მაგრამ ახლა ოჯახს ესაჭიროება ჩემი ყურადღება. ვტოვებ მასწავლებლობას. მეყოფა, თითქმის ორმოცი წელინადია, რაც ვმუშაობ.

1910 წელია. მე და ჩემი გიური ბიჭი (ლეო ნაკაშიძე) მივდივართ რუსთაველის პროსპექტზე (მაშინდელი გოლოვინსკის ქუჩა). მინ-



და ვუყიდო სათამაშო. შემხვდა აკაკი. ლეოს უთხარი: „შეხედუ ამ ული კაცს, დაიხსომე მაგის სახე“. გაიგონა აკაკიმ. მოვიდა ჩემთან. ეუბნება ბავშვს: „შენ, ჩემო პატარა, რათ უნდა დაიხსომო ჩემი მახინჯი სახე? დედამ გიჩვენოს, რა ვიყავი წინეთ და ის ჩაგრჩეს გულში“. აიყვანა ხელში, აკოცა, დასვა და უთხრა; „მე მითხრა ჩიტმა, რომ ძალიან ცელქიბ და ანუხებ დედას. იცელქე, ვაუი ცელქი უნდა იყოს. აბა, გოგო ხომ არა ხარ, რომ სულ წყნარათ იჯდე“. მე უსაყვედურე: „ბატონო აკაკი, რა მიქენით ეს, სული ამომძვრალი მაქვს ამისგან და ეხლა ხომ აღარაფერს დამიჯერებს-თქო“. „არაფერია, შენც შეინუხე თავი და გაზარდე ცელქი და ონავარი. აბა, შენ ქალებს რა გაზრდა უნდა, ისედაც დამჯერი არიანო“.

1912 წელი. თფილისი. შევხვდი შიო არაგვისპირელს (ის იყო ჩემი დიდი მეგობარი). ვეუბნები: „შიო, მოდიოთ შენ და მეორე შიო (მღვიმელი). ძალიან მინდა ჩემი ბავშვები ნახოთ. მათაც თქვენი ნახვა უნდათ“. ერთ საღამოს მოვიდნენ თრივე – შიო არაგვისპირელი და შიო მღვიმელი. პირველმა მითხრა: „გვინდოდა მესამე შიო მოგვეყვანა, მაგრამ ვერ ვნახეთ, სახელოსნო დაურღვიეს, სად გადავდა, არ ვიცითო. მე ვკითხე: „ვინ არის მესამე?“ „არ იცი? ნებისმიერი შიო, საკაგი შიო – ასე არ უნერია სახელოსნოში?“

ბევრი ვიცინეთ, ათამაშეს ჩემი ბალლები, ახტუნეს, ამღერეს, ლექსები ათემევინეს. მერმე შიო მღვიმელს უთხარი: „პოეტი ბრძანდები ბავშვების. აი, ცარცი, აი, სუფრა მაუდის. დაწერე რამე-თქო“. აიღო ცარცი, ცოტა, სულ ცოტა შეიქმუხნა წარბები და დაწერა:

გაშინა ვარ ბედნიერი
მხოლოდ მაშინ მიძგერს გული,
როცა მესმის ნორჩი ყრმების
სიცილი და ჟრიამული.
ცხოვრებისგან გადატეხილს,
უსირცხვილოთ ბედით ძლეულს,
ვინ წამართმევს ამ სიმდიდრეს?
ვინ წამართმევს ამ განძეულს.

ეს ლექსი მეორე-მესამე დღეს დაიბეჭდა უურნალ „ჯეჯილში“. ეხლა აქვთ ჩემს შვილებს ის სუფრა შიოს ნაწერით. ნაწერი ბავშვებმა ამოქარგეს. ხშირი სტუმარი იყო ჩემთან შიო მღვიმელი. ყოველთვის მქონდა მისთვის ტებილი სასმელი და მიჯავრდებოდა: „მე მაგარი მასვი, მეორე შიოს – ასეთიო“.



ერთხელ შიო არაგვისპირელი მოვიდა ჩემთან, წამიკითხა: „ჟენერალური დაუბეჭდავი თავისი პატარა ნოველა, ვგონებ „მინაა“ იყო...“ ადამიანი მახსოვს კარგათ. ძალიან მომენონა. მოვეხვიე, ვაკოცე. ბევრი რამ მახსოვს მის ირგვლივ. როცა ცოლი ითხოვა, ულამაზო იყო, ბაქრაძის ქალი. მოვიდა, მითხრა, მომილოცეო. მე მიულოცე, მაგრამ დავაყოლე: „კაცო, შენც ულამაზო, ცოლი უარსი, რა შვილები გამოვა თქვენი?“ გაიცინა და მითხრა: „შენი ერმილე კი აპოლონი გყავს და ხომ ხედავ როგორი ლამაზი გოგონა გყავს“.

1914 წელს თფილისს ენვია ნიკოლოზ II. შიო არაგვისპირელი მოვიდა ჩემთან: „წამოდი, ვნახოთ ჩვენი ბატონ-პატრონიო“. წავე-დით გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის წინ გავჩერდით. გამოჩნდა ეტლი – შიგ ნიკოლოზი. ხალხი ვაშას იძახის. დავინახე, მეფეს თეთრი ჩოხა ეცვა და ბოხოხი თავზე. მეც სხვებთან ერთად ტაში დაუკარი. ვუთხარი შიოს: „შეხედე, არ გსიამოვნებს, ჩვენებური, ქართული ჩოხა აცვიაო. შენ რატომ არ უკრავ ტაშს?“ გაეცინა და მითხრა: „ეხ, იტა, განა ეს ქართულია? რომ ეცვას ყურთმაჯებიანი ქართული ქულაჯა, კიდევ კი, და ეს ჩერქეზული ჩოხა რას გეუბნება? მას რომ ქართული ეცვას, კიდევ იქნებ შემოვერავდი ტაშს. ქულაჯას და არა მას. მე ნაღდი ქართველი ვარ, არაფერი ამ ოხრების არ მომწონს, ჩვენი დამღუპველების“. იქიდან წავედით ალექსანდრეს ბალში. დავსხედით სკამზე. შემოგვირთდა შიო მღვიმელი. მე შუაში ჩამსვეს. შიო მღვიმელმა მითხრა: „აი ახლა შენ ორ წმინდანებს შუა ხარ. თუმც მღვიმელი არა ვარ, მაგრამ, დე ნილენელი წმინდანი ვიყო, იმ ცამეტ მამათა შორის მეც ვერიო“.

ვარ პანსიონში ქუთაისში. მოვიდა ამბავი გრიგოლ ორბელიანის სიკედილის (1883 წ.). ჩვენ ჩუმათ, რომ არ გაეგო უფროსებს, შევაგროვეთ ფული, შეეუკეთეთ ლენტზე, დავანერეთ გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „მიუცით ნიჭასა გზა ფართო, თაყვანისცემა ლირსებას“. დავიბარეთ ორბელიანის სახლისშვილი, ჩვენივე ამხანაგი, ელ. წულუკიძის ქალი, მივეცით გზის ფული და გავისტუმრეთ თფილისისკენ. გაგვიგო ჩვენმა მთავრობამ, გვისაყვედურა, რათ არ გვაცნობეთო. მაგრამ ვიცოდით, ნებას არ მოგვცემდენ და ამისთვის არ გავაგებინეთ.

1894 წელს და-ძმანი უორდროპები არიან ქუთაისში. ქუთაისის ინტელიგენცია ბანკეტს უმართავს გორაზე, გაპაშვილის სახლში. მეც იქ ვარ. დიდათ ისიამოვნეს. ქართულად მარჯორმა სრტყვაც თქვა, თუმცა ძალიან გვეუცხოვა მისი ლაპარაკი. სულ ძველი ქარ-



თული ვეფხის ტყაოსნიდან. დიდი მადლობა გადაგვიხადა. მეორე მეცნიერება
მესამე დღეს ჩამოიარეს და-ძმამ ზოგიერთების გასაცნობათ უფრო მიმდინარე
ახლოს. ჩემთანაც იყვნენ. მე ვიყავი საეპარქიო სასწავლებელში
გამგის თანაშემწედ. დიდი ხანი ვისაუბრეთ. შემდეგ დამ მითხრა:
თუ თქვენ რამეზე მე გამოგადგებით, აი ჩემი მისამართი. მომწე-
რეთ ლონდონში.

გავიდა მას შემდეგ დიდი დრო, თითქმის 25 წელიწადი. ჩვე-
ნი ვაჟიმშივილი მთავრობის ნებართვით გავგზავნეთ გერმანიაში
სასწავლებლათ. ძალიან გაგვიჭირდა მისი იქ შენახვა. 1924 წელს
თვილისში ჩამოვიდა ნანსენი (ცნობილი ნორვეგიული ოკეანოგრა-
ფი, არქტიკის მკვლევარი). ის მიღიოდა ლონდონში. მე ეს გავიგე.
დავწერე წერილი ოლივერ უორდროპთან (და უკვე მკვდარი იყო).
გავახსენე ქუთაისი, ბანკეტი, ჩემი თავი, მათი ჩემთან მოსვლა და
მარჯორის დაპირება. ვთხოვე, გაენია დახმარება ჩემი ვაჟისათ-
ვის. ორი თვის შემდეგ, მომდის წერილი მისგან. მწერს, რომ ასრუ-
ლებს დის დაპირებას და უგზავნის ჩემს ვაჟს დახმარებას – თვეში
5 სტერლინგს. ძალიან გამახარა ამ ამბავმა. შვილმაც მომწერა. ეს
დახმარება გაგრძელდა თითქმის ერთ წელიწადს.



მიხეილ ძავთარია

ცენტები და გერატების მუზეუმის ხელნაწერების შესახებ

2015 წელს საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წიგნი „საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები, კატალოგი“. წიგნის შემდგენლები არიან გრიგოლ გაგნიძე, შალვა გლოველი, დარეჯან გოგაშვილი, მაია კარანაძე, თამარ ოთხმეზური, ნესტან ჩხიოვაძე.

წიგნის წინათქმაში ვკითხულობთ: „XX საუკუნის 60-70-იან წლებში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მონანილეობით მოეწყო არა ერთი სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო რეგიონებში დაცული ხელნაწერების აღწერა... და სამეცნიერო შესწავლა. ამ პროექტის ფარგლებში აკადემიკოს ელენე მეტრეველის მიერ აღწერილია სვანეთში დაცული ქართული ხელნაწერების ნაწილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აღწერილობა დღემდე არ არის გამოცემული. მეცნიერთა მიერ გამოცემულია ახალციხის (ილია აბულაძე, მიხეილ ქავთარია, ცირალა ჭანიევი; რედ. ელ. მეტრეველი) და გორის მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერები (თამარ ბრეგაძე, ციალა კახაბრიშვილი, 2002 წ., რედ. მიხ. ქავთარია). ამ დროს აღინირა მეტ-ნაკლებად ცნობილი რაიონული მუზეუმის ხელნაწერები. აქვე დავამატებთ, რომ თელავის მუზეუმის ხელნაწერები აღწერა გულნაზ კიკნაძემ, ბათუმის მუზეუმის ხელნაწერები ელისო აბრამიშვილმა და ცისანა აბულაძემ. ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერები თამარ ბრეგაძემ და ციალა კახაბრიშვილმა. დასახელებული მუზეუმების ხელნაწერების აღწერილობაც არ გამოქვეყნებულა. უმეტესი ნაწილი, სამწუხაროდ, დაიკარგა.



დასახელებული წიგნის წინათქმაში ცაგერის მუზეუმთან, კულტურული კავშირებით ვკითხულობთ: „წინასწარი ინფორმაციით ხელნაწერები ბი დაცული უნდა ყოფილიყო ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიულ მუზეუმში... 1996 წელს ამ მუზეუმში დიდი ხანძრის შედეგად დაინვა ყველა ხელნაწერი, ასევე ძველნაბეჭდი წიგნები... დღეს ამ მუზეუმში ხელნაწერები აღარ ინახება“ (გვ. 8-9).

თავისთავად ეს ინფორმაცია ძალიან სამწუხაროა. ხანძარი ყველა სიტუციაში საშინელებაა, მაგრამ მუზეუმში, სადაც დაცულია ისტორიული დოკუმენტები და სხვა უნიკალური მასალა, აუნაზღაურებელი ზარალის ტოლფასია.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერები ჩემ მიერ აღინერა 1962 წლის 12-17 ნოემბერს. მაშინ მუზეუმის დირექტორი იყო ვლადიმერ ივანეს ძე თოთაძე, მეცნიერ მუშაკი დავით სანალაძე თუ საღანიძე (უზუსტობისთვის პატივებას ვითხოვ). მანქანაზე გადაბეჭდილი დამუშავებული აღნერილობის ცალი ჩაპარდა მუზეუმს.¹ მე არ ვიცი დასახელებული ბატონები კვლავ მოღვაწეობენ მუზეუმში თუ არა.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერების აღნერილობის ჩანაწერები აღმოჩნდა ჩემს საარქივო ქაღალდებში და მინდა, რამდენადაც მოსახერხებელია, მათ მივცე შეძლებისდაგვარად აკადემიური დონე (რაც ადვილი საქმე არ არის) და საზოგადოებას ზოგადად გავაცნო მუზეუმში დაცული ხელნაწერები სათაურებით მაინც. ყოველ შემთხვევაში, 1962 წლის თანამშრომლებს, ალბათ, უნდა ახსოვდეთ ნათქვამი. მუზეუმში იყო 15 ხელნაწერი, რომლებიც მიანიშნებენ, რომ ცაგერის მკითხველი საზოგადოება მთლიან საქართველოში მოქმედი შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი მონაწილე იყო. დღეს ჩემს შენარჩუნებულ ქაღალდებში 14. მე-15 ხელნაწერი, რომელიც პოეტური კრებული იყო, ალბათ, ადგილობრივი პირის, მის შესახებ ჩემს ხელნაწერებში ცნობებს ვერ მივაგენით.

ძალზე გულდასაწყვეტია, რომ ცაგერის მუზეუმის ექსპონატები შეენირა ხანძარს და კუთხის ისტორიისათვის სამუდამოდ დაიკარგა.

¹ სხვათა შორის, ამ აღნერილობის ზოგიერთი მონაცემი გათვალისწინებულია ე. გაბიძაშვილის წიგნში „ჰაგიოგრაფია“.

კრებული. XVIII

85 ფ.; 14,5X 10; ქაღალდი: დაზიანებული; მუცაოს ყდა; მხედ-
 რული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; თავ-ნაკლული, აკლია
 80-81 ფ. შორის; [XVIII ს.]; გადამწერი: ეგნატი (45r); დაუწერელია:
 55v, 59v, 65v, 84v.

1. [პროხორე კონსტანტინე პოლელი, ცხორება
 და ქადაგება იოანე ღმრთის მეტყუელისა]. - „...
 დაგ ღვთის-მეტყუელ. მთად აღვიდოდა რა ყოველთა მეუფე მისთა-
 ნა აღვიდა და იქმნა მხილველ ხილვათა უალრესთა ბუნებისათა და
 სიტყვისათა რაჟამს გამოუჩნდა ნათელი ქრისტეს მღვთაებისა...“ 1r.

შენიშვნა: თხზულება კიმენური რედაქციისაა და თარგმნილია
 ექვთიმე ათონე ლის მიერ. (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდე-
 ბი, ტ. V, გვ. 107). ტექსტი სხვაობს ექვთიმეს თარგმანისაგან.

ტექსტი გამოცემული იხ. ათონის კრებული, 1903 წ., გვ. 111-135.

2. „ცხორება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუცნისა მაკა-
 რი პრომაელისა, რომელი იყითხების თებერვალსა ი. გვ-ზნ
 მამაო. - გევედრებით ჩვენ მდაბალნი ესე და გლახაკნი თეოფი-
 ლე, სერგის და ევგენი, რათა ისმინოთ ცხორება ნეტარისა
 მაკარისი, რომელი იყოფებოდა ოცსა მილიონსა მახლობელად სა-
 მოთხისა...“ 38r-44v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა, იგი გამოცემულია
 კ. კეკელიძის მიერ; იხ. ეტიუდები, ტ. II, გვ. 50-63.

3. „თა-იანვარსა 16. დღესასწაულობა და თაყუანისცემა პატი-
 ოსანთა ჯაჭვთა წმინდისა პეტრე მოციქულისა. გვ-ზნ
 მამაო. - უამთა პირველთა იპოვა ძუცილი წიგნი, კლემენტი სისმე ფილასიფონისა ფრიად მოხუცებულისა, რომელი
 იყო პატივითა ასიკრიტი, რომელსა შინა წერილ იყო ესეთ, ვითარ-
 მედ შემდგომად ჯუარცმისა წმიდისა მოციქულთა თავისა პეტ-
 რეს სა პრომს შინა და თავისა წარკვეთისა პაკლე სისა...“ 45r-50v.



შენიშვნა: ე. ვ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ს წიგნში „ქართული ნათარგ-
მნი ჰაგიოგრაფია“ (2004 წ.) მითიერულია რამდენიმე ხელნაწერით
რომელშიც ჩვენი ტექსტი არ არის დადასტურებული. აქვე დაბეჭ-
დილია გ. მ თ ა ნ მ ი დ ე ლ ი ს „სვინაქსარის“ ცნობაც, რომელსაც
არ უდგება ჩვენი ტექსტი.

კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს წიგნში (ეტიუდები, V, გვ. 202) დამოწმებუ-
ლია A-79-დან დასაწყისი, რომელსაც ჩვენი ხელნაწერი არ უდგება).

4. „თა აპრილსა 25. წამება წმინდისა მარკოზ მახარე-
ბელისა ალექსანდრიას შინა. გვახსნ მამაო. - წელსა
ოცდა მეათხუთმეტესა შემდგომად ვნებისა მაცხოვრისა ჩვენისა
ისხო ქრისტესა, ოდეს იგი სულისა წმიდისა წინამძღვრებითა გა-
ნეცვნეს წმიდათა მოციქულთა ყოველნი კიდენი სოფლისანი, რათა
უქადაგონ სახარება სასუფეველისათვს ყოველთა დაბადებულ-
თა...“ 51r-55r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა: გამოცემულია კ.
კ ე კ ე ლ ი ძ ი ს მიერ (იხ. Keimena, I, გვ. 193-197).

5. „თა მარტსა 5. წამება წმიდისა კონონისი და
ძისა მისისა. გვახსნ მამაო. - წელმწიფებასა და მეფობასა
ავრილიანე ბოროტისასა წარმოივლინა დომენტიანოს
კომსი, აღხილვად ყოვლისა საბრძანებელისა მისისა იძულებად
თაყვანისცემად და გებად შეგინებულთა და საძაგელთა კერპთა
ყოველთა მიერ...“ 56r-59r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე,
ეტიუდები, V, გვ. 131).

6. „თა ფეხერვალსა თ(!). წამება წმიდისა და ძლე-
ვაშემოსილისა ნიკიფორესი, ქალაქსა შინა ან-
ტიოქიას, რომელსა ენოდების. Θεος Ηολη (?), რომელ
არს ქალაქი დათისა. გვახსნ მამაო. - იყო ვინმე ხუცესი
ქალაქსა ანტიოქიასა, სახელით სპარსიკიოს და კუალად იყო
სხვა ერის კაცი მუნვე ანტიოქიას, რომელსა ენოდა ნიკი-
ფორე...“ 60r-65r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე,
ეტიუდები, V, გვ. 134).



7. „თთუტსა ფებერვალსა იბ. ცხოვრება და ევგენი მარტინიშვილი და ასულისა მისისა მარიამისი, რომელმან გარდაიცვალა სახელი მარიან ედ. გკენ მამაო. - იყო ვინმე კაცი ბით კნიას, რომელი ცხოვრებდა. სახელიმისი ევგენიონს ამას ესვა ცოლი და შვა მან ასული ერთი და უნოდა სახელი მისი მარიამ. და ვითარცა აღესრულა დედა მისი, განზარდა ასული იგი მამამან მისმან ყოვლითა სილირსითა...“ 66r-69v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა. ბოლო ნაწილი გამოცემულია პ. კეკელიძის მიერ, იხ. „კიმენი“, II, თბილისი, 1946, გვ. 79-85. პ. კეკელიძის ცნობით თარგმნილია სეითის მიერ.

8. „თა ფებერვალსა ია. ცხოვრება და სიმწნე ნმინდისა დედისა ევფრონისინესი და მოქალაქობა მამისა მისისა პაფნუტისი. გკენ მამაო. - იყო ვინმე კაცი ალექსანდრიას, კაცი აზნაური და სახელი მისი პაფნუტიონს. ესე იყო მოსწრავე მეცნებათა(!) ღვთისათა. ამან მოიყუანა დედაკაცი შემკული ყოვლითავე ცოლად თვალი და ლირსი ვითარცა შეეტყვებოდა მას...“ 70r-77v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. პ. კეკელიძის ეტიუდები, V, გვ. 125).

9. „ნმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუტინისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ხარებისათვს ყოვლად ნმიდისა დედოფლისა ჩუტინისა ღისმშობელისა და მარადის ქალნულისა მარიამისა. გკენ მამაო. - კვალად სიხარულისა ხარება, კუალად განთავისუფლებისა უწყება, კუალად აღმონოდება, კუალად მხიარულებისა ჭმა, კუალად მონებისა წილ აზნაურება, ანგელოსი ქალნულსა ზრახვეს...“ 78r.

შენიშვნა: შდრ. პ. კეკელიძის ეტიუდები, V, გვ. 76.

10. „თა მარტსა კე. ნმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუტინისა საკვრველთმოქმედისა, რომელ იყო მთავარეპისკოპოსი ნეოკესარიას პონტოხეს-
128

ს. ა. სიტყუა ხარებისათვეს ყოვლად წმიდასა დედოფლისა ჩუცნისა
ლისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ა. გვ-ზენონია ული
მამაო. - დღესა ანგელოსთა განწყობილებანი გალობითა განპრინ-
ყინდებიან და ნათელი ქრისტეს მოსვლისა მორწმუნეთა გამოუბ-
რნებინდების. დღეს მხიარულებისა ჩუცნისა იგი არე, ქრისტე ნზე
სიმართლისა...” 81r-84r.

შენიშვნები: 1. 85 ფ. არის ამავე ხელნაწერის, რომელილაც
თხზულების ბოლო. ამავე ფურცელზე გადამწერის სახელი „ე გ -
ნ ა ტ ი“. გადამწერის სახელი მეორდება 45r-ზე შენიშვნით: „და
დაფლნეს თაფლსა შინა ჭურითა დიდითა სავსესა, ასე ენერა და ში-
შით ვერ დავსწერე ამიტომ რომ მეუცხოვა. ე გ ნ ა ტ ი“.

2. უმნიშვნელო მინაწერები არის ორივე ყდაზე.

2

იოანა ხუცესმონაზონი, სარკე სულიერი გინა კაცის ქელმძღმი.
1835 წ.

126 ფ.; 15,5X9,5; ქაღალდი; პირველი 10 ფურცელი დაშლილია; ~
დაზიანებულია: 64, 70, 78 ფფ.; მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედ-
რული; შავი მელანი, შიგადაშიგ სინგური; გადამწერი იოანა ხუ-
ცესმონაზონი (12v); 1835 წ. (13r); გადანერი ადგილი პეტერბურგი
(13r); დაუნერელია: 13v-17v.

[იოანე ხუცესმონაზონი. სარკე სულიერი
გინა კაცის ქელმძღმი]. „თავი პირველი. წმა ღაღადე-
ბისა უდაბნოსა. მარკ. თავი 1, მუქლი 3. მატ. თავი 3, მუქლი 3. ლუკ. 1.
თავი 3, მუქლი 4. იოან. თავი 1, მუქლი 23. ფსალ. 62, მუქლი 1, 2.
ესრა უფლისა არს ქუცყანა და სავსება მისი, ფსალ. 23. მუქლი 1.
გამოსვლ. თავი 19, მუქლი 15. და ყოველი დაბადებულნი. იობისა,
თავი 41, მუქლი 3...“ 18r-126r.

შენიშვნები: I. თხზულება შედგება 9 თავისაგან.

II. თხზულების მიზანია ბერებს („მემხოლოებს“) აუხსნას ბერ-
მონაზვნური ცხოვრების უპირატესობა, საერო ცხოვრებასთან შე-
დარებით.



III. წინ უძლვის სხვა ხელით დაწერილი წიგნების ნუსტყმისათვის
„1. ღ~ისმეტყუცლება, სამ ნაწილედი.

2. ქადაგება კპრიაკეთა და და დღესასწალებთა.
3. კატეხიზმო ვრცელი.
4. კატეხიზმო მეორე, მცირე.
5. ფსალმუნთ განმარტება.
6. მო სეს ხუთი წიგნის განმარტება.
7. იობის წიგნის განმარტება.
8. ისო ნავესი და მეფეთა, განმარტება.
9. იგავის განმარტება, სამი წიგნითურთ.
10. ისო ზირაქის წიგნის განმარტება.
11. ათექქუსმეტთა წინასწარმეტყუცლთა წიგნებთ განმარტება.
12. ასოთა და გუამთა განმარტების წიგნი.
13. ალფაკტა(!) ანბანზედ ასხმული წიგნი.
14. ათი მცნების და ცხრა ნეტარების წიგნი.
15. მეფის ძის ორანეს ოცდა ათოთხმეტის შეკითხვის წიგნი.
16. ღ~ის სიყუარულის წიგნი.
17. ქართულსა ენასა ზედა წირვა-ლოცვს მოსმენის წიგნი.
18. ორენა კაცის აკრძალვის წიგნი.
19. იოანა მოხუცებულის წიგნი.
20. წიგნი წყლულებისა.
21. წიგნი ქორწინების.
22. წიგნი ამაოებისა.
23. წიგნი ნაშთთა განმარტებისა.
24. წიგნი უხრწნელის საზრდელისა.
25. იჯელ-ლვარძლის განმარტების წიგნი.
26. მესამე კატეხიზმო წიგნი.
27. კაცის ცონბის წიგნი.
28. არავინ წინასწარმეტყუცლი შეწყნარებულ არს თვისსა მაულსა.
29. ლექსიკონი შავთ დაწერილი.
30. სიბრძნის ძიების წიგნი.
31. ქ~ეს მოყუარისა მწედრობის განმამწნობელი, წიგნი.
32. ილია წინასწარმეტყუცლის წიგნი.
33. ქ~ეს მიერ მოწოდება ცოდვილთა.
34. უსკრდისოს მხილების წიგნი.

35. ანდერძიერი წიგნი.
36. წიგნი მასწავლელისაგან მოსწავლისადმი.
37. არა განკითხვის წიგნი.
38. ღაიკანელთა ნერსესისადმი, სიტყვსგება სარწმუნოებისა ჩუმინისა სარჩელა.
39. მემხოლოეთა წიგნი, რომელ არს ბერობისა დარიგება.
40. წირვის განმარტების წიგნი.
41. მელქისედეკის მღუდელობის წიგნი.
42. მოძღვრისაგან სულიერ მოწაფის სარჩელა.
43. წიგნი მაკაბელთა.
44. წიგნი ოფლით (!) ცხოვრებისა" (1r-2r).

IV. ტექსტს წინ უძლვის ფრაგმენტი რაღაც განმარტების და „წინასიტყვაობა“.

[ფრაგმენტი]. „[მოძღლურებითა წინამდღვრისად დამორჩილებითა, რომელი მღვიძარებს სულთა ჩუმინთათვს, რათამცა ვივლტოდეთ უპირუტელესისა ცოდვისაგან, რომელ არს ურჩება, პირუტელმშობელთა.

ხოლო მემხოლოე, რომელიცა სოფლისაგან განვიდა იწროსა გზასა ზედა ქრისტეს ვნებაებითა, შემდგომად ჯუარცუმულისა თანა ჯუარცმითა ჭორცთა თვესთა ვნებაებითა მოკვდინებითა, უკეთუ უხილავისა მტერისაგან მოინკინოს მონასტერი და მარტო მყოფობა კელიასა შინა და არა რბილდეს ლოცვა-წირვისა სმენად, უადრეს ძმათა და არა გამოდიოდეს უკანასკნელ ყოველთა ძმათა, შემდგომ წირვა-ლოცვისა, არამედ ისწრაფეს გულსა შინა თვესა სოფელსავე შინა შემოსვლად ფართო გზით ხარისხისთვის ანუ სახლითი სახლად მიმოსვლისათვის, გინა სიყუარულისათვის ნათესავთა და მეცნიერთა და თვინიერ წინამდღვრისა რონინებდეს აქა და იქი, რომელი ვინძი მონასტერსა ამდიდრებდეს, არა შეურაცხების ღვან-ლად, არამედ დაშვრების ამაოდ ძაგებით...“ 1r-v.

„წინასიტყვუობა.

წიგნისა ამის მკით[ხ]უტელნი, მრავალთა წელყვეს წიგნებთა ნერად ერისაგანთა, დასწერენ წიგნებთა, რომელთა შინა არა არს დაწერილი მარჯუტინით მგუტმელთადმი მარცხენისაცა მიბყრობა და მიტევება კვართისაცა და შეყუარება მტერთა და აღრჩევა უკანას-



ქართველი კულტურული მემკვიდრეობისა და განვითარების სამინისტრო

აპა, ესერა ჰსნერენ ერისკაციი, რავდენიცა არიან განმავაჭ-
რებელნი საწიგნეთა შინა მდებარენი, კნინდა ურიცხვი, რომელნი
მოუთხოვდენ წოერციელთაგან დაწერასა თვისსა, ვითარცა წიგნ-
ნი ღომერის გრძნობასა და წიგნი კვნტო-კურ-
ციონის მაკედონელისასა მეტყველებს, და აშოთა ნ
რუსთუცლი გმირთასა სწერს, რომელი დასასრულ ზღაპრად
უნიდებს თვთუცლი დამთხზუცლი აშოთა ნ, ეგრეთუც ქილი ა
და დამანი, რომელი გონიერს წარმკითხველსა განმდიდრებად
თვისსა, გარნა აღმოკითხვისა შემდგომ არა თუ საუკუნოდ განამ-
დიდრებს, არამედ უამიერადცა გლახაკვე არს, ეგსახედვე ყარა-
მანიანი ეჩუცნების განმაგრილებელად თავისა თვისსა, გარნა
ჯაბანივე არს უსიბრძნო მკითხველი, რომელისა დასაბამად სიბ-
რძნისა არა აქვნდეს შიში უფლისა, ვითარცა სიბრძნე - სიც-
რუისა გონიერს მკითხველსა განმაგრძნობელად თვისსა, რომელი
ეცვალების სიზმრად განლვიძებულისა, ესერა უკეთუ ერისკაციი ამ-
რავლებენ წიგნთა, რაოდენ ჩვენ სულიერთა თანა გვამს გამრავლება.

დასასრულ წორცთა ვნებაებთა შინა დამწერთა წიგნებთასა
სულისა წმიდისა ბრძანება არა რად უპყრიეს პირუცლად ძიება
სასუფეველისა ლოცვითა, მარხვითა და ქველის-სამოქმედებითა
მსახურება მაღლისა, არამედ ქუცყანისაგანი ქუცყანისასასა მეტ-
ყველებენ, მით რამეთუ ერისკაცთაგან დაწერილნი დაგლახაკება-
სა მდიდართა, არცალა გზასა იწროსა ზედა სვლასა სასუფეველად
მიმყუანსა წორცთა მოკედინებითა ქრისტეს ვნებაებისა აღრჩევითა
და მოწამეობისა ღვანლებთა, ამისთვის ერისკაცთაგან წორციელად
დაწერილნი წიგნები დაყენებულ არს შეღებად წმიდასა ეკლესიასა
შინა თვისერ სულისა წმიდისა დაწერილნი, რომელი მრავლდებიან
მრავალთა მწერალთაგან, რომელთაცა წიგნებთა შინა კნინდა და
ერთიცა ლექსი არ იპოების ახლისა აღთქმისა და არცალა ძუცლისა
და უფროსლა ზღაპრისა წიგნებთა შინა, რომელი უცებთა ჭაბუკ-
თა გონიერს გოლმანანად, გარნა არიან ამაონი წიგნი სიბერისა,
ნაღველ და აბზინდა და დამამწარებელ სიცოცხლისა და ნარჩყ-
მედელ ამიერ და მიერ ორგანვე განკუცით ცხოვრებისაგან, ესე რა
სწერენ წორციელნი წორციელთათვს და წორციელთა სიტყუათა და
საქმეთა განმრავლებად, რათამცა იქებოდენ კაცთაგან განმდიდ-
რენცა თვისითა წიგნებისა განფრდითა.



აპა წიგნები ერისკაცთა ბრძენთაგან დაწერილი, რომელიც მუსიკული ადიდებები ღიათსა. იგინი სულიერთაცა კაცთა საუნჯე არიან სული-სა წისა ნიჭებითა დაწერილი ერისა დაცვად კეთილ-მსახურებასა შინა, მსახურებითა ღიათსა და ცხებულისა მისისა, შეაყუარებად უ-ისა და მოყუასთა და მამულისა შვილთა ყოველთავე.

ხოლო სულიერი მნიშვნელისა სულისაგან წმიდისა სწერენ სიყუ-არულითა ღიათსათა შეყუარებად, არა თუ მხოლოდ მოყუასთა, არამედ მტერთაცა, ვითარცა ბრძანა უფალმა წ-სა სახარებასა შინა. ამისთვის სულიერი წიგნი აღმატებულ არიან ჭორციელ-თა წიგნებთა ზე. მით, რამეთუ სულიერი ქადაგებანი და წიგნი ღიათისმეტყუშელებანი არიან, ესე იგი ნებასა ღიათისასა ასწავებენ აღსრულებად და ცოდუათა დატევებათა და მშვიდობით და იაფო-ბით ცხოვრებასა თითოეულთა თვესისა პირისა ოფლებითა და სინა-ნულით აღსრულებასა და წარსვლასა სასუფეველსა შინა ღიათისასა და მართალთა ქებით აღსრულებასა სიკედილისაგან გარდაცვალე-ბად უკვდავსა ცხოვრებასა შინა. ამისთვის სულიერთა წიგნებთა გან-მრავლება საჭიროდ არს ესერა დასაბამითგან წმიდანი სულიერი სწერენ წიგნებთა მსახურებად სულიერთა და მონაფეთა მათვეს, რომელ არიან ერი კეთილმსახურნი. აპა, მეცა შეუდეგ კვალსა წ-თა მამათასა, წმიდათა მოციქულთა შედგომილთასა, რომელ-მან დავწერე წინა სიტყუაობა მემხოლო თა წიგ-ნისა, რომელსა უპყრიეს სოფლით გამოსვლა, ესე იგი ცოდუათა დატევება და არა სიყუარულისა, რომელ არს სოფელი, ესე იგი კე-თილმსახურნი უბრალოებით მცხოვრებნი მამანი და დედანი, მეცე და მთავარნი მისნი და მსაჯულნი და მქედრობანი, რომელთათვე მემხოლოენი მუქილთმოდრეკისა, ოფლებით ილოცვენ, რათა სიყუ-არულითა ღიათსა და ურთიერთისათა მშვიდობით ცხოვრებულნი, მყუდროებასა შინა იაფობით გამდიდრებულნი, ქუცყანის მუშაკნი ნაყოფითა გამოღებითა, აპერ შეზავებითა.

მემხოლოენი ათი ათასთა, ასი ათასთა, ორასი ათასთა და სამასი ათასთაგან, ორნი გინა სამნი გამოსრულნი სოფლით, რომელნიმე დიდ სიყუარულითა ქ-ესითა და ვიეთნიმე დიდ ფრიად შეძრნუნე-ბულნი, საუკუნო სატანჯუშელთაგან და სხუანი დიდთა ცოდვათა თვესთა მცნობელნი დაუტევებენ ცოდუათა თვესთა...

მოიხსენეთ მკითხველთა წიგნისა ამის, რომელსა ამის, რომე-ლი დავწერე უცებმან, უკეთუ რამე შეცომა იხილოთ, მომიტე-ვეთი ან ან ხუცეს მონა ზანსა, რომელი ვესავ ლოცუათა



თქუცინთა, ნმიდანო მამანო, საუკუნო ცხორებად ჩემდა. ამჟამანაში განვითხველნი ჩუცი მემხოლოეთნი განკშურდულე განკურთვისა ლირსი, ყბოანი ძალისანი ურჩნი მშობელთა უქმად მეტყუცილნი წარწყმედად თავთა თვისთა. დავსწერე წიგნი ესე დიდის პეტრეს ქალაქსა შინა წელსა 1835^ლ, იუვლის 12^ლ 3r-13r.

3

განგებად საღმრთოთა და სამღდელოთა წირვათა. XVIII

76ფ.; 15X19,5; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; დაზიანებული; ნუსხური; მეღანი შავი, სათაურები სინგურით; [XVIII]; გადამწერი დიაკონი გიორგი (72v).

„განგებად საღმრთოთა და სამღდელოთა წირვათა, რამეთუ დიდსა ეკულესიასა და მთანმიდა ესრეთ იქმნების. - ოდეს ეგალობოდეს მღდელსა საღმრთოსა საიდუმლოსა სრულყოფად, ჯერ არს უკუც(!) წინამძღვრისა თვისისა მიმართ შენდობისა მოღებად...“ 1r-76v.

შენიშვნები: 1. „ქ. ეს წიგნი ლაზარე მინდელს დამიმესახვერე (?)“ (8r. განსხვ. მხედრ.).

2. „ღმერთო, შემიწყალე მონა შენი ლაზარე“ (33r).

3. „ერისთავი ანტონი რომ გადავარდნილი იყო ნოღას, მაშინ ცამეტს თებერვალს ვარდ მიერთვა ახალი (!)“ (46r).

4. „მაზაკვალი აფხაზ სიქუ(მუ) ლოად (!), ვანი ვაზნა ქორთხუეფს ქო ვაჩექი ხუნდა აფხაზებს ოაუშკუმუნ დი დი უჩა კერის...“ (64v-65r).

უმნიშვნელო მინანერები: 8v, 17r, 41r, 73r, 74r.

ანდერძი: „კალამო, ჭელი იწყვე ღიშველი, მოუსვი. ღო, შეიწყალე დიაკონი გიორგი. ამინ“ (72v).

ალექსიანი. XIX

20 ფ.; 16,5X11,5; ქაღალდი; დაშლილი; დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XIX ს.]; დაუნერელია: 1r-2v; 20r-v.

„ც ხოვ რება ა ლ ე ქ ს ი კ ა ც ი ს ა ლ ~ ი ს ა. - კაცი ვინმე იყო
კოსტანტინოპოლის შინა. მემკვიდრე მეტად მდიდარი და
სახელი მისი ე ფ რ ე მ და ა ნ ნ ა მეუღლე მისი. ესე მდიდარნი იყუ-
ნენ ქაღაქსა შინა. მრავალნი სოფელნი და აგარაკნი აქუნდათ და
ხელმწიფეთაცა ჯეროვნად პატივსცემდა ე ფ რ ე მ ს...“ 3r-19v.

შენიშვნები: 1. „ალექსიანის“ ტექსტი გამოცემულია 1911, 1912
და 1914 წლებში.

2. S-1565:1 შედარებით ტექსტი იძლევა განსხვავებულ ნაკითხ-
ვებს.

2. არსებობს მეტაფრასული რედაქციის ორი თარგმანი: პირვე-
ლი, გელათი 2; მეორე იერუსალიმი 140.

მინანერები: 1. „უცხერი, ნინა ჩიქოვანი“ (1r).
2. „1939 წ. 70 დ“ (20v).

საძიებელი წმიდისა სახარებისა. 1845

10 ფ.; 25,5X21,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნუსხური; შავი
მელანი, სათაურები და აბზაცების დასაწყისი სინგურით; 1845 წ.
(10r); გადამწერი სვანიძე იოანე (10r).

„საძიებელი წმიდისა სახარებისა. წმიდა და
ლ~თივი ბრწყინვალესა კვირიაკესა აღვსებისასა. წირვის (?) სახა-
რება. - იოანეს თავი ა. მ~წია. პირველითგან იყო, დასასრული
მუზლი იმ...“ 1r-10v.

ანდერძები: 1. „დასრულდა, დიდება ღმერთსა ჩყმე წელსა აპრი-
ლის კე (10r).

2. „ესე საძიებელი მე ფრიად ცოდვლს და უღირსს ს ვ ა ნ ი ძ ე ს
გ ლ ა ხ ა კ ს ი ო ა ნ ე ს დამიჯღავბავს (!), ვინაიდგან ახალი მოს-
ნავლე ვიყავ. ლოცვთ შენდობასა გევედრებით, ღმერთი თქუცნცა
შეგინდობს ცონმასა თქვენსა“ (10r).

6

სამოძღვრო წიგნი. XVIII

24 ფ.; 17X11; ქალალდი; უყდო; დაზიანებული; დალაქავებული;
კიდეები შემოციცენილი; მხედრული; შავი მელანი, სათაურები სინ-
გურით; [XVIII ს. ბოლო]; დაუწერელია 24r-v.

სამოძღვრო წიგნი. – „მღდელმან მოილო აიაზმა, ოლარი, ჯვარი
და კურთხევანი და მოვიდეს სნეულთაგან და თქვას: მშვიდობა სა-
ხელსა ამას და მშვიდობა სნეულსა და დადვას ოლარი ქედსა თვის-
სა, აიაზმა ასხუროს და თქვას: მასხურე მე, უსუპითა განბანე მე...“
1r-23v.

შენიშვნები: 1. ტექსტში გამოკრებილია „ნ ი კ ი ფ ო რ ე კ ო ნ -
ს ტ ა ნ ტ ი ლ ე პ ო ლ ი ს პ ა ტ რ ი ა რ ხ ი ს ა მიერ თქმული“
(16r-v).

2. „სჯულის ვანონი წიგნისა დიდის ბასილისა, რომელთა
ეგულვების შემკრება“ (17v).

7

კრებული. 1841

93 ფ.; 18X11' ქალალდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; მხედრული; შავი
მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი გრიგოლ მიქელაძე, ბერი
(93r); გადაწერის ადგილი „საირმის მონასტერი“ (93r); 1841 წ. (93r).



1. „თხრობა წმიდისა და ნეტარისა მამიჭარებული
კლემენტოს რომთა პაპისა, თუ ვითარ და ემსახურებულ
წაფა მოციქულისა პეტრეს, საკითხავი თვესა
წოებერსა ოცდასუთსა. - წმიდისა და ნეტარისა მამისა
ჩუღნისა მღვდელ-მონაშისა კლემენტოს რომთა პაპისა და წმიდისა
მოციქულისა პეტრეს, თუ ვითარ სახედ და ემონაფა წმიდასა მონა-
ფესა მაცხოვრისასა პეტრეს...“ (2r-82r).

შენიშვნები: 1. შეადარე ხელნაწერს S-382 (28r-47v).

2. შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 91-92.

2. „თვესა წონბერსა 25. წამება წმიდისა კლე-
მენტოსის რომთა პაპისა, პეტრე მოციქულის
მონაფისა, აღნერილი ფიფეოსის მიერ, მონა-
ფისა მისისა. ევლეისონ. - ესე წიგნი არს სავსე ზეცისა
სიბრძნითა სულიერითა, რომელი აღნერა სანატრელმან კლემენ-
ტოს საქმეთათვის და ქადაგებათა წმიდისა მოციქულისა პეტრეს-
თა. ხოლო სჩანს ამას შინა, ვითარცა ხატი გამონერილი, მისივე თა-
ვადის ნეტარისა კლემენტოსისა...“ 82r-93r.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონე ე-
ლის მიერ (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 113); შდრ. A-70.

ანდერძი: „აღინერა წელითა ფრიად ცოდვილისა მონაზო-
ნის გრიგო (!) პერის მიქელაძისათა, საირმის
მონასტერს შინა, ვინც აღმოიკითხოთ ლოცვას მიბრძანებ-
დეთ მამანო, წელთა 1841 ჩყმა, დეკენბრის 13, იგჲ“ (93r).

მინანერები: 1. „ჩყოჲ წელსა (1870) კგჲ (23) აპრილსა დაინერა
ჯვარი ჩემა და[მ] დეს პანემ...“ (ზედა ყდის V).

2. „თეიმურაზ ჩიქვანის ვაჟი დაბადა ჩყოგჲ წელსა,
თვესა მაისსა იაჲ“ (იქვე).

ქამნი. XVIII

106 ფ.; 10,5X16; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული; თავ-ბოლო ნაკლული; აკლია შუაშიც; იწყება მე-18 რვეულიდან, წყდებ 32-ე რვეულზე; ნუსხური; შავი მელანი; შიგადაშიგ სინგურით; [XVIII ს.].

[ჟ ა მ 6 ი]. – „მწყემსისა მიმართ მსრბლთა (!) იხილეს იგი კარავი უმანკო მუცელსა შინა მ ა რ ი ა მ ი ს ა აღზრდილად, რომელსა მგალობელთა თქუმს...“ 1r.

ნ ყ დ ე ბ ა: „... სურუნელებითა შემრველი ახალს ს-ფლ...“ 106v.

შენიშვნა: ხელნაწერში შემორჩენილია საკითხავები ახალი-აღთქმიდან და თვეთა სამღერალი.

ქამნი. XVIII

76 ფ.; 10,5X14,5; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული; თავ-ბოლო ნაკლული; აკლია შუაშიც; იწყება მე-7 რვეულიდან და თავდება მე-17 რვეულით. ბოლო ორი ფურცელი რომელი რვეულიდანაა, არჩანს. მე-10, მე-11 რვეულიდან 4 ფურცელია გადარჩენილი; [XVIII ს.].

[ჟ ა მ 6 ი]. – „... მილხინე ჩუმში ცოდვილთა და უღირსთა მონათა შენთა, რამეთუ ვუს-ჯლოეთ და არა ღირს ვართ ახ-ლვად ცისათა რამეთუ დავუტევეთ გზა სიმართლისა შენისა...“ 1r.

ნ ყ დ ე ბ ა: „... თუ მზისა ბუკი იყოს ცოტა შიში იყოს, თუ მთავრისა ბუკი იყოს...“ 76v.

შენიშვნები: 1. უკანასკნელი ფურცელი არის „ძრვისად და ქუხილისა ე... და ცის სარტყელის გამოჩინებისა[თვეს] მზისა და მთვარისა დაბნელებისათვეს“ (76r).

2. A-1110:17 შდრ. იძლევა განსხვავებას.
 3. ხელნაწერში ძირითადად თვეთა სამღერელია დაცული.
 4. 12v-დან იწყება „ჟამნი დიდისა სერობისა“, თავდება 20v.
 20v-დან იწყება „ჟამნი მცირე სერობისა“. ტექსტი მიყვება 1856
 (ჩყვ) ნლის ჟამნის თბილისურ გამოცემას.

10

კრებული. XVII-XVIII

72 ფ.; 10X14; ქალალდი; უყდო; დაზიანებული; თავ-ბოლონაკ-ლული; აკლია შიგადაშიგაც; [XVII-XVIII სს.]. ნაწერია სხვადასხვა ხელით.

1. „სახარება მათესი. - წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა მლთი-სა ძისა ა ბ რ ა ჳ ა მ ი ს ა. აბრაჲამ შვა ისააკ...“ 1r. (მათ. 1,1).

ნ ყ დ ე ბ ა: „... მიუგო იესუ და ჰრეჟა მას: შ ნათესავი ურწმუნო და გულარძნილი ვიდრემდის ვიყო თქუცნთანა ვიდრემდის თავს ვიდებდე თქუენსა. მომგვარეთ მე იგი აქად და ვითარცა მოჰკუარეს შერისხნა მას იესკ და განვიდა მისგან ეშმაკი იგი და განიკურნა ყრმა იგი მიერ ჟამითგან.“

მაშინ მოუწეს იესკს მოწაფენი თვსგან და ჰრეჟუც რაღავათვს ჩუცნ ვერ შე...“ 16v.

2. „ს ა ე ტ ლ ო ნ ი ს რ უ ლ ნ ი მ ა რ თ ა ლ ნ ი თუ...ბავ თუ რომელსაცა ეტლსა ზედა ... ანუ რომელსაცა ბედსა ყოს ... მისთა მამა დედათანი, რომელი ... მამათაგან ნოდებულს ეყოს მღდელი ... და ორი განუტევე და რომელი ერთისა და ... უმცრო დაგრჩეს იწყე ვერძითგან ... ეტლსა და რომელსაცა ეტლსა ზედა დაგელიოს. მას ეტლსა ზედა შობილიყოს კაცი იგი. | მარტი - უკუეთუ ვერძსა ზედა შობილიყოს შეიქნას ტანად და პირად კარგი...“ 17r.

ნ ყ დ ე ბ ა: „... თუ თაგვ მარჯუნა ე~ს, სამძიმარი არს; მერმე გაიხაროს. თუ მარცხენა ე~ს, დაკარგული პპონს“ 36v.

3. „ნებითა და შენევნითა ღ~თა და იწყებს მოთხობად ფერად ფერადთა წ ა მ ა ლ თ ა წ ი გ ნ ი ე ს ე კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ნ ი (?) თქმუ-



ლი ჯ ა მ ნ ო ზ ბ ა გ რ ა ტ (ბგრტ) და გ ე ლ ი ა ზ ი ნ გ (?) გეპაზინგ ზინგ, გეპაზინგ ???) 37r-64v.

4. „სამთვარიო გამოკრებილი მართალი და ჭეშმარიტი. - ა. მთვარისასა და ეკალითი თესვა ნერგვა დაკარგული იპოს, რომელი იშვას ბედნიერი იყოს, რომელი დასხეულდეს, ფრიად იტანჯოს...“ 65r.
ნ ყ დ ე ბ ა: „სნეულებად შეიქმნას მძიმე“ 72v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ნაწერია სხვადასხვა ქაღალდზე. განსხვავებული ხელი, იწყება 65r-დან.

2. 30v-ზე ტექსტის ხელით არის მიწერილი ტექსტი, რომელშიც სახელი არაა მოხსენებული.

11

ლოცვანი საკურნებელნი. XVII-XVIII

50 ფ.; 9X14; ქაღალდი; უყდო; დაზიანებულლი, დალაქავებული; თავ-ბოლო ნაკლული; აკლია შუაშიც. ნუსხური, შავი მელანი; ლოცვანი გამოყოფილია სინგურით; გადამწერი: იოანე პატარიძეს (41v); [XVII-XVIII სს.].

ლოცვანი საკურნებელნი. – „ჯერ არს ჩემდა აღსრულებად განგებულებისა ამის, რომლისათვის მოვლინებულ ვარ, მომავლინებისაგან (!) ჩემისა და აღვსარულო, რათა აღვმაღლდე ზეცად...“ 1r.

ნ ყ დ ე ბ ა: „ესე და ცდა არსმართლის ფილოსოფოსისაგან გამოკრებილი არის“ 50v.

შენიშვნა: ეს ხელნაწერი, ჩვენი აზრით, იმავე ხელით არის გადანერილი, რომლითაც წინა N10-ის ძირითადი ნაწილი.

ანდერძები (გადამწერისა): 1. „ლმერთო შეიწყალე ი ო ვ ა ნ ე პ ა ტ ა რ ი ძ ე და მეუღლე მისი თ ა ნ ა ნ ა ვ, ა ˜ ნ და კ ˜ ს ნ“ (41v).

2. „ლმერთო შეიწყალე ი ო ა ნ ე პ ა ტ ა რ ი ძ ე ა ˜ ნ“ (6v).

რეცეპტები. XIX-XX

8 ფ.; 11X17,5; ქაღალდი, უყდო; დაზიანებულ-დალაქაბევული; მხედრული; შავი მელანი; [XIX-XX სს.].

[რ ე ც ე პ ტ ე ბ ი]. – „ჭიის წამალი იყიდე სანტანინა, იყიდება სკლადში, ქუთაისა. ეს ერთი მისხარი დოურიე ათ მისხალ და ნაყიდ შაქარში, მერე თითო საუმარილე ჩოფი მიეცი, თითოს მოარჩენს“ 1r-8v.

13

კარაბადინი. XIX-XX

38 ფ.; 21,5X17; ქაღალდი, უყდო; დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი; XIX-XX სს.

„კარაბადინი არის. - აქედამ წარმოდგების ყოველივე კაცისა ანუ ქალისა, რაც სატკივარი აუჩნდება ყოვლის განმკურნებული იქმნების...“ 1r-38v.

14

კარაბადინი. XIX-XX

28 ფ.; 15,5X9,5; ქაღალდი, უყდო; დაზიანებული; დალაქავებული; მხედრული; [XIX-XX სს.]; დაუნერელია 1r.

[კარაბადინი]. – „მეჭეჭისათვეს წამალი; ყვინჩილის ყვერი მეჭეჭებზე უნდა დაჟღლიტო, მოიტანე დანაყილი მარილი და ზედ მოაყარე სოვლათ და იმავე მინუტს ხვადაგს მოაჭამე...“ 1r-26r.

მინაწერები: 1. „ესე წერილი ეკუთვნის დიმიტრი კაკაბაძე ს. მიყიდ[ა] სოხუმიშიდ, ფასი მიმიცია, ფული მანეთი და ორი შაური ფული. ვემოწმები აზნაური გიორგი გე-

გ ე ნ ა ვ ა. მას შინა ვემოწმები კიდევ (!) კოსტა ოქროტაშვილის ძე კაპაბაძე, ამასთან ვანერ ხელს“ (26v).

2. „ეს საქიმო ანერილობანი ვიყიდე მე დიმიტრი კაკაბაძე მემ“ (27r).

3. „მას შინა გამიყიდია მე პეპუ სიჭინავას ეს წერილობანი. ვემოწმები აზნაური მაცი ზურუბაია. ვემოწმები თავადი ედიგი ემსუარი“ (27r).

4. უმნიშვნელო მინანერები 27v, 28r-v.

15

კარაბადინი. XIX-XX

4 ფ.; 16,5X22; ქალალდი, უყდო; დაზიანებული; მხედრული; ულამაზო ხელით; შავი მელანი; [XIX-XX სს.].

[კარაბადინი]. — „თუ გალესილი მარგალიტი მაჯუნში (!) გაურიო გულის სისხლსა გაწმენდს, სულის დაგუბებას, გულის უძლურებას სხვასაც მრავალს სენსა უშელის (!)...“ 1r-4v.

**„შუშანიკის წამების“ ძართულ-სომხური
ვერსიების
ურთიერთდამოკიდებულებისათვის**

ქართული კულტურის საგანძურში იაკობ ხუცესის თხზულებას – „შუშანიკის წამებას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც ჩვენამდე მოღწეულ ქართული მწერლობის არქაულ ძეგლს და მხატვრული პროზის გამორჩეულ შედევრს. ამავე დროს ეს ნანარმობი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ ის წარმოადგენს ქრონოლოგიურად ყველაზე აღრეულ ორიგინალურ წერილობითს წყაროს, რომელიც საკმაოდ ბევრ ინფორმაციას შეიცავს ძველქართული ყოფისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. თხზულება დაიწერა იმ დროს, როდესაც საქართველოში არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ქრისტიანობა თავისი პოზიციების გამყარების ეტაპზე იმყოფებოდა. შესაბამისად უძველესი დროიდან გადმოყოლილი წარმართული წეს-ჩვეულებების ამოძირკვის პროცესი ჯერ დამთავრებული არ იყო. ამიტომაც არის, რომ „წამებაში“ ხშირად არის მოყვანილი ცნობები არქაული წეს-ჩვეულებების შესახებ, რომებსაც შეუძლიათ ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიონ V საუკუნისა და უფრო აღრეული ეპოქის ქართული ყოფის შესწავლის საქმეში. „წამებაში“ შემორჩენილმა მთელმა რიგმა ცნობებმა იმ დროს დამკვიდრებული და შემდგომში გაუქმებული წეს-ჩვეულებების შესახებ, თავისებური ასახვა ჰპოვა „შუშანიკის წამების“ სომხურ ვერსიებში (მხედველობაში გვაქვს „შუშანიკის წამების“ როგორც ვრცელი, ისე მოკლე წიგნები). ეს ვერსიები დეტალურად შეისწავლა და ქართულ ვერსიას შეუდარა ი. აბულაძემ. ჩატარებული კვლევების საფუძველზე მკვლევარმა აჩვენა, რომ ეროვნულ-ეკლესიური სულისკვეთებით გამსჭვალული სომხური ვერსიები ქართულის საფუძველზე IX – X საუკუნეებში შეიიქმნა.

ეს ვერსიები რომ VII საუკუნის ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილების წინ ეთარგმნათ, ისინი დიდად განსხვავებული არ იქნებოდნენ ქართულისაგან. მათი გადაკეთება და სომხურ თვალსაზრისზე განყობა კი განხეთქილების შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. სწორედ ზემოაღ-



ნიშნულ IX – X საუკუნეებში, ი. აბულაძის სიტყვებით, „ყველაზე მეტად დაინყო ურთიერთთან მამულავნებელი ძეგლების საფუძვლიანი გადაკეთება-დამუშავება. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ იმ დროს უნდა იყოს ჩამოყალიბებული ეს ეროვნულ-ეკლესიური დალის მატარებელი სომხური რედაქციებიც შუშანიკის მარტვილობისა“ [1, გვ. 47].

ი. აბულაძის წარმოდგენილ სქემას, ჩვენი აზრით, საცხებით ადასტურებს სომხური ვერსიების ზოგიერთი თავისებურებები, რომლებიც შეიძლება V საუკუნის ქართული ძეგლის მხოლოდ მოვიანებით IX – X საუკუნეებშინ თარგმნას განეპირობებინა. მხედველობაში გვაქვს იაკობის წამებაში იმდროინდელი წეს-ჩვეულების მოხსენიება, რომლებშიც გარკვევა, მათი დროში გაუქმების გამო IX – X საუკუნის მთარგმნელისათვის პრობლემატური უნდა ყოფილიყო. ქვემოთ კონკრეტულ მაგალითებზე ვაჩვენებთ, თუ სომხურ თარგმანში, რომლის მთარგმნელიც ხშირად ვერ ერკვევა V საუკუნის სპეციფიურ მოვლენებში, როგორი ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი ქართულ ვერსიაში შემორჩენილი არქაული წეს-ჩვეულებები. „მამისაგან სახელი ვარდანი“. ამ ფრაზას შეიცავს შუშანიკის სახელთან დაკავშირებული ფრაგმენტი, რომელიც ქართულ „წამებაში“ ასე იკითხება: „მამისაგან სახელით ვარდანი, ხოლო სიყვარულით სახელი მისი შუშანიკ“ [1, გვ. 77]. სომხურ ვერსიაში („შუშანიკის წამების“ ვრცელ ნიგბში) იგივე წინადადება ასე არის ჩამოყალიბებული: <<Родители назвали её Варданы, а имя Шушаник она получила впоследствии>> [2, გვ. 201]. ეს ორი წინადადება ერთმანეთისაგან თითქმის უმნიშვნელოდ განხსნავდება, ვინაიდან „მამის“, „მშობლებით“, ანუ დედ-მამით შეცვლა თითქოს არაფერს ცვლის (რაც შეეხება ქართული ვერსიის ცნობას, რომ შუშანიკს ეს სახელი სიყვარულით უწოდეს, მას ფაქტობრივად სომხური ვერსიაც იმეორებს, ვინაიდან სიყვარულით სახელის დარქმევა არა დაბადებისას, არამედ შემდგომში უნდა მომხდარიყო). მაგრამ სინამდვილეში ეს ორი ინფორმაცია ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან ქართული ვერსია მშობლების მიერ ახალდაბადებული ქალიშვილისათვის სახელის დარქმევას კი არ გულისხმობს, არამედ ავტომატურად მასზე მამის სახელის გადასვლას. ალსანიშნავია, რომ „წამებაში“ შუშანიკისათვის მამის სახელის შერქმევის საკითხს, პირველი გ. წერეთელი შეეხო თავის ნაშრომში – „მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა“ (1958 წ.). აქ მკვლევარი აღნიშნავს, რომ გამოთქმას –

„მამისაგან სახელით ვარდანი“ – სომხურში შეესაბამება შეკარგული დანუპი, რაც ვარდანის ასულს ნიშნავს და ის დამოწმებულია შუშანიკის ნამდვილ სახელად სომხურ წყაროებში [3, გვ. 17]. მამის სახელის ქალიშვილზე ავტომატურად გადასვლის ტრადიცია აღმოსავლეთის ქვეყნებში უძველესი დროიდან არსებობდა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ჯერ კიდევ ჰეროდოტეს (დაახლ. ძვ. ნ. 485–424 ნ.ნ.) ისტორიაში მოყვანილი შემდეგი ფრაგმენტი ძველი, სპარსეთის მეფის კამბისესის (გარდ. ძვ. ნ. 522 ნ.) და ეგვიპტის მეფის ამასისის მიერ მასთან ხარჭად გაგზავნილი საკუთარი ასულის შესახებ: „როდესაც კამბისესი ქალს ეალერსებოდა და მამის სახელით იხსენიებდა...“ [4, გვ. 191]. ასეა აღნიშნული ტექსტში. აქედან ჩანს, რომ საკუთარი ქალიშვილისათვის მამის სახელის მინიჭება ჯერ კიდევ ძვ. ნ. VI საუკუნეში არსებობდა. აღნიშნული ტრადიცია ახ. ნ. IX – ჯ საუკუნეებში უკვე დიდი ხნის წინ მივიწყებული იყო და ამიტომაც არის, რომ სომებმა მთარგმნელმა გამოოქმა „მამისაგან სახელით ვარდანი“ ისე გაიგო, როგორც ახალდაბადებულისათვის მშობლების მიერ სახელის დარქმევა. „ბუნებითი ცოლი“. ეს სიტყვები მოიხსენია სპარსეთში ჩასულმა ვარქსენმა, რომელმაც ქრისტეს სჯულის უარყოფისა და ცეცხლთაყვანის მცემლობის მიღებასთან ერთად, მეფისაგან ცოლი გამოითხოვა შემდეგი პირობით: „რომელი იგი ბუნებითი ცოლი არ და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაცეცინე შენსა შჯულსა, ვითარცა მე“. გახარებულმა მეფემ ვარსექნს თხოვნა აღუსრულა და „ბრძანა ცოლად ასული მისი“ [1, გვ. 78]. ვარსექნის მიერ მოხსენიებული „ბუნებითი ცოლის“ ცნება აშკარად განსხვავდება ჩვეულებრივი ცოლის ცნებისაგან და მის მნიშვნელობაში რომ გავერკვეთ, ამისათვის საჭიროა III–V საუკუნეების ირანში ოჯახური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებში გაცნობიერება. კანონიერი ქორწინებით მოყვანილ ქალს სპარსული კანონმდებლობა მთავარი ცოლის („Katakbaniuk“) და სახლის პატრონის ფუნქციებს ანიჭებდა მას და მის შვილებს ქმრის ძირითად მემკვიდრედ აღიარებდა. ამასთან ერთად დაშვებული იყო არაძირითადი, ანუ თანმდევი ქორწინებაც კონკურბინასთან, რომელიც ფაქტობრივად ჰარამხანის წევრის უფლებებით სარგებლობდა და მოკლებული იყო „მთავარი ცოლისათვის“ განკუთვნილ ყველა პრივილეგიას [5, გვ. 125]. სწორედ ძირითად ცოლს გულისხმობდა ვარსექნი, როდესაც შუშანიკს ძირითად ცოლად მოიხსენიებდა. ეს ნათლად ჩანს ვარსექნის დაპირებიდან, რომელიც მან სპარ-

სეთის მეფეს მისცა. ის მეფეს კი არ ჰპირდება, რომელისაც
ასულის სანაცვლოდ შუშანიკს გაეყრება, არამედ ცოლის გადა
ტივში დარჩენილს მას ცეცხლთაყვანის მცემლად მოაქცევს.
ცხადია, რომ შუშანიკი ყველა ნიშნით თუ „ძირითად“, ანუ „ბუ-
ნებით ცოლად“ რჩებოდა, მეფის ასული აშკარად არაძირითა-
დი ქორწინებიდან უნდა ყოფილიყო გაჩენილი და ვარსექნს ის
კონკუბინას რანგში ეძლეოდა. ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან
ძნელი წარმოსადგენია, რომ უზარმაზარი იმპერიის მპრანე-
ბელს მცირე რეგიონის მმართველისათვის თავისი კანონიერი,
ე. ი. მთავარ ცოლთან შეძენილი ქალიშვილი მიეთხოვებინა.

შუშანიკი რომ მთავარი ცოლი იყო, ეს „ნამების“ სამკაულებ-
თან დაკავშირებული ეპიზოდიდანაც ჩანს. მათი უკან დაბრუ-
ნების მოთხოვნისას, ვარსექნი ხაზს უსვამს, რომ „იპოს ვინ-
მე, რომელმან განკაფოს იგი“ [1, გვ. 99]. ე. ი. ამ დროს შუშანიკი
ისევ მთავარ ცოლად რჩება, რის გამოც ვარსექნი იმ ქალს გუ-
ლისხმობს, რომელმაც მომავალში შუშანიკის ადგილი შეიძ-
ლება დაიკავოს. რაც შეეხება მეფის ასულს, რომელიც ამ ეპი-
ზოდში საერთოდ არ მოიხსენიება, ესეც სავსებით გასაგებია,
ვინაიდან ძირითადი ცოლის კუთვნილ სამკაულებს ის, როგორც
კონკუბინა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებდა. ისიც სავ-
სებით ბუნებრივია, რომ მას იაკობიც საერთოდ არ მოიხსენიებს
და მათან დაკავშირებით არც შუშანიკი საყვედურობს ვარსექნს.
მეფის ასულთან დაკავშირებით იაკობის და შუშანიკის დუმილი გვა-
ფიქრებინებს“ რომ კონკუბინას ინსტიტუტი ადრეულ საუკუნეებში
არც ქართლისათვის არ უნდა ყოფილიყო უცნობი. V საუკუნეში
ქრისტიანობა, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ არ იყო ისე მომძლავ-
რებული, რომ მას შესძლებოდა წარმართულ-სპარსული გადმონაშ-
თების საერთოდ აღმოფხვრა. „შუშანიკის ნამების“ სომხური ვერ-
სია თითქოს იმეორებს ქართული ვერსიის მონაცემებს, როდესაც
ალწერს ვარსექნის ირანში ყოფნის ეპიზოდს (სომხური ვერსიის თა-
ნახმად სპარსეთის მეფემ მას ცოლად არა ქალიშვილი, არამედ სი-
დედრი გაატანა): <<просил у царя жену-персянку. [Царь] проникся
к нему доверием и дал ему тещу свою. Он обещал обратить в веру
персидских магов [также] своим первому жену и детей>> [2, გვ. 201].
ჩვენ აქ არ შევეხებით ცნობას, რომ მეფემ ვარსექნს ცოლად თა-
ვისი სიდედრი გაატანა (ყოვლად გამორიცხულია, რომ მეფეს
ვარსექნისათვის კონკუბინად თავისი სიდედრი გაეყოლებინა). ეს
აშკარად სომეხი მთარგმნელის ფანგაზის ნაყოფია, რომელსაც



სურს, რომ ვარსკენი რაც შეიძლება მუქ ფერებში წარმოაჩინოს. სამაგიეროდ, ყურადღება უნდა მიეცეს ერთი შეხედვით ვითომ უმნიშვნელო ცვლილებას, რაც ქართული „ბუნებითი ცოლას“¹ მომხურში „პირველ ცოლად“ თარგმნის შედეგად განხორციელდა. IX-X საუკუნეებში არაძირითადი ქორწინებები დიდი ხნის წინ იყო გაუქმებული და სავსებით ბუნებრივია, რომ სომებმა მთარგმნელმა „ბუნებითი ცოლი“, ანუ მთავარი ცოლი, ჩვეულებრივ ცოლად აღითქვა. ამიტომ არის, რომ ახალი ცოლის მოყვანისას მან შუშანიკი პირველ ცოლად გამოიყვანა, რომელიც არა უფლებებით არის პირველი, არამედ იმით, რომ დროში ის პირველი მოიყვანა ცოლად ვარსკენმა. მეფის სიდედრი კი, რომელიც რიგით მეორე ცოლი ჩანს, უფლებრივად არაფერში არ უნდა ჩამორჩებოდეს პირველ ცოლს. ასეთ ვითარებაში კი სომებმა მთარგმნელმა ხელოვნურად მოუხსნა შუშანიკს მთავარი ცოლის სტატუსი და ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ ის ვერ ჩანვდა „ბუნებითი ცოლის“ ჭეშმარიტ მნიშვნელობას. როგორც ქართულ, ისე სომხურ ვერსიაში მეორე ცოლი მომდევნო ტექსტში აღარსად არ მოიხსენიება. ქართული ვერსიით ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან კონკუბინას იგნორირება მოულოდნელი არ არის, ხოლო სომხური ვერსიის სრულუფლებიანი მეორე ცოლის მოუხსენებლობა უკვე არაბუნებრივი ჩანს. „კილიკი ერთი მცირცი“, ქართულ „წამებაში“ ეს სიტყვები ორნინადადებიან ფრაგმენტში ასე არის მოყვანილი: „სასთაული ერთი ხალენისა უცნ სასთუნლით კერძო, და თაყუანის საცემლად კილიკი ერთი მცირც ქუე წარუგდებიედ“ [1, გვ. 113]. სომხურ ვერსიაში კი ეს ორი წინადადება ერთ წინადადებაში არის გაერთიანებული: <<под голову клали подушечку из шкурки и маленький молитвенник>> [1, გვ. 213]. ქართული ტექსტის თანახმად შუშანიკის თავსადებად „ხალენს, ანუ მაზარას იყენებდა, ხოლო მუხლმოდრეკით ლოცვისათვის იატაკზე ერთი „კილიკი“, ანუ მცირე ხოხი ჰქონდა დაფენილი. რაც შეეხება სომხურ ვერსიას, აქ ლოცვის პროცედურასთან დაკავშირებული ცნობა საერთოდ არ არის მოყვანილი, სამაგიეროდ, როგორც ტექსტი იუწყება, შუშანიკს თავსადებად „ხალენთან“ (<<подушка из шкурки>>) ერთად მცირე სალოცავი წიგნი ჰქონია გამოყენებული.

აშეარად ჩანს, სომები მთარგმნელი, რომელიც „კილიკის“ მნიშვნელობაში ვერ ერკვევა და ფრაგმენტში მოყვანილი მონაცემების დახმარებით ცდილობს, დაადგინოს მისი ეს მნიშვნელობა (როგორც ეტყობა, ამ სიტყვას არც მთარგმნელი იცნობდა და არც სომხურ ლიტერატურაში იყო ის ფართოდ ცნობილი),



ვინაიდან ეს სიტყვა ქართულ ტექსტში ლოცვასთან („თაყუანის საცემლად“) დაკავშირებით არის მოყვანილი და თანაც მოწინდება ნინადადებაში მითითებულია, თუ რას იყენებდა თავსადებად შუშანიკი, მთარგმნელმა ჩათვალა, რომ „ხალენთან“ ერთად შუშანიკი სხვა თავსადებითაც სარგებლობდა. აქედან გამომდინარე, ქართული „კილიკი მცირის“ ნაცვლად სომხურში გაჩნდა მცირე სალოცავი წიგნი (<<მალენეკი მოითვენის>>). საქმის ამგვარი წარმოდგენისას უდავოდ ალიძვრება კითხვა: თუ მაინცდამაინც რატომ ქართველები იცნობდნენ ამ ტერმინს და ის უცნობი იყო (ყოველ შემთხვევაში, ფართო მასშტაბებში) წყაროების მრავალრიცხოვნებით გამორჩეულისომხურილიტერატურისათვის. საქართველოში ეს ტერმინი საფუძვლიანად რომ იყო გათავისებული, ეს ჩანს იქიდან, რომ მას ქართულ წყაროებში მოიხსენიებდნენ და, რაც მთავარია, ის ჩვენს დროშიც კი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გამოიყენება (ამაზე მიუთითებს ეთნოგრაფიული ჩანაწერი საინგილოში: „ნაბდისა და ღართისა, კილიკისა და ქეჩის შეთელვა“ [6, გვ. 80]).

ერთადერთი ახსნა, რომელიც ამ გარემოებას შეიძლებს მოიძებნოს, ის არის, რომ ქართველებმა ადრეულ ეტაპზე თარგმნეს ტერმინ „კილიკის“ შემცველი ის თხზულება, რომლითაც ისინი განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებული. ასეთი თხზულება მართლაც არსებობდა, რომელიც ქართულად ჯერ კიდევ V საუკუნის პირველ ნახევარში უნდა ყოფილიყო თარგმნილი. ეს არის IV-V ს. ს. რომაელი მნერლის რუფინუსის (გარდ. 410 ნ.) „საეკლესიო ისტორია“, რომლის X თავში აღნერილია ქართლის მოქცევა და ოპნაც ტერმინი „კილიკი“ ორჯერ არის მოხსენიებული (ამ X თავის რომა ეპიზოდმა, რომელიც ტყვევ-ქალის (ანუ ნინოს), სამკურნალო მოღვაწეობას შეეხება, ჩვენამდე მოაღწია იმ ფრაგმენტების სახით, რომლებიც ჩართულია ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში [7])1.

ამრიგად ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც „შუშანიკის წამების“ ქართული და სომხური ტექსტების ურთიერთშედარებას ითვალისწინებდა, კიდევ ერთხელ აშკარად გამოჩნდა ქართული ვერსიის პირველადობა და უფრო გვიან შედგენილი სომხური ვერსიის მასზე დამოკიდებულება. ვინაიდან სომხური თარგმანი IX-X საუკუნეებში შესრულდა, როდესაც ქართულ „წამებაში“ აღნერილი წარმართულ-სპარსული წეს-ჩვეულებები უკვე



დიდი ხნის წინ იყო მივიწყებული, სომეხი მთარგმნელისათვის ეს ჩვეულებები გაუგებარი აღმოჩნდა. ამიტომ მან ქართული ტექსტი იმ გაგებით თარგმნა, რომელიც მას ტექსტში მოხსენიებული ზე-ლი წეს-ჩვეულებების მისეულმა, ახლებურმა გააზრებამ უკარნახა. ამიტომაც არის ის შუპანიკის სახელს არა მამას, არამედ დედ-მამას უკავშირებდა, ხოლო ძირითად, ანუ „ბუნებით ცოლს“ უფლებრივად არაძირითადი ქორწინებით მოყვანილ ცოლთან, ე. ი. კონკებუნასთან ერთ რანგში წარმოაჩენს. რაც შეეხება „კილიკს“, რომელიც სომეხი მთარგმნელისათვის საერთოდ უცნობი აღმოჩნდა, მან ის თავსადებად გამოყენებულ „მცირე სალოცავ წიგნად“ მიიჩნია. ყველა ეს შეცდომა, რომელიც ჩვენი გამოკვლევით გამოვლინდა, კიდევ უფრო ზრდის იმ non sense-ების რიცხვს, რომელთა არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ი. აბულაძე და სხვა ქართველი მეცნიერები მიუთითებდნენ.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში ნინოს სამკურნალო მოღვაწეობის აღნერისას ორჯერ ვე „კილიკის“ ნაცვლად მოხსენიებულია „სანოლი“ (8, გვ. 98-99).

ପାଇଁରୁଣ୍ଡାକୁଣ୍ଡର ଲୀଠିଏଣ୍ଡାମୁଣ୍ଡର

იაკობ ცურტაველი. მარტვილობად შუმანიკისი. — თბ., 1978.

Мученичество св. Шушаник, дочери св. Вардана и внучки Саакануш, дочери армианского патриарха св. Саака Пертева, которая умела в Иверии от (руки) мука своего, антипатоса Грузинского. Памятники армианской агиографии. I. – Ереван. 1973.

გ. წერეთელი. მცხეთის ბერძნული წარწერა ვერსპასიანეს ხანისა. – თბ., 1958.

ჰეროდოტე. ისტორია, I, ბერძნულიდან თარგმნა თ. ყაუხჩიშვილმა. – თბ., 1975.

Н. Пигулевская. Города Ирана в раннем средневековье. – Москва, 1956.

მასალები საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, V. – 1980.

რ. ჩაგუნავა. „ქართლის ცხოვრების“ ლათინური წყარო (იბეჭდება). „ქართლის ცხოვრების“ მცენი სომხური თარგმანი, / ილია პაულა-

გალობათა იღუსტირების საკითხის ჯრუზის ფსალმუნის მინიჭებულები

ქრისტიანული ცივილიზაციის ერებისათვის ფსალმუნის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დღეისათვის მსოფლიოში ათასამდე იღუსტრირებული ფსალმუნი არის ცნობილი. იგი სახარების შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორე წიგნია. რადგანაც დავითი ნარმოადგენს ჰიმნთა კრებულს, ლირიკული ხასიათის ნანარმოებს, მისი იღუსტრირება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, ქრისტიანმა ერებმა ამ პრობლემას თავი საკმაოდ კარგად გაართვეს. შემკულობის თვალსაზრისით მეცნიერთა მიერ ფსალმუნთა რამდენიმე ჯგუფია გამოყოფილი. ქართული დავითიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილია. სამწუხაროდ, ჩვენამდე ერთეულმა მორთულმა ფსალმუნებმა მოაღწია და არცაა საფუძვლიანად შესწავლილი. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ გამოთქმულია სავარაუდო აზრები. შ. ამირანაშვილი თვლიდა, რომ ქართული ფსალმუნი არც ერთ სხვა ბიზანტიურ რედაქციის არ მისდევს, იგი საქართველოშია შექმნილი და საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოში – მცხეთის კათედრალში (აյ იგულისხმება ჯრუჭის დავითის სახელით ცნობილი ხელნაწერი (H-1665), რომელიც ექ. თაყაიშვილმა ჯრუჭის მონასტრიდან ჩამოიტანა სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში) (1,212).

ჩვენი მიზანია, სვეტიცხოვლისეული სინმიდეების გამოჩინება და კვლევა. ცნობილია, რომ სვეტიცხოვლის კათედრალი ძალიან მდიდარი იყო სინმიდეებით, დროთა მანძილზე, ავტედობის უამს, თითქმის ყველაფერი განიავდა, ამიტომ რაც შემორჩა, ისინი დაცვის მიზნით, სხვადასხვა მონასტრებში გადაიტანეს. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ XIII საუკუნის ოთხავი, რომელიც ამჟამად იენაშში – სვანეთშია დაცული. ანჩისხატის გულანის სახელით ცნობილი სამი უზარმაზარი ფოლიანტი, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ ამილახვრის დაკვეთითაა შესრულებული მცხეთის კათოლიკე ეკლესიისთვის (XVIII.) და სხვ.



სარწმუნოდ მიგვაჩნია ა. ნატროშვილის ცნობა იმის თაობაზე, რომ სვეტიცხოვლის საგანძურმი სხვა წიგნებს შორის უკავშირული დოდ, მომფვილ ოთხთავთა, სამოციქულოს, მარხვანს, ზაღიკნს, სვინაქსარს, სჯულის კანონს, ტიბიკონს, კიბე-წიგნს, ნეტაფრასს, მაქსიმეს წიგნს, ქართლის ცხოვრებას, კურთხევანს, ნმიდა მამათა ცხოვრებანს, კონდაკებს შორის ყოფილა სამი დავითი (2, XIX). ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა, ეს იყოს: A-38, H-1665 და H-75. ამასთან, როგორც ყველა ლიტურგიკულ ფსალმუნს შეჰვერის, თითოეულ მათგანს თან ერთვის გალობები, ანუ „ბიბლიური ჰიმნები“. ისინი ნაწილობრივაა ილუსტრირებული H-1665-ში – ჯრუჭის დავითნში, ხოლო დანარჩენ ხელნაწერებში ტექსტი დართულია, მაგრამ დაუსურათებელია. ვიდრე გალობათა ილუსტრაციებს გავაანალიზებდეთ, მნიშვნელოვნად გვესახება ჯრუჭის დავითნის ნარმომავლობის საკითხს შევეხოთ.

ხელნაწერთა H კოლექციის აღწერილობათა მიხედვით, დამკვეთი ყოფილა ბატონიშვილი ზილიხანი (3,92). ხელნაწერის მინიატურები ირ. სონდულაშვილმა XV საუკუნით დაათარილა, თუმცა, ნაშრომი გამოუქვეყნებელია. ამ ბოლო ხანს, სამეცნიერო წრეებში გაჩნდა აზრი, რომ ხელნაწერის ტექსტი XIII საუკუნეს ეკუთვნის, რაც, შესაბამისად, მინიატურების გადათარილებასაც გულისხმის, ეს კი გვავალდებულებს მათ სიღრმისეულ შესწავლას, რათა დადასტურდეს ამ ხელნაწერის მინიატურათა XIII საუკუნეში შექმნის საკითხი ან გაიცეს არგუმენტირებული პასუხი მინიატურათა XV საუკუნეში შესრულების შესახებ. ყოველივე აღნიშნული ამ ეტაპზე ჩვენი სტატიის ფარგლებს სცილდება.

ფ. 172 V-ზე კვართზე წილისყრის სცენაა გამოსახული. იგი თითქმის პირველივე მინიატურა საუფლო დღესასწაულების – „ხარების“, „მარიამის ტაძრად მიყვანების“ და „ჯვარცმის“ შემდეგ. ეს მინიატურა მეორდება H-75-შიც: მასშიც თითქმის თავშია ჩართული. ასევე ყურადღებას იპყრობს ფ. 188 V-ზე დასურათება დანიელის ესქატოლოგიური სიზმრისა – მეორედ მოსვლისა და ძველი დღეთას გამოსახვა. რაც, შემთხვევითად არ გვესახება, რადგან ძველი დღეთა სიმბოლო სვეტიცხოვლისა და უფლის კვართისა და ამიტომაც, სვეტიცხოვლისეულ სინმიდეებში ხშირად გვხვდება. ასევე სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე გაშლილია მრავალფიგურიანი კომპოზიცია. 103-ე, 148-150-ე ფსალმუნებისა: „ყოველი სული აქებდით უფალსა“. ამ საგალობლებით არის გაუდენთილი

თითოეული ფიგურა. უნდა ითქვას, რომ უფლის სადიდებელი ფიგურები გალობლები თუ ფრესკაზე კანონიკურ ფსალმუნთა ტექსტიდანაა აღებული და ილუსტრირებული დავითნის მინიატურებში, მხატვა-რი-მინიატურისტები გალობათა ტექსტს ასურათებენ, სადაც აგრეთვე უფლის ქება-ხოტბაა გამოთქმული.

არ ვიცით, ამ ეტაპზე რამდენად დამაჯერებლად წარმოვაჩინეთ ხელნაწერის სვეტიცხოვლისეული წარმომავლობის დადასტურება, მაგრამ ვფიქრობთ, მომავალი კვლევა უფრო სარწმუნო შედეგებს მოგვცემს. ამჯერად ვარაუდით ვიფარგლებით.

გალობათა ტექსტის ფსალმუნთა ბოლოში დართვა არ არის ქართული მოვლენა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში იყო გამოთქმული. გალობები ძველი აღთქმიდან ადრეული ქრისტიანობის ხანაშივე გადმოიღეს სინაგოგის პრაქტიკიდან და ქრისტიანულმა ეკლესიამ მათ შეჰმატა გალობები ახალი აღთქმიდან. ადრეულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში თოთხმეტი გალობა იყო და საყოველ-თაოდ V-V-ს.ს. გავრცელდა. ამ დროს იგი იერუსალიმშიც იხმარებოდა. კონსტანტინოპოლის ეკლესიის რიტუალში იგი IX საუკუნის ბოლომდეა შენარჩუნებული, პალესტინურ პრაქტიკაში კი, V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის დასაწყისში მას ენაცვლება ცხრა გალობისგან შემდგარი რიგი, რომელიც ამ დროს მტკიცედ იკიდებს ფეხს მთელს პალესტინაში. პირველი ხელნაწერი კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე, რომელიც ცხრა გალობას შეიცავს, IX საუკუნისაა; ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ხლუდოვოს ბერძნული ფსალმუნი (4,63-64).

გალობები, გარდა ჩამოთვლილისა, გვხვდება სირიულსა და სომხურ ხელნაწერებშიც. გიორგი მთაწმინდელს ცხრა გალობა დახვედრია შესაბამისად, კონსტანტინოპოლური საეკლესიო ტრადიციისა.

ნმ. ბასილი დიდი წერდა: „ფსალმუნი ხმაა ეკლესიისა, იგი გააბრნებს დღესასწაულებს“ (5,130), ხოლო ეფრემ მცირის სიტყვით, ეკლესიას „არარა აქუნდა სხუა საგალობელად საეკლესიო თვინიერ ფსალმუნთა წიგნისა“ (6,245); როგორც კ. კეკელიძე წერს, ყველაზე ადრე ძველი აღთქმის წიგნებიდან დავითნი ითარგმნა, რადგან ღმრთისმსახურებაში, ვიდრე პიმნოგრაფიული ელემენტი გაჩნდებოდა, ფსალმუნური სჭარბობდა. ღმრთისმსახურება უმეტეს ნაწილად ფსალმუნთა გალობიდან შედგებოდა (7, 416).-

ეკლესიამ ფსალმუნები დაჲყო კანონებად, ანუ კათიზმებად. თავისი შინაარსით თითოეული საღმრთისმეტყველო კანონი გა-



მოხატავს სადღესასწაულო მოვლენის სულსა და არსს ან ამაგრესული იმ წმინდანის ცხოვრებას, რომელსაც უგალობენ. მათში არის ჩატარებული დებული ძეველი აღთქმისეული წინასწარმეტყველების ახსნა და წინასახეობრივი კავშირი ახალ აღთქმასთან. ამ საგალობლებში არის წმიდა წერილის აზრები და ზოგჯერ გამოხატულია წმიდა მამათა საუბრების ნაწყვეტები, სადაც ჩადებულია ჩვენი სარწმუნოების საიდუმლო, რომელიც მჭერმეტყველური სიტყვებითაა გადმოცემული. ყველა ეს აზრი კანონებში მიღებული საეკლესიო საგალობლების წესის მიხედვითაა, ჩვეულებრივად დალაგებულია ე. წ. გალობებად, რომელთაგან თითოეული შეიცავს ერთ ირმოსსა და რამდენიმე ტროპარს. მათი რიცხვი, ისევე როგორც შინაარსი, შეესაბამება ცხრა გალობას, რომელიც წმიდა წერილში ქრისტიანობიური რიგითაა დალაგებული. ეს ირმოსები და ტროპარები, რომელიც შეესაბამება ათორმეტ დღესასწაულის ციკლს და რამდენიმე სხვა საეკლესიო დღესასწაულების შინაარსს, შექმნეს წმიდა კოზმა მაიუმელმა, წმიდა იოანე დამასკელმა და აგრეთვე ეკლესის სხვა ქრისტიანმა მწერლებმაც (8, I-IV).

გალობათა რიცხვი და თანამიმდევრობა როგორც კონსტანტინოპოლის, ისე მისი წრის ქვეყნებისა და მათ შორის ქართულ ხელნაწერებშიც უცვლელია ყველა რედაქციაში:

1. გალობაზე გამოსლვათაზ მოსტისი: აქ მოსესა და მარიამის გალობაა. ეგვიპტიდან მათ მონობიდან გამოიყანეს ეპრაელები მეწამული ზღვის საოცარი გადალახვით, გალობდნენ გამარჯვებისა და სამადლობელო საგალობლებს უფლისადმი. შეესაბამება ბიბლიის ტექსტი – გამ. 15, 1-15, 19;

2. გალობაზე მეორისა შჯულისაზ მოსტისი: ეს საგალობელიც მოსეს ეკუთვნის, რომელიც შეადგინა უფლის ბრძანებით, რომ ეპრაელებში ბლექრა გრძნობა სინანულისა, რათა გაფრთხილებოდნენ კერპთაყვანისმცემლობას. შეესაბამება ბიბლიის ტექსტი მეორე შჯ. 32, 1-32, 43;

3. გალობაზე ანნაისი, დედისა სამოელისი: ეს საგალობელი მოგვაგონებს წმიდა ანას სამოელის დედას, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე არ ჰყავდა შვილები და თავისი დაუინებითი ლოცვით უფალმა ძე მისცა. სამადლობელო საგალობლებია. შეესაბამება ბიბლიის ტექსტი | მეფეთა 2, 1-2, 10;

4. ლოცვაზ ამბაკუმ წინასწარმეტყველისაზ გალობით: წინასწარმეტყველ ამბაკუმს ეკუთვნის წინასწარუნყება უფლის ძის განკა-



ცებაზე, კაცთა მოდგმის ხსნასა და ღმრთებრივი ძალის შეანტენდებაზე. შეესაბამება ბიბლიის ტექსტი – ამბ. 3,2-3,19;

5. გალობად ესაია წინასწარმეტყველისაა: აქაც წინასწარმეტყველებაა იესო ქრისტეზე და გამოხატულია მადლობა უფლისადმი. შეესაბამება ბიბლიის ტექსტი – ეს.26,9-26,19;

6. გალობად იონა წინასწარმეტყველისაა: ეს საგალობელი შეგვახსენებს იონა წინასწარმეტყველის ცხოვრებასა და სამადლობელო საგალობლებს, უფლის მიერ იონას ხსნას. შეესაბამება ბიბლიის ტექსტი – იონა 2,3-2,10;

7-8. გალობად სამთა ყრმათაა საჭმილსა: სამი იუდეველი ყრმის საგალობლებია, რომელიც წარმოთქვეს მაშინ, როდესაც გახურებულ ღუმელში იმყოფებოდნენ ბაბილონში და საოცრად უვნებლად გადარჩენ. პირველი გალობა ადიდებს უფალს, იგონებენ მომხდარს და მეორეში კი, ღვთისმოსავი ყრმები მოუწოდებენ ყოველ ქმნილებას, რათა იგალობონ. შეესაბამება დანიელ წინასწარმეტყველის ტექსტი – 3,26-3,56; 3,57-3,88;

9. ა) გალობად მარიამისი; ბ) გალობად ზაქარიასი... : ეს საგალობელი ემსახურება ყოვლადწმიდა ქალწულის განდიდებას; განდიდება ღმრთისმშობლისა თქმული წმიდა ელისაბედთან შეხვედრისას და ხოტბა წმიდა ზაქარიასი. შეესაბამება ახალი აღთქმის – სახარების ტექსტი – ლუკა 1,45-1,55; 1,68-1,79;

გამოკვლევისას ვეყრდნობით გამოქვეყნებულ კონსტანტინოპოლურ და მისი წრის ქვეყნების ილუსტრირებულ ფსალმუნთა ნიმუშებს და შედარებისას მათ მივმართავთ. რაც ბევრ საინტერესო შრეს წარმოაჩენს და დასკვნების გამოტანაშიც გვეხმარება.

ჯრუჭის დავითნში პირველი ორი გალობის მინიატურები არ არის ჩართული, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ხელახალი აკინძვისას უკვე დაკარგული იყო. გამოტოვება გამორიცხულია. ეს გალობები გამოწვლილვითაა ილუსტრირებული ბიზანტიურ და მისი წრის ქვეყნების ნიმუშებში. კერძოდ, ხლუდოვოს ფსალმუნში (I ს.) ფ.148 ს-ზე მოსეს პირველი გალობის საილუსტრაციოდ შემდეგი სცენაა მოცემული: მენამული ზღვის გადალახვა ებრაელთა მიერ. წინ მიდის მოსე კვერთხით ხელში, ხოლო მოსეს და – მარიამი ცეკვავს, და ანეულ ხელებში საკრავი უკავია. აქ ორი გალობა გაერთიანებულია (9). სამაგიეროდ, XIV საუკუნის ტომიჩის ბულგარულ ფსალმუნში ორივე გალობა ნარატიულად, თხრობითად არის გადმოცემული: ა) ეგვიპტიდან გამოსვლა – ერი შეკრებილა და წინ

მიდის (10, ტაბ. XLII); ბ) ფარაონის ჩაძირვა – ბრძოლის სცენაა (10, ტაბ. XLIII). გ) მარიამის ცეკვა. თუ ხლუდოვოს ფსალმუნში მარიამის ცეკვა ამი მარტო ცეკვავდა, აქ მას თავის თანატოლ გოგონებთან ერთად წრე დაურტყადს და ხელში დაფდაფებით ცეკვავენ. (10, ტაბ. XLIV); 1397 წლის კიევის ფსალმუნშიც ფ. 205. V-ზე გამოსახულია ეპრა-ელების გამოსვლა მენამულ ზღვაზე და ფარაონის ჯარის ჩაძირვა; ფ. 205 I-ზე მარიამის ცეკვაა, აქ წრეში ოთხი ფიგურა არის ჩართული: ერთი ნალარაზე უკრავს, მეორე დაფზე, შუაში მარიამი ცეკ-ვავს, მის გვერდით ერთი ორ დაფდაფიანი გოგონაა; მოსეს მეორე გალობაში მოსე იღებს ცის სეგმენტიდან – უფლისგან სჯულის ფი-ცარს (ფ. 208 V.), რომელსაც შემდეგ ეპრაელ ერს გადასცემს (იქვე).

ამავე საგალობლის დასურათებაა ორი არწივი ბუდეში. ისინი სიმბოლოა ისრაელის ერზე ღმერთის ზრუნვისა: ვითარცა ორი არწივი თავიანთი ფრთებით იფარავენ მართვებს, ისე იფარავს უფალი ისრაელ ერს (ფ. 208 V.), შემდეგ გამოსახულია ველური ცხოველები, რომელნიც ჭამენ ადამიანებს. სიუჟეტი უკავშირდება უფლის რისხვას სჯულის დამრღვევ ეპრაელებზე (ფ. 210 V.).

გალობათა ილუსტრირების ციკლი ჯრუჭის ფსალმუნში იხსნება მესამე გალობით. ანას, სამოელის დედის, ლოცვა მღვდლის – ელის წინაშე. უნდა ითქვას, რომ ჯრუჭის „ბიბლიურ ჰიმნებს“ ილუსტ-რირებისას ნარატიულობა, თხრობითობა ახასიათებს. სიუჟეტი მოცემულია ორ მინიატურად. ანას ლოცვა (ფ. 231 r) და ანას მიერ ყრმა სამოელის ტაძარში მღვდელ ელის წინაშე მიყვანა (ფ. 231 v.). ორივე სცენაში არქიტექტურული ანტურაჟი ერთნაირია. კომპოზი-ციები ორივეჯერ თაღითაა შემოფარგლული. თითქოს, ორივე ეპი-ზოდი დროში ერთმანეთს ემთხვევა. ანა ლოცულობს, რომ შვილი შეეძინოს და მეორე მინიატურაზე უკვე ყრმა სამოელი მოუყვანია მღვდლის წინაშე. არც ერთი დამატებითი პერსონაჟი არ არის და არც ფონია შეცვლილი და თითქოს, არც მღვდლის გამომეტყველე-ბას ეტყობა ცვლილება.

პერველ მინიატურას ნარწერა აქვს: „განძლიერდა გული ჩემი მიერ და ამაღლდა რქად ჩემი ღვთისა მიერ ჩემისა. განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა. განვიხარე მე მაცხოვარებითა შენითა“, ხოლო მეორე მინიატურას შემდეგი: „რამეთუ არავინ არს წმიდაა ვითარ ღმერთი და არავინ არს წმიდაა შენსა გარეშე და არავინ არს მართალ ღვთისა ჩუენისაებრ...“



ბერძნულ ხლუდოვოს ფსალმუნში ანა ჩვილი სამოელით ხელაულ
ში დგას, ვითარცა ოდიგიტრიის ტიპის ღმრთისმშობელი, ზორნედ
სამოელს ოქროს შარავანდის მაგიერ სახის ირგვლივ ცისფერი
წრე შემოუყვება (ფ. 153 რ.). ტომიჩის ფსალმუნში ანა გამოსახუ-
ლია ლოცვის დროს მარგინალურ არეზე, ხოლო ცის სეგმენტიდან
უფლის მარჯვენაა მისდამი მიმართული (10, ტაბ. XLV). 1397 წლის
კიევის ფსალმუნშიც ანა, ღმრთისმშობლის მსგავსად, ხელში ჩვი-
ლითაა გამოსახული.

შემდეგი გალობა ამბაკუმ წინასწარმეტყველისაა (ფ. 232 რ.).
მხატვარი აქაც ორ მინიატურაში მოგვითხრობს ამბაკუმის ცხოვ-
რებისეულ ეპიზოდებს. ცნობილია, რომ წინასწარმეტყველ და-
ნიელს თავს გადახდა ორგზის ლომების ხაროში ჩაგდება და უფლის
ნებით გადარჩენა. დანიელის სასწაულებრივ ხსნას ლომების ხარ-
დან ქრისტიანი სახის მეტყველი განიხილავენ, როგორც ქრისტეს
ჯვარცმისა და ალდგომის წინასწარუნებას და ამასთანავე მორწ-
მუნე ადამიანის სულის ჯოჯოხეთისგან ხსნის სიმბოლურ გამოხა-
ტულებას. დანიელი ლომთა მღვიმეში წარმოადგენს მაცხოვრის
ხატს საფლავში (12,391). ამ შემთხვევაში ლომები განასახიერებენ
ბოროტ, ბნელ, სატანურ ძალებს, რომლებიც ადამიანთა სულებს
ემუქრებიან (მაგალითად, იობის ნიგნში ცოდვა იხსენიება, რო-
გორც ლომი. „და დასთრგუნო შენ ლომი და ვემაპი...“ (ფს. 90, 12).
აღმოსავლელი თეოლოგები მღვიმეს ადარებენ ჯოჯოხეთს (იპო-
ლიტე რომაელი), შვიდ ლომს – ეშმაკებს, შვიდ სასიკვდილო ცოდ-
ვას (12,402).

დანიელის სასწაულებრივი ხსნის ლაკონურ, ცენტრულ-სიმეტ-
რიულ კომპოზიციას ემატება ხოლმე ანგელოზისა და ამბაკუმ წი-
ნასწარმეტყველის გამოსახულებანი, რომლებიც ფიგურირებენ და-
ნიელის მეორე დასჯის ეპიზოდში (დან. 14, 32-38).

პირველ მინიატურაზე ანგელოზი თმებით მიაფრენს ამბაკუმს,
რომელსაც ხელში ჭურჭელი, ანუ პინაკი უკავია. წარწერა გვამც-
ნობს: „უფალო მესმა სმენა შენი და შემეშინა. უფალო განვიცადენ
საქმენი შენი და დამიკვირდა. წინაშე პირსა მისსა ვიდოდის სიტ-
ყუად და განვლოს ველი. შემდგომად კვალთა მისთა. დადვა და შეიძ-
რა ქუეყანა“, ხოლო მინიატურის ქვემოთ მინაწერია: „აქა ანგე-
ლოზმან ამბაკუმ წარიყვანა მღვიმესა დანიელისას“. ამ წარწერით
ვგებულობთ, რომ ეპიზოდი დანიელის ცხოვრებას უკავშირდება.

მეორე მინიატურაზე (ფ. 233 ვ.) წარწერაა: „აქა დანიელ მღვი-
მესა შიგა იდგეს და ანგელოზმან ამბაკუმ მოუყვანოს. ამბაკუმ
156



გალობა ამბაკუშ
ნინასწარმეტყველისა.

მღვიმესა შიგან დანიელს საჭ-
მელი შთაუგდო". დანიელი გრიგორ
მოსახულია ლურჯი მღვიმის
ფონზე ორ მოთვინიერებულ
ლომს შორის, ზემოთ კი, ანგე-
ლოზი და ამბაკუში არიან. ეს
უკანასკნელი ჭურჭელს, ანუ
პინაკს უშვებს მღვიმეში. ე. ი.
ხაროში ჩაგდებულ დანიელს
უფლის ანგელოზი მოუყვანს
ნინასწარმეტყველ ამბაკუშს,
რომელსაც დანიელისთვის
„სამხარი“ მიაქვს – „...და წმა-
ყო ამბაკუშ მეტყუელმან: და-
ნიელ, დანიელ, მიიღე სამხარი,
რომელი ნარმოგცა შენ ღმერ-
თმან“ (დან. 14,36). ე.ი. უფალი
ანგელოზისა და ნინასწარმეტ-
ყველ ამბაკუშის ხელით უგზავ-
ნის თავის ერთგულ, მართალ-

დანიელს საზრდელს, რომელიც დანიელმა მიიღო, „ჭამა“ – ეზიარა. ამ მომენტით ხაზი ესმება ევქარისტიის თემას (13,1931).

საყურადღებოა, რომ ამბაკუშ ნინასწარმეტყველი დანიელზე ადრე ცხოვრობდა (ძვ.ნ.აღ. VIIIს.). მის წიგნში ნაწინასწარმეტყვე-
ლევია ქალდეველთა (ბაბილონელთა) თავდასხმები, რაც დანიელის დროს მოხდა (5866. ძვ.ნ.აღ.). შესაძლოა, უფალი დანიელს ამბაკუ-
შის წმიდა სულს (?) უგზავნის მფარველად, ბოროტისაგან დამც-
ველად და უფლის შემწეობის დასამტკიცებლად (14,16). დანიელის სცენაში ანგელოზისა და ამბაკუშის ფიგურები გვხვდება არლის (საფრანგეთი) სარკოფაგების მუზეუმში დაცულ IV საუკუნის ე. წ.
პასკასიას სარკოფაგზე, სპილოს ძვლის რელიეფზე კონსტანტინო-
პოლის არქეოლოგიური მუზეუმიდან; კოზმა ინდიკოპლევსის მინი-
ატურაზე (VII ს.) ვატიკანის ბიბლიოთეკიდან და სხვ. რაც შეეხება
ქართულ ნიმუშებს, ორგზის გვხვდება ატენის სიონის (VIIIს.) ფასა-
დებზე (15, 171-174), ნალენჯიხის მოხატულობაში (XIVს.) (16,86),
ტაბაკინის მოხატულობაში (XVIს.) (17,21; 41) და სხვ.



თუ ჯრუჭის დავითნის მხატვარი ამბაკუმთან დაკავშირებულ საგალობელს ბიბლიური ეპიზოდებით აღრმავებს, ხლუდოვოს ფსალმუნის მხატვარი უფრო ლაკონურ თხრობას მიმართავს. ამბაკუმის ზემოთ, მედალიონში ქრისტეა გამოსახული (10, ტაბ. XLVI), კიევის ფსალმუნში კი, ცის სეგმენტში უფლის მარჯვენაა და მისკენ არის მიმართული ამბაკუმი. ხელები ფართოდ გაუშლია, თავი უკან გადაუწევია, რაც გამოხატავს მის შეცბუნებას, გაკვირვებასა და აღტაცებას (ფ. 216 რ.).

ამდენად, ჯრუჭის მინიატურა უფრო თხრობითია და განვრცობილი. მიმართავს დანიელის წიგნსაც, ხოლო ბიზანტიური ნიმუშები კონკრეტულად ამბაკუმის წინასწარმეტყველებას ასურათებენ.

ფ. 233 რ-ზე მინიატურის ქვემოთ წარწერა ასე უდერს: „აქა დავით საულს წინაშე დგას“, ხოლო ფ. 234 ვ-ზე დავითის ლომებთან, ხოლო წარწერა ფსალმუნის ტექსტიდანაა. ამდენად, ამ ორ მინიატურას გალობებთან საერთო არაფერი აქვთ. ალბათ, დავითნის ხელახლად აკინძვისას XVII საუკუნეში გადაადგილება მოხდა და ეს მინიატურები გალობათა ციკლში შეცდომით ჩადეს.

გამოტოვებულია ესაა წინასწარმეტყველის გალობა ან შესაძლოა, დაკარგულია.

ფ. 234 რ-ზე გრძელდება გალობათა ილუსტრირება. მოცემულია მე-6 გალობა იონა წინასწარმეტყველისა. წარწერა ლაკონური აქვს: „ვლალადყავ ჭირსა ჩემსა უფლისა მიმართ ლვთისა ჩემისა და ისმინა ჩემი მუცლით გამო ჯოჯოხეთისა დალადებისა“. თუმცა, მინიატურები იონას ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს გადმოგვცემენ. იონას მეტად საინტერესო ისტორია მოთხრობილია. მცირე მოცულობის წიგნში (იონა 1, 4), რომლის მიხედვითაც ამ წინასწარმეტყველმა უფლისგან მოწოდება მიიღო წასულიყო ნინევეში – აშურის დედაქალაქში და ექადაგა იქაური ხალხისთვის, რომ მათ მოენანიებინათ ცოდვები, რათა არ დალუპულიყვნენ. იონას არ ესიამოვნა ეს დავალება, რადგან ასურეთი მისი სამშობლოს – ისრაელის მტერი იყო და არ ისურვა ნინევეს მცხოვრებთა დახმარება. მან ზურგი აქცია უფალს, გაიქცა „უფლის პირისგან“ (იონა 1, 3) და ნინევეში წასვლის ნაცვლად ხომალდით გაემგზავრა თარშიშისაკენ, ნინევეს სანინაალმდევო მხარეს, უკიდურეს დასავლეთში, ძველი წარმოდგენით, ქვეყნის დასალიერში. „უფლის პირისგან“ გაქცევით იონა თავისი ნებით გამოდის ლვთის მფარველობისაგან. როდესაც იონა თარშიში მიემგზავრებოდა და ხომალდის „მუცელში“ ეძინა, ზღვა-



ზე საშინელი ქარიშხალი ატყდა. ყველამ თავის ღმერთს სთხოვა უდისნა, მაგრამ ქარიშხალი არ ცხრებოდა. ბოლოს გადაწყვიტეს წილი ეყარათ, რომ გაერკვიათ ვისი ბრალი იყო ეს უპედურება. წილი იონას ხვდა და მანაც ალიარა თავისი ცოდვა, ხომალდზე მყოფთ კი, სთხოვა, გადაეგდოთ იგი ზღვაში, რომ მის გამო ყველანი არ დაღუპულიყვნენ. მართლაც, გადააგდეს იონა ზღვაში და ქარიშხალიც ჩადგა.

„და უბრძანა უფალმან ვეშაპს დიდსა შთანთქმად იონა და იყო იონა მუცელსა შინა ვეშაპისასა სამი დღე და სამი ღამე“ (იონა 2,1). სწორედ ამ განსაცდელის უამს ხვდება იონა თავის დანაშაულს უფლის წინაშე. ზღვის ფსკერზე, ვეშაპის მუცელში – ჯურღმულში ყოფნისას იგი კვლავ მოიქცევა უფლის პირისკენ და სინანულით შეჰდალადებს მას (იონა 2,3-10). უფალმა შეისმინა იონას გულწრფელი ლოცვა-ვედრება და მონანიება – „და ებრძანა უფლისა მიერ ვეშაპსა და განაგდო იონა ხმელსა ზედა“ (იონა 2,11).

პირველ მინიატურაზე ეს სიუჟეტია გადმოცემული. იონას ძილი, ზღვის ღელვა – ხომალდის რყევა და გველებაპის ღია პირი იონას ჩასანთქავად. მეორე მინიატურაზე (ფ. 235 r). წარწერა გვამცნობს: „...გესმა ხმა ჩემი. შთამაგდეს მე სიღრმესა გულსა ზღვისასა და მდინარენი გარემომადგეს მე“.

ხლუდოვოს ფსალმუნში იონა გველებაპის მუცელში მჯდომარე არის გამოსახული (ფ. 157 r); ტომიჩის ფსალმუნში ზღვის ტალღებში ვეშაპს გაუღია პირი და ხომალდისკენ მიიწევს, სადაც ორი პირი იონას უშვებს ვეშაპისკენ (10,ტაბ.XLVII), ხოლო კიევის ფსალმუნში უფრო მეტი თხრობითობაა: იონა წევს აყიროს ხის ქვეშ, ქვემოთ გამოსახულია იონას ხომალდიდან გადაგდება ვეშაპის პირში და ვეშაპის პირიდან იონას გადმოგდება (ფ. 220 r.).

რაც შეეხება ნინევეს ეპიზოდს, არც ერთ ამ ხელნაწერში არ არის დადასტურებული. ჯრუჭის დავითონში, ფ. 235 r-ზე, მოცემულია ეს სცენა. იონა დგას აყიროს (?) ჩრდილქვეშ, მდიდრული სასახლეებიდან დიდებულები – ქალაქის მცხოვრები იმზირებიან, უსმენენ იონას ქადაგებას და ქალაქი გადარჩება.

იონას ისტორია, რომელიც თავისთავად მრავალშრიანია და უფლის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტებს ასახავს, ქრისტიანულ სახისმეტყველებაში იმთავითვე გახდა მაცხოვრის ჯვარცმისა და აღდგომის წინასწარუნყების გამომხატველი. ამის საფუძველი თავად სახარებაში, ქრისტეს სიტყვებშია დამოწმებული – „ვითარცა

იგი იონა იყო მუცელსა ვეშაპისასა სამ-დღე და სამ-ლამე, უგრების ძე კაცისა გულსა ქუეყანისასა სამ-დღე და სამ-ლამე“ (მათე 12,40). იონა ლუკას სახარებაშიც იხსენიება: „ვითარცა იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრე ეყოს ძე კაცისა ნათესავსა ამას (ლუკა 11,30). ამ შემთხვევაში ქრისტე მიუთითებს იონას მესიანისტურ როლზე ნინეველთათვის, მისმა ქადაგებამ ხომ მისი მტრები იხსნა, ასევე ძე კაცისა იხსნის კაცობრიობას, ვინც იგი ჯვარს აცვა. ე.ი. სახარების ამ მუხლში იონა ქრისტე-მხსნელის ნინასახედ გვევლინება. იონას მისია წარმართა მიმართ მოასწავებს ღვთის ძის მოვლინებას ჩვენს ცოდვილ მიწაზე (18,47).

ქრისტიანულ სასულიერო ლიტერატურაში, მათ შორის, ქართულ საეკლესიო საგალობლების ტექსტებში (ორიგინალურსა, თუ თარგმნილში), ნინასწარმეტყველი იონა სხვადასხვაგვარი ასპექტით წარმოგვიდგება. უმეტესწილად იგი ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ნინასახედ გვევლინება. მაგალითად, „სამისა დღისა დაფლვასა შენსა ქრისტე პირველადვე გამოსახვიდა იონა მუცელსა ვეშაპისასა და აღდგომასა შენსა მკვდრეთით მოასწავებდა“ (19, 487). „იონა ებრაელმა ნინაითვე მოგუასწავა ვნებად მაცხოვრისაა, დაფლვა სამ-დღე და აღდგომა იყო რაა მხეცისა მუცელსა სამ-დღე და სამ-ლამე გაუხერნელად და ვითარცა მკვდრეთით აღდგა იგი უფსკრულსა სიღრმეთვან“ (19,224-325).

გვხვდება საგალობელთა ტექსტები, სადაც იონას ვეშაპის მუცელში უხრნელად ყოფნა შედარებულია უხრნელი ქალწულის მუცლიდან წმიდა ნაყოფის გამოსვლასთან: „პირველ იონა შთანთქმული მხეცისგან გამხრნელი წარმოიგდო უხრნელად და ქალწულსა მუცელსა სიტყუად ღმრთისაა განხორციელდა და მშობელი თავისი დაიცვა უხრნელად, ხოლო ბუნებაა შეიცვალნა ვითარცა ინება და მაცხოვნა ჩუენ. ორთა მუცელთა ბუნებაა შეიცვალნეს: ვეშაპისა და ქალწულისამან დღეს რამეთუ პირველ უხრნელად დაჰმარხა მუცელმან ნაყოფი, ხოლო აქ დღეს მუცელი დაიცვა ნაყოფმან (19,5).

იონას ცხოვრების ეპიზოდები იმთავითვე გახდა ხელოვნების ნიმუშებში ასახვის საგანი. იგი ფიგურირებს კატაკომბებისა და სარკოფაგების რელიეფზე. მაგალითად, კალისტოს, პიეტრო ე მარსელინოს, პრისჩილას, დომიცილას, ვია ანაპოს კატაკომბებში და ა.შ.

ბეატ ბრენკის განსაზღვრით, იონას თემა გადმოცემულია რამდენიმე ეტაპად: ვეშაპი გამოხატავს ყოვლისშთანმთქმელ სიკვ-

დილს, იონას ამოსვლა ვეშაპის ხახიდან – აღდგომას, დასვენებულის იონა (აყიროს ძირში) – სულს, რომელსაც აღარ ემუქრება საშიროება და მშეიდია სამოთხის ნინ (20,155-156).

იონას ზღვაში გადაგდება და ვეშაპის მიერ მისი შთანთქმა ქრისტეს საფლავად დადების პრეფიგურაციად გაიაზრება და ტიპოლოგიურად დანიელის ლომების ხაროში და იოსების ჭაში ჩაგდებას უკავშირდება, ხოლო იონას გამოსვლა ვეშაპის მუცლიდან სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლოს, მაცხოვრის აღდგომის პრეფიგურაციას წარმოადგენს (21,419-420).

როგორც თ. ხუნდაძე ნერს, საქართველოში წინასწარმეტყველ იონას სასწაულებრივი ხსნის კომპოზიცია, დანიელის თემისაგან განსხვავებით უფრო გვიანი პერიოდიდან – X საუკუნიდან შემოგვრჩა ეკლესიათა საფასადო რელიეფებზე. (სტელებსა და კანკელის ფილებზე იონას თემა არ გვხვდება 14,121). იონას თემა ნარმოდგენილია ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშებში (ჭედურობა, ფერწერა). 1300 წლის მოქვის ოთხთავში ერთ-ერთ საზედაო ასოს ორნამენტულ ნახატში ჩართულია ვეშაპის მიერ იონას შთანთქმის გამოსახულება.

მეშვიდე და მერვე გალობებში ილუსტრირებულია დანიელ წინასწარმეტყველის ტექსტი „სამთა ყრმათა ბაბილოვნელთა“ შესახებ. საგალობლები მოცემულია სამ მინიატურად: 1. მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ კერპის აღმართვა და მისი ამალის როკვა; 2. სამი ყრმა მეფე ნაბუქოდონოსორის წინაშე და 3. სამი ყრმა ცეცხლის საწმილსა შინა;

ფ. 235 წ-ზე ნაბუქოდონოსორს აღუმართავს კერპი, თაყვანს სცემს მთელი ამალა, ქვემოთ მოცეკვავეთა და მუსიკოსთა როკვაა გამოსახული. ფ. 236 წ-ზე სამი ყრმა ნარმდგარა ნაბუქოდონოსორის ნინ, ხოლო ფ. 236 წ-ზე სამი ყრმა ცეცხლის ღუმელშია და ანგელოზი უფლისა იფარავს მათ. სიუჟეტად აღებულია დანიელ წინასწარმეტყველის ტექსტები.

დანიელი და სამი ყრმა (მისი სამი მეგობარი – ანანია, აზარია, და მისაილი) დაკავშირებული არიან ისტორიულადაც. ისინი ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა ერთად ნაიყვანა ტყვედ იუდეადან ბაბილონში.

ხშირად დანიელისა და სამი ყრმის თემას ხელოვნების ნიმუშებში ერთად გამოსახავენ ხოლმე, რადგან დანიელის ლომების ხაროდან სასწაულებრივად ხსნასა და ამასთანვე სამი ყრმის ცეცხლის

საქმილიდან სასწაულებრივ ხსნას ქრისტიანულ სახისმეტყველება –
ში მსგავსი განმარტება აქვთ – სულის ხსნისა და აღდგომისა და კულტურული

საყურადღებოა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკ-
ლესია წინასწარმეტყველ დანიელისა და სამი ყრმის ხსენების დღეს
(ძვ.სტ. 17, ახლით 30 დეკემბერს) ერთად აღნიშნავს. ეს ორი თემა
ლიტურგიულ ტექსტებშიაც ერთად ფიგურირებს. მაგალითად,
წლის განმავლობაში ტაძარში საკითხავი საგალობლის რვა ხმიდან
მეოთხე ხმის მერვე სძლისპირის ტექსტი: „წელთა განპყრობითა
დანიელ მღვიმესა შინა მწეცნი, მოამდროვნა, ხოლო სამთა მათთა
დაშრიტეს ალი ღვთისა მიერ და განგრძნობილი უშიშრად ესრეთ
ღალადებდის აკურთხევდით საქმენი უფლისანი უფალსა და აღა-
მარლებდით მას უკუნისამდე“ (ხელნაწერი A-93, გიორგი მთაწმინ-
დელის პარაკლიტონი). ასევე მრავალი საგალობელი ეძღვნება სამ
ყრმას უძველეს იადგარშიც.

რაც შეეხება ანგელოზისა და დამსჯელი მეფის მონანილეობას
სამი ყრმის სასწაულებრივი ხსნის კომპოზიციაში, გარდა წმიდა
წერილის ტექსტისა (დან.3,49-97), ის დასტურდება საეკლესიო
საგალობლების ტექსტებშიც: „რომელმან აზარიანთა საქუმელსა
შინა ანგელოზი მოუვლინა და მძლავრი იგი განაკვირვა“ (22,17).
„რომელი გამოშჩნდი საქუმელსა მას მსგავსად ანგელოზისა, ხოლო
მძლავრმან მან იცნა ხატი შენი ქრისტე შორის ღირსთა ყრმათა შენ-
თა...“ (22,401). განსხვავებით ბიბლიის ტექსტისგან, საგალობლებ-
ში მეფე სახელით არ იხსენიება, არამედ როგორც მძლავრი. ეს სიტ-
ყვა კი, საბასეული განმარტებით ასე უდერს: „ესე არს ყოვლითა
უშჯულოებითა აღსავსე არალირსი მეფე“ (X საუკუნის წირქოლის
რელიეფის წარწერაშიც იხსენიება მძლავრი) (14,39).

ახლა მოკლედ აღვწერთ ჯრუჭის დავითნის მე-7 და მე-8 საგა-
ლობლების მინიატურებს. მეფის სამოსელი არაფრით განსხვავდე-
ბა უშუალოდ, თვით დავითნში ჩართულ მეფეთა სამოსელისაგან.
მათგან განსხვავებულია კერპის შესამოსელი. მას ოქროს ბისონ-
ზე ჩამოუცვამს წითელი და შავი ქვებით გაფორმებული დიადემა,
ლორონის ერთი ბოლო ქობამდე არც კი ეშვება, ხოლო მეორე კი,
მკლავზე არ არის გადაკიდებული, რითაც ამ სამოსელის ქრის-
ტიანული სიმბოლიკა იკარგება, რასაც განზრას ქმნის მხატვარი.
1397 წლის კიევის ფსალმუნშიც ასევე კერპია აღმართული. იგი
კუბურ ფორმაშია ჩასმული, რომელიც რომაელ იმპერატორთა პო-
ზაშია, განსხვავებით ჯრუჭის ფსალმუნში გამოსახული კერპისგან,

ბიზანტიური წრის კიევის ფსალმუნში იგი შიშველია. დანარჩენ ხელნაწერებში – არც ხლუდოვოსა და არც ტომიჩის ფსალმუნებში კერპი არ არის გამოსახული.

აღსანიშნავია, რომ არსებობს სამი ყრმის ცეცხლის საქმილიდან ხსნის ორი იკონოგრაფიული რედაქცია: ერთი, როდესაც ანგელოზი ყრმებს ზემოთ გამოისახება, რაც უფრო ტრადიციულია (მაგალითად, ოტენის საფრანგეთი კაპიტელი XIIIს. (23, ტაბ. 371), ბეთანიის (XII-XIII ს.ს.), ყინწვისის (XIII ს.) კედლის მხატვრობანი; XI საუკუნის ქართული სვინაქსარი (A-648) და სხვ. მეორე კი, სადაც ანგელოზი ყრმათა გვერდით გამოისახება. ამის ნიმუშია ხლუდოვოს ფსალმუნი (ფ. 160 რ.). აქ ანგელოზი და სამი ყრმა ცეცხლის ღუმელში ერთად არიან გამოსახულები. საინტერესოა ღუმელის იკონოგრაფია. იგი ერთგვარად კარიბჭეს განასახიერებს. თაღოვანი ფორმა აქვს, ნითლადა „აგიზგიზებული“ და თითქოს, სიმბოლურად, სამ ყრმას ამ ვნებით კარიბჭე ეხსნებათ სხვა სამყაროში გარდასასახავად. სულის ხსნის იდეას ცეცხლის ენები განასახიერებენ, რომელიც თაღს ზემოდან ამოდიან და ცისკუნ ისწრაფვიან. ქვემოთ გამოსახულია ერთი ქალდეველი, ალბათ, დამწვარი.

ტომიჩის ფსალმუნში, პროცესი ასევე ნარატიულადაა მოცემული. ჯერ მეფის ნინ ნარდგომა სამი ყრმისა და შემდეგ ცეცხლის ანთება ქალდეველთა მიერ. აქ ღუმელი საერთოდ არაა. მინიატურა ზოლისებრად ტექსტშია ჩართული, მწვანე მდელოზე ორ ქალდეველს აუნთია ცეცხლი, სამი ყრმა მასშია გახვეული, ზემოთ ანგელოზია, რომელიც იფარავს მათ, ხოლო ორივე ქალდეველი ცეცხლი იწვის (ფ. 268 რ.).

1397 წლის კიევის ფსალმუნში კი, სამი ყრმა ცეცხლის საქმილშია გამოსახული. ანგელოზი იფარავს მათ. ისინი კი, თავის მხრივ, ერთგვარ თაყვანისცემის პოზაში არიან ანგელოზის მიმართ. ღუმელს სარკმლები აქვს, საიდანაც ცეცხლის ალები გადმოდის, ხოლო ქალდეველები აქაც იწვიან.

სამი ყრმის თემა ქართულ ხელნაწერთა მინიატურებშიც გვხვდება. ამის უადრესი ნიმუშია XI საუკუნის სვინაქსარი (A-648). თუმცა, ცუდადაა შემორჩენილი, მაგრამ იკონოგრაფიული მოტივების ამოკითხვა შეიძლება. სამი ყრმა ცეცხლის ღუმელშია, ანგელოზი გადაჰვარებია და გვერდით დანიელი დგას. სამივე ყრმას ფრიგიული ჩაჩის ქუდი ახურავს, ისევე როგორც ეს IX საუკუნის ხლუდოვოს ფსალმუნშია. სვინაქსარის მინიატურა მისდევს ბიზანტიურ ტრა-

დიციას. ყრმები ყველგან შემოსილნი გამოისახებიან, თანახმად და-
ნიელის წიგნისა, სადაც ნათქვამია, რომ ყრმები ცეცხლში ტანისაული
მოსიანად ჩაყარეს (24,51-52; ტაბ. 35).

ქართულ-ბერძნულ კრებულში, რომელიც დაცულია პეტერ-
ბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში, 17 დეკემბრის დღესასწაულზე
გამოსახულია სამი ყრმის მინიატურული ფიგურები და მათ უკან
მსხვილ მასშტაბში დანიელი ორანტას პოზაში. იქვე მითითებულია
ბიზანტიური ხელნაწერი – Vtic.r.1613.fl.251, სადაც ცალკეა გამოსა-
ხული სამი ყრმის ვნება, ხოლო ფ. 252-ზე – დანიელისა (25, 259).

XVII საუკუნის სვეტიცხოვლის გულანში ფ. 214 რ-ზე გამოსა-
ხულია სამი ყრმა ცეცხლის საჯმილსა შინა. ყრმები აქაც ორანტას
პოზაში არიან, ხოლო ზემოდან ანგელოზი იფარავს მათ. აյ თუ
ცეცხლის ენები ოდნავ ამოდის ღუმლიდან, სხვა ნიმუშებში მთელი
კომპოზიცია ცეცხლის ალებშია გახვეული (26,51).

სახისმეტყველურად ანგელოზი ნინასახეა ქრისტესი, ხოლო
სამი ყრმა სიმბოლოა სულის ხსნისა, ამიტომაც იყო, რომ საუკუ-
ნების მანძილზე ეს ბიბლიური სიუჟეტი ძალზედ პოპულარული
გახდა. მაგალითად, ყოველი მორნმუნებარდიმთან მიახლოებისას,
ქრისტესთან ზიარების წინ კითხულობს შემდეგ ლოცვას: „ხატისა
მისთვის ოქროსა, რომელი იმსახურა, ველსა მას დეირისისასა,
სამთა ყრმათა შიში შეურაცხვევს მძლავრისა მის, და შეითხივნეს
სახმილსა მას და შეცვარულნი ესრეთ ღაღადებდეს და იტყოდეს:
კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო“.

სამ ყრმას მიეძღვნა მრავალი საგალობელი, რომელიც მისადა-
გებულია ათორმეტ დღესასწაულის ციკლზე და იგალობება ეკლე-
სიაში დღესასწაულებზე. საუკუნეების მანძილზე ქრისტიანი მწერ-
ლები სახისმეტყველურად გადმოსცემდნენ თავიანთ ტექსტებში
სამი ყრმის ისტორიას.

აი, რას ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“ – „ისტორიანი
და აზმანი შარავანდედთანის“ თხრობაში: „... თუ მაშინ ნაბუქოდო-
ნოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგანი,
აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებუ-
ლი და აღმატებული“ (27,338).

„სარნმუნებით ცხონდებოდეს ბაბილონს სამნი ყრმანი, რო-
მელნი სამებისა ძალსა წინა გამოსახვიდეს, მესამესა დღესა
მკვდრეთით აღდგომასა შენსა გიგალობდეს, გაკურთხევდეს და
უფრდესად აგამაღლებდეს უკუნისამდე“ (22,366). ანუ „სამი ყრმა“

ნინასახეა ქრისტიანული სამებისა, მესამესა დღესა მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომისა. „მეოთხედ გამოჩენილი ანგელოზი მაცხოვარია, მაცხოვრის მიერ წარმოგზავნილი ანგელოზი“ (28,340).

„სამი ყრმის“ სარწმუნოებრივი სიმტკიცე „სინანულის“ საგალობელთა სახისმეტყველებაა:

„დანიელ მღვიმესა შინა გასმიეს ვითარ დაუყვანა სულო, პირნი მხეცთანი და უნყი, ვითარ ყრმათა აზარიელთ ალი მძაფრისა მის ცეცხლისა დაშრიტეს სარწმუნოებით“ (ანდრია კრეტილი).

გალობა VI ძლისპირი: ყრმათა ბაბილონს (დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანი“).

„სამი ყრმის“ ცეცხლთაგან სასწაულებრივი ხსნა ერთი ყველაზე გავრცელებული ეპიზოდია წმიდა მამათა თხზულებებში:

„ნეტარი იგი დანიელ... მღვიმესა მას შინა ლომთასა განერა, ანანია, აზარია, და მისაელ ამისვე საცხებლისა წადიერებით სწადოდა ცხებად. ამის გამო ოთხად გამოჩნდეს საქუმილავსა მას შინა, რამეთუ საცხებელი იგი იყო, რომელ ვითარცა ცუარი ქვეყანასა ზედა დამიღილდა“ (29,254).

„ნმ. შიოსა და ნმ. ევაგრეს ცხოვრება“ აცოცხლებს „სამთა ყრმათა ბაბილონს“ ხატსახოვნად: წმიდა შიო მღვიმელი ხელისგულზე ანთებს საკუმეველს; წმიდა იოანე ამ სასწაულს ადარებს „სამთა ყრმათა ბაბილონს“ სასწაულს, როდესაც მათ ცეცხლის ალი ვერ სწვავს, ხოლო გარშემომოქმედი „შეიწუებოდეს ალის მის მიერ მათ ზედა მოფენილსა“ (30,151).

სამი ყრმა ცეცხლის საქმილში იკონოგრაფიის ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს ევქარისტიას, მსხვერპლსა და ხსნას (21,466).

ამრიგად, მეტად საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოჩნდა გალობათა ილუსტრაციები ჯრუჭის დავითნში. ყოველი გალობის ტექსტი უფლის დიდებას ქადაგებს და შესაბამება 148–150-ე ფსალმუნებს: „ყოველი სული აქებდით უფალსა“. მისი დასურათება ერთ-ერთი იშვიათი ნიმუშია ქართულ ხელოვნებაში სვეტიცხოვლის სამხრეთ კედლის მოხატულობის სახით და შესწავლისას გარკვეული ანალოგები მოიძებნება. ჩვენ არ ვთვლით, რომ ამ სტატიით ბოლომდე ამოვნურეთ ჯრუჭის დავითნის გალობათა ილუსტრაციების შესწავლა. საჭიროა უფრო ღრმად ჩაწვდომა და ამასთან, ბუნებრივია, პარალელი გაიბას დავითნის სხვა მინიატურებთან და შესაბამისად, სხვა დავითნებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

- Ш. Амиранашвили. История грузинского искусства. – М., 1950.
- А. Натроев. Мцхеть и его Собор Свети-цховели. – Тифлисъ, 1901.
- ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა (Н)კოლექცია, ტ. IV. – თბ., 1950.
- მ.შანიძე. ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები. – თბ., 1979.
- ბასილი დიდი, ფსალმუნთა განმარტებანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი. – თბ., 1995.
- „ძველი საქართველო“, ტ. III, განყ. 1.
- კ. კიკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. – თბ., 1980.
- Богослужебные каноны. – С-Пб, 1875.
- М. Щепкина. Миниатюры Хлудовской Псалтыри. – М., 1977.
- М. Щепкина. Болгарская миниатюра XIV века. – М., 1963.
- Г. Вздорнов. Исследование о Киевской Псалтире, – М., 1978.
- L. R. Icnrhi l'rt chrtin, t. II., I. – ris, 1957.
- ictinir 'rchli chrtinn t litri, I-VI,.II. – ris, 1920.
- თ. ხუნდაძე. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა დანიელის და ომნას სასწაულებრივი ხსნის თემები შუა საუკუნეების (VIII-X ს.ს.) ქართულ ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში. სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი). – თბ., 2004.
- Г. Чубинашвили. Памятники типа Джвари. – Тб., 1948.
- И. Лордкипанидзе. Роспись в Цаленджиха. – Тб., 1992.
- И. Мамаишвили. Роспись Табакини. – Тб., 1991.
- ბიბლიის მეგზური. – თბ., 1995.
- მიქაელ მოდრეკილი. პიმნები. – თბ., 1978.
- თ. Tritin n Nirin in r christlichn Jhrtsns, .III. – Win, 1966.
- Lxin r christlichn Inrhi,.II, Frir, sl, R, Win, 1994.
- უძველესი იადიგარი. – ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ტ. II. – თბ., 1980.
- W.F.Vlch, Frchlistlichn nst. – nchn, 1958.
- Г. Алибегашвили. Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI нач.XIII в.в. – Тб., 1973.
- Л. Евсеева. Афонская книга образцов, XVв. – М., 1998.
- Ф. Девдариани. Миниатюры Анчисхатского Гулани. – Тб., 1990.
- ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება,

ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუბ-
ჩიშვილის მიერ, ტ. II. – თბ., 1959.



ლ. წერეთელი. „სამთა ყრმათა ბაბილონს“ (თამარ მეფის „სამების
მეოთხე პიპოსტასად“ცნობის ათეისტური თეორია), კრებული: „შოთა
მესხია-90“. – თბ., 2006.

შატბერდის კრებული. – გამოსაცემად მოამზადა ეს ბ. გიგინეიშ-
ვილმა და ელ. გიუნაშვილმა. – თბ., 1979.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III
(მეტაფრასული რედაქციები XI-XIIIსს), ი. აბულაძის რედაქციით. –
თბ., 1971.

საიურიკო მისაღება

გზებალა შანიძე

დვაცლმოსილი გეცნიერი



ზურაბ
ჭუმბურიძე

90



ზურაბ ჭუმბურიძე გავიცანი ჩვენი სტუდენტობის დროს, ომის წლებში. მას შემდეგ თითქოს შვიდმა ათეულმა წელმა განვლო. ზურაბი, წლების ტვირთით დამძიმებული, კვლავ ისეთია, როგორიც მაშინ გავიცანით – მუყაითი, საქმიანი, შრომისმოყვარე. ზურაბს თან მოაქვს წლების განმავლობაში დაგროვებული ჭირნახული – ნიგნები, ნერილები, მდიდარი მეცნიერული გამოცდილება და ცოდნა, მჭრული კალამი; თმა კი შეევერცხლა – როგორც ყველას, ვინც მისი ხნისანი დავრჩით – მაგრამ ფხიზელი გონება და მეცნიერული ალლო ძელებური შერჩა.

ზურაბ ჭუმბურიძის მრავალმხრივი ინტერესები ახალგაზრდობაშივე გამოიკვეთა. ლინგვისტების დავა ამა თუ იმ ენობრივი ნორმის შესახებ, თუ მევენახეობის დარგობრივი ლექსიკა ისევე საყურადღებო იყო მისთვის, როგორც ლიტერატორთა ცხარე კამა-

თი მნერლობის საჭიროობრივო საკითხების შესახებ. დღეს, როდე-
საც ზურაბ ჭუმბურიძეს უკვე ვიცნობთ, როგორც ენათმეცნიერს, მაგრამ ფილოლოგს, ტექსტოლოგს, რედაქტორს, მრავალი სერიოზული
მონოგრაფიისა და პოპულარული სამეცნიერო წიგნის ავტორს,
ხშირად მიკვირს – როგორ მოახერხა მან ამის ყველაფრის ერთ-
მანეთთან შეთავსება ისე, რომ ყველგან ჩასწევდა საქმის არსეს და
არსად დილეტანტის ზერელობა არ დასტყობია. ამისთვის მარტო
ბუნების მიერ ბოძებული ნიჭით არ მიუღწევია; მკაცრმა მეცნი-
ერულმა სკოლამ, სადაც აღიზარდა და მკვლევრად ჩამოყალიბდა,
ასწავლა მას მასალის გულდასმით შერჩევა-გამორჩევა და სიფრთ-
ხილე დასკვნების გამოტანისას. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით
შეითვისა ზურაბ ჭუმბურიძემ მეცნიერული კვლევის მეთოდო-
ლოგია; დღეს, როდესაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მრავალი
ახალი დარგი შემოვიდა და სტატიები ინგლისური – ზოგჯერ უად-
გილოდ გამოყენებული – ტერმინოლოგიით აჭრელდა, ზურაბმა
შეინარჩუნა ქართველოლოგიური კვლევის ფუძემდებლური პრინ-
ციპები და ახალ კვლევასაც არ ჩამორჩა; ამიტომ არის მისი სამეც-
ნიერო პროდუქცია სერიოზული და მრავალმხრივი. ზურაბმა ბევრი
გააკეთა ქართველური ენების, განსაკუთრებით, სვანურის, შესას-
წავლად. ქართველური ენების ხუთენოვანი ლექსიკონი ზურაბ
ჭუმბურიძის რედაქტორობით, სვანურის სახელმძღვანელო (ენის
მატარებლის მიერ მოხოდებული (ცოცხალი მასალის საფუძველზე)
ამას ადასტურებს, ამავე დროს მკითხველს ხელთ აქვს ქართველი
მნერლების თხზულებათა არაერთი ტომი, რედაქტირებული და კო-
მენტირებული. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუ-
ძემდებელთა ენა თვით მოითხოვს დაკვირვებას; უკანასკნელი სა-
უკუნენახევრის განმავლობაში ქართულმა ენამ ბევრი ცვლილება
განიცადა – ანტონ კათოლიკოსის ფსევდოქართული ქართულიდან
ინგლისური ენის „ქართულ დიალექტამდე“. ამ პროცესს დაკვირ-
ვება უნდა, თანამედროვე ქართულს – ნორმირება. ზურაბ ჭუმბუ-
რიძეს აქაც ეთქმის თავისი სიტყვა. მან თავისი წვლილი შეიტანა
ძველი ქართული ენის შესწავლაშიც; ძველი ქართულის ბრწყინვა-
ლე ძეგლია უდაბნოს მრავალთავი; აკაკი შანიძის გარდაცვალების
შემდეგ სწორედ მან დაასრულა ხელნაწერის პუბლიკაციის საქმე.

წლების განმავლობაში ზურაბი ძირითად კურსებს კითხულობ-
და ძველი ქართული ენის კათედრაზე; მრავალმა სტუდენტმა გა-
იარა მის ხელში; მან უცხოელი ქართველოლოგების აღზრდაშიც
მიიღო მონაწილეობა.

ცალკეა სახსენებელი. ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო-პოპულარული წიგნები. ვისაც კი წაუკითხავს ასეთი წიგნები, მით უშეტყის – უცდია ერთი ასეთის დაწერა, კარგად იცის, რომ ეს უშმიშესი შრომაა. მშრალი მეცნიერული ფაქტის გადმოცემა ისე, რომ სიმართლე და ზუსტად ჩამოყალიბებული დებულებები არ დაამახინჯო, მკითხველის ყურადღება მიიპყრო, წიგნი არ გააშვებინო ხელიდან – ამას მარტო საკითხის ცოდნა კი არა, მხატვრული ალლო და მნერლის ნიჭიც უნდა. ზურაბის წიგნები: „რა გქვია შენ?“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ – თითოეული რამდენიმეჯერ გამოიცა. ეს კი მონმობს, რომ მათ მკითხველი ჰყავს; ეს მით უფროა სასიხარულო, რომ დღეს ეს ინტერესი ვლინდება. ტექნოლოგიზაციისა და და ტექნოერატიის ეპოქაში, დარწმუნებული ვარ, რომ ზურაბ ჭუმბურიძის ამ წიგნებმა ბევრს უჩვენა, რომ ენა, სიტყვა, სიტყვის ისტორია საინტერესოა და მეტად მნიშვნელოვანიც. ვთიქრობ, სწორედ იმგვარმა წიგნებმა უნდა მიახვედროს მკითხველი, რომ ადამიანის სულიერ სამყაროს ხშირად უფრო მეტს შესძენს პერგამენტის ჩაყვითლებული ფურცელი, საუკუნეთა განმავლობაში მტვრადეცეული გადამწერის ხელით ნაწერი, ვიდრე ბევრი ახლადშექმნილი, ელექტრონული ტექნიკით გავსებული „გაჯეტი“. ეგებ ამგვარმა წიგნმა დააფიქროს მკითხველი, რატომ ჰქვია მის სოფელში რომელიდაც უბანს „იუნისხევი“ ან მდინარის შენაკადს „ჯიხვთანყარო“ ან გაახსენოს აღმოსავლეთის ბაზრებზე გატანილი ხელნაწერის გამომსყიდველი თავისი წინაპარი! აქაც ვხედავ მათი ავტორის მამულიშვილურ საქმიანობას – არა მყვირალა, მინაარსისაგან დაცლილ სტანდარტულ ფრაზებს, არამედ მუხლისუხრელ შრომას, მეცნიერის ფხიზელი გონებით წარმართულს.

ზურაბ ჭუმბურიძეს ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა. იგი კვლავ მხნედ განაგრძობს შრომას. მას მხარში უდგას მისი ოჯახიც – მეუღლე, შვილი და სიძე – ქართული ენის სპეციალისტები, მეორე შვილი – გერმანისტი.

ვუსურვოთ ზურაბ ჭუმბურიძეს ძველებური ენერგია და შრომის უნარი, რომ საუკუნის მიჯნას მხნედ გადააბიჯონს.

ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაცია და „მნიგნობრის“ სარედაქციო საბჭო ულოცავს ბატონ ზურაბს იუბილეს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და კვლავაც აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას.



გერმანი ნიგნი ისფონია

ნინო ხვედელიძე

პირველი ნიგნი ეჭდავები საფრანგეთში და ეტიენების საგამომცემლო სახლი

გუტენბერგის გენიალური გა-
 მოგონებისა და წიგნის ბეჭდვის
 ხელოვნებაში ახალი ერის დაწყე-
 ბის შესახებ ცნობა გერმანიდან
 სწრაფად გავრცელდა ევროპის
 ქვეყნებში, რომელთა შორის
 უპირველესი საფრანგეთი იყო.
 1458 წლის 3 ოქტომბერით დათა-
 რიღებული დოკუმენტის მიხედ-
 ვით, საფრანგეთის მეფემ კარლ
 VII-ემ გასცა ბრძანება ქალაქ მან-
 ცში მიევლინებინათ ხელმარჯვე
 და ჭკვიანი გრავიორი, რომელიც
 გუტენბერგისაგან წიგნების გამ-
 რავლების ახლად გამოგონილი
 მეთოდის საიდუმლოებას შეის-
 წავლიდა და სამშობლოში ჩამო-
 იტანდა. ამ მისისათვის შეარჩიეს
 მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული მხატვარი და არაჩვე-
 ულებრივი კალიგრაფი ნიკოლა უანსონი (1420–1480). იგი კარგად
 ფლობდა ლითონჩამოსხმის საქმეს, მეფის კარზე მსახურობდა
 მონეტებისა და სამკერდე ნიშნების გრავიორად. ახალგაზრდა
 ფრანგი მაინცში 1459 წლის დასაწყისისთვის ჩავიდა, წარმატებით
 გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და სრულყოფილად შეისწავლა,
 მისი თქმით „შავი ხელოვნება“. ამასობაში, 1461 წელს, საფრანგე-



რობერტ I ეტიენი (1503–1559).




თის სამეფო ტახტზე ავიდა ლუდოვიკ XI. მონარქი მტრულ განწყობილი თავისი წინამორბედის ყოველგვარი ნამოწყებისადმი. სავარაუდოდ, ამ მიზეზის გამო ნიკოლა სამშობლოში დაბრუნების ნაცვლად იტალიაში გაემგზავრა.¹ ასე დაკარგა საფრანგეთმა პოლიგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი და უბადლო გრავიორ-პუანსონისტი.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული „გუტენბერგის შვილებად“ წოდებული სტამბის მუშაკებიდან არავინ ჩასულა საფრანგეთში გადამწერთა და წიგნით მოვაჭრეთა მიერ იქ გაჩაღებული დიდი კონკურენციის გამო.

ამრიგად, საფრანგეთში პირველი სტამბის დაარსება, შედარებით გვიან, მხოლოდ 1470 წელს, მოხერხდა. სორბონის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორს – გუილიმ ფიშეთისა (1433-1480) და მისი კოლეგის რობერტ გაგუინის (1433-1501) მიწვევით 1469 წელს პარიზში მიუნსტერიდან ჩავიდა სამი გერმანელი მესტამბე – ულრიხ გერინგი, მიქაილ ფრიბურგერი და მარტინ კრანცი. მათი ძალისხმევით საფრანგეთში გამოიცა მოძრავი ლიტერებით ნაბეჭდი პირველი წიგნი – იტალიელი გრამატიკოსისა და პედაგოგის, ახალი ეპისტორალური სტილის ავტორის, გასპარენო დე ბერგამოს (1360-1431), „ნერილები“ – „Liber epistolarum“. 1470-1472 წლებში მესტამბეებმა დაბეჭდეს 22 დასახელების წიგნი. 1472 წლის ბოლოს სანარმო, რომელსაც უნივერსიტეტი აფინანსებდა, დაიხურა და პირველმბეჭდავები იძულებულნი იყვნენ სორბონა დაეტოვებინათ. გაჩნდნენ სხვა მესტამბე-გამომცემლებიც: პასკე ბონო, რომელმაც 1477 წელს გამოსცა პირველი ფრანგულენოვანი წიგნი – „საფრანგეთის დიდი ქრონიკები“ – „Grandes Chroniques de France“ და ანტუან ვერარდი (1485-1512) – საგმირო რომანებისა და პოეტური კრებულების გამომცემელი.

კალიგრაფიისტი და მინიატურისტი ვერარდი 1450-1512 წლებში ცხოვრობდა პარიზში, სადაც მან დაარსა საკუთარი სტამბა და შემოილო შრიფტი ე. ნ. ბატარდი, რომელიც ფრანგულ ხელნაწერ შრიფტს წააგავდა. მეთექვსმეტე საუკუნეში საფრანგეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ილუსტრირებული ქრონიკები და საგმირო რომანები, რომელთა შორის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ ვერარის გამოცემები.

1 В. В. Лазурский. Альд и альдини. – М.: Книга, 1977 (Тип. N5 "Союзполиграфпрома"). 116 с.



სორბონა.

XV საუკუნის დასაწყისში ნიგნის ბეჭდვას უკვე სამეფო ძალაუფლება მფარველობდა. 1513 წელს ლუ XII-ემ განსაკუთრებული აქტით ხაზი გაუსვა ნიგნის ღვთაებრივ წარმოშობას და მის სარგებლობას კათოლიკური ეკლესიისათვის. მიუხედავად ამისა, პოლიგრაფიულ მრეწველობას აფერხებდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესები. პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გარდა, პოლიტიკური მოძრაობისა და რელიგიური დაპირისპირების გამო ქვეყანაში მდგომარეობა უფრო დამძიმდა. 1521 წლის 18 მარტს გამოიცა სამეფო განკარგულება, რომელსაც პაპის მიერ შედგენილი აქტი დაედო საფუძვლად. ამ დოკუმენტით უნივერსიტეტის სალვატორეს ფაკულტეტის მიერ გაცემული ნებართვის გარეშე აიკრძალა წმინდა წერილის თემაზე შექმნილი ნების-მიერი ტექსტის გამოცემა და რეალიზაცია. იმავე წლის 13 ივლისს ძალაში შევიდა პარლამენტის დადგენილებაც, რომლიც მოითხოვდა გამოსაცემად გათვალისწინებული რელიგიური შინაარსის ტექსტების სამეცნიერო შესწავლას უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ. ეს იყო ცენზურის შემოღების პირველი ნინაპირობა. მრჩეველთა საბჭოს დასტურის გარეშე აიკრძალა ნებისმიერი ტექსტის ბეჭდვა. ერთი მხრივ, უნივერსიტეტმა ყოველგვარი გადასახადებისაგან გაათავისუფლა ბეჭდური პროდუქცია, სასტამბო შრიფტები და სალებავები, მაგრამ, მეორე მხრივ, მუდმივად მეთვალყურეობდა ნიგნის




ბეჭდვის საქმეს და მესტამბე-გამომცემლებს მკაცრ შეზღუდვებს უწესებდა. დიდი სიმკაცრით მოწმდებოდა ნიგნი მისი გარეგნული, შინაარსობრივი, რედაქტორული და კორექტორული თვალსაზრისით. უნივერსიტეტი დანიშნა ინსპექტორები, რომლებსაც ევალებოდათ ზედამხედველობა გაენიათ ნაბეჭდი პროფუქციისათვის და არ გაპარვოდათ შეცდომები. მათი აღმოჩენის შემთხვევაში სტამბის მუშაკებს სოლიდური ჯარიმები ეკისრებოდათ. ანადგურებდნენ ნიგნებს, რომლებიც დადგენილ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა. ასეთი ანგარიშსწორებისაგან არავინ იყო დაცული. სხვისი შეცდომების გამო დასჯისაგან თავის დასაცავად კორექტორები და რედაქტორები მათ მიერ გასწორებულ ყურცელს აწერდნენ ხელს. მესტამბებს ჩამოართვეს უფლება თვითონ განესაზღვრათ ნაბეჭდი პროფუქციის ფასი. პერგამენტისა და ქაღალდის ფასებზეც უნივერსიტეტის კონტროლო იყო დაწესებული. ნიგნის ფასზეც მეთვალყურების განევა ინსპექტორებს ევალებოდათ.

განსაკუთრებული წესების გამო რედაქტორები, კორექტორები, შეგირდები და დამხმარე მუშები იძულებულები იყვნენ მესტამბეგამომცემლებთან ეცხოვრათ. მომავალი სტამბის მუშაკების ან ნიგნის გამყიდველებს ოთხი წელი უნდა ესწავლათ და შემდეგ, სამი წელი ემსახურათ; ამასთანავე, მათ უნდა წარედგინათ ლათინური და ბერძნული ენების, რელიგიური კანონებისა და მორალური წესჩვეულებების ცოდნის მოწმობა და გამოცდაზე მოეპოვებინათ გამომცდელთა ხმების ორი მესამედი.

ასეთმა რეპრესიულმა ზომებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საფრანგეთში პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარება. ამ ვითარებამ გამოიწვია სტამბების დაარსება ქვეყნის ფარგლებს გარეთ: სტრასბურგში, ბაზელსა და ანტვერპენში. იქ იძეჭდებოდა საფრანგეთში აკრძალული ლიტერატურა, კათოლიკური ეკლესიისა და მონარქიის ნინააღმდეგ მიმართული რეფორმატორული თხზულებები.

1545 წელს გამოვიდა პირველი ფრანგული აკრძალული წიგნების ინდექსი. 1551 წელს კოდიფიცირებული იქნა ბეჭდვის შესახებ ყველა წინა რეზოლუცია და იმავე დროს, ქვეყანაში კალვინისტური ნაშრომების შელნევისაგან დასაცავად აიკრძალა ბეჭდური პროდუქციის შეტანა უენევიდან და ევროპის სხვა ქაღალდებიდან.

ფრანსუა I ვალუას (1494-1547) მეფობის პერიოდში (1515-1547) პარიზში სტამბების რიცხვი თორმეტამდე შემცირდა. სტამბის მუ-



ეტიენების საგამომცემლო სახლი.

შაკები გაიფანტნენ და სხვადასხვა საქმიანობით დაკავდნენ, მრავალი კი სამუშაოს საძებნელად ქვეყნიდან გადაიხვეწა. საგამომცემლო საქმიანობას მხოლოდ რამდენიმე მესტამბე-გამომცემელი თუ აგრძელებდა.

საფრანგეთის წიგნის ბეჭდვის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მართლმადიდებლური მრნამსის პარიზელ მესტამბე-გამომცემელთა უძველესმა და ცნობილმა ეტიენების ოჯახმა (ფრ. Estienne, ლათ. Stephanus)¹. წიგნის ისტორიის მკვლევრები მათ ადარებენ ვენეციელი მესტამბე-გამომცემების მანუციოების სახელგანთქმულ საგვარეულოს. საფრანგეთში ეტიენებმა და იტალიაში მანუციოებმა თავისი საქმიანობით უდიდესი წვლილი შეიტანეს არა მხოლოდ პოლიგრაფიულ წარმოებაში, არამედ წიგნის ბაზრის შემქმნაში.



საგამომცემლო ნიშანი.

1 Книговедение : Энцикл. словарь / Редкол. Сикорский Н. М. (гл.ред.) и др.. – М. : Сов. энцикл., 1982 (Тип. №1). 617 с.

ეტიენები მოღვაწეობდნენ პარიზში, უენევასა და ლიონში (1502—1654). მათი საგამომცემლო სახლის დამაარსებელი გახლდათა ათრი ეტიენი (1465/70—1520), რომელიც ჰენრი სტეპანუსის სახელითაც იყო ცნობილი.¹ იგი ყმანვილობიდანვე პარიზში წიგნით ვაჭრობით იყო დაკავებული, რასაც კატეგორიულად ენინააღმდეგებოდა მამამისი. დიდი სირთულეების მიუხედავად ანრი ეტიენმა მაინც დააარსა სტამბა, საგამომცემლო სახლი და 1502 წელს დაბეჭდა პირველი წიგნი — არისტოტელეს „ეთიკა“. საგამომცემლო სახლის ემბლემად იქცა სამი სამეფო შრომანის გამოსახულება დევიზით „Plus olei quam vini“ („მეტი ზეთი, ვიდრე ღვინო“), რაც ნიშნავდა, რომ ადამიანის ცხოვრებაში შრომა უნდა სჭარბობდეს გართობას. ანრი პარიზის უნივერსიტეტის ნაფიცი მსაჯული და სავაჭრო კორპორაციის წევრი გახლდათ. მას მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა იმ დროის განათლებულ და ცნობილ ადამიანებთან, რომელთაგან მრავალი შემოიკრიბა საგამომცემლო სახლის გარშემო. ისინი ეტიენთან რედაქტორებად და კორექტორებად მუშაობდნენ. პარიზში, უნივერსიტეტის მახლობლად, 800 ლივრის საწყისი კაპიტალით დაარსებული პატარა სტამბა შეუსვენებლად მომუშავე მანუფაქტურულ საწარმოდ გადაიქცა, სადაც უხვად იბეჭდებოდა ფილოსოფიური თუ სალვატისმეტყველო ტრაქტატები და სამეცნიერო ნაშრომები.

რთული საგამომცემლო პოლიტიკის მიუხედავად ანრი ეტიენმა სიცოცხლის მანძილზე დაახლოებით 140 რელიგიური, ასტროლოგიური და ფილოსოფიური შინაარსის წიგნი გამოსცა. იგი ბეჭდავდა როგორც რომაელ და ბერძენ კლასიკოსთა ნაწარმოებებს, ისე მის თანამედროვე ავტორებსაც. წიგნთა უმრავლისობა გამოიჩინდა დახვეწილი და ორიგინალური სატიტულო ფურცლებით. ანრი ეტიენი სასტამბო მოღვაწეობას დამოუკიდებლად განაცემდა. სხვა მესტამბე-გამომცემლებთან იგი მხოლოდ მოკლევადიან ხელშეკრულებებს დებდა და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. მას სანგრძლივი საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა პარიზელ გამომცემელ უან ჰეტისთან. ეტიენი მხარს უჭერდა წიგნის დიზაინის ახალ სტილს, რომელიც რენესანსის ეპოქისითვის იყო დამახასიათებელი. მის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები გამოირჩეოდნენ ელეგანტურობით, ფრონტისპისებისა და ინიციალების მრავალფეროვნებით.

1 Ф.И. Булгаков. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1. / Ф.И. Булгаков. - Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889. 142 ст.

სატიტულო ფურცლები
ორიგინალურად იყო გა-
ფორმებული სხვადასხ-
ვაგვარი ორნამენტებით.
წიგნები იძეჭდებოდა
საუკეთესო ხარისხის ქა-
ლალზე ან პერგამენტზე,
გრავიურები ხელით იღე-
ბებოდა, სათაო ასოები კი
ოქრომელნით იძეჭდებო-
და. ამ გამოცემებმა მაღა-
დაიმკვიდრეს ადგილი
ეკროპის პოლიგრაფიაში.

ანრი ეტიენმა შექმნა სას-

ტამბო ნიშანი, რომელზედაც გამოსახული იყო სიცოცხლის ხის
რტოზე შემოხვეული გველი (სიბრძნის სიმბოლო). ეს საგამომცემ-
ლო მარკა მნარმოებელის მიერ შექმნილი პროდუქციის მაღალ ხა-
რისხს განაპირობებდა.

იმ დროისათვის საფრანგეთში განსაკუთრებული პოპულარობა
მოიხვეჭა მცირე ზომის გამოცემებმა. ისინი ერთგვარ ატრიბუტად
იქცნენ მაღალი წრის საზოგადოებისათვის. არისტოკრატთა შეკ-
რებებსა და წვეულებებზე პატარა წიგნებით გამოჩენა კარგ ტო-
ნად ითვლებოდა. საგამომცემლო ფირმამ დაიწყო მცირეფორმატი-
ანი, ილუსტრირებული, განსაკუთრებული ტომეულების ბეჭდვა.
გამომცემლობა იღებდა შეკვეთებს და ქმნიდა პოლიგრაფიული
ხელოვნების გასაცარ შედევრებს. პარალელურად გაჩნდნენ ბიბ-
ლიოფილები. მრავალი მათგანი სოლიდურ თანხას იხდიდა უნიკა-
ლური და ძვირფასი წიგნების შესაძენად. ისინი მაღალ საზოგადო-
ებაში თავს იწონებდნენ ცალკეული წიგნებითა თუ კოლექციებით.
გამომცემლობამ დაიწყო მცირეფორმატიანი სასაჩუქრე ეგზემპ-
ლარების გამოცემა, რამაც განამტკიცა მათი პირველობა წიგნის
ბაზარზე. ამ მხრივ ფირმამ განსაკუთრებულ წარმატებს 1520
წლისთვის მიაღწია.

ანრი ეტიენის გარდაცვალების შემდეგ, რამდენადაც მისი შვი-
ლები ასაკის გამო ვერ მოახერხებდნენ გაძლილოდნენ მამისეულ
საქმიანობას, საგამომცემლო სახლს სათავეში ჩაუდგა ამავე ფირ-
მის მოღვაწე განათლებული და ხელმარჯვე მესტამბე-პუანსონისტი



საგამომცემლო ნიშნები.



სიმონ დე კოლინი (დაახ. 1480–1546). კოლინმა ურთიერთობრივად გამოიწვია ნიგნის ხელოვნების ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწე უოფრუა ტორისთან (1480–1533). ტორი იყო პლესის კოლეჯის პროფესორი, ფილოლოგი, მესტამბე-გამომცემელი, გრავიორ-პუანსონისტი და ნიგნით მოვაჭრე. გრავიორების ხელოვნება მან რომში შეისწავლა და შესაბამისად რომაული სტილის მიმდევარი გახდა. ნიგნის ბეჭდვის ხელოვნებაში ტორიმ შემოიღო რენესანსული შრიფტი – ანტიკვა, რომელსაც იგი გოთიკურ შრიფტთან ერთად იყენებდა. 1524 წელს კოლინმა და ტორიმ ერთობლივად გამოსცეს სასულიერო ნიგნების სერია. ეს იყო ელეგანტურად გაფორმებული ლოცვებისა და უამნების კრებულები, რომლებიც სასტამბო ხელოვნების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. 1529 წელს ტორიმ გამოსცა „Champ Fleury“ – „ყვავილოვანი მდელო“. ნიგნში მან მეცნიერულად გააშუქა შრიფტების ისტორია და თეორია; ნარმოადგინა შრიფტების მრავალეროვნება, რომელთა შორის იყო მის მიერ შექმნილი შრიფტებიც. არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა უოფრუას მიერ გაფორმებული ფრონტისპისი და ნიგნის ყოველი ფურცელი. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ტორის მიერ შექმნილმა ინიციალებმა, შავ ფონზე შესრულებულმა ნათელმა და დახვეწილმა ასოებმა. 1530 წელს, ნიგნის ავტორი მეფე ფრანსუა I-მა სამეფო მბეჭდავის ტიტულით დააჯილდოვა.

1525 წელს კოლინმა ეტიენების საგამომცემლო სახლი გადასცა მისი დამაარსებლის უფროს შვილს ფილოლოგს, კალვინისტისა და რეფორმაციის აქტიურ მხარდამჭერს რობერტ I ეტიენს (1503–1559). ანრის სამ შთამომავალს შორის საგამომცემლო საქმეში იგი ყველაზე ნარმატებული აღმოჩნდა.


21 წლის ასაკში რობერტი სათავეში ჩაუდგა საოჯახო ბიზნესს და მოკლე დროში დიდ ნარმატებას მიაღწია. ლათინურ ენაზე მოსაუბრე განსწავლულმა გამომცემელმა, მამისა და ალდ მანუციოს მსგავსად, ცნობილი მეცნიერები შემოიკრიბა და შეეჭიდა ძველ კლასიკოსთა ნაწარმოებების რედაქტირებული ტექსტების გამოცემას. მისი მოსაზრებით, ტექსტების ზოგიერთი მონაკვეთი მოითხოვდა აუცილებელ განმარტებებს, რათა ის მკითხველისათვის გაუგებარი არ დარჩენილიყო.

რობერტ ეტიენმა 1523 წელს შესწორებული ტექსტითა და განმარტებებით გამოსცა „ბიბლია“ და „ახალი აღთქმა“, რითიც გაანაწყენა სორბონის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველი პროფესო-



րյօն. տազուսո ցամուցեմուս դասաբազագ րոծերթ ցիւյնո քույսուսուանո հայրու პրոցեսորեծտան, րոմլեծուց ցանացոյցրա տազուսո ցընդուուտ դա որոցը նոցն նարմացեցուլագ դաշմկացրա ազգուու սասուլուրո ցամուցեմեծ մորու. մանչը, շոյուրա գորուս դաեմարեծուու, Շեացցուն դա 1531 նելս ցամուսպա լատոնուրո ցնու ցանմարթեծուու լոյժեսոյոնու որթոմեցուլո – „լատոնուրո ցնու սացանձուրո“ – „The saurus latinae linguae“. 1536 նելս ցամուցուու ամացը լոյժեսոյոնու մեռու, 1543 նելս յու – մեսամյ Շեսնորեցուլո դա Շեցացեցուլո ցամուցեմա. յը ոյս կոլոսալուրո մրոմուս նապոցո, րոմելմաց տազուսո դուու սամեցնուրո ფասեցուլոնետ գուլուլոցեմուս ալուարեծա գամումակայրա.¹ Սնորեց յը սացանձուրո ուտղեծա րոծերգուս շմնուշելոցանը նամրոմագ.²

XVI–XVII սայսանեցուս մոջնածի մեխուլ ցրանց մեսգամեթետա շմրացլեսոնա սայցլեսոն նոցնեցուս – լուցուցուս դա շամնեցուս ցամուցեմուտ ոյցնեց ճակացեցուլնո. ույմցա, ոյցնեց իսւեծուու, րոմլեծուց արուստուրագուս դա սամեցնուրո նրեցուսատցուս ծեժդազդեց լուցրագուրուլ նանամուցեմեծ. ցրտ-ցրտո մատցանո ոյս կոլանդուլո սնացլուլո լատոնուստո դա ցնոնուու մեսգամեթ-ցամուցեմելո ծագուս աւցենիու (1462–1535). ման արահցեցուլեծրոց ցանատլեց մուլու ութալուանո, սաօդանաց սացրանցետմո ցամցնավրա դա լուոնմո գրեյժելուս ցամուցեմլոնեմու դաունու հրդաէթորուագ մշման. ոյս մալցաց ճայորնոնդա գրեյժելուս յալումուլնո դա սացեանցուլու մարտարու ցամուցա պարութմո, սագաց 1503 նելս դաարսա սակաւարո ցամու-



րոծերթ ցիւյնո մոյր ցամուցեմուլո ծոծլուա.

1 М. И. Щелкунов. История, техника, искусство книгопечатания. - М/Л. - Гос. Издательство. 1926. 126 ст.

2 Ф.И. Булгаков. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1. – Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889. 142 ст.



John Adams. 7. decr.

ΠΛΑΤΩΝΟΣ
ΑΠΑΝΤΑ ΤΑ ΣΩΖΟΜΕΝΑ.
PLATONIS
opera quae extant omnia.

EX NOVA IOANNIS SERRANI IN-
terpretatione, perpetuū eiusdem notis illustrata, quibus & methodo-
bus & doctrina futura breuer & perficiens indicatur.

EPISTOLAE. Annotationses in quicunque facilius interpretatione locis.
HENR. STEPHANI de quoniam locorum interpretatione su-
stentatione & solutio[n]e, & dilectorum confratrum gratia clementissimo.



EXCVNDEBAT HENR. STEPHANVS,
CVM PRIVILEGIO C. E. MAIEST.

დიალოგი პლატონთან.

ცემლობა. კვალიფიციურმა ბიბ-
ლიოფილმა სიცოცხლის მანძილ-
ზე ასობით საღვთისმეტყველო
და სამეცნიერო წიგნი გამოსცა,
მათ შორის ფოლიანტებიც. კლა-
სიკოს მწერალთა თხზულებებს
იგი საინტერესო კომენტარებს
ურთავდა.

ბადიუსის ქალიშვილს და-
უკავშირა თავისი ბეჭი რობერტ
ეტიენმა. ასცენზიას მომდევნო
ორი ქალიშვილიც მსხვილ მეს-
ტამბე-გამომცემლებზე – მიქაელ
ვასკონსანზე და უან რუანზე და-
ქორნინდნენ. 1535 წელს, ბადი-
უსის გარდაცვალების შემდეგ,
გამომცემლობა მისი ვაჟიშვილის
– კონრადის მმართველობაში
გადავიდა. სხვა გამომცემელ პუ-
გენოტებთან ერთად იგი იძულე-
ბული იყო 1549 წელს პარიზიდან
გაქცეულიყო.¹

წლიდან წლამდე რობერტ ეტიენის საქმიანობა სულ უფრო და
უფრო ფართოვდებოდა: მრავალ ენაზე გამოსცემდა წიგნებს; პირ-
ველმა დაიწყო ბერძნულ ენაზე ტექსტების ბეჭდვა; საეკლესიო ლი-
ტერატურას უმთავრესად ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ ენებზე
გამოსცემდა.² მისი მიზანი ძველი ენების შემსწავლელი წიგნებისა
და კლასიკოსთა ნაწარმოებების აკადემიური ტექსტების გამოცემა
იყო. ეტიენები ვანსაკუთრებულ ყურადღებას ტექსტის რედაქტი-
რებას აქცევდნენ. რობერტი ამაყობდა მის მიერ გამოცემული წიგ-
ნებში რედაქტირებული ტექსტებით და შეცდომების აღმოჩენისათ-
ვის ფულადი ჯილდოც დააწესა.


1 М.И. Щелкунов. История, техника, искусство книгопечатания. - М/Л., Гос. Издательство. 1926. 125 ст.

2 Ф.И. Булгаков. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1. – Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889. 142 ст.

ქარაგმის გამოყენება ძველ ხელნაწერებში ფრიად პოპულარულად ითვლებოდა. კალიგრაფები ამ ხერხით მნიშვნელოვნად ზოგავდნენ საკუთარ შრომას, დროსა და საწერ ქაღალდს, მაგრამ ეს მნიშვნელოვნად აფერხებდა კითხვის პროცესს. სიტყვათა შემოკლებების გამოყენება გადამწერთაგან მემკვიდრეობით ერგოთ პირველ მესტამბე-გამომცემლებს და იმდროისათვის დადგენილ ნირმად ითვლებოდა. რობერტ ეტიენმა კითხვის გამარტივების მიზნით უარყო ტექსტში სიტყვათა ყოველგვარი შემოკლება.

ეტიენებს ათი სხვადასხვა საგამომცემლო ნიშანი ჰქონდათ, რომელთაგან შვიდი ზეთისხილის ვარიაციებს ნარმოადგენდა. მათ შორის ყველაზე გავრცელებილი იყო მოფუსფუსე განდეგილი ზეთისხილის ტოტებგაშლილ ხესთან, ტოტზე მობმულ ბაფთაზე კი ეტიენების დევიზი იკითხება: „*Noli altum sapere*“.

ბეჭდვის მაღალი ხარისხით გამოცემებისათვის ულამაზეს შრიფტებს ამზადებდა ცნობილი გრავიორ-შრიფტჩამომსხმელი კლოდ გარამონი (1499–1561). შექმნეს ბერძნული არაჩვეულებრივი ე. წ. სამეფო შრიფტი. მეთხუთმეტე საუკუნის ორმოციან წლებში ეტიენი წელიწადში ათობით წიგნს გამოსცემდა. მან თერთმეტ სხვადასხვა ენაზე დაბეჭდა ბიბლია და ახალი აღთქმა. საეკლესიო რეფორმის მხარდასაჭერად რობერტი გამოსცემდა და საჯაროდ ავრცელებდა წმინდა წერილს, მაგრამ მისი დამსახურება გაცილებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის უკიდურესად დაბალ და ხელმისაწვდომ ფასში ყიდდა წიგნებს.



მეფე ფრანსუა I ეტიენების საგამომცემლო სახლში.



მეფე ფრანსუა I და მარგარიტა ნავარელი ხშირად სტუმრობდნენ
ნენ საგამომცემლო სახლს. მეფე რობერტს უაღრესად აფასებდა.
1539 წელს ფრანცისკ I-მა მესტამბე-გამომცემელს უბოძა სამეფო
მბეჭდავის წოდება ლათინურ და ძველ ებრაულ ენებზე. 1540 წელს
კი ეტიენის ტიტულებს დაემატა ძველ ბერძნულ ენაზე.¹ პირველი
მბეჭდავის წოდებაც ეს შემდეგი მიზეზის გამო მოხდა: მეფეს არ
გამოჰქონდა, რომ ფრანგების ძალისხმევის მიუხედავად, საფრან-
გეთში გამოცემული ბერძნული წიგნები პოლიგრაფიული დონით
მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდნენ იტალიაში დაბეჭდილს.

ბერძნული შრიფტის სრულყოფის მიზნით, 1538 წელს ფრანსუა
I-მა ბერძნულენოვანი ლიტერატურის სამეფო მბეჭდავად დანიშნა
კონრად ნეობორი, შრიფტჩამომსხმელად კი კლოდ გარამონი. მაგ-
რამ ნეობორი ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა და მისი ადგილი
რობერტ ეტიენმა დაიკავა. ნახატებს შრიფტისათვის ქმნიდა ან-
გელუს ვერგეციუსი ანუ ვერგეცი და რობერტის თხუთმეტი წლის
შვილი – ანრი. ეტიენის მიერ გამოცემული ბერძნული ბიბლიისათ-
ვის შრიფტი ჩამოასხა ცნობილმა პუანსონისტმა ვილჰელმ ლე-ბერ.²
ეს შრიფტები კარგად იქნა შემონახული და შემდგომში მას დიდი
ხნის მანძილზე იყენებდა პარიზის სახელმწიფო სტამბა.

ეტიენის მიერ გამოცემული წიგნების პოპულარობის მიუხედა-
ვად „მეცნიერთა მსახურნი“ სორბონის უნივერსიტეტიდან რობერ-
ტის მიმართ მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. იგი არასოდეს
არ ასრულებდა პროფესორების სურვილებს და არც რედაქტორე-
ბად იწვევდა მათ საგამომცემლო სახლში.

1550 წელს რობერტ ეტიენმა დაბეჭდა „ახალი აღთქმის“ ახალი
გამოცემა. მისი მფარველი მეფე უკვე გარდაცვლილი იყო. ტახტის
მეკვიდრე, ანრი II დე ვალუა კი სორბონელი მეცნიერების მხარ-
დამჭერი გახლდათ.

1551 წელს სორბონელებისაგან დევნით გადაღლილი რობერტ I
ეტიენი გამძაფრებული კათოლიკური რეაქციისაგან თავის დასალ-
ნევად უენევაში გაიქცა, სადაც დააარსა სტამბა და გამოსცემდა

1 Книговедение : Энцикл. словарь / Редкол. Сикорский Н. М. (гл.ред.) и др.. - М. : Сов. энцикл., 1982 (Тип. N1). - 617 с.

2 Булгаков, Ф.И., Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1- Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889. - 143 ст.



პამფლეტებს კათოლიციზმის წინააღმდეგ. მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს მისი საგამომცემლო საქმიანობა უენევაში, სადაც მან სხვადასხვა ენაზე 528 გამოცემა დაბეჭდა.


რობერტმა პარიზიდან წაიღო ბერძნული შრიფტის გარნიტური, რომელიც მეფე ფრანცის I-ის დაფინანსებით იყო შექმნილი და რომლის გამოც მესტამბეს ხშირად საყვედურობდნენ. გამომცემლის ამ ქმედებას კონკრეტული მიზანი ჰქონდა. მას სურდა, ლათინურის მსგავსად, გამოეცა ბერძნული ლექსიკონი, რისთვისაც მნიშვნელოვან სამუშაოებს ატარებდა, მაგრამ ლექსიკონის გამოცემა ეტიენს არ დასცალდა. იგი 1559 წელს გარდაიცვალა. ცნობილი შრიფტი კი რობერტის შვილიშვილმა – პოლმა უენევის ერთ-ერთ ბანკში 1500 ტალერად დააგირავა. 1621 წელს საფრანგეთის მთავრობამ აღნიშნული შრიფტი სამი ათასი ლივრის ფასად გამოისყიდა, 1774 წლიდან კი იგი პარიზის სახელმწიფო სტამბის კუთვნილებაში გადავიდა.¹

რობერტ ეტიენის პარიზიდან წასვლის შემდეგ საგამომცემლო სახლის საქმიანობას სათავეში ჩაუდგა მისი შვილი, ანრი II (1528–1599) – ეტიენების ოჯახის სახელგანთქმული წევრი, პოლიტოლოგი, ფილოლოგი და ელინისტი. იგი ევროპაში საინტერესო ხელნაწერების მოსაძიებლად გაემგზავრა. ეტიენების საგამომცემლო სახლს პარიზში 1556 წლიდან ხელმძღვანელობდა რობერტის უმცროსი ვაჟი რობერტ II (1530–1570). ანრი II-ემ იტალიის, ინგლისისა და ფლანდრიის ბიბლიოთეკებში მრავალი ბერძნული ხელნაწერი მოიძია და რამდენიმე მათგანი გაშიფრა. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მან საგამომცემლო საქმიანობა მხოლოდ ფუგერებისა და გულდერიების ცნობილი ოჯახების დახმარებით განაგრძო, რის გამოც იგი საკუთარ თავს „Fuggerorum Typographus-ს“ უწოდებდა. 1557 წელს ანრი II-ემ უენევაში მამისაგან დამოუკიდებლად დააარსა სტამბა, გამოსცა მრავალი კლასიკონის ნაწარმოები და თეოლოგიური ნაშრომი. მამის გარდაცვალების შემდეგ ანრიმ ორივე სტამბა გააერთიანა. 1572–1573 წლებში, მამის დაწყებული ნამუშევარი დაასრულა და გამოსცა ბერძნული ენის საგანძურის ხუთტომეული – „The saurus graecae linguae“. მისი დაბეჭდვა მართლაც მნიშვნელოვანი საქმე იყო, თუმცა ეტიენი ფინანსურად დაზარალდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგი მას

1. Ф.И. Булгаков. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1. – Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889. 144 ст.

ეტიენების (ფრ. Estienne, ლათ. Stephanus) დინასტია

გენეალოგია



მიაყენა ოთან სკაპულამ, რომელმაც ბერძნული საგანძურის შემოკლებული ვერსია გამოსცა. ესც არ იყმარა და პლაგიატმა მოურიდებლად განაცხადა, რომ ეტიენის ნაშრომს ის შემთხვევით გადააწყდა. ეს მისი დამოუკიდებელი ნაშრომია, ანრი კი მონაწილეობდა „Typographus“-ის კორექტურაში.¹

იმ დროიდან მოყოლებული სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ანრი II მომთაბარე ცხოვრებას ეწოდა: მან მოიარა გერმანიის, ავსტრიისა და უნგრეთის ქალაქები, რათა გაეყიდა თავისი დიდტირაჟიანი გამოცემები. 1597 წელს, როდესაც უენევიდან საფრანგეთისაკენ გადაადგილდებოდა, იგი ავად გახდა, ლიონში ჩასული კი საბოლოოდ ჩავარდა ლოგინად და 1598 წლის მარტში გარდაიცვალა. სიცოცხლის მანძილზე ანრი ეტიენმა 170 სხვადასხვა თხზულება გამოსცა.²

1 Ф.И. Булгаков. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1. – Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889. 144 ст.

2 М. И. Щелкунов. История, техника, искусство книгопечатания. - М/Л., Гос. Издательство. 1926. 127 ст.



საგამომცემლო და სასტამბო საქმეს ემსახურებოდა რობერტ II-ს შვილიც, ანუ ანრი ეტიენის შვილთაშვილი რობერ III (1560–1630) მრავალი ბერძნული და ლათინური პოემის ავტორი იყო. მან ფრანგულად თარგმნა არისტოტელეს „რიტორიკა“.¹ რობერ I-ის უფროსმა შვილმა – ფრანცისკ II-ემ (1535–?) 1562 წელს უენევაში დააფუძნა სტამბა.

საგამომცემლო საქმეს ემსახურებოდა ანრი II ეტიენის ვაჟი – პოლ ეტიენიც (1566–1627). მას ბრალი დასადეს შეთქმულებაში მონანილეობა და დააპატიმრეს. პოლის ქონებას კი კონფისკაცია გაუკეთეს. მოგვიანებით კი განდევნეს უენევიდან, სადაც მხოლოდ 1619 წელს მოახერხა დაბრუნება. პოლიგრაფიული საქმით იყო დაკავებული პოლ ეტიენის ვაჟი – ანტუანიც (1592–1674).

ანრი ეტიენს რობერტის გარდა კიდევ ორი შვილი ჰყავდა: უფროსი – ფრანცისკ I, მესტამბე და ნიგნითმოვაჭრე და უმცროსი – შარლი (1504–1564), ექიმი და მწერალი. შარლი იტალიაში მოგზაურობისას დაუმეგობრდა ვენეციილ მესტამბე-გამომცემელს პალლ მანუციოს. ეტიენი თავდაპირველად შორს იდგა საგამომცემლო საქმისაგან და ძირითადად სამეცნიერო მოლვანეობას მისდევდა. რობერტის სამშობლოდან შვეიცარიაში იძულებით გაქცევის შემდეგ, შარლი სათავეში ჩაუდგა პარიზის სტამბას. მან მოახერხა რობერტის ქონების კონფისკაციის გაუქმება და რობერტის შვილისათვის დაბრუნება. შარლ ეტიენმა შექმნა მრავალი ნაშრომი მედიცინაში, ბოტანიკასა და სოფლის მეურნეობაში; შეადგინა განსაკუთრებული ტიპის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელშიც მასალები ანბანური თანმიმდევრობით იყო განყობილი; გამოსცა ბერძნულ-ლათინურ-ფრანგული, აგრეთვე ისტორიის, გეოგრაფიისა და პოეზიის თეორიის ლექსიკონები. 1544 წელს შარლმა მოამზადა პიროვნებათა ლექსიკონი. საგამომცემლო საქმისათვის აღებული ვალების გამო იგი გაკოტრდა. ფინანსური პრობლემებისა, თუ რელიგიური შეხედულებების გამო შარლი 1561 წელს საპატიმროში აღმოჩნდა და იქვე, 1564 წელს, გარდაიცვალა.

ნიგნის ისტორიის მკვლევარი ო. ი. ბულგაკოვი ლიტერატურულ წყაროებში გვთავაზობს ვერსიას, რომლის მიხედვითაც ნიგნის ბეჭდვით დაკავებული ეტიენების ოჯახის ბოლო ნარმომადგენელი იყო პოლ ეტიენი. საკმაოდ განათლებული და ერუდირებული პი-

1-Книговедение : Энцикл. словарь / Редкол. Сикорский Н. М. (гл.ред.) и др.. – М. : Сов. энцикл., 1982 (Тип. N1). 617 с.



როვნება მამის მსგავსი ენერგიულობით არ გამოირჩეოდა. ეგიპტელი გაუძღვა გამომცემლობას და 1627 წელს საგვარეულო ჰარმონია დმებს, შუებს მიჰყიდა¹.

სხვა წყაროს მიხედვით, საგამომცემლო სახლი 1654 წლამდე ფუნქციონირებდა².

მიუხედავად იმისა, რომ ეტიენების მოღვაწეობა, ისე როგორც თავისუფალი საგამომცემო საქმიანობა, იმდროინდელ საფრანგეთში მნიშვნელოვნად იზღუდებოდა სორბონის უნივერსიტეტის მიერ, ისინი მაინც არ ღალატობდნენ საგვარეულო საქმეს; მრავალ ენაზე ბეჭდავდნენ რელიგიურ, ასტროლოგიურ და ფილოსოფიური შინაარსის წიგნებს, ცნობილ მწერალთა თხზულებებს კომენტარებით, საეკლესიო სახელმძღვანელოებსა და ფუნდამენტურ ლექსიკონებს. ეტიენების საგამომცემლო სახლმა არსებობის მანძილზე 1497 დასახელების წიგნი გამოსცა არაჩვეულებრივად გაფორმებული სატიტულე ფურცლებითა და ორიგინალური საგამომცემლო ნიშნებით.

1 Ф.И. Булгаков. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1. – Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889. 144 ст.

2 М.И. Щелкунов. История, техника, искусство книгопечатания. – М/Л., Гос. Издательство. 1926. 127 ст.



მარიამ გაჩეჩილაძე

დავით (დუდა) გაჩაშვილი (1914-1995)



მხატვარ დავით (დუდა) გაბაშვილის შემოქმედებას ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დამკვიდრებული. მის მიერ შესრულებული ნამუშევრები რაოდენობრივად ბევრი არ არის, მაგრამ მყაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობით, რაფინირებული, დახვეწილი გემოვნებით, პროფესიული ოსტატობითა და მაღალი მხატვრული დონითაა გამორჩეული.

დ. გაბაშვილი სახვითი ხელოვნების ყველა დარგში მოღვაწეობდა, ქმნიდა დაზგურ და მინიატურულ

ქანდაკებებს, ფერწერულ ტილოებს, გრაფიკულ ნანარმოებებს, პლაკატებს, ექსლიბრისებს, აფორმებდა წიგნებს. მის მიერ განხორციელებული ყველა ქმნილება ნახვისთანავე იპყრობს მაყურებლის ყურადღებას და ნარუშლელ შთაბეჭდილებას უტოვებს მეხსიერებაში.

დავით გაბაშვილს ხატვისადმი ინტერესი ბავშვობის ასაკიდანვე გამოუმუდავნებია. უმაღლესი განათლების მისაღებად თავდაპირველად თბილისის სამშენებლო ტექნიკუმის ხუროთმოძღვრულ განყოფილებაზე ჩაუბარებია, სადაც 1930-1933 წლებში უსწავლია. შემდგომ კი სამხატვრო განათლების მიღება განუზრახავს და 1934-1939 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფა-



კულტეტზე გაუგრძელებია სწავლა. მის პროფესიონალ მხატვრად ჩამოყალიბებაში კი აკადემიაში მოღვაწე შესანიშნავ ჰქონდა იოსებ შრლემანს მიუღია დიდი წვლილი.

1939-1944 წლებში დუდა გაბაშვილი ამავე უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტი ხდება. 1944-1947 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიის უფროსი მასწავლებელია. 1967 წლიდან – ხატვის კათედრის პროფესორი, ხოლო 1974 წლიდან – ხატვის კათედრის გამგე. 1985 წელს მას საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა.


ამჟამად ჩვენ ძირითადად დავით გაბაშვილის გრაფიკის დარგში შესრულებულ ნაწარმოებებს გადავავლებთ თვალს, განსაკუთრებულად კი, წიგნის გრაფიკას, პლაკატსა და ექსლიბრისებზე შეჩერდებით.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაარსებიდან 1930-იანი წლების აღზრდილთა გვარ-სახელებს თუ გადავხედავთ, მაშინვე დავრნმუნდებით იმ სკოლის მიზანსა და უაღრესად დიდ მნიშვნელობაში, რაც ამ სასწავლებლის დამაარსებლებს თავიდანვე ჰქონდათ გააზრებული. „ხე ნაყოფით შეიცნობა“ – თქმულა და სწორედ ასეთი დიდი ნაყოფი გამოიღო თბილისის სამხატვრო აკადემიაში აღზრდილთა თაობებმა, მათ ვინც შეძლეს და განათლება მიღება მისი დამაარსებლების, შესანიშნავი მხატვრებისა და პედაგოგების ხელში როგორებიც იყვნენ: გიორგი ჩუბინაშვილი, იოსებ შარლემანი, ევგენი ლანსერე, ჰენრიჰ ჰრინევსკი, გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ელიშე თათევოსიანი და სხვები.

ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში იოსებ შარლემანისა და ევგენი ლანსერეს მიერ აღზრდილმა გრაფიკულმა მხატვრებმა მაღალი პროფესიონალიზმითა და ინდივიდუალური გამომსახველობითი ენით მყარი ნიადაგი შეუქმნეს საქართველოსთვის აშდარგის – გრაფიკის – ნარმატებით განვითარებას. ხელოვნებათმცოდნე მერი კარბელაშვილი აღნიშნავდა რა კონკრეტულად იოსებ შარლემანის დამსახურებას დუდა გაბაშვილის „მხატვრად ქცევის“ პროცესში, წერდა: „აკადემიაში სწავლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ო. ა. შარლემანის ხელმძღვანელობა. სწორედ ო. ა. შარლემანი იყო ის ადამიანი, რომლის რჩევა დიდად მნიშვნელოვანი იყო დ. გაბაშვილის – მხატვრის ჩამოყალიბებისათვის, ისევე როგორც ბევრი სხვა მხატვრისათვისაც, ვისაც ის ასწავლიდა. უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებდა ო. შარლემანი – პედაგოგი და ადამიანი,



ვირი (1936 წ.).




აბსტრაქტული კომპოზიცია
(1988 წ.).

მისი ფართო განათლება, დიდი კულტურა და ტაქტი. იგი არ ზღუდავდა თავის მოწაფეებს, მაგრამ ცდილობდა მათი ყურადღების წარმართვას იქითკენ, რაც ინტერესის ღირსი იყო – ამას გამოცდილება უკარნახებდა. გვიან, მოხუცებული პედაგოგი თვითონვე კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ს. ქობულაძე, ი. გაბაშვილი, დ. გაბაშვილი და სხვ. – ყველანი მისი მოწაფეები არიან, მაგრამ მათ ნამუშევრებს სულ სხვადასხვა ხასიათი აქვს. იგი არაფერს აკეთებინებდა იძულების გზით, მაგრამ მისი თითქოს სრულიად უმნიშვნელო შენიშვნაც კი ზოგჯერ მუშაობას სულ სხვა მიმართულებით წარმართავდა ხოლმე“.

ბუნებრივია, რომ პროფესიონალი პედაგოგების ღვაწლს უშედეგოდ არ ჩაუვლია და ქართულ სახვით ხელოვნებაში მხატვართა ძლიერი გუნდი შეიკრა. მათი სახელები დღეს უკვე კარგადაა ცნობილი: სერგო ქობულაძე, აპოლონ ქუთათელაძე, ვლადიმერ გრიგოლია, ვალენტინ თოფურიძე, ვლადიმერ ქუთათელაძე, დავით ციციშვილი, ნიკოლოზ ჩერნიშკოვი და სხვანი. ეს იმ მხატვართა გუნდია, ვინც XX საუკუნის სახვითი ხელოვნება საკმაოდ მაღალ საფეხურზე აიყვანა და შემდგომი თაობების მხატვართა განათლება-ჩამოყალიბებასაც შეუწყო ხელი.

აკადემიის აღზრდილთა უფროსი თაობის მხატვრებს შორის კი დუდა გაბაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა, რომლის შემოქმედება სახვითი ხელოვნების ყველა დარგს მოიცავს. მუდამ ძიების პროცესშია, საოცრად დახვეწილი შემოქმედებითი აზროვ-



Նաֆյուրմորֆու տեղին (1936 թ.).



յոտանի դրվեմլու (1955 թ.).

Ենձու գամուրի համար դա մուս նամաշեցրեծ մալալու ըստեգույրու, րագունուրեցուլու գործմեծու եասուատցուն, ռոմել դարցա տա շանրմուց առ շնդա ոյոս ոց գանեռուցուցուցուլուն.

Ճշգա գաձամուլու դա ճշցուրու դյուրներուլու դա գրացուցուլու նամաշեցրեծուտցու սեցագասեցա տեմագույաս օրինեցա. մոմարտաց ընողորու ուժու, ասեց պոյուտ շանրու, յմնու ձերինայցեծ, քորդրեցուն, անմալուսգուր նամաշեցրեծ, նաֆյուրմորմուցուն, մեմշալ դոցուրեծ; ասրուլուն ածագրագույլ նամաշեցրեծ.

Եագրաց սեցագասեցա մասալամու, դյուրներամու ոյենցուն նիւտուսա դա գրեմերու սալեցացուն; գրացուցամու – այցարցու, դանյարու, դյումու, ցուամու, նաեմուրու, սանցունաս; մալալունոց ըստուլա դա այցա ատցուսեցուլու գրացուցուլու ծեժցուն – ուղորմուսա դա լուտոց գրացուն դյեյնուցուն; եագրաց գուլունց, մուպանունց, յալալունց, յմնու ճա ճշցուր կանցակաց ծեց, դյուրնաց տուսամու, այցեց պալունց դա տաձամուրմու համուսեամուս մատ. եմուրա դ տաձամուրմու սկուլպտուրուն դյարաց սալեցացու, ռոմլուս դյուրու մերի զուտապ ալյմուստցու ամմացուրեծ գամուսանուլուն մուսալեծ յմուրուս յույյեցուն. լյեցուլուն մուստցու սակուրու մասալուս (մարմարունու, յանու, ծրունչառու) դյայցուրուս օմուրուցուս. Ցոց մերտեցեցամու ածցուն մատ համուսեմաս ծրունչառմու (դացու կակաձամու ծուստու դա դացու կակաձամու սալուացուտցու մեյմնուն սկուլպտու-



კერპი (1940-1945 წ.წ.).



ინგას პორტრეტი (1987 წ.).

რა 1967წ.). ქმნის ასევე ბზის ხეში გამოკვეთილ მინიატურულ ქანდაკებებს.

იგი ძირითადად ხელოვნებასთან დაკავშირებულ, სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურას და კლასიკურ ლიტერატურულ ნაწარმოებებს აფორმებს. წიგნებისთვის ხელოვანი მხოლოდ მაკეტის მხატვრულ ელემენტებს ქმნის, მათ ილუსტრაციებას არ მიმართავს. დ. გაბაშვილი წიგნის მხატვრობაში ძირითადად 1940-იანი წლებიდან ებმება და ამ სფეროში 1990-იანი წლებამდე მოღვაწეობს. გააფორმა ვახტანგ ბერიძის – „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები“ (1947 წ.), „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“ (1956 წ.), „თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები“ (1960 წ.); ოთარ ფირალიშვილის „ბობნევის ეკლესიის მოხატულობა“ (1951) და „ყინწვისის მოხატულობა“ (1978 წ.); ვახტანგ დოლიძისა და რენე შმერლინგის „საქართველოს სამხედრო გზა“ (1959); შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (1986წ.); ჯოვანი ბოკაჩის „დეკამერონი“ (1954წ.); მხატვართა ნამუშევრების ალბომები – ირაკლი გამრეკელის (1954წ.), დავით კაკაბაძის (1966წ.). მუშაობდა „ქართული საბ-





ვახტანგ ბერიძე – „ქველი ქართული ხუროთმოძღვრება“, ყდა (1956 წ.).

ილია ჭავჭავაძე – „რჩეული ორ ნიგნად“, ტიტული (1984 წ.).

ჭოთა ენციკლოპედიის“ გაფორმებაზე, შექმნა ყდის, ტიტულ-კონტრტიტულის, საინციალო ასო-ნიშანთა ესკიზები¹.

მის მიერ გაფორმებულ ნიგნებს, ისევე როგორც ყველა სხვა ქმნილებებს, გამორჩეული დახვეწილობა ახასიათებს. მხატვრული შრიფტი ყველა კონკრეტული გამოცემისთვის ინდივიდუალურია, ესადაგება ნიგნის შინაარსს – ჩამოქნილი, აკადემური და ქვის-რელიეფივით მკაცრია, როდესაც ესა თუ ის გამოცემა ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს ეხება, ძირითადად ორხაზოვან ასო-ნიშნებს იყენებს და მათ „სხეულებს“ უფრო ემოციურს და მეტყველს ხდის შრიფტის ჩამოსხმულ ფორმებში მცირე მხატვრული ნიუანსების შეტანით, ამას კი უფრო იმ შემთხვევაში აკეთებს როცა პოზიასთან აქვს საქმე (იხ. მურმან ლებანიძის „რჩეული“ (1983წ.), ილია ჭავჭავაძის „რჩეული ორ ნიგნად“ (1984წ.) და „ლირიკა“ (1988წ.), დავით გურამიშვილის „დავითიანი“ (1986წ.), ვაჟა-ფშაველას „ლირიკა“ (1988წ.), აკაკი წერეთელი „ლირიკა“ (1989წ.).

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გაფორმებაზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ნიგნის მხატვრული ვლადიმერ გრიგოლიას დაუკვეთეს.



მურმან ლებანიძე — „რჩეული“, სუპერი (1983 წ.).

ქართული ანბანის გარნიტური (1970-იანი ნ. ნ.).

გარდა ნიგნის მხატვრული ელემენტებისა, ცალკე, დამოუკიდებელ კომპოზიციებად აქვს შესრულებული ქართული შრიფტის გარნიტურებიც.

მნიშვნელოვანია დუდა გაბაშვილის მიერ გრაფიკული ხელოვნების მონუმენტური სახეობის — პლაკატის ხელოვნებაში შეტანილი ნვლილიც.

პლაკატზე მუშაობას სტუდენტობის წლებშივე იწყებს. შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეოდ ქმნის ძალზე მნიშვნელოვან ნამუშევარს. განსაკუთრებით აქტიურად კი პლაკატის ხელოვნებას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიმართავს. იმ წლების პლაკატები, მიუხედავად შინაარსის სიმძაფრისა, მხატვრის მახვილონივრული ხედვით და კარიკატურული ნიუანსების ჩართვით ძალზე ეფექტურ და დასამახსოვრებელ ნამუშევრებად წარმოგვიდგებიან აგიტაციური დანიშნულების ომის ოემასთან დაკავშირებულ პლაკატებზე, ფაშიტ დამპყრობელთა გამარჯებული გამოსახვით ინგრევა მითი მათი ძლევამოსილების შესახებ. მნიშვნელოვანი პლაკატებია: „Будем бить“ (1942წ.), „Не болтай“ (1942წ.), „Мესამე იმპერიის“ აპოთეოზი“ (1942წ.).



პლაკატი „მესამე იმპერიის“ პორთფოლიუმი
(1942 წ.).



კომპოზიცია პლაკატისთვის
„ჰერიტე VIII“ (1941 წ.).

გარდა პოლიტიკურისა, მხატვარი წლების მანძილზე ქმნიდა სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებულ სააგიტაციო, სარეკლამო (პლაკატი „ღვინო“) თუ კულტურული ღონისძიებებისთვის განკუთხნილ პლაკატებს (რია ცის ქვეშ მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებული პლაკატები – „პარკ-მუზეუმი“, 1978წ.), მხატვართა გამოფენებისთვის („დავით კაკაბაძის სურათების გამოფენა“, 1959წ.), აფიშებს სპექტაკლებისთვის (შექსპირის პიესისთვის – „ჰერიტე III“).

დუდა გაბაშვილის შემოქმედებაში არც გრაფიკის მინიატურული სახება ექსლიბრისი არაა უცხო. ¹ ექსლიბრისების კეთება

1 ზემოთ უკვე გვეკონდა საუბარი სამხატვრო აკადემიის პედაგოგებზე და მათ შორის ბ-ზი დუდასგან განსაკუთრებული სითბოთი მოხსენიებულ ოსებ შარლემანის დამსახურებაზე მის მხატვრად ჩამოყალიბებაში. სწორედ ი. შარლემანის დავალება ყოფილა სტუდენტთათვის ექსლიბრისის ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა.

ჩემი შეხვედრა მხატვარ დუდა გაბაშვილთან 1987 წლის 2 აპრილს, სწორედ ექსლიბრისს გამო შედგა. იმ ჰერიოდში სადისერტაციო ნაშრომზე ვმუშაობდი და ხელოვნებათმცოდნე ფლორ დევდარიანმა თავისი ახლობლის, მხატვარ გივი ჯაფარიძის მცირე კოლექცია მომიტანა შესასწავლად. გივი ჯაფარიძე ბატონი დუდას სტუდენტობის დროს სწავლობდა აკადემიაში და მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. მის კოლექციაში დაახოებით სამ ათეულამდე ნიგნის ნიძანი იყო და ჩემთვის რამდენიმე სრულიად უცნობი ნიმუშიც იყო ნარმოადგენილი. სწორედ ამ ნიგნის ნიძანთა ავტორების დასადგენად ვთხოვე დახმარება ბ-ზ დუდას და რაოდენ სასიამოვნო სიურპრიზზ აღმოჩნდა, რომ ამ კოლექციაში მის მიერ სტუდენტობის ნლებში შესრულებული რამდენიმე ექსლიბრისიც აღმოჩნდა, რომელიც თვითონაც კი აღარ ჰქონდა შემორჩენილი.

მხატვარს სტუდენტობისას დაუწყია, რადგან თურმე თავად ექსლიბრისის შესანიშნავი ოსტატები, მისი პედაგოგები ევგენი ლანსერე და ოსებ შერლემანი, სავალდებულო საცდელ-სავარჯიშო დავალებად აძლევდნენ თავიანთ აღსაზრდელებს ამ მინიატურული გრაფიკული ნიმუშების შექმნას, რადგან თვლიდნენ, რომ გრაფიკის ამ იშვიათი სახეობის შესრულებისას დამწყებ მხატვარს გრაფიკოსისთვის აუცილებელი კომპოზიციის აგების ლაკონურობით და გამოსახველობით მკაფიოების მიღწევის უნარი უვითარდებოდა. ექსლიბრისზე შრიფტისა და ზუსტად მოძებნილი სახვითი ელემენტების შერჩევით, ნიგნის ნიშნის მფლობელის ხასიათისა და პიროვნული ინტერესების გამოხატვის

უნარის გამომუშავებას ავალდებულებდა ახლად ფეხადგმულ შემქმედთ. ეს კი ხვეწდა და აყალიბებდა მათს გრაფიკულ ხელწერას და აზროვნებას. სწორედ სტუდენტობის დროს – 1933-39 წლებში – შეუსრულებია დუდა გაბაშვილს ისინი.

დუდა გაბაშვილის ნიგნის ნიშნებისათვის დამახასიათებელია ექსლიბრისის მფლობელის პროფესიისა და ხასიათის მახვილგონივრული ხერხებით გამოვლენა და კომპოზიციის მარტივი ფორმით გადაწყვეტა, გამომგონებლობის საოცარი უნარი, ზოგ შემთხვევაში თბილი და დახვენილი იუმორითაც რომ არის შეზავებული.

ექსლიბრისების კომპოზიციების აზრის ჩანვდომა მარტივად, ერთი დანახვისთანავე არის შესაძლებელი და მყისიერად „გასაშიფრი“. კონკრეტულ პირთა პროფესიული თუ სახასიათო ნიშნების ამოცნობა მახვილგონივრულად შერჩეული ნახატით მიიღწევა.

არქიტექტორ ვ. მებუკესათვის შექმნილ ნიგნის ნიშანზე მხოლოდ ერთ ელემენტს – იონიურ კოლონას გამოსახავს. ექსლიბრისის ჩანახატისებური, ნაჩეარევი მონახაზის სახითაა შესრულებული, რომელშიც თითქოსდა ურთიერთშეჯერებულია ნამიერებისა და



პერიობ VIII



პლაკატი შოთა
რუსთაველის სახელობის
თეატრის სპექტაკლისთვის
„პერიობ VIII“ (1941 წ.).

მარადიულობის თანაარსებობის განცემა
ცდა. ფაქიზ კონტურებში შენარჩუნე-
ბულია დახვენილი არქიტექტურული
ორნამენტის ესთეტიკური ღირსება.
კოლონის ბაზისისა და სვეტისთავის
გამოსახულება სილუეტური მინიშ-
ნების დონეზეა გადმოცემული. ეს
ელემენტები თავ-ბოლოში კრავენ
კომპოზიციას და დასრულებულობას
სძენენ. იოლად ნასაკითხი შრიფტიც
ნათლად აღსაქმელია, მისი ფორმები
ორგანულად ერწყმის კოლონის ლილ-
ვების ჩამოქნილ კონტურებს. ასო-ნი-
შანთა „მსხვილი სხეულის“ შავი ფერი
კი კოლონის კაპიტელისა ბაზისის
შავი ლაქის შესატყვისი ხდება და ისე
ერწყმის გამოსახულებას თითქოს
მისი ორგანულად შემადგენელი ნა-
ნილი იყოს. ამ მარტივად გადაწყვეტილ ნახატით მნახველისთვის
ძალზე მარტივი ამოსაცნობი ხდება ექსლიბრისის მფლობელი პი-
როვნების პროფესია.

 დუდა გაბაშვილს საკუთარი ბიბლიოთეკისთვის რამდენიმე ექს-
ლიბრისი აქვს შექმნილი. ერთ-ერთზე მჯდომარე ქალის ფიგურაა
გამოსახული. ქალის სილუეტი თეთრ ფონზე შავი ფერითაა „დას-
მული“, სხეული გამარტივებულია, სქემატურობამდეა დაყვანილი,
სიბრტყობრივად გამოსახული. ფიგურა თითქოს გაქვავებულია,
ევგიანტური სკულპტურის ასოციაციას ბადებს. დახვენილ, სტატი-
კური ფიგურის ფორმას ესადაგება მის ნინ გამოსახული ლარნა-
კი, რომლის ყელიდანაც ყვავილის ლეროა ამოზრდილი. დეკორის
ელემენტად აღქმულ ამ მარტივი მოხაზულობის გამოსახულებას
სიცოცხლის მუხტი შემოაქვს. მცენარის ამოზრდილი ლეროს ზეალ-
მართული ტანი, ტალღისებური მოხაზულობით თითქოსდა ამოძ-
რავებს ნახატს. აქეთ-იქით რიტმული მონაცვლეობითობით ამოზ-
რდილი კვირტები, ყვავილების ლეროსა და ქალის ფიგურას შორის
მოქცეულ თეთრ სიბრტყზე გამოსახულ, სიტყვა ექსლიბრისის ლა-
თინური შრიფტის ფორმებს ეპასუხება, რომლის განლაგება მკაც-
რი სიმეტრიულობითა დაცული, მაგრამ ასოთა მოხაზულობაში



ექსლიბრისი საკუთარი ბიბლიოთეკისთვის (1934 წ.).

შეტანილი, გათამაშებული ნოუანსები ანელებს შრიფტის სიმკაცრეს და ღეროსთან ურთიერთშერწყმით აცოცხლებს კომპოზიციას. შრიფტისა და ღეროს კავშირს კიდევ უფრო უსვამს ხაზს ღეროს ზედა, ბოლო კვირტის მარცხნივ გადახრა, რითაც შიგნისკენ წარიმართება მოძრაობა. ძირითადად კი ამ ექსლიბრისის კომპოზიციაში შენარჩუნებულია ლაკონური, მკაცრი ხასიათი, რასაც ხელს უწყობს ოთხეუთხა მსხვილი შავი ზოლით შემოსაზღვრული ორმაგი ჩარჩო, ხოლო ქვედა მახვილ შავ ზოლებს შორის მოქცეულ თეთრ არეზე მფლობელის გვარის აღმნიშვნელი ლათინური შრიფტი, ნახატის საერთო მკაცრი ხასიათიდან გამომდინარეობს და მთელი კომპოზიციის საყრდენს წარმოადგენს. შავ-თეთრის ლაქობრივი ურთიერთშეპირისპირებით სიბრტყობრივი ნახატი დამღისებულ ხასიათის იღებს.

იგივე კომპოზიცია მხატვარს ოფორტის ტექნიკაში აქვს განხორციელებული. ტუშით შესრულებული ორიგინალის მკაფიო კონტური, მკვეთრი ფორმები, ოფორტის ტექნიკით შექმნის დროს ექსლიბრისზე რბილი გადასვლებით და მეტი თავისუფლებით, ცხოველხატულობით იცვლება, მეტია შუქ-ჩრდილის თამაში. გვა-



რის აღმნიშვნელი წარწერა ქართულ
ენაზეა დაწერილი, შრიფტის მოხაზუ-
ლობაც უფრო „თამამია“. ის სიმკვეთ-
რე და მკაფიოება, რაც ტუშით შექმნილ
ორიგინალს აქვს, აქ იყარგება, მაგრამ
მეტი უშუალობა და სიცოცხლე შეიგრ-
ძნობა, თითქოს მეტად „გაქართულდა“
და ეგვიპტელ ქალის ფიგურა მთიელ
ქალს დაემსგავსა.


გამომსახველი კომპოზიციური გა-
დაწყვეტით გამოირჩევა მოქანდაკე ე-
კანდელაკისთვის შექმნილი ექსლიბ-
რისიც, რომელზეც გამოქანდაკებული
პირტრეტია გამოსახული. ლითოგრა-
ფიის ტექნიკით შესრულებული ფიგუ-
რის რბილი ფორმები სახის ნაკვთების
მკვეთრი ამონათებებით იძერწება. კომ-
პოზიცია მარტივია და მკაფიოდ მიანიშ-
ნებს მფლობელის პროფესიაზე.

იგივე ტექნიკით არის აგრეთვე შექ-
მნილი საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნის
ნიშანი, რომელიც მსუბუქ იუმორის-
ექსლიბრისზე გამოსახულია პატარა ძაღ-



ექსლიბრისი
ე. კანდელაკისთვის
(1934 წ.).

ტულ ხასიათს ატარებს.
ძალის „სხეულზე“
პირდაპირ თითით, თა-
ვისუფლადაა დაძერნი-
ლი ლაქები, თითის ანა-
ბეჭდებიც კია ასახული.
ფონი შესრულებულია
შტრიხებით, ლათინუ-
რი შრიფტი განაწილე-
ბულია ამ შტრიხების
პროპორციულად. კომ-
პოზიცია არ არის მო-
საზღვრული, მაგრამ
ყველა ელემენტი ერთ-
მანეთანაა დაკავშირე-



ექსლიბრისი საკუთარი ბიბლიოთეკისთვის
(1934 წ.).

ბული და მეტად თავისუფალ, ცოცხალ, მჭიდროდ შეკრულ ნახატს ქმნის.


დუდა გაბაშვილის წიგნის ნიშნებში ვლინდება მაღალი პროფესიონალიზმი, დახვენილი გემოვნება, ექსლიბრისის სპეციფიკის ღრმა და გააზრებული წვდომის უნარი, ვრაფიკული მასალის ფლობის მაღალი დონე. მხატვარი თითქოს თავის „სასარგებლოდეთამაშება“ გრაფიკის ტექნიკის ამა თუ იმ მასალას, მისი ნამუშევრები ექსლიბრისშიც, ისევე როგორც ზემოთ ნახსენებ სახვითი ხელოვნების ყველა სხვა სფეროში,

ყოველთვის გამოიჩინა და გაბაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ინდივიდუალური ხელნერით.

ჩვენ ძალზე მოკლედ შევეხეთ დუდა გაბაშვილის შემოქმედებას. მისი მხატვრული მემკვიდრეობა უდაოდ დიდი საგანძურია და უფრო დიდ პოპულარიზაციას მოითხოვს.

2014 წლის 18 ნოემბერს დუდა გაბაშვილს დაბადების 100 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის გალერეაში „Ars Georgica“ გაიმართა მხატვრის საიუბილეო გამოფენა.

სამწუხაროდ, მისი ნამუშევრების ძალზე მცირე რაოდენობა ინახება მუზეუმების ფონდებში. დღესდღეობით ნამუშევართა უმრავლესი ნაწილი მხატვრის ოჯახის საკუთრებაშია და სათუთადაცაა მოვლილი, მაგრამ წლების შემდეგ მოსალოდნელია მათი გაფანტვა-გასხვისება, რამაც, შესაძლოა, უმართავი ხასიათი მიიღოს და



კიდევ ერთი შესანიშნავი მხატვრის ნამუშევრები გამოგვეცალოს
ხელიდან, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება.



მხატვრის ნამუშევრები ინახება:

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სა-
ხელობის ხელოვნების მუზეუმში;

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში;
კერძო კოლექციებში; მხატვრის ოფიციალურ მუზეუმში.

ლიტერატურა დავით გაბაშვილის შესახებ:

მ. გაჩეჩილაძე. დავით გაბაშვილი – 100. იხ. ელექტრონული
ჟურნალი „Ars Georgica“, სერია B. <http://georgianart.ge/index.php?option=com-content&view=article&id=170&Itemid=&ed=15>.

დ.ა. გაბაშვილი ბუკლეტი. სერია „საქართველოს მხატვრები“. –
თბ., 1958.

მ. კარბელაშვილი. მხატვარ დავით გაბაშვილის შემოქმედება.
„Ars Georgica“, სერია B, ტ.6. – 1964, გვ. 25-50, რეზიუმე ფრანგულ
ენაზე; (სტატიის ელექტრ. ვერსია იხ. საიტზე: georgianart.ge).

გ. ხოშტარია. დავით გაბაშვილი, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება,
აბსტრაქცია, პლაკატი, ნიგნის გრაფიკა. ტექსტი – ქართ. და ინგლ.
ენებზე. – თბ., 2000.



ნაირა გორაშვილი

ერთი დაუვიცყარი დღე

ერთ ლამაზ და შინაარსიან ლონისძიებაზე მოგახსენებთ, რომელიც ცოტა ხნის წინ დედოფლისნებაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის თაოსნობით. ეს ორგანიზაცია, კერძოდ კი, მისი გამგეობის თანა-თავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე, მრავალი საინტერესო ლონისძიების ავტორი და ინიციატორია. მის წამოწყებებს მუდამ მხარს უჭერს და ეხმარება რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი. სწორედ მისი პატრონაჟით ტარდება მრავალი ღირსშესანიშნავი ლონისძიება. ასე იყო ამჯერადაც. იდეა საიუბილეო პროექტისა – „რუსთაველიდან გალაკტიონამდე“ – ნანა ჭიჭინაძეს ეკუთვნის. ასოციაციის გამგეობის წევრთაგან შეიქმნა საორგანიზაციო კომისია ნიკოლოზ ბენიაძის, ლია მაისურაძის, მარიკა პოპიაშვილის, ლია კობაიძის, ხათუნა აგლაძის, გია ნატროშვილის, თამარ მოძლვრიშვილის და ნუნუ ცაკაშვილის შემადგენლობით. კომისიის თავჯდომარედ მე, თქვენი მონა-მორჩილი, ამირჩიეს. წელს ხომ შოთა რუსთაველის დაბადების 850, ვაჟა-ფშაველას – 155, ხოლო გალაკტიონის – 125 წლისთავი შესრულდა და ეს ლონისძიებაც სწორედ მათს საიუბილეო თარიღებს ეძღვნებოდა.

აღნიშნული ლონისძიების ძირითად მომხსენებლად მოწვეული იყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ინესა მერაბიშვილი, რომელიც, ამავდროულად, არის უნივერსიტეტის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარე, ბაირონის და გალაკტიონის მკვლევარი და მთარგმნელი, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევ-



რი, ნოტინგემის უნივერსიტეტის პოსტკონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთან საბჭოს წევრი, მრავალი მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი.

მეორე განყოფილებაში კლასიკური მუსიკა ჩავრთეთ, ხოლო ღონისძიების დაწყებამდე მისაღებში მომსვლელს ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერის ხათუნა ბაბუხაძის გობელენების გამოფენა და ნანა ჭიჭინაძის მიერ საგანგებოდ სამივე მწერლის შემოქმედებიდან ამოკრეფილი ამონარიდების კოლაჟი დავახვედროთ. დამსწრეთა გამორჩეული მონონება დაიმსახურა ხათუნას მიერ გალაკტიონის ლექსზე – „სილაუვარდე ანუ ვარდი სილაში“ თემაზე შექმნილმა ნამუშევარმა „სილაუვარდე“.

ამინდმა არ დაგვალატა და შემოდგომის ალერსიანი მზით გამთბარი დღე გათენდა. დარბაზი გაიცის მსმენელით და... ღონისძიებაც დაიწყო. ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა რამდენიმე წუთი გაცნობის ცერემონიას დაუთმო და მსმენელს თავდაპირველად რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის მიერ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი შესთავაზა, რათა მასპინძლებს სრული ინფორმაცია ჰქონიდათ სტუმარზე.

ქალბატონმა ინესამ საუბარი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ დაიწყო, შემდეგ მიმოიხილა ვაუა-ფშაველას შემოქმედება, მაგრამ ყველაზე მეტი დრო თანამედროვე ქართული ლექსის მეფეს – გალაკტიონს დაუთმო; იგი ხომ გალაკტიონის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი გახლავთ.

ლიტერატურულ მიმოხილვებს შეიგადაშიგ ქალბატონი ინესას მიერ ნათარგმნი გალაკტიონის ლექსების ქართული და ინგლისური ვარიანტები ამშვენებდა, რომელსაც შთამბეჭდავად კითხულობდნენ თავად ქალბატონი ინესა და ცნობილი უურნალისტი და პუბლიცისტი, ბაირონის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ნუგზარ რუხაძე. სტუმრებს სათანადო პარტნიორობა გაუწიეს დედოფლის-წყაროს სკოლა „ბენაურის“ ნარჩინებულმა მოსწავლეებმა: კატო გვენეტაძემ, მარიამ მეხრიშვილმა და ლიკა გიგოლაშვილმა. მათ ქართულ და ინგლისურ ენებზე მხატვრულად წაიკითხეს ლექსები ინესა მერაბიშვილის წიგნიდან „გალაკტიონი“.

ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო კლასიკურ მუსიკას, სადაც ლისტის, შოპენის, ბეთჰოვენის, მოცარტის ნაწარმოებები შინაარსობრივად დაუკავშირა ამ სამი დიდი მწერლის შემოქმედებას

სრულიად ახალგაზრდა პიანისტმა, ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალური კონკურსის ათწლების მეთაურებასელმა და ბაირონის სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა 15 წლის სანდრო გეგეჭკორმა.

ქალბატონმა ინესამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზაციონურებს, რაიონის ხელმძღვანელობას ასეთი მშვენიერი დახვედრისათვის და მათ საქართველოს ბაირონის საზოგადოების სახელით გადასცა სიგელები და წიგნები – „გალაკტიონის მერი – პროტოპაპის ძიება“ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დაბადების 80 წლისთავისა და აღსაყდრებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილი თარგმანი გავრიოლ დერუავინის „ოდა ღმერთს“.

ჩამობრძანებულ სტუმრებს მადლობა გადაუხადეს საინტერესო ღონისძიებისათვის და ინესა მერაბიშვილს გადასცეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სიგელი ქართული ლიტერატურის კვლევასა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის.

დღიდი ქართველი მწერლების საიუბილეო საღამოს მაღალი შეფასება მისცეს ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა, ბატონმა ნუგზარ რუხაძემ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა და სხვებმა. საღამოს მომზადებასა და ჩატარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ღვინის ქარხანა „ოკამის“ დირექტორმა ვაჟა ოზაშვილმა, შპს „ზედაშეს“ დირექტორმა გიორგი კიკილაშვილმა, გამარჯვების ხორციობინატის დირექტორმა ვაჟა ნატროშვილმა, ფერმერებმა – ბაჩუკი და ვაჟა გონაშვილებმა, ელიზბარ იმერლიშვილმა, ნიკოლოზ ბერიანიძემ, ვანო და გია ნატროშვილებმა, თენგიზ იაკობიშვილმა, მენარმე ზეინაბ მოდებაძემ, აგრეთვე დეპუტატმა ლაერტ ზუბადალაშვილმა, ხელოვნების სკოლის დირექტორმა მარინა კიკილაშვილმა და მთელმა მისმა კოლექტივმა, გაზეთებმა „საქართველოს ლირიკამ“ და „შირაქმა“, თოქ-მოუ „დედოფლისწყაროს საათმა“ და, რა თქმა უნდა, საიუბილეო პროექტის მთავარმა მხარდამჭერმა მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულომ და ქალაქის მერიამ.

ეს, მართლაც, დაუვიწყარი დღე იყო.

შირიარსი

შოთა რუსთაველი – 850

ელგუჯა ხინოიბიძე, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი და მისი
ემოციური სამყარო ----- 3

ნესტან სულავა, ჭიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველის
შესახებ ----- 10

დალი მაჩაბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები ქართველ
ავტორთა თარგმანებით ----- 28

შიო მღვიმელი – 150

დავით წოცეოლაშვილი, სიკეთითა და მზიური ნათელით
სავსე საბავშვო პოეზია ----- 41

წიგნი და ცხოვრება

ხათუნა მემანიშვილი, აკაკი წერეთლის მხატვრული
განსახიერების ერთი თავისებურება ----- 53

წიგნის მოამაგენი

მაია მიძაბერიძე, პლატონ იოსელიანი – პირველი ქართული
ბეჭდური კალენდრის გამომცემელი ----- 61

თეიმურაზ ჯაგოდიშვილი, რაფიელ ერისთავი
საუკუნეთა გადასახედიდან ----- 68

დღო და ადამიანები

ზოია ცხადადი, რთული ფსიქოლოგიური პორტრეტები ----- 82

გამოსათხოვანი

იოსეპ ჭუმარიძე, შეუცვლელი ----- 89

საპირლიოთეპო საქმე

გურამ თაყნიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი – მეცნიერული
ბიბლიოგრაფიის ფუძემდებელი საქართველოში ----- 92

ალექსანდრე ლორიძა, სოციალურ-კულტურული
ვითარება საქართველოში ეროვნული ბიბლიოთეკის
ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ----- 99

წარსულის ფურცლები

ნომადი გართაძია, ქართული წარმოშობის
სპარსულენოვანი პოეტები ----- 110

ივლითა ასათიანი-ნაკაშიძე, მოგონებები ----- 115

ძიებანი

მიხეილ ქავთარიძა, ცნობები ცაგერის მუზეუმის
ხელნაწერების შესახებ ----- 124



რაულ ჩაგუნავა, „შუშანიკის წამების“ ქართულ-სომხური ტექსტების
ვერსიების ურთიერთდამოკიდებულებისათვის ----- 143

ლალი ოსეფაშვილი, გალობათა ილუსტრირების
საკითხი ჯრუჭის ფსალმუნის მინიატურებში----- 150

საიუგილეო მისალმება

მზექალა შანიძე, ღვაწლმოსილი მეცნიერი
ზურაბ ჭუმბურიძე - 90 ----- 168

გეზდური წიგნის ისტორია

ნინო ხველეულიძე, პირველი წიგნმბეჭდავები
საფრანგეთში და ეტიენების საგამომცემლო სახლი----- 171

ყალბით და ფუნჯით

მარიამ გაჩეჩილაძე, დავით (დუდა) გაბაშვილი ----- 187

ქრონიკა

ნაირა გორაშვილი, ერთი დაუვინაყარი დღე ----- 201

სტუდენტების ცენტრი

საგამომცემლო განყოფილების
ხელმძღვანელი შოთა კობიაშვილი
უფროსი რედაქტორი სოფიო კობიაშვილი
რედაქტორი რუსულან ბულისკერია

ტექსტი ააწერ და
დააგაბადონა სოფიო კობიაშვილმა

რედაქციის ნებართვის გარეშე
აღმანახის მასალების გამოყენება არ შეიძლება.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
მწიგნობართა ასოციაცია.

თბილისი, რუსთაველის გამზ., 40/1. ტ.: 293-29-12, 293-31-79

203/15



MTSIGNOBARI

'16

An annual Almanac of Bibliophiles has been issued since 1980 year, gathering articles on books and book's authors, libraries and bibliophiles, researches in the world of books, old books and on book-lovers of different countries and sides.

Editor-in-chief NODAR TABIDZE

Painter ANZOR TODRIA

Ilia Chavchavadze
Georgian Association
Of Book-Lovers

Tbilisi-2016

F 1285
2016